ქართლის ცხოვრება

Картлис Цховреба
(История Грузии)

Грузинский текст

том

I

Госиздат
Тбилиси 1955

ქართლის ცხოვრება

ტექსტი დადგენილი
ყველა ძირითადი
ხელნაწერის მიხედვით
ს. ყაუხჩიშვილის მიერ

ტომი

I

704
ԳՐԱԴԱՐԱՆ
БИБЛИОТЕКА
АН Арм. ССР

სახელგამი
თბილისი 1955

წინასიტყვაობა

დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენდა საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს, რომელიც დრო-და-დრო ივსებოდა, ახლდებოდა და სწორდებოდა. დაწყებული მე-12 საუკუნით და გათავებული მე-18 საუკუნის მეორე ნახევრით „ქართლის ცხოვრებამ“ გაიარა რამდენიმე რედაქცია; მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ხერხდება, ზოგიერთის მეტნაკლებობით, მისი თავდაპირველი სახის აღდგენა. წინამდებარე გამოცემაც მიზნად სწორედ ამას ისახავს: მაქსიმალური სისრულით წარმოადგინოს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტზე საუკუნეთა განმავლობაში წარმოებულ რედაქციულ მუშაობათა სურათი და ხელი შეუწყოს გვიანდელ ნამატთა გამოვლინებას და, მამასადამე, თავდაპირველი ტექსტის აღდგენას.

„ქართლის ცხოვრება“ მთლიანი სახით მხოლოდ ერთხელ დაიბეჭდა; ეს არის რუსეთის სამეცნიერო აკადემიის გამოცემა: 1849 წელს აკად. მ. ბ რ ო ს ე ს მიერ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრება“, I ტომი (ორ წიგნად: წიგნი პირველი — ქართული ტექსტი, წიგნი მეორე — ფრანგული თარგმანი).

მეორე ტომად მ. ბროსემ და დ. ჩუბინაშვილმა დაბეჭდეს XVIII საუკუნეში სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი მიმოხილვები (იხ. ქვემოთ გვ. 09—010). რადგან ბროსე-ჩუბინაშვილის გამოცემა უკვე ძნელად იშოვებოდა, ზ. ჭიჭინაძემ 1897 წელს გადაბეჭდა I ტომი, ხოლო 1913 წელს — II ტომი და ქართველი საზოგადოება უპირატესად ზ. ჭიჭინაძის გამოცემით სარგებლობდა.

მაგრამ ბროსეს განკარგულებაში იყო მხოლოდ მე-18 საუკუნის სამი ხელნაწერი, რომლებშიც წარმოდგენილი იყო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი, გადამუშავებული და შევსებული მე-18 საუკუნის რედაქტორთა მიერ.

ბროსეს გამოცემის შემდეგ 100 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ცოდნა „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისა საგრძნობლად გამდიდრდა: გარდა იმისა, რომ თვით მე-18 საუკუნის ათიოდე ახალი ნუსხა გახდა ჩვენთვის ცნობილი, აღმოჩნდა ძველი მე-15—17 საუკუნეთა ტექსტის შემცველი ოთხი ხელნაწერი:

1884 წელს დ. ბაქრაძემ ცნობილი გახადა მე-17 საუკუნის ხელნაწერი, ე. წ. მ ა რ ი ა მ ი ს ე უ ლ ი ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“.

1913 წელს და 1923 წელს ივ. ჯავახიშვილმა იპოვა მე-15 საუკუნის ა ნ ა ს ე უ ლ ი ნუსხა და მე-16 საუკუნის ჭ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი ნუსხა.

1942 წელს ჩვენ გამოვავლინეთ მაჩაბლისეული ნუსხა, რომლის ტექსტი მის ძველ ნაწილში მომდინარეობს არჩილ მეფის (1664—1675 წ.წ.) ნაქონი ხელნაწერიდან და მარიამისეული ნუსხის ტექსტს ენათესავება.

ამ ახლად აღმოჩენილ ნუსხათაგან ცალკე წიგნებად გამოიცა: 1) მარიამისეული ქართლის ცხოვრება (ე. თაყაიშვილის რედაქციით, 1906 წ.) და 2) ანასეული ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, 1942 წ.); გარდა ამისა „ქართლის ცხოვრების“ ცალკე თხზულებათაგან დაიბეჭდა: 1) ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანე (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1927 წ.), 2) ბერი ეგნატაშვილის ახალი ქართლის ცხოვრება (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1940 წ.), 3) ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (კ. კეკელიძის რედაქციით, 1941 წ.), ბასილი ეზოსმოძღვრის ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი (ივ. ჯავახიშვილის რედაქციით, 1944 წ.).

აქედან ცხადია, რომ ჩვენს საისტორიო მეცნიერებას ვეღარ დააკმაყოფილებდა 1849 წელს გამოცემული ტექსტი „ქართლის ცხოვრებისა“ და 1945 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებას დაევალა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესწავლა და ტექსტის გამზადება გამოსაცემად ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით. წინამდებარე გამოცემაც ფილოლოგიის განყოფილების ამ მუშაობის ნაყოფია.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხებზე მუშაობდა 1945—1950 წლებში ფილოლოგიის განყოფილების მთელი კოლექტივი. განყოფილების თანამშრომლებმა ჩვენი ხელმძღვანელობით შეაჯერეს „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი ყველა ნუსხებში: მ. კახაძემ — რუმიანცევისეული ნუსხა, ნ. ჯავახიშვილმა — მარიამისეული და ბარათაშვილისეული, ნ. საბაშვილმა — დადიანისეული, თ. ბრეგაძემ — მაჩაბლისეული, ფალავანდიშვილისეული, ჯანაშვილისეული და ნაწილობრივ თეიმურაზისეული. დანარჩენი ნუსხების შეჯერება, ისევე როგორც ყველა ნუსხის საკონტროლო შემოწმება და ტექსტის საბოლოო დადგენა, ლექსიკონის და საძიებელთა შედგენა და შესავალი ნარკვევი გვეკუთვნის ჩვენ.

ამჟამად ქვეყნდება ჩვენ მიერ დამზადებული ტექსტის ერთი ნაწილი: „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში შემავალი პირველი ხუთი საისტორიო თხზულება (ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება“, ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“, ლეონტი მროველის „არჩილის წამება“, „მატიანე ქართლისა“ და „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“), ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე და სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“. მეორე ტომში გამოქვეყნდება „ქართლის ცხოვრებაში“ შემავალი დანარჩენი თხზულებები: თამარ მეფის ისტორია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“), ჟამთააღმწერლის თხზულება და „ქართლის ცხოვრების“ ყველა გაგრძელება (მე-14— 18 საუკუნეთა ისტორია).

თბილისი
1956 წლის 26 სექტემბერი

სიმ. ყაუხჩიშვილი

შესავალი

ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა

თავი პირველი

„ქართლის ცხოვრების“ კრებულის მოცულობა და მისი შედგენილობის თანდათანი ზრდა

§ 1. „ქართლის ცხოვრების“ კრებული. „ქართლის ცხოვრება“ წარმოადგენს საისტორიო თხზულებათა კრებულს, სადაც შეტანილია ქართველ ისტორიკოსთა ის თხზულებები, რომლებიც თანმიმდევრობით მოგვითხრობენ ქართველი ერის თავგადასავალს უძველესი დროიდან XVIII საუკუნემდე. ასე, მაგალითად, ეს კრებული იწყება ისტორიკოს ლეონტი მროველის თხზულებით, რომელშიც გადმოცემულია საქართველოს ისტორია ძველი დროიდან მეხუთე საუკუნემდე (ახ. წ.); მომდევნო თხზულებაში, ჯუანშერის საისტორიო ნაშრომში, მოთხრობილია V—VIII საუკუნეთა ამბები: ამას მოსდევს უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“, სადაც VIII—XI საუკუნეთა ისტორიაა გადმოცემული და ა. შ.

ამ კრებულის წარმოშობა ჩვენ ასე წარმოგვიდგება. როდესაც დაიბადა იმის საჭიროება, რომ ჰქონოდათ ქართველი ერის თავგადასავლის შემცველი წიგნი სკოლაში სახმარ სახელმძღვანელოდ და შინ საკითხავ წიგნად, დაძებნეს ცალკეული ეპოქებისათვის დაწერილი მიმოხილვები და საისტორიო ნაშრომები, შეაერთეს ეს უკანასკნელნი ისე, რომ მოთხრობა თანამიმდევრული ყოფილიყო, და გაუკეთეს საერთო რედაქცია. როდესაც, მაგალითად, აერთიანებდნენ ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებს, რომელთაგან პირველი დაახლოებით V საუკუნის ამბებით თავდებოდა, ხოლო მეორე ვახტანგ გორგასლის ისტორიით იწყებოდა, საჭირო შეიქმნა ლეონტის თხზულების ბოლოს მოკვეცა, ან ჯუანშერის შრომის დასაწყისის შეცვლა (ან ორივეს შეცვლა), რათა ამბავი ამბავს გადაბმოდა. საკმარისია ადამიანი დაუკვირდეს ქვემოთ დაბეჭდილ ტექსტს (გვ. 138, 17 და 139, 5), რომ დარწმუნდეს ამაში:

«მირდატ... შეიპყრეს სპარსთა... წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა» (ლეონტი მროველის თხზულების დასასრული, გვ. 138, 17).

«ვითარ-იგი შეიპყრეს ქართველთა მეფე მირდატ სპარსთა... და წარიყვანეს ბაღდადს და მუნ მოკუდა, და დაიპყრეს ქართლი სპარსთა» (ჯუანშერის შრომის დასაწყისი, გვ. 139, 5).

არ არის საეჭვო, რომ ორი სხვადასხვა ისტორიკოსი, ლეონტი მროველი და ჯუანშერი ვერ დაწერდნენ თავიანთ საისტორიო შრომებს ისე, რომ მათი ბოლო და დასაწყისი ასე ბუნებრივად გადაბმოდა ერთმანეთს. ცხადია, აქ რედაქტორის ხელი უნდა ვივარაუდოთ: მას შეუცვლია როგორც ლეონტის თხზულების ბოლო, ისე ჯუანშერის შრომის დასაწყისი.

ამგვარად, ცხადია, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი თხზულებები ძველი ქართველი ისტორიკოსებისა ჩვენამდე მოღწეულია შეცვლილი სახით; ყოველ შემთხვევაში, ამ შრომების დასასრული და დასაწყისი რედაქტორთა მიერ იკვეცებოდა და იცვლებოდა. და რადგან ავტორის სახელი მოხსენებული იქნებოდა თხზულების თავში ან ბოლოში ჩვენ არ შეგვრჩა „ქართლის ცხოვრებაში“ არც ერთი თხზულება, რომლის

ავტორი იქვე იყოს დასახელებული, გარდა სუმბატ დავითის-ძის „ქრონიკისა“, სადაც ვკითხულობთ:

«ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა..., რომელი აღწერა ს უ მ ბ ა ტ, ძ ე მ ა ნ დ ა ვ ი თ ი ს მ ა ნ» (იხ. გვ. 372).

დანარჩენ თხზულებებს არ შერჩათ ის ადგილები, სადაც შეიძლებოდა მოხსენებული ყოფილიყო ავტორის სახელი. ის კი არა: ზოგიერთს სათაურიც არ შერჩა.

„ქართლის ცხოვრების“ კრებული ქართველი საზოგადოების უპირველეს საზრუნავ წიგნს წარმოადგენდა: მასში კითხულობდა იგი თავის დიად წარსულს, იქ პოულობდა ის საჭირო მასალას აწმყოს განსამტკიცებლად და უკეთესი მომავლის მოსამზადებლად. ამიტომ „ქართლის ცხოვრება“ ქართველი საზოგადოებისათვის წმიდათა-წმიდა იყო. ერთი ნუსხის გადამწერი მას „პატიოსან“ წიგნს უწოდებს, ხოლო მეორისა — „წმიდას“:

«განმმარჯუებელ ექმნენით... დედოფალთა დედოფალსა ნესტან-დარეჯანს... მეფესა ალექსანდრეს და დედოფალსა ანას, რომლისა მიერ გუებრძანა პ ა ტ ი ო ს ა ნ თ ა ა მ ა თ წ ი გ ნ თ ა აღწერა» (იხ. ქვემოთ, გვ. 364, 16).

«შეიწყალე და დაიცევ... დედოფალთ-დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან წ მ ი დ ა ნ ი ე ს ე წ ი გ ნ ნ ი» (იხ. ქვემოთ, გვ. 37[1], სქოლიო 3).

«დაიცევ... დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირმშო ოტია, რომლისა ბრძანებითა იწერებ[ა] წ მ ი დ ა ე ს ე წ ი გ ნ ი» (მარიამ დედოფლისეული ნუსხა, გვ. *804; იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა გვ. 645).

ასეთი „პატიოსანი“ და „წმიდა“ წიგნის შედგენის ისტორიით ყოველთვის იყო დაინტერესებული ქართველი საზოგადოება. ამ ინტერესის კვალი მოჩანს იმ თითოოროლა შენიშვნებში, რომლებიც დაურთავთ „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებს ძველს ხანებშივე.

§ 2. „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა. „ქართლის ცხოვრების“ კრებული თანდათან დგებოდა. აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ს გამორკვეული აქვს, რომ პირველად ეს კრებული შეადგინეს XII საუკუნეში და იქ შეიტანეს ის თხზულებები, რომლებიც მოგვითხრობენ ქართველი ერის ისტორიას უძველესი დროიდან VIII საუკუნემდე; შემდეგ საუკუნეებში ამ კრებულს დაუმატეს VIII—XII საუკუნეთა ისტორიის შემცველი თხზულებები, ხოლო უფრო გვიან შეავსეს XII—XIV საუკუნეთა ისტორიით. ამით დასრულდა „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებათა პირველი ციკლი, რომელიც ცნობილი და გავრცელებული ყოფილა ჩვენში ვახტანგ VI-ის დრომდე.

XIV—XVII საუკუნეებში აღარ უმუშავიათ „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის გაზრდაზე. როგორც ჩანს, დრო-და-დრო ამ ეპოქის ამბავთა შესახებაც იწერებოდა თხზულებები, არსებობდა დოკუმენტები, მაგრამ გაბმული თხრობა ამ საუკუნეთა ამბებისა არ შეუდგენიათ, როგორც ერთ დოკუმენტში სწერია, «ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო». და ვახტანგ მეექვსის ბრძანებით შედგა კომისია, რომელმაც შეკრიბა «გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი», მოიშველია აგრეთვე «სომეხთა და სპარსთა ცხოვრებაები» და ისე დაწერა XIV—XVII საუკუნეთა ისტორია და შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ კრებულში. დაახლოებით 20—30 წლის შემდეგ კომისიის ამ ნამუშევარმა განიცადა ახალი რედაქციული გადამუშავება და ისე შევიდა „ქართლის ცხოვრებაში“. ამრიგად, შეიქმნა მეორე ციკლი „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ თხზულებათა, რომლებიც XIV—XVII საუკუნეთა ისტორიას მოგვითხრობდნენ.

მაშასადამე, „ქართლის ცხოვრებაში“ გვაქვს ორი ციკლის თხზულებები: ძველი ციკლისა (XIV საუკუნემდე) და ახალი ციკლისა (XIV—XVII საუკუნებისა).

ქართლის ცხოვრების მოცულობა სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირი იყო. ზოგს ეპოქაში მასში შედიოდა გარკვეული საისტორიო ძეგლები, სხვა ეპოქაში კიდევ — სხვა

შედგენილობის ძეგლები. მაგრამ რომ მივიღოთ მხედველობაში ყველა დღემდე არსებული ნუსხა, „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ მოგვეპოვება სულ 12 საისტორიო ძეგლი, რომლებიც, ზოგიერთის მეტნაკლებობით, თანმიმდევრობით მოგვითხრობენ საქართველოს ისტორიის დასაბამიდან XVII საუკუნემდე. ეს ძეგლები შემდეგია:

1. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. **უძვ. დროიდან V საუკუნემდე.**

„ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია ლეონტი მროველის ორი თხზულება: 1) „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და 2) „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. XII საუკუნის რედაქტორს მეორე თხზულება ჩაურთავს პირველში სიტყვების შემდეგ «იწყო ქებად სჯულსა ჭეშმარიტსა...» (იხ. ქვემოთ გვ. 71, 7). სიტყვების შემდეგ «დაფლეს მუნ» (გვ. 128, 6) უნდა გრძელდებოდეს „მეფეთა ცხოვრება“.

2. ჯუანშერის „ცხოვრება და მოქალაქობა ვახტანგ გორგასლისა“. V—VII ს. ს

3. ლეონტი მროველის „წამება წ˜ისა და დიდებულ. მოწამისა არჩილისი“. VIII საუკ.

4. უცნობი ავტორის „მატიანე ქართლისა“. VIII—XI ს. ს.

5. უცნობი ავტორის „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“. XI—XII ს. ს.

6. სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“. VI—XI ს. ს.

7. უცნობი ავტორის „ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე“ (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა). XII—XIII ს. ს.

8. უცნობი ავტორის „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (თამარ მეფის პ ი რ ვ ე ლ ი ისტორიკოსი). XII—XIII ს. ს.

9. ბასილი ეზოსმოძღვრის „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ (თამარ მეფის მ ე ო რ ე ისტორიკოსი). XII—XIII ს. ს.

10. „მონღოლთა დროინდელი ისტორია“ (ჟამთააღმწერელი). XIII—XIV ს. ს.

11. ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“. XIV—XVII ს. ს.

12. უცნობი ავტორების „ქართლის ცხოვრების“ ორი გადამუშავებული გაგრძელება: პ ი რ ვ ე ლ ი გაგრძელება — «დაჯდა მეფე ადარნასე» — **1453 წლამდე**; მ ე ო რ ე გაგრძელება — „ცხოვრება ბაგრატიონთა მეფობისა“ «დაჯდა მეფედ ძე გიორგისა ბაგრატ» — **1452—1605 წ. წ.**

ამ 12 ძეგლიდან პირველი 10 მოგვითხრობს საქართველოს ისტორიას დასაბამიდან XIV საუკუნემდე, გიორგი ბრწყინვალის მეფობამდე, ხოლო დანარჩენი ორი ეხება XIV—XVII საუკუნეების ისტორიას. პირობითად პირველი 10 ძეგლის შედგენილობის კრებულს ვუწოდებთ **ძველი** ციკლის „ქართლის ცხოვრებას“, ხოლო XIV—XVII საუკუნეების შემცველ კრებულს — **ახალი** ციკლის „ქართლის ცხოვრებას“.

როგორ ზემოთ ითქვა, ქართლის ცხოვრების კრებული სხვადასხვა დროს სხვადასხვა შედგენილობისა იყო. ასე, მაგალითად, ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ ზოგ ნუსხას მოეპოვება მხოლოდ პირველი 5 ძეგლი, ზოგს თამარ მეფის ისტორია მოეპოვება თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების სახით, ზოგს კიდევ მეორე ისტორიკოსის თხზულების სახით; ანდა „ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე“ მოეპოვება მხოლოდ ერთ ნუსხას (ანასეულს და ნაწილობრივ ჭილაშვილისეულსაც), ხოლო სუმბატ დავითის-ძის „ცხოვრება და უწყება“ შენახულია მხოლოდ ორ ნუსხაში (მარიამისეულში და მაჩაბლისეულში) და ა. შ.

§ 3. ახალი შედგენილობის ძეგლები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი საისტორიო ძეგლებისა XVIII საუკუნეში დაიწერა სხვა საისტორიო ძეგლები, რომლებიც, მართალია, ქართლის ცხოვრების არც ერთ ნუსხაში არ შესულა, მაგრამ XIX საუკუნის ქარ-

თულმა ისტორიოგრაფიამ ისინიც „ქართლის ცხოვრების“ ძეგლებად გამოაცხადა და ტრადიციული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტთან ერთად ბეჭდავდა. ეს ძეგლები არის:

1. ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ცხოვრება“ (შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ: ა) ცხოვრება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა, ბ) ქმნულება და ცხოვრება კახეთისა და ჰერეთისა, გ) ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა, დ) ცხოვრება ეგრის-აფხაზეთისა, ე) ცხოვრება იმერეთისა). შეიცავს XV—XVIII საუკუნეების ისტორიას.

2. ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. შეიცავს ისტორიას უძველესი დროიდან 1696 წლამდე.

3. სეხნია ჩხეიძის „ცხოვრება მეფეთა“. შეიცავს 1653—1739 წლების ამბებს.

4. პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“. შეიცავს 1739—1758 წლების ისტორიას.

5. ომან ხერხეულიძის „მეფობა ირაკლი მეორისა მეფის თეიმურაზის ძისა“. შეიცავს 1722—1780 წ. წ. ისტორიას.

6. უცნობი ავტორის „შედეგი კახეთის ცხოვრებისა“.

კიდევ ვიმეორებთ: ეს 6 ძეგლი არც ერთ ნუსხაში „ქართლის ცხოვრებისა“ შესული არ არის; ისინი არსებობდნენ ცალკე ხელნაწერების სახით და ვრცელდებოდნენ დამოუკიდებლად. მათი შეტანა „ქართლის ცხოვრებაში“ XIX საუკუნის ისტორიოგრაფიის საქმეა.

როდესაც „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობაზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება საგანგებოდ არ შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც ამ ბოლო წლებში გაირკვა. ეს არის საკითხი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მსოფლიო ისტორიის“ ურთიერთობისა.

§ 4. „ქართლის ცხოვრება“ და „მსოფლიო ისტორია“[1]. ქართულ საისტორიო მწერლობაში არსებული შეხედულებით „ქართლის ცხოვრება“ იწყება ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულებით „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“[2]. მართლაც, „ქართლის ცხოვრების“ თითქმის ყველა ნუსხა იწყება სიტყვებით: «სახელითა მამისათა, ძისათა და სულისა წმიდისათა ვიწყო მითხრობად ცხოვრებასა ქართველთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა. პირველად ვაჴსენოთ ესე, რამეთუ სომეხთა და ქართველთა, რანთა და მოვაკნელთა, ჰერთა და ლეკთა და მეგრელთა — ამათ ყოველთა ერთი იყო მამა, სახელით თარგამოს», ე. ი. იწყება ლეონტი მროველის თხზულებით, რომელიც შეიცავს საქართველოს ისტორიის ამბებს უძველესი დროიდან V საუკუნემდე, მირდატ IV-ის მეფობამდე.

ერთადერთი ნუსხა, რომელიც ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა, მარიამისეული ნუსხა იყო. ამ ნუსხაში „ქართლის ცხოვრება“ ხელნაწერის 95 გვერდიდან იწყება; მხოლოდ ამ გვერდზე იწყება ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“. პირველი 94 გვერდი კი უჭირავს სულ სხვა თხზულებას, რომელშიც მოთხრობილია ამბები ქვეყნის გაჩენიდან (ადამიდან) ქრისტემდე. ამ თხზულებას შემდეგი სათაური აქვს: „თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ეფრემისი თარგმანი დაბადებისათჳს ცისა და ქუეყანისა, და ადამისთჳს, ვითარ მისცუალეს გუამი მისი და დამარხეს გოლგოთას, და ცუალება ნათესავთა, ვითარ ვპოვეთ ნათესაობა ქრისტესი ჴორცითა, ვითარცა წერილ არს სახარებასა ლუკას თავსა ადამისითგან ყოველთა მამათა ვიდრე ქრისტესამდე უფლისა და ღ~თისა ჩუენისა. პირველად ხოლო ესე თარგმანა წმიდამან მამა[მა]ნ ჩუენმან

[1] დაიბეჭდა ცალკე სტატიის სახით ქუთაისის პედ. ინსტიტუტის „შრომებში“, ტ. VII, 1947.

[2] იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბილისი, 1945, გვ. 171, 300.

ეფრემ, შობა მამათმთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტესამდე მაცხოვრისა და ღ~თისა, გუაკურთხენ მამაო“[1].

ასეთი თხზულების არსებობა „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში, იმ პირობებში, როდესაც არც ერთი სხვა ნუსხა „ქართლის ცხოვრებისა“ მას არ შეიცავდა, რასაკვირველია, მიჩნეულ იქმნა შემთხვევით მოვლენად და მარიამისეული ნუსხის გამომცემელმა აკად. ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ მ ა ეს ტექსტი გამოთიშა „ქართლის ცხოვრებას“ და დაბეჭდა დამატების სახით გამოცემის ბოლოში სათაურით „აპოკრიფიული მოთხრობანი, რომელნიც წინ მიუძღვიან მარიამ დედოფლის ქართლის ცხოვრების ხელნაწერს“.

დამატებითი კვლევა-ძიება, რომელიც ჩვენ ვაწარმოეთ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებზე, საქმის ვითარებას სულ სხვანაირად გვიჩვენებს. სახელდობრ, ირკვევა, რომ ეს აპოკრიფული თქმულება, რომელიც წინ უძღვის მარიამისეულ ნუსხაში „ქართლის ცხოვრებას“, წარმოადგენს „ქართლის ცხოვრების“ ორგანულ ნაწილს.

„ქართლის ცხოვრების“ ნუსხების შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ „ქართლის ცხოვრების“ წინ აპოკრიფული თხზულების წარმძღვარება მხოლოდ მარიამისეულ ნუსხას არ ახასიათებს: ამგვარადვე თქმულების წარმძღვარება ახასიათებდა, როგორც ჩანს, სხვა ნუსხებსაც. ასე, მაგალითად, ჩვენ მიერ 1942 წელს გამოვლინებული მ ა ჩ ა ბ ლ ი ს ე უ ლ ი ნ უ ს ხ ა ც პირდაპირ ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებს წინ უძღვის აპოკრიფული თქმულებები ქვეყნის გაჩენის შესახებ; ეს თქმულებები იწყება ხელნაწერის პირველი გვერდიდანვე და უჭირავს 36 გვერდი ხელნაწერისა[2].

ასეთი შეხვედრა ორი ნუსხისა, ე. ი. ის გარემოება, რომ მარიამისეულ ნუსხაშიც და მაჩაბლისეულშიც „ქ. ცხოვრება“ ლეონტი მროველის თხზულებით კი არ იწყება, არამედ მოთხრობით ქვეყნის გაჩენაზე, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. ჩვენის აზრით ამ ორ ნუსხაში „ქართლის ცხოვრების“ (ე. ი. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს) დაწყებამდე მოთხრობილი თქმულებები წარმოადგენენ „მ ს ო ფ ლ ი ო ი ს ტ ო რ ი ა ს“ (მაშინდელი გაგებით), სადაც ისტორიის სახელმძღვანელოს რედაქტორი გადმოსცემს მკითხველს ქვეყნის გაჩენის ამბავს, ამის მომდევნო პირველ მამათა ისტორიას, ისრაელთა თავგადასავალს და ა. შ.

შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ, რადგან, როგორც ეს ჩვენ მიერ ნათელყოფილია, მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხები მონათესავე ნუსხებია[3], არა აქვს მნიშვნელობა მაჩაბლისეულ ნუსხაში არსებულ „მსოფლიო ისტორიას“: შეიძლება ვიფიქროთ, რომ მაჩაბლისეულ ნუსხაში ეს აპოკრიფები („მსოფლიო ისტორია“) მექანიკურად მოხვდა. მაგრამ ამ შესაძლებლობის დაშვება უარსაყოფია ორი მოსაზრებით: 1) მაჩაბლისეული ნუსხა მარიამისეულიდან არ არის გადმოწერილი: ამ ორ ნუსხას შორის არსებული განსხვავებანი გვათქმევინებენ მხოლოდ იმას, რომ ორივე ნუსხა ერთისა და იმავე ხასიათის დედნიდან მომდინარეობს[4]; 2) ამ ნუსხებში მოთავსებული „მსოფლიო ისტო-

[1] იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რედაქტორობით, თბილისი 1906, გვ. 786. მხოლოდ კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე მ სცნო ეს ტექსტი ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრების“ შესავალ და პროპედევტიკულ ნაწილად, რომელსაც ქართველთა ისტორია მსოფლიო ისტორიასთან უნდა დაეკავშირებინა (ქ. ლიტ. ისტ. II^2, 320; თბ. უნ. მოამბე III, 45).

[2] იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა. გამოც. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბილისი, 1942. გვ. XXX—XXXII.

[3] იხ. ქართლის ცხოვრება, ანა დედოფლისეული ნუსხა, გამოც. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, 1942, გვ. XXVII.

[4] დაწვრილებით იხ. ქვემოთ, გვ. 053-054.

რია“ ერთსა და იმავე ტექსტს არ წარმოადგენს. ორივე ნუსხის „მსოფლიო ისტორიის“ თემა ერთი და იგივეა. მაგრამ შინაარსი სულ სხვადასხვაა; მოცულობაც მარიამისეულ ნუსხაში უფრო მეტია (94 გვერდი; მაჩაბლისეულში — 36 გვერდი).

ასეთი განსხვავებულობა ამ ორ ნუსხას შორის გვაფიქრებინებს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათა რედაქტორები პირველ სტატიად ათავსებდნენ „მსოფლიო ისტორიას“, ხოლო ეს ისტორია შეიძლებოდა დაწერილი ყოფილიყო სხვადასხვანაირად; შესაძლებელია არსებობდა „მსოფლიო ისტორიის“ სხვადასხვა ვარიანტი.

მაჩაბლისეული ნუსხის „მსოფლიო ისტორიაში“, მაგალითად. გადმოცემულია „ექუსთა დღეთა“-ს ამბავი, რომელიც თავდება ადამიანის გაჩენით; ადამიანის ბუნებისა და აგებულების განხილვა: ადამიანი შექმნილია ხატად ღმრთისა და მასში განსახიერებულია ერთიანობა „სამებიანსა შინა“ (გ ო ნ ე ბ ა, ს ი ტ ყ ვ ა, ს უ ლ ი); მსჯელობა იმაზე, თუ რატომ ჰქვია პირველ ადამიანს „ადამ“: «დასდვა სახელი მისი ადამ. ვინათგან ოთხი კუთხე არს ქვეყანისა: აღმოსავლეთი, დასავლეთი, სამჴრეთი და ჩრდილოეთი, და ამისთჳსცა სახელ-დვა სახელი ესე. ხოლო პირველი ანი აღმოსავლეთად ითქმის, და დ ო ნ ი დასავლეთად, და მეორე ა ნ ი ჩრდილოეთად, და მ ა ნ ი სამხრეთად». შემდეგ ამას მოსდევს მსჯელობა ადამისა და ევას შეცდენაზე ეშმაკის მიერ, ისტორია აბელისა და კაენისა... ენოსისა, გაიდადისა, მალალელისა და სხვა პირველ-მამათა ვიდრე ნოემდე, წყლით-რღვნამდე, და ეს „მსოფლიო ისტორია“ თავდება ასე:

«ხოლო მას ჟამსა იყვნეს შვილის-შვილთაგან ნოესთა და გამოსჩნდეს გმირნი და გონება-მაღალნი მესრეპ და ნებროთ, ხოლო იყო სხვაცა ძის ძე ნოესი ავანან, რომელი შვა ი ა ფ ე თ ძემან ნოესმან, და ავანან შვა თარიშის, და თარიშის შვა თარგამოზ. და ესე თარგამოზ იყო მამა სომეხთა, და ქართველთა, და რანთა, და მოვაკანელთა, ჰერთა და ლეკთა, მეგრელთა და კავკასიელთა. და იყო კაცი გმირი. და შემდგომად განყოფისა ენათასა ოდეს აღაშენა ნებროთ ბაბილოვანსა გოდოლი, და განყუნეს მუნ ენანი, და განიბნივნეს ყოველსა ქუეყანასა». ზემომოყვანილი ციტატის მეორე ნახევარი, დაწყებული სიტყვებით «და ესე თარგამოზ იყო მამა...», წარმოადგენს უკვე ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს თხზულების ტექსტის დასაწყისს.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორმა თავისი „მსოფლიო ისტორია“ მიიტანა კაცობრიობის ისტორიის იმ ადგილამდე, როდესაც ნოეს ძეს ი ა ფ ე ტ მ ა შვა ავანანი, ხოლო ამან თარიშისი, ამ უკანასკნელმა კი თ ა რ გ ა მ ო ს ი. აქედან უკვე „მსოფლიო ისტორია“ გადაებმება საქართველოს ისტორიას, რადგან ჩვენი ისტორიის პირველი თხზულება (ლ ე ო ნ ტ ი მ რ ო ვ ე ლ ი ს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“) სწორედ იმით იწყება, რომ ქართველური ტომების მამამთავარი თ ა რ გ ა მ ო ს ი არისო.

ამრიგად, მაჩაბლისეული ნუსხის „აპოკრიფული თქმულება“ (ჩვენი გაგებით „მსოფლიო ისტორია“) შემთხვევით მიკერებულად არ ჩანს „ქართლის ცხოვრებაში“: იგი მის ორგანულ ნაწილს წარმოადგენს, როგორც საქართველოს ისტორიის შესავალი, რომელმაც უნდა ასწავლოს ქართველ მკითხველს, რომ საქართველოს ისტორია არის ნაწილი მსოფლიო ისტორიისა, და რომ მსოფლიო ისტორიის იმ ეტაპზე, როდესაც თ ა რ გ ა მ ო ს ი გაჩნდება, დაიწყება საქართველოს ისტორია.

მარიამისეული ნუსხის აპოკრიფული თქმულება მსოფლიო ისტორიის უფრო ვრცელ ვარიანტს შეიცავს: იქ მოთხრობილია ქვეყნის გაჩენიდან ვიდრე ქრისტემდე. ამ მსოფლიო ისტორიას ცალკე თავები აქვს:

დაბადებისათჳს ცისა და ქუეყნისა და ადამისთჳს და ცუალება ნათესავთა.
შესუენება იელუსალემს, ვითარ აღაშენეს.
შესულა ისრაელთა ეგვიპტედ.

გამოსვლა ისრაელთა ეგვიპტით.
აქა იწყების მეფობა მეფეთა.
შობა მამამთავართა ადამისითგან ვიდრე ქრისტეს მოსულადმდე.

ამგვარად, მარიამისეულსა და მაჩაბლისეულს ნუსხებში „ქართლის ცხოვრების“ დაწყება არა ლეონტი მროველის თხზულებით, არამედ მსოფლიო ისტორიის შემცველი აპოკრიფული თქმულებით ცხადი უნდა იყოს ზემორე მოხსენებული მასალების მიხედვით.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ა ნ ა ს ე უ ლ ი ნ უ ს ხ ა ც არ იწყებოდა პირდაპირ ლეონტი მროველის თხზულებით. ანასეულ ხელნაწერს თავში აკლია 60 გვერდი, ხოლო დანაკლისი ტექსტი ლეონტი მროველის თხზულებისა მოცულობით 45 გვერდი იქნება. მაშასადამე, თავისუფალი რჩება 15 გვერდი. თუ ეს ჩვენი გამოანგარიშება სწორია, მაშინ სავარაუდებელია ის, რომ ანასეულ ნუსხასაც შესაძლებელია ჰქონდა „მსოფლიო ისტორიის“ შემცველი შესავალი, რომელსაც 15 გვერდი ეჭირა.

ამგვარად, „ქართლის ცხოვრების“ ნუსხათაგან ორს (მარიამისეულსა და მის მონათესავე მაჩაბლისეულს) მოეპოვება „მსოფლიო ისტორიის“ შემცველი შესავალი, ერთს (ანასეულს) სავარაუდებელია, რომ ჰქონოდა. დანარჩენ ნუსხებში ეს „მსოფლიო ისტორია“ არ არის წარმოდგენილი.

რადგან ჩვენ „მსოფლიო ისტორიის“ შემცველი აპოკრიფული თქმულება მხოლოდ ორს, თუ სამ ნუსხაში მოგვეპოვება, ცხადია, თავისთავად ისმება საკითხი: იყო „ქართლის ცხოვრებაში“ ეს „მსოფლიო ისტორია“ იმთავითვე, თუ შემთხვევით მოხვდა ეს ტექსტი მხოლოდ ორსა თუ სამ ხელნაწერში? ჩვენის აზრით, „მსოფლიო ისტორია“ იმთავითვე მოიპოვებოდა „ქართლის ცხოვრებაში“, როგორც მისი შესავალი ნაწილი. ამის დამადასტურებელია შემდეგი ორი გარემოება:

1) ის სამი ხელნაწერი, რომლებშიც მოიპოვება აპოკრიფული თქმულება, მომდინარეობს „ქართლის ცხოვრების“ უძველესი ნუსხებიდან: ა) მარიამისეული ნუსხა XVII საუკუნისა, ბ) მაჩაბლისეული ნუსხა 1736 წლისა, რომელიც მარიამისეულის მსგავსი ნუსხიდან მომდინარეობს და გ) ანასეული ნუსხა XV საუკუნისა. მაშასადამე, „მსოფლიო ისტორია“ ყოფილა ვახტანგის წინადროინდელ ნუსხებში (არის კიდევ ერთი ნუსხა ვახტანგის წინადროინდელი, ე. წ. ჭ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ი XVI—XVII საუკუნისა, მაგრამ მას დასაწყისში ბევრი აკლია და ძნელია იმის გარკვევა, იყო თუ არა აქაც „მსოფლიო ისტორია“). როგორც ცნობილია, ვახტანგ VI-ის დროის „ქართლის ცხოვრებამ“ განიცადა რედაქცია და, შესაძლებელია, სწავლულ კაცთა კომისიამ, რომელიც ამ რედაქციას აკეთებდა, შესავალი ნაწილი გამოსტოვა. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხები აღარ შეიცავენ „მსოფლიო ისტორიას“.

2) საკუთარი ისტორიისათვის წინ წამძღვარება „მსოფლიო ისტორიის“ მოკლე მიმოხილვისა (ვთქვათ აპოკრიფული თქმულებისა ქვეყნის გაჩენაზე), როგორც ირკვევა, საერთო წესი ყოფილა საშუალო საუკუნეებში, კერძოდ ბიზანტიურ ისტორიოგრაფიაში. ფრიად საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩვენ მოგვეპოვება რამდენიმე ნუსხა ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფისა, რომელშიც ყოფილა სწორედ ასეთივე „მსოფლიო ისტორია“ (ქვეყნის გაჩენიდან ნოეს შვილებამდე, ვიდრე თარგამოსამდე), რომელიც „ქართლის ცხოვრების“ მაჩაბლისეულ ნუსხაში გვაქვს და რომელიც ასე იწყება: «სათნო უჩნდა სიბრძნითა შემოქმედსა მას ღმერთსა და უფალსა ჩუენსა, რათა შექმნას სოფელი ესე მრავლითა სიბრძნითა მისითა და აურაცხელითა სახიერებითა მისითა არა არსებისაგან (ვარ.: არარასაგან) არსებად მიყუანებად ამისად, და ვითარცა იტყჳიან ღმრთის მეტყუელნი ეკლესიანი, ვითარმედ მხოლოდ სიტყუათა ოდენ თქუა და ყოველივე იქმნა...». ასეთი შესავალი ჩვენ პირველად ვნახეთ ერთი ბიზანტიური ქრონოგრაფის ხელნაწერში, რომელიც აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა გადმოგვცა 1919 წელს, როდესაც ჩვენ ვმუშაობდით „გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფზე“. ასეთივე „ქრონოგრაფის“ ათი ხელნაწერი აღნუსხულია ამჟამად „საქართველოს მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილო-

ბაში" (H—№№ 166, 294, 704, 722, 868, 1198, 1358, 1671, 2214, 2252). ქრონოგრაფიის პირველი ნაწილი გადმოთარგმნილია ბერძნული ენიდან ბაგრატ(იოს) სოლოღაშვილის მიერ, როგორც ეს ჩანს ანდერძიდან, ხოლო მეორე ნაწილი — არჩილ მეფის მიერ რუსული ენიდან.

ამგვარად, „მსოფლიო ისტორიის" წარმძღვარება თავისი ქვეყნის „ისტორიისათვის" მიღებული ყოფილა ერთ დროს ბიზანტიურსა და ქართულ ისტორიოგრაფიაში.

თავი მეორე

„ქართლის ცხოვრების" ნუსხების მოპოვების ისტორია

§ 5. „ქართლის ცხოვრების" ნუსხები. დღემდე ცნობილია, აღწერილი და გამოყენებულია „ქართლის ცხოვრების" შემდეგი ნუსხები:

1. ანასეული	XV საუკუნისა
2. ჭალაშვილისეული (ძველი)	XVI საუკუნისა
3. მარიამისეული	1633—1646 წლებისა
4. რუმიანცევისეული	1703 წლამდე
5. თეიმურაზისეული	XVIII საუკ. პირველი ნახევრისა
6. ჭალაშვილისეული (ახალი)	1731 წლისა
7. მაჩაბლისეული	1736 წლისა
8. საეკლესიო მუზეუმისა	1748 წლისა
9. ჯანაშვილისეული	XVIII ს. შუა წლებისა
10. ბარათაშვილისეული	1761 წლისა
11. ფალავანდიშვილისეული	1761 წლისა
12. დადიანისეული	XVIII ს. უკანასკნელი მეოთხედისა
13. სხვიტორული	XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა
14. ბროსესეული	1839 წლისა.

გარდა ამისა მოიპოვება ე. წ. ჩუბინაშვილისეული ნუსხა, რომელიც რუმიანცევისეული ნუსხიდან არის გადაწერილი, და აგრეთვე ფრაგმენტულად არის შენახული ზოგიერთი სხვა ნუსხაც.

§ 6. ნუსხების მოპოვების ისტორია. XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული ისტორიოგრაფია „ქართლის ცხოვრებას" იცნობდა აკად. მ. ბროსეს გამოცემით, რომელმაც 1849—57 წლებში პროფ. დ. ჩუბინაშვილთან ერთად გამოსცა „ქართლის ცხოვრება" ხუთ ტომად: ორი ტომი ქართული ტექსტისა და სამი ტომი ფრანგული თარგმანისა. როგორც მ. ბროსეს წინასიტყვაობიდან და შენიშვნებიდან ჩანს, მას ხელთ ჰქონია „ქართლის ცხოვრების" გამოცემის დროს ძირითადად სამი ნუსხა: თეიმურაზისეული, რუმიანცევისეული და ე. წ. ბროსესეული, რომელსაც ის **Mon manuscrit** („ჩემს ხელნაწერს") ეძახის და რომელიც ფალავანდიშვილისეული ნუსხის პირს წარმოადგენდა.

ბროსეს მიერ გამოყენებული ხელნაწერები შეიცავდნენ ძველი ციკლის „ქართლის ცხოვრებას" (დასაბამიდან XIV საუკუნემდე), ხოლო ახალი ციკლისათვის შეიცავდნენ ზემოთ მოხსენებულ ორ გაგრძელებას.

1884 წელს დიმიტრი ბაქრაძემ იპოვა „ქართლის ცხოვრების" ახალი ნუსხა, რომელიც სულ სხვა შედგენილობისა და სხვა ხასიათისა იყო, ვიდრე ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრება". თავი რომ დავანებოთ ცალკეულ ვარიანტებსა და წვრილმან განსხვავებებს, დ. ბაქრაძის მიერ აღმოჩენილი ნუსხა განსხვავდებოდა ბროსეს მიერ გამოყენებულ ნუსხათაგან შემდეგით:

1. ახალი ნუსხა, რომელიც მარიამ დედოფლის ბრძანებით ყოფილა დამზადებული და რომელსაც ამიტომ **მარიამისეული** ეწოდება, 1633—1646 წლებშია[1] გადაწერილი იმ დროს, როდესაც ბროსეს მიერ გამოყენებული ხელნაწერები XVIII საუკუნისაა და ვახტანგ მეფის მიერ შეკრებილი სწავლული კაცების მიერ გადამუშავებულ „ქართლის ცხოვრებას" უნდა წარმოადგენდნენ.

2. მარიამისეული ნუსხა[2] „ქართლის ცხოვრებისა" განსხვავებით XVIII საუკუნის ნუსხათაგან შეიცავს:

ა) სუმბატ დავითის-ძის „ქრონიკას", რაც არც ერთს მანამდე ცნობილ ნუსხაში არ მოიპოვებოდა. სუმბატის თხზულება შეიცავს ბაგრატიონთა მოკლე ისტორიას VI საუკუნიდან XI საუკუნემდე. ვახტანგის შემდეგდროინდელი ნუსხებისათვის სუმბატის თხზულება ცალკე ცნობილი არაა; მისი ცნობები შერწყმული არის სხვა ისტორიკოსთა თხზულებებში თავთავის ალაგას, ქრონოლოგიურად.

ბ) თამარ მეფის ისტორიას „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". ბროსეს გამოცემაში, ე. ი. მის მიერ გამოყენებულ ხელნაწერებში თამარ მეფის ისტორია წარმოდგენილია სხვა სახით. ე. ი. მოიპოვება „ისტორიანი და აზმანი" და კიდევ ბევრი სხვა რამ ცნობები, რაც მკვლევართა აზრით ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ ჩამატებული უნდა ყოფილიყო. აი ამ ორი ძირითადი ნიშნით განსხვავდება მარიამისეული ნუსხა 1884 წლამდე ცნობილ „ქართლის ცხოვრების" ნუსხათაგან.

მარიამისეული ნუსხა შეიცავდა ისტორიას მხოლოდ XIV საუკუნემდე. მაშასადამე, საფიქრებელი იყო, რომ 1633—1646 წლებში, როდესაც მარიამისეული ნუსხა არის გადაწერილი, „ქართლის ცხოვრებაში" XIV საუკუნის შემდეგდროინდელი ისტორია არ მოიპოვებოდა.

§ 7. ანასეული ნუსხა. 1913 წელს ივ. ჯავახიშვილმა სოფ. ლამისყანაში ჯამბაკურიან-ორბელიანთა საგვარეულო ბიბლიოთეკაში იპოვა „ქართლის ცხოვრების" ახალი ნუსხა, რომელიც XV საუკუნის ბოლო წლებში ყოფილა გადაწერილი ანა დედოფლის ბრძანებით, რის გამოც ამ ნუსხას ანასეული ეწოდა. ეს ნუსხა მანამდე ცნობილ ნუსხათაგან ძირითადად განსხვავდება შემდეგით:

ა) მასში მოიპოვება „ქართლის ცხოვრების" ძირითადი ძეგლებიდან მხოლოდ პირველი ხუთი ძეგლი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, არჩილის წამება, მატიანე ქართლისა და დავით აღმაშენებლის ისტორია).

ბ) დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ მოიპოვება მოკლე „ლაშა გიორგისდროინდელი მატიანე", რომელიც შეიცავს დემეტრე მეფის, გიორგი მესამის, თამარ მეფის და ლაშა გიორგის მეფობათა მოკლე ისტორიას. ამგვარად, ამ ნუსხის მოპოვებამ შეგვძინა ის ფაქტი, რომ XV საუკუნის გასულს „ქართლის ცხოვრების" გადამწერს ხელთ ჰქონია ისეთი ნუსხა, რომელიც თავდებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებით და რომ მასში არც თამარ მეფის ისტორია იყო და არც მონღოლთა დროინდელი ისტორია. ამათ ნაცვლად ნუსხის რედაქტორს დაურთავს მოკლე მატიანე, ე. წ. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე.

§ 8. ჭალაშვილისეული ნუსხა. 1923 წელს ივ. ჯავახიშვილმავე საქართველოს მუზეუმის ბიბლიოთეკაში იპოვა „ქართლის ცხოვრების" ახალი ნუსხა, ე. წ. ჭალაშვილისეული. ეს ნუსხა ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი, XVI საუკუნისა, და ახალი — XVIII საუ-

---

[1] ასე ათარიღებს მარიამისეულ ნუსხას დოც. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა (ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954, გვ. 115), რაც უფრო მართებული ჩანს, ვიდრე ძველი თარიღი, 1638—46 წლები.

[2] ამ თავში მხოლოდ ზოგადი ცნობებია ნუსხებზე; დამატებითი ცნობები იხ. VII თავში: „ქართლის ცხოვრების ხელნაწერები".

კუნისა. ვინმე ერაჯ ჭალაშვილს XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ხელში ჩავარდნია ერთი ძველი ნუსხა, რომელსაც თავიც ჰკლებია და ბოლოც. ბოლოში ხელნაწერი წყდებოდა თამარ მეფის ეპოქის იმ ამბებზე, რომლებიც რუკნადინს უკავშირდება. ერაჯ ჭალაშვილს მოუსურვებია ამ ხელნაწერის შევსება, უპოვია რომელიღაც ახალი ხელნაწერი და თავისი ძველი ხელნაწერი შეუვსია ამ ხელნაწერიდან გადმონაწერით. ამგვარად, ჭალაშვილისეულ ნუსხაში ორი ფენა არის: ძველი, რომელიც პალეოგრაფიული და სხვა ნიშნებით XVI საუკუნისა იქნება, და ახალი, რომელიც 1731 წელს გადაუწერიათ[1]. ამჟამად ჩვენთვის ძველი ფენაა საინტერესო. ამ ნუსხის მოპოვებამ მის ძველ ნაწილში შეგვძინა ჩვენ შემდეგი ახალი ცნობა:

მასში მოიპოვება სხვა ნუსხებში ცნობილი ხუთი პირველი ძეგლი (ლეონტი მროველი, ჯუანშერი, არჩილის წამება, მატიანე ქართლისა და დავით აღმაშენებლის ისტორია). დავით აღმაშენებლის ისტორიას მოსდევს თამარ მეფის ისტორია, ხოლო არა იმ სახით, როგორც მარიამისეულ ნუსხაშია („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“), არამედ თამარ მეფის სულ სხვა, ახალი შედგენილობის ისტორია, რომელიც ივ. ჯავახიშვილის აზრით დაწერილია ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ. ამგვარად, ჭალაშვილისეულმა ნუსხამ შეგვძინა აქამდე უცნობი ძეგლი, თამარ მეფის მეორე ისტორია, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“.

ამავე დროს ჭალაშვილისეულმა ნუსხამ გამოგვარკვევინა ისიც, თუ რა შედგენილობისაა თამარ მეფის ისტორია იმ ნუსხებში, რომლებიც ბროსემ დაუდო საფუძვლად თავის გამოცემას. წინათ რომ ეგონათ ბროსეს განკარგულებაში მყოფ ნუსხებში თამარ მეფის ისტორია წარმოდგენილია ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შევსებული „ისტორიანი და აზმანი“-ს სახითო, ჭალაშვილისეული ნუსხის პოვნის შემდეგ ნათელი გახდა, რომ XVIII საუკუნის ნუსხებში თამარის ისტორია წარმოდგენილია თამარის პირველისა და მეორე ისტორიკოსების თხზულებათა შერწყმის სახით.

§ 9. ახალი ციკლის „ქართლის ცხოვრების ნუსხები. ზემოთ მოხსენებული სამი ნუსხა (ანასეული, მარიამისეული, ჭალაშვილისეული-ძველი) არკვევს ძველი ციკლის „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობის ზოგიერთ საკითხებს XIV საუკუნემდე, ხოლო სხვა ნუსხები, რომლებიც აღმოჩენილ იქმნა ამ ბოლო წლებში, შუქს ჰფენენ „ქართლის ცხოვრების“, XIV—XVII საუკუნეების შემცველი, ძეგლების საკითხებს.

XX საუკუნის დამდეგამდე ქართული ისტორიოგრაფია იცნობდა XIV—XVII საუკუნეთა ისტორიისათვის „ქართლის ცხოვრების“ იმ ორ ძეგლს, რომელთაგან პირველი იწყებოდა სიტყვებით «დაჯდა მეფე ადარნასე», ხოლო მეორე — სიტყვებით «დაჯდა მეფე ძე გიორგისა ბაგრატ», ე. ი. იცნობდა იმ ორ გაგრძელებას „ქართლის ცხოვრებისას“, რომლებიც მოგვითხრობდნენ ამბებს გიორგი ბრწყინვალის შემდეგ ვიდრე 1605 წლამდე.

XVIII საუკუნის ნუსხებში, რომლებიც ხელთ ჰქონდა მ. ბროსეს, მოიპოვება წინასიტყვაობა, გადმოცემული ვახტანგ მეფის სახელით:

«პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან „ქართლის ცხოვრება“ განრყუნილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყუნილ იყო, განმართეს და სხვაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს».

---

[1] ე რ ა ჯ ჭ ა ლ ა შ ვ ი ლ ი (Эрадж Чалов) 1740 წლის 30 აპრილს იხსენიება როგორც „რიგითი აზნაური“ და ჰუსარი ქართულ ჰუსართა პოლკისა, „პოლტავის ოლქში“, დ ა ვ ი თ გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ თ ა ნ, ელისე ქობულაშვილთან, ოთარ ერისთავთან და ფავლენიშვილებთან ერთად (იხ. გ. ლ ე ო ნ ი ძ ე, დავით გურამიშვილის ცხოვრებიდან: ლიტერატურული გაზეთი, 1954 წ. 20 აგვისტო, № 34).

მართალია, ამ წინასიტყვაობის საკითხი საკამათოდ არის ქცეული სამეცნიერო ლიტერატურაში და ჩვენ ამაზე ქვემოთ ცალკე თავში გვექნება ლაპარაკი, მაგრამ ერთ რამეში კი ყველანი თანახმანი არიან, სახელდობრ, რომ ვახტანგის მეცნიერ კაცებს XIV—XVII საუკუნეების ისტორია უნდა შეედგინათ, ვინაიდან „ქართლის ცხოვრების“ ძველს ნუსხებში ისტორია თავდებოდა XIV საუკუნით, გიორგი ბრწყინვალის მეფობის დასაწყისით. რამდენადაც ეს ნათელი იყო ყველასათვის, ამდენად ფიქრობდნენ, რომ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში არსებული ე. წ. ორი გაგრძელება იყო სწორედ ვახტანგის სწავლულ კაცთა ნამუშევარი[1]. მაგრამ ყურადღებას იპყრობდა შემდეგი გარემოება: ბატონიშვილი ვახუშტი თავისი „საქართველოს ცხოვრების“ წინასიტყვაობაში აკრიტიკებს მისი მამის, ვახტანგ მეექვსის, სახელით გამოცემულ „ახალ ქართლის ცხოვრებას“ და ამბობს: მართალია, ვახტანგმა ბრძანა ამ ისტორიის შედგენა, მაგრამ ის აღარ უნახავსო. ამავე დროს ის უჩვენებს აუარებელ შეცდომას როგორც ქრონოლოგიაში, ისე მეფეთა თანამიმდევრობაში და მათ ნათესაობაში, შეცდომებს, რომლებიც დაუშვიათ ვახტანგის სწავლულ კაცებს, და ამიტომ ვახუშტის გადაუწყვეტია ხელახლა დაეწერა ისტორია XIV—XVII საუკუნეებისა და შეესწორებინა სწავლულ კაცთა მიერ დაშვებული შეცდომები, ამის შესახებ ის ასე წერს:

«ხოლო აღუწერიათ ცხოვრებაცა სახელითა ლევანის ძისა მეფის ვახტანგისითა, რომელი არა საგონებელ არს მის მიერ: განა თუმცა ბრძანებითა მისითა არს, არამედ მას თვით არღარა განუხილავს ვითარება მისი, ვინადგან სწერს ბაგრატიონთ ნათესაობა-შთამომავლობასა შინა სხვას ქორონიკონებსა, რომელნი ჩვენნი აქ წერილის ქორონიკონებისაგან არიან. ხოლო ცხოვრებასა შინა სწერს ბრწყინვალეს გიორგის თავდადებულის ძედ და ძედ გიორგისად ბაგრატს. და ამ ბაგრატის ჟამს იტყვის თემურის მოსლვასა, ამას ქორონიკონს უწერს ქს. ჩტჟგ. ქრ. ჵა[2] (ქრისტესით 1393, ქრონ. 91). და ამ ბაგრატის ძედ გიორგის, და სიკუდილსა ამ გიორგისასა სწერს ქს. ჩტნე, ქრ. მგ (ქრისტ. 1355, ქრონ. 43) და ნათესავობასა შინა ამასვე ქორონიკონს. ამ გიორგის ძის დავითის მეფობას იტყვის, და ამ მეფეთ ქორონიკონსა და ცხოვრებასა სხუას არღარაის სწერს, ვინადგან ვერა-რა უპოვნიათ, რამეთუ მუნვე სწერს: „ვერ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგის ცხოვრება“. ხოლო გიორგის ძედ დავითს და სიკუდილსა ამ დავითისასა ქს. ჩტჲბ (ქრისტ. 1362) და ამ დავითის ძედ ალექსანდრეს. ხოლო ნათესავობასა შინა ამ ალექსანდრეს მეფობას იტყვის ქს. ჩტობ, ქრ. ჲ (ქრისტ. 1372, ქრონ. 60) და ცხოვრებასა შინა სიკუდილსა ამ ალექსანდრესასა ქს. ჩტჟგ (ქრისტ. 1393), და ამის ძედ გიორგის და ამ გიორგის მეფობას ნათესავობასა შინა ქს. ჩტჟე, ქრ. ჟგ[3] (ქრისტ. 1395, ქრონ. 93). არამედ იხილე, **ვითარ წინა-აღმდგომ არიან ურთიერთთა**: რამეთუ იტყვის ნათესავობასა შინა ბაგრატის ძის გიორგისამდე: „გარდახდენ რუსუდანიდამ წელნი რკდ (124). და რუსუდანის მეფობას იტყვის მუნვე ქს. ჩსპგ (1283); ამას რომ რკდ (124) დავადვათ, იქნების ჩუზ (1407) წელი, რომელი გარდასცილდების ალექსანდრეს სიკუდილს ჩტჟგ (1393) და გიორგის მეფობას ჩტჟე (1395), ქრ. პგ (83). ამით ამათნი ზედითნი მეფენი ტყუილნი არიან, და უკეთუ რკდ (124) წელი რუსუდანის სიკუდილს დავადვათ, იქმნების ქს. ჩტჲა, ქრ. მთ (ქრისტ. 1361, ქრონ. 49)...»[4].

---

[1] ამას არ ფიქრობდა მხოლოდ დ. ბაქრაძე, რომლის აზრით ვახტანგის ბრძანებით შედგენილი ისტორია ჩვენ არა გვაქვს. დ. ბაქრაძე წერს: „სად არის ანუ ის ისტორია, რომელიც, როგორც ვახუშტი გვარწმუნებს, ვახტანგ VI-ის ბრძანებით იყო შედგენილი გიორგი ბრწყინვალის დროდამ თვით ვახტანგ მეფემდე?“ (დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართველოსი, გვ. 55—56).

[2] უნდა იყოს: პა (81). [3] უნდა იყოს პგ (83).

[4] ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე გამოცემული ე. ჩუბინოვისაგან სანკტპეტერბურღი 1854, გვ. 2—3 (ვახუშტის „უწყებულება მკითხველთათჳს“).

ԳՐԱԴԱՐԱՆ БИБЛИОТЕКА АН Арм. ССР

შემდეგ ბატონიშვილი ვახუშტი დაწვრილებით უჩვენებს, თუ რა წინააღმდეგობები არსებობს ვახტანგის სახელით აღწერილ „ცხოვრებაში“[1] და დაასკვნის:

«ხოლო უკეთუ უმჯობესი და უჭეშმარიტესი ჰპოვოს ვინმე გონიერმან და განიხილოს ესეცა და იგიცა, და იგი უკეთილესად აღუჩნდეს, არა არს ჩვენი ესე ქმნული დამაყენებელი უმჯობესისა თქვენისა. გარნა ისმინე და გულისხმა ჰყავ აღმოჩენა, უწყებულებანი და შემსგავსებულად მისა ჯერ იყავნ ქმნულნი თქვენნი. ხოლო ჩვენი შრომა ესე ამისთჳს იყო, ვინადგან მეფის ვახტანგის სახელით აღეწერათ და ვიხილეთ ესეოდენი წინაალმდეგნი და უსწორებლობანი; ესენი განვასწორენით და განვამართლეთ მოწმობითა ზეით თქმულითა, რათა არავინ ჰსთქუას მხილველმან ამისმან შეურაცხება რაჲმე, რამეთუ მეფის განზრახვას ვგონებ ესრეთ, ვითარცა აღვსწერეთ, ვინადგან ნათესაობისა ქორონიკონსა სწორესა სწერს, გარნა შემწყობი ამისი შეცთომილ არს»[2].

ვახუშტის სიტყვები ნათელია: ვახტანგის სახელით აღწერილ „ცხოვრებაში“ მრავალი „წინააღმდეგობა და უსწორებლობა“ ანუ უმართებულობა არის, მე გავასწორე და გავმართე სიგელ-გუჯრებისა და „ქრონიკონების“ მოწმობითო.

ბატონიშვილი ვახუშტის სიტყვების შემდეგ გაუგებარი ხდებოდა ორი დამატების საკითხი, სახელდობრ: ვახუშტის მიერ აღნიშნული შეცდომები ამ გაგრძელებებში არ მოიპოვება, და თუ ეს ორი გაგრძელება სწორედ ვახტანგის ბრძანებით შედგენილ ისტორიას წარმოადგენს, რა შეცდომებზე-ღა ლაპარაკობს ვახუშტი. ეს ბუნდოვანი საკითხი ნათელი გახდა მხოლოდ 1906 წელს და ამის შემდეგ მოპოვებული ახალი ცნობებით „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობაზე.

§ 10. ჯანაშვილისეული ნუსხა. 1906 წლის 24 მაისს მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომაზე ე. თაყაიშვილმა წაიკითხა მოხსენება „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის შესახებ. მოხსენების შემდეგ გამართულ კამათში მ. ჯანაშვილმა აცნობა მომხსენებელს, რომ მან ბუკინისტ გივი მაისურაძისაგან შეიძინა „ქართლის ცხოვრების ახალი ნუსხა“, რომელიც სხვა ნუსხებისაგან საგრძნობლად განსხვავდებაო. ეს ნუსხა აღწერეს როგორც ე. თაყაიშვილმა, ისე მოსე ჯანაშვილმა. ამ ნუსხის შემწეობით გამოირკვა ის, რომ ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი გაგრძელება „ქართლის ცხოვრებისა“, XIV–XVI! საუკუნეების ისტორია, იმ ცნობილ ორ გაგრძელებაში კი არ არის წარმოდგენილი, არამედ სწორედ აქ, ჯანაშვილის მიერ ნაპოვნ ნუსხაში. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება ჯანაშვილისეულ ნუსხაში განსხვავებულია იმ ორი გაგრძელებისაგან და სწორედ აქ მოიპოვება ის შეცდომები, რომლებიც ბატონიშვილმა ვახუშტიმ აღნიშნა თავისი „საქართველოს ცხოვრების“ წინასიტყვაობაში.

ჯანაშვილისეულ ნუსხაში არის მოთხრობილი, რომ „ქართლის ცხოვრების“ ძველ ნუსხებში გიორგი ბრწყინვალის შემდეგ აღარაფერი ეწერა და თვით გიორგი ბრწყინვალეზე იმაზე მეტი, რაც ძველ ნუსხებში მოიპოვებოდა, მისი მეფობის დასაწყის ამბებზე, სხვა არაფერი ეწერა და რომ მათ (იგულისხმე სწავლულმა კაცებმა) სხვადასხვა წყაროების მიხედვით შეადგინეს XIV—XVII საუკუნეების ისტორია. ყველაფერ ამის შესახებ სწავლული კაცები სწერენ:

«ამის გიორგი მეფის ცხოვრება, რაც არ სწერია, ამისგან კიდე ვერა ვპოვეთ. ეს ოდენ გვეუწყა: ამის გიორგი მეფის ჟამში ჩინგიზ-ყეენთა მტერობა აღუჩნდათ და წახდენ, და იმერეთს ნარინ დავითის შვილნიც ერთმანერთზედ აღდგენ. და, რა დრო დაიცა

[1] ქართლის ცხოვრება, ნაწილი მეორე გამოცემული უ. ჩუბინოვისაგან სანქტპეტერბურღი 1854, გვ. 3—10 (ვახუშტის „უწყებულობა მკითხველთათჳს“).

[2] იქვე, გვ. 10.

მეფე გიორგიმ, ჰერ-კახთა და სომხითის ერისთავნი, რომელიც ჩინგიზთ მიუდგენ, კახეთს ცივზედ მოაწვივა და ამოსწყჳტა, იმერნი და ამერნი გაიერთა და დაიპყრა ნებისაებრ ყოველივე საქართველო»[1].

თუ რა წყაროების მიხედვით შეადგინეს სწავლულმა კაცებმა XIV—XVII საუკუნეთა „ქართლის ცხოვრება“, ამის შესახებ ისინი სწერენ:

«ჟამამდე ღვთივ გუირგუინოსნისა მეფისა გიორგისამდე, ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე, ეწერათ ცხოვრებანი ქართველთანი, ხოლო ძისა მეფისა გიორგისა, მეფისა ბაგრატისა არღარა წერებულ იყო, ვიდრე მეფისა გიორგისა ძისა ბაგრატისამდე. ხოლო ამის ბაგრატისა და ძისა მისისა კოსტანტინესი დაეწერათ და ვპოეთ ძველთა წიგნთა შინა, და ქუემორე რიგსა მისა ზედა დაგვიწერია. და ესე ამბავნი მის ზემოთნი გუჯართა და სპარსთა და სომეხთა ცხოვრებიჸაგან გამოვიღეთ და აღვწერეთ. ხოლო მეფისა ალექსანდრესა და ძისა მისისა მეფისა კოსტანტინესი და შემდგომი ძველთა კაცთა და სპარსთა და ცხოვრებისა და ქორანიკონთა და გუჯართაგან აღგვიწერია, ვიდრე მეფისა როსტომისადმდე. ხოლო მეფისა როსტომის აქათი თუით თვალითა მნახველთა და მისთა ომებთა შინა მყოფთა კაცთაგან აღგვიწერია. და რაოდენი საეჭველი იყო, უქმარ ვყავით, ხოლო მართალი აღგვიწერია ცხოვრებისა ბაგრატ მეფისითგან»[2].

ამ მინაწერებიდან ცხადი გახდა, რომ გიორგი ბრწყინვალის შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილი აღარაფერი ყოფილა და რომ სწავლულ კაცებს სხვადასხვა წერილობითი და ზეპირი, ქართული და უცხოური წყაროების მიხედვით დაუწერიათ XIV—XVII საუკუნეების ისტორია. ჯანაშვილისეულ ნუსხაში XIV—XVII საუკუნეების ეს ისტორია მხოლოდ ნაწილობრივაა შენახული ხელნაწერის ბოლო რვეულების ნაკლებულობის გამო, მაგრამ ამ შენახული ნაწილითაც ცხადი იყო, რომ ჩვენ საქმე გვქონდა სწორედ ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შედგენილ ისტორიასთან, რომელიც თავის დროზე მასში არსებული შეცდომების გამო საფუძვლიანად გააკრიტიკა ბატონიშვილმა ვახუშტიმ.

ამ ისტორიაში არსებული შეცდომები სხვა მკითხველებსაც შეუნიშნავთ. ასე მაგალითად, ერთ-ერთი მკითხველი ხელნაწერის არშიაზე სწერს (გიორგი ბრწყინვალის ისტორიის მომდევნო ნაწილში): «ამას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ არ უწერიათ. ღმერთმან მიუტეოს *ეგნატაშვილს ბერს* იმდენი შურით და მტრობით სიცრუე. მაგრა წერილის დაგდება მტერობით მართალთა და უმჯობესთაგანი საქმე არ არის». ამგვარად, მკითხველი შეცდომებს აბრალებს ვინმე ბერ ეგნატაშვილს, რომელიც, როგორც ჩანს, ამ ისტორიის შედგენასთან ახლოს დგას.

§ 11. ჰალაშვილისეული ნუსხა-ახალი. ჯანაშვილისეულ ნუსხაში XIV—XVII ს. ს. ისტორიის შემცველი „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ ნაწილობრივ არის დაცული ხელნაწერის დაზიანების გამო, და ამიტომ 1906 წელს ჩვენ ვახტანგის სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი XIV—XVII საუკუნეების ისტორია მხოლოდ ნაწილობრივ გვეცანით. 1923 წელს ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილმა ჰალაშვილისეულმა ნუსხამ XIV—XVII საუკუნეთა ისტორიის მეორე, ჯანაშვილისეულ ნუსხაში ნაკლულევანი, ნაწილიც შეგვძინა.

ჰალაშვილისეული ნუსხა ხომ ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი, XVI საუკუნისა, და ახალი, 1731 წელს გადაწერილი. ახალი ნაწილი შეიცავს ისტორიას რუკნადდინის დროიდან ვიდრე XVII საუკუნემდე. ერაჯ, ჰალაშვილს მის ხელთ მყოფი

[1] იხ. ახალი ქართლის ცხოვრება, ივ. ჯავახიშვილის წინასიტყვაობითა და რედაქციით. თბილისი 1940, გვ. 5.

[2] იქვე, გვ. 5—6.

ძველი (XVI საუკუნის), თავსა და ბოლოში ნაკლულევანი ნუსხა შეუვსია 1731 წელს ისეთი ნუსხიდან, რომელშიც ყოფილა არა მარტო „ძველი“, არამედ „ახალი“, XIV—XVII საუკუნეთა ისტორიაც, და სწორედ ამ ისტორიის ისეთი ვარიანტი, როგორიც ჯანაშვილისეულს ნუსხაში აღმოჩნდა, ესე იგი ბერი ეგნატაშვილის თაოსნობით შეკრებილ სწავლულ კაცთა მიერ შედგენილი ახალი საუკუნეების „ქართლის ცხოვრება“. ამავე დროს ქალაშვილისეულს ნუსხაში ეს ისტორია უფრო სრული აღმოჩნდა, ვიდრე ჯანაშვილისეულს ნუსხაშია: უკანასკნელს აკლია თითქმის ერთი მესამედი; ამ ნაკლს ავსებს ქალაშვილისეული ნუსხა. თუმცა ამასაც ბოლოში რამდენიმე ფურცელი აკლია.

§ 12. მაჩაბლისეული ნუსხა. 1942 წელს ჩვენ გავეცანით „ქართლის ცხოვრების“ ახალ ნუსხას, რომელიც 1736 წელს გადაუწერია მოსკოვში გიორგი მაჩაბელს. ამ ნუსხაშიც XIV—XVII საუკუნეთა ისტორია წარმოდგენილია ბერი ეგნატაშვილის თაოსნობით შედგენილი „ქართლის ცხოვრებით“ და არა „ორი გაგრძელებით“.

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ცნობილ უკანასკნელ სიტყვებს «ხოლო მე ენა ვერ მიძრავს ხაშინელისა და საკჯრველისა თქმად» მოსდევს გადამწერის, გიორგი მაჩაბლის, ანდერძი, რის შემდეგაც იწყება სწავლულ კაცთა ორი წინასიტყვაობა, სწორედ ისევე, როგორც ჯანაშვილისეულსა და ქალაშვილისეულს ნუსხებშია: 1) «ამის გიორგი მეფის ცხოვრება რაც არა სწერია, ამისგან კიდევ ვერა ვპოვეთ...»; 2) «ჟამამდე ღ̃თივ გვირგვინოსნისა მეფისა გიორგისამდე ძისა თავდადებულისა მეფისა დიმიტრისამდე ეწერა ცხოვრებანი ქართველთანი...».

ამგვარად, ჯანაშვილისეული, ქალაშვილისეული და მაჩაბლისეული ნუსხების აღმოჩენამ ნათელი გახადა შემდეგი დებულებები:

1. ვახტანგის სახელით ცნობილ წინასიტყვაობაში მოხსენებული შეკრება „მეცნიერ კაცთა“ და ამათ მიერ გუჯრებისა და სომეხთა და სპარსთა ისტორიის წყაროების მიხედვით „აღწერა“ ამბებისა გულისხმობს ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით სწავლულ კაცთა მუშაობას და მათ მიერ შედგენას XIV—XVII საუკუნეებისათვის „ქართლის ცხოვრებისა“, რომელიც სავსე ყოფილა „წინააღმდეგობებითა და უსწორებლობით“.

2. ეს „ქართლის ცხოვრება“ გააკრიტიკა ბატონიშვილმა ვახუშტიმ თავის 1745 წელს დამთავრებულ „საქართველოს ცხოვრების“ წინასიტყვაობაში, შეასწორა და „განმართა“.

3. ვახუშტის მიერ მოცემული კრიტიკის წყალობით და აგრეთვე იმის წყალობითაც, რომ სხვებსაც შეუმჩნევიათ ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრების“ შეუსაბამობანი და შეცდომები, XVIII საუკუნის მეცნიერ-მკვლევართ ხელი მიუყვიათ XIV—XVII საუკუნეთა ისტორიის შესწორებული რედაქციის დამუშავებისათვის და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში ბერი ეგნატაშვილის მონაწილეობით შედგენილი „ისტორია“ შეუცვლიათ იმავე, XIV—XVII საუკუნეთა ისტორიის შემცველი, მაგრამ გადმომუშავებული ისტორიით. ამის ნაყოფია „ორი გაგრძელება“.

4. რამდენადაც საქმის ვითარება ასეთია, ამდენად „ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებში, რომლებიც ბატონიშვილი ვახუშტის წინადროინდელია, ჩვენ უნდა გვქონდეს მხოლოდ გადაუმუშავებელი ვარიანტი XIV—XVII საუკუნეთა ისტორიისა, ე. ი. ბერი ეგნატაშვილის „ქართლის ცხოვრება“. მართლაც, იმ სამი ხელნაწერიდან, რომლებიც ბერი ეგნატაშვილის ნაშრომს შეიცავენ, ქალაშვილისეული 1731 წელსაა გადაწერილი, მაჩაბლისეული — 1736 წელს, ხოლო რაც შეეხება ჯანაშვილისეულს, ისიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარშია გადაწერილი.

5. XIV—XVII საუკუნეთა ისტორიის შემცველი „ორი გაგრძელება“, რომლებიც, როგორც გამოირკვა, ბატონიშვილი ვახუშტის მიერ ჩატარებულ კრიტიკას ითვალისწინებენ, მოსალოდნელია მხოლოდ 1745 წლის შემდეგდროინდელ ნუსხებში, ე. ი. მის შემდეგ რაც ვახუშტის „საქართველოს ცხოვრება“ დაიწერა. მართლაც, იმ სამი ნუსხიდან, რომლებიც „ორ გაგრძელებას“ შეიცავენ ბარათაშვილისეული ნუსხა 1761 წელსაა გადაწერილი, ფალავანდიშვილისეულიც იმავე 1761 წლით თარიღდება, ხოლო დადიანისეული XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედშია გადაწერილი.

თავი მესამე

„ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია

§ 13. ძველი საუკუნეების რედაქტორთა შენიშვნები. თუ კი „ქართლის ცხოვრებას“ „წმინდა“ და „პატიოსან“ წიგნს ეძახდნენ, ცხადია, დაინტერესებული იქნებოდნენ შეესწავლათ მისი შედგენილობა, მისი ავტორები, მისი ტექსტის ცვალებადობა. სისტემატური შესწავლა ამ საკითხებისა იწყება XVIII საუკუნიდან, როდესაც „სწავლულ კაცებს“ დაევალათ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერების შეკრება, ტექსტის დამახინჯებული ადგილების «განმართვა», ხოლო დანაკლისის შევსება გუჯრებიდან და სხვა „ცხოვრებაებიდან“ მოპოვებული მასალით. მაგრამ, ჩანს, ამაზე ბევრად უფრო ადრეც აქცევდნენ ყურადღებას ამ საკითხებს „ქართლის ცხოვრებაში“.

ასე, მაგალითად, უძველეს ხანშივე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „მატიანე ქართლისა“ ჩაურთეს „ქართლის ცხოვრების“ კრებულს, იქ უკვე მოიპოვებოდა ორი სარედაქციო შენიშნვა:

1. «ესე არჩილის წამება, და მეფეთა ცხოვრება, ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან აღწერა» (გვ. 244, 20-21).

2. «წიგნი ესე ქართველთა ცხოვრებისა აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად ვიდრე ვახტანგისამდე. ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან, ძმისწულის ქმარმან წმიდისა არჩილისმან...» (გვ. 248, 12-14; ანასეული ქ. ცხ. 159, 29).

ეს შენიშვნები სხვადასხვა რედაქტორს უნდა ეკუთვნოდეს: შინაარსით ისინი ერთიმეორის საწინააღმდეგო ცნობას გვაძლევენ. პირველი შენიშვნა გადმოგვცემს, რომ ლეონტი მროველს ეკუთვნის 1) მეფეთა ცხოვრება, 2) ნინოს მიერ ქართლის მოქცევა და 3) არჩილის წამება. მეორე შენიშვნით კი „ქართველთა ცხოვრების“ (ესე იგი „ქართლის ცხოვრების“) წიგნი ვახტანგ გორგასალის ისტორიამდე იწერებოდა „ჟამითი-ჟამად“, ე. ი. დრო და დრო, ანუ თანდათან. ვახტანგ გორგასალის ისტორიამდე „ქართლის ცხოვრებაში“ მოთავსებულია სწორედ „მეფეთა ცხოვრება“, და „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. თუ კი ეს თხზულებები ერთ კაცს, ლეონტი მროველს, ეკუთვნის, როგორღა შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველთა ცხოვრება „აღიწერებოდა ჟამითი-ჟამად ვიდრე ვახტანგისამდეო“: ერთიდაიგივე კაცი ამ ორს, ერთიმეორის საწინააღმდეგო შენიშვნას ვერ დასწერდა.

მეორე შენიშვნა მკვლევართა შორის საკამათოდ არის გამხდარი. სახელდობრ, პროფ. კ. კეკელიძეს საცილობლად აქვს მიჩნეული, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ვიდრე ვახტანგისამდე“: ვახტანგის ისტორიის ჩართვით, თუ მის გამოკლებით. თუ „ვიდრე ვახტანგისამდე“ გულისხმობს ვახტანგის ისტორიასაც, მაშინ ლეონტი მროველის „მეფეთა

ცხოვრებაში“ უნდა ვივარაუდოთ ვახტანგ გორგასალის ისტორიაც. ამ საკითხის გარკვევისათვის კ. კეკელიძეს გარდამწყვეტად მიაჩნდა ლიტერატურული მსგავსება ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრებასა“ და ვახტანგ გორგასალის ისტორიას შორის.

„ვახტანგის ცხორებაც იმავე ხლაპრული, სადევგმირო სულითაა გამსჭვალული — ამბობდა კ. კეკელიძე — როგორითაც ლეონტის უცილობელი შრომა; ორივე ამ ნაწილში მოთხრობას ერთიდაიგივე ხასიათი აქვს, ენაც მათი თავიდან ბოლომდე ერთგვარია; აქ ჩვენ გვხვდება ერთიდაიგივე აზრები, ერთიდაიგივე სტერეოტიპული წინადადებანი და ფრაზები, ერთიდაიგივე სურათები და ადგილები. ამასვე გვიკარნახებს ჩვენ ერთობა ლიტერატურული წყაროებისა ორივე ნაწილში და მათი ერთიდაიგივე მეთოდით გამოყენება“[1].

გარდა ამისა, ვახტანგ გორგასალის ისტორიის მიკუთვნებას ლეონტი მროველისათვის, კ. კეკელიძის აზრით, გვიკარნახებს გამოთქმა „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“. სახელდობრ „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ასე იწერება: „წიგნი ესე ქართველთა ცხორებისა ვიდრე ვახტანგისამდე აღიწერებოდა ჟამით-ჟამად, ხოლო ვახტანგ მეფისითგან ვიდრე აქამდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან“ (მარიამისეული ნუსხა, 437, გვ. 215). კ. კეკელიძეს მოჰყავს იმავე „ქართლის ცხოვრებიდან“, იმავე ჯუანშერის შრომიდან იმის მაგალითები, რომ გამოთქმა „ვახტანგისითგან“ გაგებულია exclusive, და, მაშასადამე, ამითაც მტკიცდება, რომ რედაქტორის ანდერძში „ვახტანგ მეფისითგან“ ნიშნავს „ვახტანგის შემდეგ“, ხოლო ვახტანგის ისტორია უკვე წინა თხზულებას, ლეონტი მროველის შრომას, ეკუთვნის და არა ჯუანშერისასო.

1923 წელს, როდესაც კეკელიძე პირველად სწერდა ამ საკითხზე[2], ეს მეორე საბუთი მას დამაჯერებლად ეჩვენებოდა. ხოლო 1941 წელს „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ მას ეს საკითხი გარდამწყვეტად არ მიაჩნია: „ფრაზები — ვახტანგისამდე და ვახტანგისითგან — იმდენად ბუნდოვანი და გაურკვეველია, რომ იმათგან რაიმე გადამწყვეტი დასკვნის გამოტანა შეუძლებელია. ამასთან მატიანის სხვა ანალოგიურ და პარალელურ ადგილებთან დაკავშირებით, არც შეიცავენ იმ აზრს, ვითომც ვახტანგის ისტორია უთუოდ ჯუანშერს ეკუთვნის“[3].

ჩვენ არაფერს ვიტყვით კ. კეკელიძის პირველ საბუთზე, „მეფეთა ცხოვრებასა“ და „ვახტანგის ისტორიას“ შორის არსებულ ლიტერატურულ მსგავსებაზე. ამგვარი მსგავსება, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, შესაძლებელია არა მარტო ერთი მწერლის თხზულებებს შორის, არამედ სხვადასხვა მწერლის ნაწარმოებებს შორისაც. ამ საბუთის ძალა მეტი იქნებოდა, რომ მეორე საბუთიც ურყევი იყოს და რომ „ბუნდოვანი“ არ იყოს გამოთქმა „ვახტანგისამდე“ და „ვახტანგისითგან“. ამ საბუთის შესახებ კი შემდეგი უნდა ითქვას. გამოთქმა „-ითგან“ ქართულში, რასაკვირველია, ჰგულისხმობს inclusive, მაგალითად:

«სპარსთა დაიბანაკეს ვიდრე ცხენის ტერფითგან ჩალმართ» (ქ. ცხ. 179,20—21). რასაკვირველია, სპარსელები დაბანაკებული იყვნენ ცხენის-ტერფში, ე. ი. ცხენის ტერფი inclusive.

«ნაწილად ძმათა შენთა მიმიცემია ტასის-კარითგან და წუნდითგან ვიდრე სომხითამდე და საბერძნეთამდე» (ქ. ცხ. 203, 10—20). აქ ტაშის-კარი და წუნდა, რასაკვირველია, inclusive, ხოლო სომხეთი და საბერძნეთი exclusive.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 1941. გვ. 214; I³, 1951, გვ. 217.

[2] კ. კეკელიძე, ვახტანგ გორგასლანის ისტორიკოსი: ჩვენი მეცნიერება, 1928, № 4—5, გვ. 19—20.

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I², 1941, გვ. 214; I³, 1951, გვ. 217.

«და მისცა ნაცვლად ჯავახეთი ფარავნითგან მტკურამდე... ტასისკარითგან ვიდრე ზღუამდე სპერისა» (ქ. ცხ. 205, 15—17).

ასეც ფიქრობდა ივ. ჯავახიშვილი და არც დაუსვამს საკითხი იმაზე, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ვახტანგ მეფისითგან“, მით უმეტეს რომ მას ხელთ ჰქონდა ის მკვეთრი ნიშანი, რომ ვახტანგ გორგასალის ისტორია „ქართლის ცხოვრებაში“ ცალკე სათაურით იწყება[1]: „ცხორება (A + და მოქალაქობა) ვახტანგ გორგასლისა, მშობელთა და შემდგომად თჳთ მის დიდისა და ღმრთისმოყუარისა მეფისა“. თუ ეს თხზულებაც ლეონტი მროველსვე ეკუთვნის, რით აიხსნება, რომ მას თავის „მეფეთა ცხოვრებაში“ არც ერთი სხვა მეფის ისტორიისათვის ცალკე სათაური არ გაუკეთებია.

ანასეულ ნუსხას ერთგვარი გარკვეულობაც შეაქვს „ბუნდოვან“ გამოთქმაში „ვახტანგ მეფისითგან“. ამის ნაცვლად იქ სწერია: «ხოლო ვახტანგ მეფისა ვიდრე აქამომდე აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან» (ქ. ცხ. 248, 13; ანას. 159, 30). მართალია, ძველი ქართული სალიტერატურო ენის იმ სტილისტიკური ნორმების მიხედვით, რომლებიც ჩვენთვის ცნობილია, ეს წინადადება გამოთქმით „ვახტანგ მეფისა“ გამართულად არ გვეჩვენება, მაგრამ ამის დამწერის აზრი გასაგებია: მისი აზრით ჯუანშერ ჯუანშერიანი ვახტანგ მეფის ისტორიის აღმწერია: «ხოლო ვახტანგ მეფისა... აღწერა ჯუანშერ ჯუანშერიანმან», ხოლო შუაში ურთავს «ვიდრე აქამომდეო»[2].

„ქართლის ცხოვრების“ შედგენილობით დაინტერესებულა აგრეთვე ერთი ძველი რედაქტორთაგანი, რომელიც ანასეული ნუსხის გადამწერის ანდერძის წინ წერს: „ცხორება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესაობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ თუ ვითარ მოვიქეცით და მოვიღეთ სჯული ქრისტეანობისა და ვიცანთ ღმერთი, ისმინეთ აღწერილი აბიათარისი“ (ქ. ცხ. 363, 20—23). ეს რედაქტორი თვით „ქართლის ცხოვრების“ შედგენაზე არას ამბობს; ამბობს მხოლოდ მისი ერთ-ერთი ძეგლის შესახებ, რომ იგი აბიათარს ეკუთვნის. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ამ შენიშვნით ვილაცას ეკამათება, ვინაიდან ის შრომა, რომელსაც ის აბიათარს მიაწერს, არის ლეონტი მროველისად აღიარებული „მეფეთა ცხოვრება“ და „ქართლის მოქცევა“[3].

§ 14. ვახტანგის „მეცნიერ კაცთა“ მუშაობა. „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია, არსებითად, ვახტანგის სწავლულ კაცთა მუშაობით უნდა დავიწყოთ. მართალია, „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობისა და მის შემდგენელთა შესახებ წინათაც

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, I გამოცემა, ტფილისი 1916, გვ. 127; II გამოცემა, ტფ. 1921, გვ. 186.

[2] ანასეული ნუსხის ეს ვარიანტი „ვახტანგ მეფისა“ მხედველობაში არა აქვთ მიღებული არც ივ. ჯავახიშვილს და არც კ. კეკელიძეს, თუმცა ივ. ჯავახიშვილი ანასეულ ნუსხას იცნობდა და იყენებდა, მაგრამ ეს ადგილი მას შეცდომით ამოუკითხავს ასე: «ვახტანგ მეფისაგან ვიდრე აქამომდე». ხელნაწერში გარკვევით სწერია „მეფისა“; შეცდომა, ჩვენის აზრით, აიხსნება იმით, რომ „მეფისა“ კი ამოიკითხა, მაგრამ ყველა დანარჩენი ნუსხის „მეფისითგან“-მა, რომელიც ივ. ჯავახიშვილმა ზეპირად იცოდა, უნებურად „გან“ მიამატებინა „მეფისა“-სთვის.

[3] პ. ინგოროყვას აზრით აბიათარის თხზულება ეს არ არის. ის სხვა შრომა იყო და დღეს დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. პ. ინგოროყვა წერს: „ანა-დედოფლისეულ ხელნაწერში დაცულია ცნობა ერთი ძველ-ქართული საისტორიო თხზულების შესახებ, რომელიც ასეთს სათაურს ატარებდა: „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა, და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ... აღწერილი აბიათარისი“. ტექსტი ამ საისტორიო თხზულებისა დაკარგულია, ამის გამო ნაწარმოების ხასიათი და თარიღი გაურკვეველი რჩება“.. (შენიშვნაში): „ეს რასაკვირველია არ ნიშნავს, რომ აქ დასახელებული ნაწარმოები უშუალოდ აბიათარის მიერ იყო დაწერილი. ისევე, როგორც ნინოს სახელის ზედწერილით ქვეყნდებოდა თხზულებანი შემდეგ ხანაში, ასევე შესაძლოა ეს თხზულებაც შემდეგ ხანაში იყო გამოქვეყნებული აბიათარის სახელის ზედწარწერით“ (პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა: „მნათობი“ 1939, № 4, გვ. 107—108, უფრო დაწვრილებით აბიათარზე იქვე გვ. 137—138).

უფიქრიათ და ზოგიერთი მოსაზრებები გამოუთქვამთ. მაგრამ ეს, რასაკვირველია, „ქართლის ცხოვრების“ შესწავლას არ წარმოადგენდა.

თუ რა მუშაობა ჩაატარეს ვახტანგის სწავლულმა კაცებმა, ამის შესახებ ნათქვამია ე. წ. წინასიტყვაობაში, რომელიც წინ უძღვის ვახტანგისეული რედაქციის ყველა ნუსხას, რომელსაც კი შერჩა წიგნის პირველი ფურცლები.

წინასიტყვაობა

პატიოსანნო და დიდებულნო ქართველნო, ჟამთა ვითარებისაგან ქართლის ცხოვრება განრყუნილ იყო,. რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო. ხოლო მეხუთემან ვახტანგ, ძემან ლეონისმან და ძმისწულმან სახელოვნის გიორგისმან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიხუნა, საცა რამ ქართლის ცხოვრებაები პოვნა, და კუალად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრყუნილ იყო, განმართეს. და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს.

ამ წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ XVIII საუკუნის დასაწყისისათვის „ქართლის ცხოვრებას“ ორი ნაკლი ჰქონდა:

1) ტექსტი დამახინჯებული იყო გადამწერთა წყალობით («განრყუნილ იყო... მწერალთა მიერ») და

2) ბოლო საუკუნეების ისტორია აღარ შეუტანიათ „ქართლის ცხოვრებაში“, რადგან დროთა-აშლილობამ ამის საშუალება მოსპო («ჟამთა ვითარებისაგან არღარა წერებულ იყო»).

მაშასადამე, საჭირო იყო ამ ორი ნაკლისათვის მოევლოთ: ა) დამახინჯებული ადგილები უნდა შეესწორებინათ და ბ) ბოლო საუკუნეების ისტორია დაეწერათ. ამ მიზნით, ნათქვამრა წინასიტყვაობაში, ვახტანგ VI-მ[1] შეკრიბა «მეცნიერნი კაცნი» და მათ დაავალა „ქართლის ცხოვრების“ განახლება. იმ ორი ამოცანის შესასრულებლად, რომლებიც მეცნიერ კაცთა წინაშე იდგა, საჭირო გახდა შემდეგი სამუშაოების ჩატარება:

1) დაძებნეს და მოაგროვეს „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები («ქართლის ცხოვრებაები»), შეაჯერეს ვარიანტული სხვაობანი და დამახინჯებული ადგილები გაასწორეს («შეამოწმეს და რომელი განრყუნილ იყო განმართეს»);

2) რადგანაც ბოლო საუკუნეების ისტორია არ ყოფილა შეტანილი ძველ „ქართლის ცხოვრებაში“, ვინაიდან ჟამთა სიავისა გამო (მონღოლთა შემოსევის და ამით გამოწვეული გაჭირების გამო) აღარ უწერიათ, მეცნიერმა კაცებმა შეკრიბეს სიგელგუჯრები («გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკლესიათა და დიდებულთანი»), გამოიყენეს აგრეთვე სხვა წყაროებიც, სათანადო ეპოქების სომეხთა და სპარსთა „ისტორიებიც“ და ისე დაწერეს ბოლო საუკუნეების ისტორია. («და სხუაცა წერილნი მოიხუნეს, რომელიმე სომეხთა და სპარსთა ცხოვრებისაგან გამოხუნეს და ესრეთ აღწერეს»).

ამგვარად, არავითარი ეჭვი არ შეიძლება გვქონდეს, რომ მეცნიერ კაცთა კომისიამ ორგვარი სამუშაო ჩაატარა: ერთი მხრით ძველი „ქართლის ცხოვრების“ დამახინჯებული ადგილები გაასწორა («განმართეს»), ხოლო მეორე მხრით ბოლო საუკუნეების ისტორია დაწერა («აღწერეს»[2]), რადგან ძველ „ქართლის ცხოვრებაში“ თხრობა

[1] წინასიტყვაობაში სწერია «მეხუთემან ვახტანგ», რადგან პირველი ვახტანგი (ვახტანგ გორგასალი), როგორც არა ბაგრატიონი, სათვალავში არაა მიღებული.

[2] უნდა გვახსოვდეს, რომ ტერმინოლოგიურად „აღმწერელი“ ისტორიის (პროზული ნაწარმოების) დამწერს ეწოდება.

წყდებოდა გიორგი ბრწყინვალის მეფობაზე (XIV ს. დასაწყისი), ახლად დასაწერი იყო XIV—XVII საუკუნეების ისტორია.

ეს ორივე დავალება მეცნიერ კაცთა კომისიას პირნათლად შეუსრულებია. დღეს ჩვენ სრული საშუალება გვაქვს დავადგინოთ, თუ რა გააკეთა ამ კომისიამ, რადგან ჩვენ მოგვეპოვება ორგვარი „ქართლის ცხოვრება“,—ძველი და ახალი; მოგვეპოვება ის „ქართლის ცხოვრება“, რომელიც განმართეს და აღწერეს ვახტანგის მეცნიერმა კაცებმა (ეს არის „ახალი ქართლის ცხოვრება“); ჩვენ ხელთაა ის „ქართლის ცხოვრებაც“, რომელიც ვახტანგამდე არსებობდა (ეს არის „ძველი[1] ქართლის ცხოვრება“). „ძველისა“ და „ახლის“ შედარება ერთიმეორესთან ცხადად გამოავლენს მეცნიერ კაცთა ნამოღვაწარს.

ე. თაყაიშვილმა (Описание II, 34—114) ვრცლად მიმოიხილა „ქართლის ცხოვრების“ ის ნუსხები, რომლებიც მეცნიერ კაცთა მიერ შესრულებული რედაქციული მუშაობის შედეგად არის მიღებული, ე. წ. ვახტანგისეული ნუსხები, და დაადგინა, რომ ამ ნუსხებს ახასიათებს:

1) ტექსტის დაყოფა თავებად მეფობათა მიხედვით;
2) ძველი ტექსტის დამახინჯებული ადგილების შესწორება-შევსება;
3) დემეტრე I-ისა და დავით დემეტრეს ძის ისტორიის ჩართვა;
4) ვახტანგის სახელით გადმოცემული წინასიტყვაობა;
5) „ქართლის ცხოვრების“ შევსება XIV—XVII საუკუნეთა ისტორიით.

ე. თაყაიშვილის გამოკვლევა 1906 წელსაა დაწერილი; მაშინ ვახტანგის წინადროინდელი რედაქციის მხოლოდ ერთი ნუსხა (მარიამ დედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“) იყო ცნობილი და მეცნიერ კაცთა ნამუშევრის შეფასება მხოლოდ ამ ნუსხასთან შედარებით შეიძლებოდა: რაც „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში მოიპოვებოდა და მარიამისეულ ნუსხაში არ იყო, ის მიჩნეული იყო მეცნიერ კაცთა მიერ შემოტანილ დამატებად და შესწორებად. 1906 წლის შემდეგ აღმოჩენილ იქმნა კიდევ სამი ნუსხა, რომლებიც წარმოგვიდგენენ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს ვახტანგის წინადროინდელი რედაქციით, ე. ი. სამი ნუსხა ძველი ქართლის ცხოვრებისა“: ანასეული (1913 წ.), ჭალაშვილისეული (1923 წ.) და მაჩაბლისეული (1942 წ.). ამ ნუსხების მოპოვებამ ახალი ის შეგვძინა, რომ ამიერიდან ჩვენ მხოლოდ-და-მხოლოდ ვახტანგის მეცნიერ კაცებს ვერ მივაწერთ იმ შესწორებებს, რომლებსაც აქამდე ვაწერდით მათ. ამ შესწორებათა თუ დამატებათა ერთი ნაწილი უკვე „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოიპოვება.

მეცნიერ კაცთა ნამუშევარი შეაფასა და „ახალი ქართლის ცხოვრების“ რაობა დეტალურად და, საერთოდ, სრულიად მართებულად გაარკვია დოც. ქ. გრიგოლიამ თავის სადოქტორო დისერტაციაში „ახალი ქართლის ცხოვრება“ (თბ. 1954 წ., გვ. 364), მაგრამ მეცნიერ კაცთა აქტივში, რომელიც თავისთავადაც მდიდარი და გრანდიოზულია, მან შეიტანა ისიც, რაც მხოლოდ მას არ ეკუთვნის. ჩვენს ნარკვევში „ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი“[2] ჩვენ შევეცადეთ დაგვემტკიცებინა, „რომ უკვე XV—XVII საუკუნეთა ნუსხებში მოიპოვება ზოგიერთი ის შესწორება და შევსება, რომელიც XVIII საუკუნის ნუსხებს ახასიათებს“ (იხ. გვ. XLVI). ასე, მაგალითად, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მეცნიერმა კაცებმა დიდი ამაგი დასდეს მკითხველს, რომ

[1] ამ ცნებათა („ძველი“ და „ახალი“) შინაარსი სწორად აქვს გარკვეული დოც. ქ. გრიგოლიას (დასახ. ნაშრ. გვ. 279—286).

[2] დაბეჭდილია გამოცემაში „ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა“. თბ. 1942, გვ. XXXV—XLVIII.

საბოლოო სახე მისცეს „ქართლის ცხოვრების“ გარეგნულ გაფორმებას ტექსტის ცალკე თავებად დაყოფით, მეფეთა მიხედვით ამ თავების დასათაურებით და ფურცელთა გვერდებისათვისაც დასათაურების შემოღებით, რაც ძალიან აადვილებდა წიგნის კითხვას. მაგრამ ანასეული ნუსხის შესწავლამ დაგვანახა, რომ მეფეთა მიხედვით თავებად დაყოფა ტექსტისა უკვე XV საუკუნეში სცოდნიათ. ასე, ანასეულ ნუსხაში უკვე მოიპოვება იმავე ადგილებში, სადაც ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში ცალკე თავები იწყება, წითლით დაწერილი შემდეგი სათვალავი:

თერთმეტი (ე. ი. მეთერთმეტე მეფენი ბარტამ და ქართამ, გვ. 44, 1), ცამეტი (ე. ი. მეცამეტე მეფე, გვ. 45, 3), თექუსმეტი (54, 7), ჩჳდმეტი (54, 14), თურამეტი (55, 1), ცხრამეტსა (58, 1), ოცსა (58, 13), ოცდაერთსა (58, 15), ოცდაორსა (59, 1), ოცდასამსა (59, 3).

როგორც ჩანს, ოცდასამი მეფობის ფარგლებში ტექსტი დასათაურებელი იყო, ხოლო, თუ თავში აკლია (ათი სათაური) და შიგა-და-შიგაც ხარვეზია, ეს უნდა მიეწეროს A ნუსხის დაზიანებულობას. მაგრამ დოც. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს ანასეული ნუსხის ეს ჩვენება არაფრად მიაჩნია და ის წერს: „პატივცემული პროფესორის მითითება აქ მაინც მართალი არ არის: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ა ნ ა ს ე უ ლ ნუსხაში ტექსტის დაყოფა და მეფეთა ზეობის მიხედვით დასათაურება არსად მოგვეპოვება; ამის მიხედვით იქ ტექსტი არსად დაყოფილი არ არის. იქ მხოლოდ მეფეთა სათვალავია სტრიქონებს შუა ჩაწერილი და ისიც დასაწყის ნაკვეთში — ასფაგურ მეფემდე. მირიან მეფიდან (IV ს.) მოკიდებული კი ბოლომდე არსად არც ეს სათვალავია წარმოდგენილი. ხოლო ის გარემოება, რომ აღნიშნული სათვალავი ასფაგურ მეფეზე წყდება, თავის მხრივ, იმაზე მიგვითითებს, რომ ანასეულ ნუსხაშიაც ჩვენ მხოლოდ წარმართ მეფეთა აღნუსხვასთან უნდა გვქონდეს საქმე სწორედ ისე, როგორც ამას „მოქცევა ქართლისაჲში“ აქვს ადგილი. რაც შეეხება ტექსტის მეფეთა ზეობის მიხედვით დაყოფა-დასათაურებას, ეს, უეჭველია, ვახტანგისეული რედაქციის დამახასიათებელი ნიშანია და არავითარი განმეორება აქ არ არის“ (დასახ. ნაშრ. გვ. 214—215).

ჩვენ არ გვეგონა, რომ ანასეული ნუსხის ისეთი მკვეთრი ჩვენება, როგორიც არის წითლით ცალკე თავების გამოყოფა სწორედ იმ ადგილას, სადაც ვახტანგისეულ ნუსხებში ცალკე თავები იწყება, და სწორედ იმ სათვალავით, როგორიც ვახტანგისეულ ნუსხებში, — რომ ასეთი მკვეთრი ჩვენება საკამათო გახდებოდა. ის ჩვენი დაკვირვება 1942 წელს გამოვაქვეყნეთ, ხოლო მის შემდეგ, წინამდებარე გამოცემისათვის ნუსხებზე მუშაობის დროს, ჩვენ მოვიპოვეთ დამატებითი მასალა ჩვენი დებულების გასამაგრებლად.

გამოირკვა, რომ მეფეთა ისეთივე სათვალავი, როგორიც A ნუსხაშია, მოიპოვება აგრეთვე C ნუსხაშიც. გარდა ამისა სრულიად ეჭვმიუტანლად გაირკვა, რომ თვით A ნუსხასაც მეფეთა სათვალავი მოეპოვება არა მარტო ზემოთ მოყვანილ 23 მეფის ფარგლებში, არამედ ამის შემდეგაც, ქრისტიან მეფეთა აღნუსხვაშიც. სახელდობრ:

1) ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ანასეულ ნუსხაში არჩილ I-ის გარდაცვალების მომთხრობ ტექსტში უცნაურად არის ჩაჩხირული სიტყვა „ც ხ რ ა ს ა“:

«ხოლო ამან არჩილ მეფემან ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი აღასრულნა სარწმუნოებასა შინა სამებისა წმიდისასა.. და მოკუდა ც ხ რ ა ს ა. და დაჯდა მის წილ ძე მისი მირდატ» (ანას. გამოც. გვ. 92, 5; ახალი გამოც. გვ. 143, სქოლიო 1).

უცნაური იყო აგრეთვე A ნუსხაში სათვალავი 12, 13 და 14 და ამ სათვალავთა შერწყმა ტექსტში და მის გაუგებრად დამახინჯება:

«და მოკუდა დაჩი **თორმეტისა** წლისა» (ანას. გამოც. გვ. 140, 26; ახ. გამოც. გვ. 205, 19 შენ.).

«დაჯდა ძე მისი ბაკურ, და მოკუდა ბაკურ **ცამეტისა** წლისა» (ანას. გამოც. გვ. 140, 27; ახ. გამოც. გვ. 206, 2 შენ. და სქოლიო 3).

«მოკუდა ფარსმან **თოთხმეტისა** წლისა» (ანას. გამოც. გვ. 141, 8; ახ. გამოც. გვ. 207, 4 შენ. და სქოლიო 2).

გარდა იმისა, რომ თვალში ეცემა ადამიანს ის, რომ სამი, ერთიმეორის მომდევნო მეფე გარდაცვლილა 12, 13 და 14 წლისა (სწორედ თითო წლით მეტი ასაკისა), თავისთავადაც უცნაური იყო ის, რომ მეფე გარდაიცვალა 12 წლისა, 13 წლისა ან 14 წლისა. მაგრამ, ჩანს, ასე ეწერა „ძველი ქართლის ცხოვრების“ იმ ნუსხებში, რომლებიც ხელთ ჰქონიათ მეცნიერ კაცებს, და მათ უცდიათ რამენაირად გარკვეულიყვნენ ამ უცნაურობაში. ამიტომაც არის, რომ ვახტანგისეულ ნუსხებში ზემოთ მოყვანილი ტექსტების ნაცვლად იკითხება:

«და იმეფა დაჩი თ ო რ მ ე ტ წელ და მოკუდა დაჩი მეფე» (205, 19 შენ.).

«ესრეთ მეფობდა ა თ ც ა მ ე ტ წელ და შემდგომად ამისა მოკუდა ბაკურ მეფე» (206, 2 შენ.).

«ხოლო ამან ფარსმან მეფემან იმეფა ა თ ო თ ხ მ ე ტ წელ და მოკუდა მეფე ფარსმან» (207, 4 შენ.).

მაშასადამე, მეცნიერ კაცებს უცნაურად მოეჩვენათ, რომ მეფე დაჩი მოკვდა 12 წლისა, ბაკური მოკუდა 13 წლისა, ხოლო ფარსმანი 14 წლისა, და მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ხელნაწერებში ივარაუდეს დამახინჯება და თითქოს აღადგინეს ნამდვილი შინაარსი, რომ დაჩი 12 წლისა კი არ გარდაიცვალა, არამედ 12 წელი იმეფა; ბაკურმაც 13 წელი იმეფა და ფარსმანმა — 14. ვერც ამათ შეამჩნიეს ეს უცნაური დამთხვევა, რომ სამი ერთიმეორის მომდევნო მეფე მეფობს თითო წლით მეტს წინამორბედ მეფეზე.

ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს სათვალავები აღნიშნავენ მე-9 მეფეს, მე-12 მეფეს, მე-13 მეფეს და მე-14 მეფეს, ე. ი. ანასეულ ნუსხას მეფეთა სათვალავი ჰქონია არა მარტო წარმართ მეფეთა აღნუსხვაში, არამედ ქრისტიან მეფეთა მიხედვითაც დაუსათაურებია „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი. მართლაც, პირველ ქრისტიან მეფედ თუ ჩავთვლით მირიანს, მე-9 იქნება მირდატი, მე-12 — დაჩის შემდეგ, მე-13 — ბაკურის შემდეგ და მე-14 — ფარსმან V-ის შემდეგ.

1. მირიანი	8. არჩილი
2. ბაქარი	9. მირდატ V
3. მირდატი	10. ვახტანგ გორგასალი
4. ვარაზ-ბაქარი	11. დაჩი
5. თრდატი	12. ბაკური
6. ფარსმავი	13. ფარსმანი V
7. მირდატი	14. ფარსმან VI.

ამის შემდეგ აღარ შეიძლება რაიმე ეჭვის შეტანა იმაში, რომ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მეფეთა სათვალავი წერებულა, მაგრამ ისე დამახინჯებულად ყოფილა, რომ მეფეთა სათვალავი მეფობის წელთა რაოდენობად მიუჩნევიათ.

2) მეფეთა სათვალავი შენარჩუნებული აქვს ჭ ა ლ ა შ ვ ი ლ ი ს ე უ ლ ნუსხასაც. ჩვენ აქ იმას კი არ ვგულისხმობთ, რომ C-ს არშიაზე ვახუშტის ხელით არის მიწერილი: მ˜ფე ბაკურ, მ˜ფე ფარსმან და სხვ., არამედ იმას, რომ ტექსტისავე ხელით და შიგ ტექსტში, სადაც თავდება ერთის მეფობა და იწყება მეორისა, სწერია სათვალავი მეფეებისა. ასე, C-ში ვკითხულობთ:

204, 12: სუეტისაგან დაპყრობით. ი˜ა. და დაჯდა საყდარსა მისსა ძე მისი დაჩი.
205, 19: და მოკუდა დაჩი მეფე. ი˜ბ. და დაჯდა მეფედ...
206, 2: და მოკუდა ბაკურ. ი˜გ. და დაჯდა მეფედ ძე მისი ფარსმან,
207, 4: და მოკუდა ფარსმან. ი˜დ. და დაჯდა მეფედ...
215, 20: და მოკუდა ფარსმან. ი˜ე. დაჯდა მეფედ ძე მისი ბაკურ.
222, 9: და მოკუდა გურამ კურაპალატი. ი˜ზ. დაჯდა ძე მისი სტეფანოზ.
225, 6 ი˜ჱ; 228, 9 ი˜თ; 249, 2 კ˜ა.

ასეთი სისტემატური აღნიშვნა სათვალავისა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს: ორ უძველეს ნუსხაში (AC) მეფეთა სათვალავის აღნიშვნა სწორედ იმ ადგილას, სადაც ვახტანგისეულ ნუსხებში მოიპოვება სათაურები, მოწმობს იმას, რომ იდეა მეფეთა ზეობის მიხედვით ტექსტის დაყოფისა და დასათაურებისა ვახტანგის მეცნიერ კაცებს არ ეკუთვნის: მათ ეკუთვნის მხოლოდ ამ იდეის სრულყოფილად ხორცშესხმა.

ამგვარად, ვახტანგის წინადროინდელი ნუსხების (AC) აღმოჩენის შემდეგ ნათელი ხდება, რომ „ქართლის ცხოვრების“ დაყოფა თავებად უკვე XV—XVI საუკუნეებშიც სცოდნიათ.

იგივე უნდა ვთქვათ დემეტრე I-ისა და მისი ძის დავითის ისტორიის ჩართვის შესახებაც. AC ნუსხების აღმოჩენამდე არსებობდა აზრი, რომ ვახტანგის წინადროინდელ „ქართლის ცხოვრებაში“ არ მოიპოვებოდა დემეტრეს და დავითის მეფობათა ისტორია და რომ ვახტანგის კომისიამ «составила краткие тексты из общих фраз и кратких упоминаний об них в конце царствования Давида Возобновителя и в начале царствования Георгия III»[1]. ახლა კი ცხადია, რომ ვახტანგის წინადროინდელ „ქართლის ცხოვრებაში“ მოიპოვებოდა დემეტრე I-ისა და დავითის ისტორია და ის ეკუთვნოდა ლაშა გიორგის-დროინდელ მემატიანეს. ვახტანგისეულ ნუსხებში დემეტრეს და დავითის ისტორია იმგვარადვეა აღწერილი, როგორც ლაშა გიორგის-დროინდელ მატიანეში, რომელიც ანასეულ ნუსხაშია ბოლოში დართული (იხ. ქვემოთ, გვ. 365—366, 15), ე. ი. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანიდან ვახტანგის მეცნიერ კაცებს ამოუღიათ დემეტრეს და დავითის ისტორიის შემცველი ნაწილი, ხოლო მომდევნო ხანის (გიორგი III-ისა, თამარ მეფისა და ლაშა გიორგის) ისტორიისათვის გამოუყენებიათ თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებები და ჟამთააღმწერლის ნაწარმოები. ვახტანგის მეცნიერ კაცებზე ადრე ასევე მოქცეულა ქალაშვილისეული ნუსხის რედაქტორი, რომელსაც ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანიდან ამოუღია დემეტრე I-ისა და მისი ძის დავითის ისტორიის შემცველი ტექსტი, ხოლო ცოტა უფრო მეტი მოცულობით, ვიდრე მეცნიერ კაცებს (367, 6 გვერდამდე), გიორგი III-ისა და თამარის ხანისათვის კი გამოუყენებია ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება.

ვახტანგის კომისიის მეცნიერი კაცების დამსახურება უამისოდაც დიდია „ქართლის ცხოვრების“ შესწავლისა და მისი ტექსტის გამართვა-შევსების საქმეში.

„ქართლის ცხოვრების“ შესწორება-შევსება წარმოებდა საუკუნეთა მანძილზე, იგი დაწყებულია, ყოველ შემთხვევაში, XV საუკუნიდან და გრძელდებოდა თვით XIX საუკუნემდე, თეიმურაზ ბატონიშვილამდე. „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორებს შეჰქონდათ ესა თუ ის ტექსტუალური შესწორება, ან ჩაურთავდნენ ხოლმე ამა თუ იმ ახალ ტექსტს; ყოველ რედაქტორს ხელთ ჰქონდა თავის წინამორბედთა ნუსხები, რომელთა ტექსტებს ის, თავისი შეხედულებისდა მიხედვით, შერწყამდა ხოლმე; ხშირად მას ჰქონდა წინანდელ რედაქტორთა მიერ დართული კომენტარებიც, რომელთაც საკუთარ კომენტარებსაც დაურთავდა ხოლმე.

ასეთი რედაქტორის ხელი მოჩანს ყველა ნუსხაში, როგორც „ძველი“ ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. ჩვენ ზედმეტად მიგვაჩნია ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა, ვინაიდან ქვემოთ დაბეჭდილი ტექსტის ყოველ გვერდზე მკითხველი ადვილად იპოვის ასეთ საბუთებს. აი, თუნდაც სახელდახელოდ აღებული მაგალითი:

203, 1-2: «ხოლო ბერძენთა მეფე, სიმამრი ვახტანგისი, მოკუდა, და დაჯდა მეფედ ზენონ, ძე მისი»

---

[1] Е. Такайшвили, Описание рукописей... II, 67; აგრეთვე გვ. 87 და 113

ამ მაგალითზე შეგვიძლია ნათლად წარმოვიდგინოთ რედაქტორთა მუშაობის სხვადასხვა სახე და გავითვალისწინოთ ამ მუშაობის ცალკეული შესაძლებელი საფეხურები:

1) «ზ ე ნ ო ნ»-ის მიხედვით გამოიყოფა ნუსხათა ორი ჯგუფი: ვახტანგის წინადროინდელი ACMm, და ვახტანგისეული (V):

V: დაჯდა მეფედ ზ ე ნ ო ნ, ძე მისი.
ACMm-ს აკლია «ზენონ».

მაგრამ ნიშნავს ეს იმას, რომ «ზ ე ნ ო ნ» დაუმატეს ვახტანგის კომისიის მეცნიერმა კაცებმა? არა. ვახტანგის მეცნიერ კაცებს შეიძლება ჰქონოდათ ისეთი ძველი ნუსხა, რომელშიც ეწერა «ზენონ». რომ ეს მართლაც ასე ყოფილა, ჩანს იქიდან, რომ «ზენონ» სწერია „ქართლის ცხოვრების“ სომხურ თარგმანში (a), რომლის XIII საუკუნის ხელნაწერი ჩვენ ხელთაა. ჩანს, «ზენონ» ეწერა „ქართლის ცხოვრების“ იმ ძველ, XII—XIII საუკუნის ნუსხაში, რომელიც ხელთ ჰქონდა სომეხ მთარგმნელს.

2) თვით ACMm-ში ეს ტექსტი ერთნაირად არ არის:

A: დაჯდა ძე მისი
C: დაჯდა ძე მისი მეფედ
Mm: დაჯდა მეფე ძე მისი
Va: დაჯდა ზენონ ძე მისი მეფედ.

როგორც ვხედავთ, თვით „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში მოჩანს ცალკე რედაქტორთა ხელი: სამივე რედაქტორს (A, C, Mm) თავისებურად გაუმართავს ტექსტი.

3) არც ვახტანგისეულ ნუსხებშია ერთგვარობა. რახან XVIII საუკუნის ნუსხაში ეწერა, რომ ბერძენთა მეფეს, რომელიც ახლად ავიდა ტახტზე თავისი მამის გარდაცვალების შემდეგ, ერქვა ზ ე ნ ო ნ ი, ერთ-ერთი რედაქტორი ამ საუკუნისა დაინტერესებულა იმით, თუ რა ერქვა ზენონის მამას, ე. ი. ვახტანგ გორგასალის სიმამრს. რედაქტორს უძებნია წიგნებში და გაურკვევია, რომ ზენონის მამას ეწოდება „ლ ე ო ნ“, რაც სინამდვილეს შეეფერება. და აი, ის წერს არშიაზე:

«ვახტანგის სიმამრი ლ ე ო ნ მ ა კ ე ლ ი» (გვ. 203, სქოლიო 1).

ეს სწერია უძველეს ვახტანგისეულ ნუსხაში (R). მაგრამ ზენონის მამის სახელით დაინტერესებულა სხვა, უფრო გვიანი რედაქტორიც. ჩვენ ვერ ვიტყვით, მან ეს R-ის რედაქტორისაგან ისესხა, თუ დამოუკიდებლად დაძებნა წიგნებში, მაგრამ იმავე ბიზანტიელ კეისარზე მარგინალური შენიშვნა აქვს ბარათაშვილისეული ნუსხის (b) რედაქტორსაც, თუმცა სულ სხვა ადგილას:

«პირველი მეფობა ლ ე ო ნ მ ა კ ე ლ ი ს ა» (გვ. 146, სქოლიო 2).

ამგვარად, რედაქტორის ხელი მოჩანს „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხაში, როგორც „ძველი“, ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. მაგრამ რამდენადაც ვახტანგის კომისიის მეცნიერი კაცების მუშაობა ორგანიზაციულად ფართოდ დაგეგმილ საქმიანობას წარმოადგენდა, რასაკვირველია, მათ ნამუშევარში ჩვენ ვხედავთ შეუდარებლად მეტ წარმატებას, ვიდრე ცალკეული ნუსხების ინდივიდუალურ რედაქტორთა ნამუშევარში.

ვახტანგის კომისიის მეცნიერ კაცებს ხელთ ჰქონდათ უთუოდ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ისეთი ნუსხები, რომლებიც ჩვენთვის ჯერჯერობით დაკარგულია და რომლებშიც მეცნიერმა კაცებმა კარგი ვარიანტები ამოიკითხეს. ამიტომ არის, რომ, თუმცა ჩვენი გამოცემის ძირითად ტექსტს საფუძვლად უდევს „ძველი ქართლის ცხოვრების“ ნუსხები (ACMm), მაგრამ მთელ რიგ შემთხვევებში, როგორც მკითხველი დაინახავს ქვემოთ დაბეჭდილი ტექსტუალური აპარატიდან, ჩვენ უპირატესობა მივაკუთვნეთ მეცნიერი კაცების წაკითხვას, ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხათა ვარიანტებს.

§ 15. ჩანართები. ცალკე დგას ჩანართთა საკითხი. აქ უნდა აღვნიშნოთ ის დიდი ღვაწლი, რომელიც დასდეს მეცნიერმა კაცებმა ჩვენს საზოგადოებას ისტორიოგრაფიული გათვითცნობიერების საქმეში. ჩანართთა ძირითადი ნაწილი წარმოადგენს იმ ქართველთა „ცხოვრებებს", რომლებიც გამოჩენილი მოღვაწეები იყვნენ: ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლნი, ან იდეოლოგიურ ფრონტზე გამოჩენილი მოაზროვნენი.

„ქართლის ცხოვრებაში" შესატან „ცხოვრებათა" შემზადება არც ისე ადვილი საქმე იყო. თითოეული „ცხოვრება" კომისიას ან თვითონ უნდა შეემზადებინა, ან მისი დავალებით ვინმე მცოდნე პირს. რადგან კომისია სასწრაფოდ მუშაობდა „ქართლის ცხოვრების" ტექსტის გამართვაზე, ხოლო ჩასართავი „ცხოვრება" ყველა მზად არ იყო, კომისია თავისუფალ ფურცლებს სტოვებდა ხელნაწერში და მიუთითებდა, მაგალითად: «აქა წმიდის შუშანიკის ცხოვრება უნდა» (იხ. გვ. 216, სქოლიო 1), «წამება წმ. გობრონისი» (იხ. გვ. 264, სქოლიო 1 და 2). ამით აიხსნება, რომ XVIII საუკუნის ნუსხებში ბევრ ადგილას დაუწერელი გვერდები და ფურცლებია დატოვებული[1].

მეცნიერ კაცთა მიერ „ქართლის ცხოვრებაში" ჩართულია შემდეგი დამატებანი[2]:

1. ვრცელი ისტორია ქრისტეს კვართის მცხეთაში მოტანისა (გვ. 36—38).
2. ანდრია მოციქულის ქადაგება საქართველოში (გვ. 39—43).
3. პეტრე იბერიელის ცხოვრება და მოღვაწეობა (გვ. 132—135).
4. იოანე ზედაზნელისა და მისი მოწაფეების ცხოვრება და მოღვაწეობა (გვ. 208—214).
5. მოკლე შენიშვნა დავით და კონსტანტინეზე (235, 14-15: «ხოლო ამანვე ყრუმ შეიპყრა და აწამა წმიდა დავით და კოსტანტინე, რომელთა წამებასა ვრცელად მოგჳთხრობს ცხოვრება მათი»).

ამ ჩანართთა შორის ამჟამად ჩვენთვის საგულისხმოა პირველ რიგში **პეტრე იბერიელის** „ცხოვრება და მოღვაწეობა". მეცნიერ კაცთა ხელიდან გამოსულ იმ ნუსხაში, რომელსაც რუმიანცევისეული ნუსხა (R) ეწოდება, მოიპოვება მეტად საყურადღებო ანდერძ-მინაწერი:

«წმიდაო პეტრე, მეოხ ეყავნ წინაშე ღ̃თისა ბატონიშვილს ვახტანგს მეუღლით, მით და ასულითურთ, რომელმან მოჰოვნებულ ყო ცხორება ესე შენი და მცირედი აღაწერინა წიგნსა ამას შინა, არამედ სრულიად არა აღიწერებოდა სიდიდითა»[3].

ამ მინაწერიდან ჩანს, რომ ვახტანგს ჯერ კიდევ უფლისწულობაში (მაშასადამე, 1703 წლამდე) გაუცია განკარგულება, რომ „ქართლის ცხოვრებაში" შეეტანათ „პეტრე იბერიელის ცხოვრება" შემოკლებით იმ ვრცელი „ცხოვრების" მიხედვით, რომელიც მაშინ არსებულა.

პეტრე იბერიელი, ერისკაცობაში მურმანოსი, „ქართლის ცხოვრებაში" ჩართული „ცხოვრების" მიხედვით, მძევლად იყო წაყვანილი ბიზანტიაში, სადაც კეისარ თეოდოსი მცირის კარზე ჩინებული განათლება მიიღო, «ისწავა ენა ბერძული და ასურებრივი, და ფილოსოფოსობა სრული, ვიდრე ყოველთა უკჳრდა». სამეფო კარზე მას ჰყავს მახლობელი კაცი, «საჳურისი ვინმე»; მასთან არის ის ახლო ურთიერთობაში, ერთად მსჯელობენ იმ საკითხებზე, რომლებიც აწუხებდა მაშინდელ მოწინავე საზოგადოებას. მათ არ აკმაყოფილებს მეფის კარზე არსებული პირობები სულიერი ცხოვრებისა, გარბიან იერუსალემში და იქ იწყებენ მოღვაწეობას; იქ ორივენი «აღკუეცილ იქმნნეს მონაზონებად: და უწოდეს მურვანოსს პეტრე, ხოლო საჳურისსა იოვანე, რომელთა ღუაწლნი და შრომანი გამოუთქმელ არიან. და აღაშენნეს მონასტერნი და ქსენონნი». შემდეგში პეტრე ეპისკოპოსადაც იქმნა არჩეული ქალ. მაიუმში. გარდაიცვალა პეტრე ღრმა მოხუცებულობაში.

---

[1] იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954, გვ. 216.

[2] ჩანართები ჩვენს გამოცემაში აწყობილია განსხვავებული შრიფტით.

[3] ამ ანდერძ-მინაწერს იმეორებს E-ნუსხაც.

ამ მოკლე ჩანართიდანაც ჩანს, რომ პეტრე გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა. ის ხანა, როდესაც პეტრე მოღვაწეობს, არის ხანა გააფთრებული ბრძოლისა იდეოლოგიურ ფრონტზე: მონათმფლობელური ფორმაციის კვდომისა და ფეოდალური ფორმაციის დადგომის მიჯნაზე იდეოლოგიურმა ბრძოლამ გარეგანი გამოხატულება ჰპოვა დიოფიზიტთა და მონოფიზიტთა მწვავე ბრძოლაში. პეტრე იბერიელი და მისი მეგობარი იოანე მონოფიზიტთა ბანაკში არიან, პეტრე — მონოფიზიტთა ბანაკის ერთი თვალსაჩინო მეთაურთაგანია. იმდენად გამოჩენილი პიროვნება იყო პეტრე, რომ, მიუხედავად 451 წლის ქალკედონის კრებაზე გამოტანილი დადგენილებისა მონოფიზიტთა წინააღმდეგ, მას არა თუ ხელი არ ახლეს, არამედ ეპისკოპოსადაც კი აირჩიეს. რომ პეტრე დიდი პიროვნება იყო, ჩანს იქიდანაც, რომ მის გარშემო შემოკრებილი იყო დიდძალი ახალგაზრდობა, რომელთაგან რამდენიმე ცნობილი პროგრესული მოღვაწე იყო; ზოგიერთმა მათგანმა პეტრეს გარდაცვალების უმალვე დასწერა ვრცელი მიმოხილვა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. რამდენიმე მიმოხილვა ჩვენამდისაც არის მოღწეული. ერთი მათგანი, რომელიც ბერძნულად იყო დაწერილი პეტრეს მოწაფის იოანე რუფუსის მიერ V საუკუნის ბოლო წლებში თუ VI საუკუნის დასაწყისში, ძალიან დაწვრილებით აგვიწერს პეტრეს და იოანეს ცხოვრებასა და მოღვაწეობას[1].

ამჟამად ჩვენი ინტერესი პეტრე იბერიელის პიროვნებისადმი გააცხოველა გერმანელი მეცნიერის, ბელგიის აკადემიის წევრის და ბრიუსელის უნივერსიტეტის პროფესორის ერნესტ ჰ ო ნ ი გ მ ა ნ ი ს შრომამ[2], რომელიც ჩვენთვის ცნობილი გახდა მიმდინარე წელს. ერნ. ჰონიგმანი ამტკიცებს ამ შრომაში, რომ პეტრე იბერიელი არის ავტორი იმ თხზულებებისა, რომლებიც საფუძვლად დაედო საშუალო საუკუნეების ფილოსოფიას და რომელთა ავტორი აქამდე უცნობი იყო. ეს თხზულებები, რომლებიც შესდგება ოთხი ტრაქტატისაგან და ათი წერილისაგან, ცნობილი გახდა VI საუკუნის დასაწყისში და მიეწერებოდა დიონისე არეოპაგელს (ახალ აღთქმაში მოხსენებულ I საუკუნის ათენელ მოღვაწეს). მაგრამ XV საუკუნეში გამოირკვა, რომ ამ თხზულებათა ავტორს გამოყენებული აქვს, სხვა მასალებს შორის, V საუკუნის ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის შრომები, და მას აქეთ მკვლევარები ნამდვილი ავტორის ძებნაში იყვნენ, დროებით კი ავტორს იხსენიებდნენ „ფსევდო-დიონისეს" სახელით.

ბუნებრივია, რომ საშუალო საუკუნეთა ისტორიის მკვლევარები და ბიზანტინისტები დიდის ინტერესით იკვლევდნენ ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შრომებს, როგორც საშუალო საუკუნეთა საზოგადოებრივი აზრის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს; მათი ავტორის ძებნაში შეისწავლეს ის წრე და გარემო, სადაც შეიძლებოდა წარმოშობილიყო ეს შრომები, და იმ დასკნას დაადგნენ XX საუკუნის დასაწყისში, რომ ფსევდო-დიონისეს სახელით ცნობილი შრომები შექმნილია ქალაქ ღაზის მოღვაწეთა წრეში.

1942 წელს პროფ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე მ თავის მონოგრაფიაში **„Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита"** წამოაყენა დებულება, რომ ფსევდო-დიონისეს სახელით ცნობილი

---

[1] მისი ბერძნული დედანი დაკარგულია; დარჩენილია VI საუკუნეში შესრულებული სირიული თარგმანი, რომელიც 1895 წელს გამოსცა გერმანელმა მკვლევარმა R. Raabe-მ: Petrus der Iberer; ein Charakterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des 5. Jahrhunderts; syrische Uebersetzung einer um das Jahr 500 verfassten griechischen Biographie, hrsg. u. übers. von Richard Raabe. Leipzig 1895; გვ. 1—132 (გერმანული თარგმანი), გვ. 1—145 (სირიული ტექსტი).

[2] Pierre l' Ibérien et les écrits du Pseudo-Denys l' Aréopagite, par Ernest H o n i g m a n n, membre associé de l' Académie: Mémoires (Académie Royale de Belgique), tome XLVII, fascicule 3. Bruxelles 1952. ამ შრომის რუსული თარგმანი პროფ. შ. ნუცუბიძის შესავალი სტატიით და პროფ. შ. ნუცუბიძის და პროფ. ს. ყაუხჩიშვილის შენიშვნებით დაიბეჭდა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში", ტ. 59 (1955 წ), გვ. 1—78.

ტრაქტატების ავტორია პეტრე იბერიელი. ამ დებულების დასამტკიცებლად მოყვანილი
იყო სხვა საბუთებს შორის ის საბუთიც, რომ პეტრე იბერიელის „ბიოგრაფიაში" მოხსე-
ნებული შეხედულებები პეტრესი და მისი მეგობრის იოანესი ანალოგიურია იმ აზრე-
ბისა, რომლებიც ფსევდო-დიონისეს შრომებშია გატარებული, კერძოდ: ერთმანეთს
ემთხვევა ამ ორ თხზულებაში განვითარებული შეხედულებები ზეციური და ამქვეყნიური
იერარქიების შესახებ.

1952 წელს, შ. ნუცუბიძისაგან დამოუკიდებლად, ერნ. ჰ ო ნ ი გ მ ა ნ ი ც მივიდა იმ
დასკვნამდე, რომ პეტრე იბერიელი არის ავტორი ფსევდო-დიონისეს სახელით ცნობილი
შრომებისა. ჰონიგმანის ძირითადი საბუთი იგივეა, რაც შ. ნუცუბიძისა (ზეციური და
ამქვეყნიური იერარქიების შესახებ შეხედულებების ადეკვატობა ფსევდო-დიონისეს შრო-
მებში და პეტრე იბერიელის „ბიოგრაფიაში"). ხოლო დამატებით მან ახალი მოსაზრებე-
ბით განამტკიცა უკვე შ. ნუცუბიძის მიერ წამოყენებული დებულება პეტრე იბერი-
ელის მეგობრის იოანე საჭურისის შემახებ. იოანე საჭურისი პეტრე იბერიელის განუ-
ყრელი მეგობარი იყო. ასევე ფსევდო-დიონისე არეოპაგელის განუყრელი მეგობარი და
მისი ალტერ-ეგოა არეოპაგიტულ წიგნებში ი ე რ ო თ ე ო ს ი. ავტორი ხშირად ლაპარა-
კობს „თავისი წინამძღოლის" იეროთეოსის სახელით; მსჯელობაც ზეციური და ქვეყ-
ნიური იერარქიის შესახებ „არეოპაგიტულ წიგნებში იეროთეოსის მიერაა გაშლილი.
ე. ჰონიგმანი დაუკვირდა იმას, რომ პეტრე იბერიელის „ცხოვრებაშიც" მსჯელობა
ზეციური და ქვეყნიური იერარქიის შესახებ გადმოცემულია როგორც იოანე საჭურისის
ჩვენება და ხილვა. ამ გარემოებამ მისცა ე. ჰონიგმანს ახალი საბუთი საიდუმლოების
გასახსნელად. ამის შემდეგ ე. ჰონიგმანი დაუკვირდა სხვადასხვა მონაცემებს და მივიდა
იმ დასკვნამდე, რომ არეოპაგიტულ წიგნებში მოხსენებული ი ე რ ო თ ე ო ს ი არის ფსევ-
დონიმი იოანე საჭურისისა, ისევე როგორც დიონისე ჩანს ფსევდონიმად პეტრე იბერიე-
ლისა. ერთ-ერთი საგულისხმო მონაცემია კალენდრის ცნობა. პეტრე იბერიელის
„ბიოგრაფიაში" ნათქვამია, რომ იოანე გარდაიცვალა 4 ოქტომბერს. აღმოსავლეთის
ეკლესიის კალენდარში 4 ოქტომბერს სწერია ხსენება იეროთეოსისა. ვინ არის კალენდ-
რის ეს „იეროთეოსი"? არსად, არც ანტიკურსა და არც ბიზანტიურ ბერძნულში სახელი
„იეროთეოსი" არ გვხვდება. ეს სახელი ხელოვნურად არის შეთხზული არეოპაგიტული
წიგნების ავტორის მიერ, და ამ ხელოვნური სახელით ვიღაცას შეუტანია კალენდარში
მოხსენიება. არ შეიძლება შემთხვევითი იყოს ასეთი შეხვედრა: 1) 4 ოქტომბერს გარ-
დაიცვალა იოანე; 4 ოქტომბერი — იეროთეოსის მოსახსენებელი დღეა; 2) იეროთეოსი
მხოლოდ და მხოლოდ არეოპაგიტული წიგნების პერსონაჟია: იგი ავტორის მოძღვარია,
მისი აზრების სულისჩამდგმელია; ასეთივეა პეტრე იბერიელის მიმართ იოანე. **მაშასა-
დამე, იეროთეოსი — ეს არის იოანე**. დამთხვევა კიდევ უფრო შორს მიდის: 4 ოქტომ-
ბრის გვერდით, 3 ოქტომბერს, არის მოსახსენებელი დიონისე არეოპაგელისა (როგორც
არეოპაგიტული წიგნების ავტორისა). თუ 4 ოქტომბერს მოსახსენებლად შეუტანიათ
იოანე მისი ფსევდონიმის იეროთეოსის სახელით, 3 ოქტომბერს შეუტანიათ მოხსენიება
პეტრე იბერიელისა მისი ფსევდონიმის დიონისე არეოპაგელის სახელით.

თუ გავითვალისწინებთ დასაბუთების პირველ ნაწილში შ. ნუცუბიძისა და ე. ჰონიგ-
მანის მიერ დადასტურებულ იგივეობას პეტრე იბერიელისა და დიონისე არეოპაგელისას,
დასაბუთება მეორე ნაწილში მოგვაპოვებინებს საბოლოო დამაჯერებლობას, რომ არეო-
პაგიტული წიგნების დამწერთა სახით საქმე გვაქვს ადრეული საშუალო საუკუნეების
ფილოსოფიური აზროვნების ფუძემდებელი შრომების ავტორებთან — პეტრე იბერიელ-
თან და იოანე ევნუხთან, რომელთაც გარდა ამ შრომებისა ჰქონიათ სხვა თხზულებებიც,
მაგრამ მათ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

ე. ჰონიგმანის გამოკვლევით, მაშასადამე, დადასტურდა ჯერ კიდევ 1942 წელს შ. ნუცუბიძის მიერ დასაბუთებული დებულება პეტრე იბერიელისა და დიონისე არეოპაგელის იდენტურობის შესახებ[1]. გარდა ამისა ე. ჰონიგმანის გამოკვლევის შემდეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ იოანე საჭურისი არა მარტო მეგობარი იყო პეტრე იბერიელისა და მისი სულიერი მოძღვარი, არამედ პეტრეს თანამემამულე იყო, ლ ა ზ ი.

იოანე რუფუსის მიერ დაწერილ „პეტრე იბერიელის ბიოგრაფიაში" სწერია, რომ პეტრეს მეგობარი და მოძღვარი იოანე (ერისკაცობაში — მ ი თ რ ი დ ა ტ ე) იყო წარმოშობით ლ ა ო დ ი კ ი ე ლ ი. ასე ვიცოდით ჩვენ რ. რააბეს მიერ შესრულებული გერმანული თარგმანის მიხედვით (seiner Abstammung nach vom Lande der L a o d i c e e r). მაგრამ სირიულ დედანში თურმე სულ სხვა რამ სწერია. ჯერ კიდევ 1895 წელს თ. ნელდეკეს და 1931 წელს ი. მარკვარტს მიუქცევიათ ყურადღება იმისათვის, რომ სირიული დედნის B-ხელნაწერში სწერია: «**ლაზიკელთა** ქვეყნიდან» (და არა „ლაოდიკიელთა ქვეყნიდან", როგორც ეს რ. რააბემ თარგმნა). ჩვენ შევამოწმეთ შესატყვისი ადგილი და გამოირკვა, რომ A ხელნაწერში სწერია : ܕܠܕܩܝܐ: (დ-ლდჲკჲ'), ხოლო B-ში ܕܠܙܩܝܐ (დ-ლჲზჲკჲ'). B-ს ვარიანტი უდავოდ ნიშნავს „ლაზიკელთა"; რაც შეეხება A-ს ვარიანტს, იგი ყოველ შემთხვევაში არ ნიშნავს „ლაოდიკიელთა". „ბიოგრაფიის" სირიული ტექსტი ხომ თარგმანია ბერძნულისა, სადაც ეწერებოდა Λαζική, რომლის ζ („ძ" = „დზ") ერთმა გადამწერმა გადმოსცა როგორც „დ", ხოლო მეორემ როგორც „ზ". ამგვარად ცხადია, რომ სირიული ტექსტის ყველა ვარიანტში იგულისხმება „ლ ა ზ ი კ ე ლ ი" და არა „ლაოდიკიელი". თუ ეს ასეა, მაშინ ისმის საკითხი: სად უნდა შეხვედროდა პეტრე იბერიელი იოანე ლაზს? არც სირიულ ბიოგრაფიაში და არც ქართულში ამის შესახებ ნათლად არაფერი სწერია. იქ ვკითხულობთ მხოლოდ შემდეგს:

«იყო ვინმე საჭურისი სახელით იოანე, კაცი წმიდაჲ და **განშორებული** ყოვლისაგან საქმისა ბოროტისა. ესე იყო თანამზრახველი ძისა ქართველთა მეფისაჲ» (ე. ი. პეტრესი) (ქართული ბიოგრაფია: ქრესტ. 259; შდრ. ქვემოთ, ქ. ცხ. 134, 10).

„პეტრემ იპოვა ი გ ი, რომელიც მას ღმერთმა გამოუგზავნა, იოანე საჭურისი, რომელმაც მისი აზრები და მისი მისწრაფება გაიზიარა, მასსავით ისწრაფოდა საუკუნო ცხოვრებისაკენ და ამისკენ მიმავალ გზაზე მისი დამხმარე იყო, თავისი წარმოშობით იყო **ლაზიკელთა** ქვეყნიდან..." (სირიული ბიოგრაფია, გვ 28, რ. რააბეს გამოცემა).

ამ თხრობათაგან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ იოანე ლაზი პეტრე იბერიელის სულიერი მეგობარი იყო, მისი დამხმარე იმ საკითხთა გადაჭრაში, რომლებიც პეტრეს აწუხებდა, როდესაც ის ამა ქვეყნის სადაურობაზე და მის ავკარგიანობაზე ფიქრობდა, იყო მისი მრჩეველი («თანამზრახველი»). თუ სად შეხვდა პეტრე იოანეს, ან სხვა რა ურთიერთობა იყო მათ შორის, ამ ტექსტებიდან არა ჩანს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მასალების შესწავლა ამ საკითხსაც შუქს მოჰფენს. მანამდე კი შეიძლებოდა ჩვენი მსჯელობა ასე წაგვემართა.

ბიოგრაფიების მიხედვით, მურმანოსი (პეტრე) 12 წლისა იყო, როდესაც ის მძევლად წაიყვანა ბიზანტიის კეისარმა. 12 წლის ბატონიშვილს სამეფო კარზე უთუოდ ეყოლებოდა აღმზრდელი მასწავლებელი. როგორც ჩანს, მის აღმზრდელად გამოუწერიათ ლაზიკიდან (ე. ი. დასავლეთ საქართველოდან) ვინმე მითრიდატე. თავისთავად ცხადია, რომ უფლისწულის აღმზრდელად განათლებულ, ნასწავლ კაცს გამოიწერდნენ, და ჩვენ გვაგონდება, რომ ამ დროს დასავლეთ საქართველოში იყო განთქმული ფილოსოფიურ-

[1] დღეს ეს იდენტურობა გაზიარებულია საბჭოთა მეცნიერებაში. ამის შესახებ შეჯამების სახით სწერია „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში": «Петр Ивер—грузинский мыслитель. По мнению Ш. Нуцубидзе (1942) и Э. Хонигмана (1952) Петр Ивер является автором книг, приписываемых Дионисию Ареопагиту» (БСЭ, т. 32, стр. 587, Москва 1955).

რიტორიკული სკოლა (ფაზისის მახლობლად), სადაც IV საუკუნეში სწავლობდნენ ბიზანტიელი ფილოსოფოსი ევგენიოსი და მისი შვილი თემისტიოსი, ცნობილი რიტორი. ეს სკოლა VI საუკუნეშიც არსებობდა: იქ სწავლობდნენ, უთუოდ, ის ლაზი დიდებულები, რომლებიც VI საუკუნის შუა წლებში ჯერ საიდუმლო კრებაზე და შემდეგ სასამართლოში წარმოსთქვამენ ბრწყინვალე სიტყვებს. არავითარ შემთხვევაში არ არის დასაეჭვებელი, რომ მურმანოსის აღსაზრდელად დასავლეთ საქართველოდან გამოწერილი მითრიდატე ამ სკოლასთან დაკავშირებული იქნებოდა; ის ან კოლხიდის სკოლის პროფესორი იყო, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ სკოლაში მიიღებდა განათლებას. და აი, მითრიდატე ლაზია, თან რომ ახლავს მურმანოსს ბიზანტიაში, მისი აღმზრდელი და მასწავლებელი, მისი სულიერი მამა, მისი აზრების თანამოზიარე და მისი «თანამზრახველი». უნდა ვიფიქროთ, რომ მოწაფესა და მასწავლებელს — მურმანოსსა და მითრიდატეს (ე. ი. პეტრე იბერიელსა და იოანე ლაზს) თეოდოსის სასახლის დატოვებას და პალესტინაში სამოღვაწეოდ წასვლას აიძულებს ის ოპოზიციური სულისკვეთება, რომელიც მათ მოტანილი აქვთ ბიზანტიაში საქართველოდან, იბერიიდან და ლაზიკიდან[1].

ის ხუთი ჩანართი, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ, მოიპოვება ვახტანგის შემდეგდროინდელ ყველა ნუსხაში და უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი შეტანილია მეცნიერ კაცთა კომისიის მიერ. გარდა ამისა ვახტანგის მეცნიერ კაცებს ეკუთვნის შემდეგი ჩანართები: 1) სუმბატის „ქრონიკის“ შერწყმა ჯუანშერის თხზულებაში და „მატიანე ქართლისა“-ში; 2) ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების („ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“) შერწყმა თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[2].

ჩანართები უმატებიათ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტისათვის ვახტანგის მეცნიერ კაცთა მუშაობის შემდეგაც, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში და მეორე ნახევარშიც. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორ წყებად მიმატებული ჩანართები:

1. ჩანართები, რომლებიც მოიპოვება მხოლოდ T ნუსხაში (იხ. ქვემოთ გვ. გვ. 156, 204, 234, 237, 239, 273, 282, 290, 294, 295, 303, 307, 308);

2. ჩანართები, რომლებიც XVIII საუკუნის მეორე ნახევარშია ჩართული dp ან bp ნუსხებში (იხ. ქვემოთ გვ.გვ. 207, 214—215, 224, 226, 231—232);

თავი მეოთხე

ქართლის ცხოვრების ძეგლთა წყაროებისათვის

§ 16. „მატიანე ქართლისა“ და სუმბატის „ქრონიკა“. ურყევია ის დებულება, რომელიც წამოაყენა და დაასაბუთა დოც. კ. გრიგოლიამ, რომ სუმბატის „ქრონიკის“ მეორე ნაწილის წყაროა „მატიანე ქართლისა“[3].

ჯერ კიდევ 1890 წელს შეამჩნია ე. თაყაიშვილმა მსგავსება სუმბატის „ქრონიკის“ მეორე ნაწილისა „მატიანე ქართლისა“-ს ტექსტთან. ის წერდა: „ამ ქართლის ცხოვრების (იგულისხმე: მატიანე ქართლისა-ს. ს. ყ.) თავდაპირველი ტექსტის შედარებამ

[1] უფრო დაწვრილებით ამ საკითხებზე იხ. შ. ნუცუბიძე: თ. ს. უ. შრომები 59 (1955), გვ. 10-11; აგრეთვე ჩვენი წერილი: „პეტრე იბერიელი და იოანე ლაზი — V საუკუნის გამოჩენილი მოღვაწეები“: ახ. კომუნისტი, 1955 წ., 7 ივნისი.

[2] „ქართლის ცხოვრების“ ჩანართებზე საფუძვლიანი გამოკვლევა აქვს ჩატარებული დოც. კ. გრიგოლიას (იხ. „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ. 1954, გვ. 215—246). ზოგიერთ ჩანართთა წარმოშობის შესახებ იხ. აგრეთვე ჩვენი ნარკვევი: „ქართლის ცხოვრება“ და მისი ანასეული ხელნაწერი. გვ. XXXVIII—XLVI (ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ. 1942).

[3] კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება. თბ 1954, გვ. 225—235

სუმბატის ისტორიასთან იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ორში ერთი უნდა ვაღიაროთ: ან სუმბატს უსარგებლია ქართლის ცხოვრებით, ანდა ქართლის ცხოვრების შემდგენელს სუმბატის ისტორიით“[1]. ხოლო თუ რომელი რომლის წყაროა, ეს საკითხი გადაუწყვეტელი დასტოვა ე. თაყაიშვილმა, რომელიც ამ საკითხს არც შემდეგ შეხებია, როდესაც ის საგანგებოდ ლაპარაკობდა სუმბატის „ქრონიკის“ წყაროების შესახებ[2].

სუმბატის „ქრონიკის“ მეორე ნაწილის შედარებამ „მატიანე ქართლისა“-ს სათანადო ადგილებთან იმ დასკვნამდე მიიყვანა დოც. კ. გრიგოლია, რომ: 1) სუმბატის „ქრონიკის“ ამ მეორე ნაწილში არ არის არც ერთი ფაქტი მოთხრობილი, რომ ის არ იყოს „მატიანე ქართლისა“-შიც; 2) „მატიანე ქართლისა“-ში არის ზოგიერთი ისეთი ფაქტი აღნიშნული, რომელიც სუმბატის თხზულებაში არ არის მოყვანილი. აქედან მართებულია ის დასკვნა, რომ „მატიანე ქართლისა“-ს ავტორს ვერ აღმოაჩნდებოდა ზედმეტი ფაქტები, თუ კი მისი წყარო სუმბატის „ქრონიკა“ ყოფილიყოს. ხოლო სრულიად ბუნებრივია პირიქითი მოვლენა, რომ სუმბატ დავითის-ძეს, რომელიც თავისი „ქრონიკის“ წყაროდ იყენებდა „მატიანე ქართლისა“-ს, გამოეტოვებინოს ზოგიერთი ფაქტი.

დოც. კ. გრიგოლიას დებულებას უთუოდ გაამაგრებს შემდეგი ჩვენი დაკვირვებაც. „მატიანე ქართლისა“ და სუმბატის „ქრონიკა“ მოგვითხრობენ იმ განდგომილებაზე, რომელიც მოაწყეს ბასილი კეისრის წინააღმდეგ მისმა სპასპეტმა ქსიფიამ და ბარდა ფოკას ძემ. ეს ეპიზოდი შემდეგნაირად არის გადმოცემული:

მატიანე ქართლისა

მას ჟამსა იქმნა დიდი განდგომილება საბერძნეთს. შეიერთნეს სპასპეტი და წარვეზი[1] და წარიდგინეს[2] ქუეყანა[3] აღმოსავლეთისა[4]. და დიდად შეძრწუნდა ამისთჳს ბასილი. გარნა[5] პატივ-სცა ღმერთმან მასვე[6], და მოკლა წარვეზი ქსიფე; და გადგეს რომელნი მისთუალ იყვნეს. ხოლო ქსიფეს მიეგო ცრუობა წარვეზისა: რამეთუ შეიტყუეს ციხესა[7] **დალახანოხთა** სისხლისათჳს ფოკას ძისა, შეიპყრეს და მოჰგუარეს ბასილი მეფესა. და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე. და მისთანათა მრავალთა მოჰ-

[1] წარვეზი C, წარვახი Mm, წარვიზი A, + ძე ფოკას განდგომილისა და მეფე იქმნა ქსიფენ cet. [2] წარიდგინეს CMm, მოვლო A, მიიდვნეს Bdp, მიიდგინეს მათ cet. [3] ქუეყანით C. [4] ქუეყ. აღმ. ACMm, ყოველი აღმოსავლეთით-კერძი ქუეყანა cet. [5] და დიდად — გარნა ACMTm, < cet. [6] პატივსცა ღმ. მასვე ACMm, ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ-სცა cet. [7] და მოკლა — ციხესა ACMTm, რამეთუ განუდგა ქსიფენს წარვიზი და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი და მოკლეს ქსიფენ cet.

სუმბატის ქრონიკა

ხოლო იქმნა ამას ჟამსა შინა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეიერთნეს ბასილის სპასპეტი და წარვეზი[1], ძე ფოკას განდგომილისა და მეფე იქმნა ქსიფი[2], და მიიდგინეს მათ ყოველი აღმოსავლეთით-კერძი[3] ქუეყანა. ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ-სცა, რამეთუ განუდგეს[4] ქსიფენ წარვეზს, და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი შეიტყუვნეს[5] ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს. და მან ექსორია ყო იგი კუნძულსა შინა და მიმ-

[1] წარვიზი Mm. [2] ქსიფი Mm, ქსიფენ cet. [3] აღმოსავლით-კერძი Mm. [4] განდეს Mm. [5] მ. შეიტყუვნეს] მომდგომელნი შეიცვეს Mm.

---

[1] ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა. თბ. 1890, გვ. 4.
[2] ე. თაყაიშვილი. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა. თბ. 1949, გვ. 12—15

კუეთა თავი მახჳლითა, რომელთა თანა იყო დგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკუეთა. ფერის, ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯიკის ძე და სხუანი იყვნეს ბერძენნი (285, 17—287, 3). ქართველი (383, 30—384, 4).

„მატიანე ქართლისა“-ს ტექსტი მოყვანილია ACMm-ის, ე. ი. ვახტანგის წინადროინდელი ტექსტის მიხედვით. და მკითხველი შეამჩნევს, აქვე სქოლიოში მოყვანილი ვარიანტებიდან, რომ ვახტანგის კომისიის სწავლული კაცები რევიზიას ახდენენ „მატიანე ქართლისა“-ს ტექსტისას და სუმბატის „ქრონიკიდან“ გადმოაქვთ ტექსტში ცალკეული გამოთქმები:

ძე ფოკას განდგომილისა და მეფე იქმნა ქსიფენ
მიიდგინეს მათ (ნაცვლად სიტყვისა „წარიდგინეს“)
ყოველი აღმოსავლეთით-კერძი ქუეყანა
ბასილის დიდად შეშინებულსავე
ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი და სხვ.

მაგრამ თუ ჩვენ შევადარებთ სუმბატის „ქრონიკის“ ტექსტს „მატიანე ქართლისა“-ს ტექსტის ACMm-ის ძირითად ვარიანტს, დავინახავთ შემდეგს:

1) არ არის არც ერთი ფაქტი სუმბატის „ქრონიკაში“, რომ არ იყოს „მატიანე ქართლისა“-შიც. განსხვავება მხოლოდ სტილისტიკური ხასიათისაა: სუმბატი სიტყვასიტყვით კი არ იმეორებს „მატიანის“ ტექსტს, არამედ თავისი სიტყვებით გადმოგვცემს. ასე, მაგალითად: ა) „მატიანის“ სიტყვები «და დიდად შეძრწუნდა ამისთჳს ბასილი» სუმბატს გამოტოვებული აქვს, მაგრამ იგივე აზრია გამოხატული გამოთქმაში «ბასილის დიდად შეშინებულსავე»; ბ) «გადგეს რომელნი მორთულ იყვნეს» შეცვლილია წინადადებით «განუდგეს ქსიფენ წარვეზს და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი»; გ) ასევე წინადადება «და მისთანათა მრავალთა მოჰკუეთა თავი» გადმოცემულია სხვა სიტყვებით: «და მიმდგომთა მისთა მრავალთა თავი მოჰკუეთა».

2) ორიგინალურია თითქოს სუმბატის განმარტება: «წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფი». მაგრამ ესეც წარმოადგენს „მატიანე ქართლისა“-ს სიტყვების პერიფრაზს: რომ წარვეზი იყო ფოკას ძე, ეს სწერია „მატიანეში“ («სისხლისათჳს ფოკას ძისა»); რომ «მეფე იქმნა ქსიფე», ამის თქმის საბაბი მისცა სუმბატს „მატიანის“ სიტყვებმა: «და მოკლა წარვეზი ქსიფე».

3) „მატიანე ქართლისა“-ში, შედარებით სუმბატის „ქრონიკასთან“ ზედმეტია შემდეგი ადგილები (შავად აღნიშნული):

მატიანე ქართლისა	სუმბატის ქრონიკა
ა) რომელთა თანა იყო ფერის, ძე ჯოჯიკისი, ნათესავით **ტაოელი და სხუანი იყვნეს ბერძენნი.**	რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი.
ბ) შეიტყუეს ციხესა შინა დალასანოსთა სისხლი**სათჳს ფოკას ძისა,** შეიპყრეს და მოჰგუარეს ბასილი მეფესა.	შეიტყუენეს ციხესა შინა, შეიპყრეს და ბასილის წინაშე წარმოგზავნეს.

თუ დავუშვებთ, რომ სუმბატის „ქრონიკა“ არის წყარო „მატიანისა“ და არა პირიქით, უნდა დავუშვათ ისიც, რომ ხაზგასმული სიტყვები დაუმატა „მატიანის“ ავტორმა თვითონ. თუ შეიძლება ადამიანმა კიდევ წარმოიდგინოს, რომ მემატიანეს შეეძლო თვითონ დაემატებინა «და სხუანი იყვნეს ბერძენნი», არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იმის წარმოდგენა, რომ მემატიანე შესძლებდა საკუთარი ძალღონით დაემატებინა «დალასანოსთა», ე. ი. რომ ქსიფია შეიპყრეს და ბასილი მეფეს მიჰგვარეს **დალასანოსებმა.** ადვილი დასაშვებია, რომ სუმბატმა გამოსტოვა მის წყაროში მოხსენებული „დალასანოსთა“ (რაც, შეიძლება, იმდენად დამახინჯებულად ეწერა, რომ სუმბატმა ვერც კი გაარკვია, თუ რა ეწერა), მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ არის საგულისხმებელი, რომ „მატიანე ქართლისა“-ს ავტორმა დაუმატა ეს სიტყვა.

§ 17. „მატიანე ქართლისა“ და კედრენეს „ისტორია“. რომ ეს მართლა ასე იყო და რომ სუმბატის წყაროა „მატიანე ქართლისა“ (და არა პირიქით), ამას ამტკიცებს შემდეგი: მთელი ამ მოთხრობის წყაროა ბიზ. ისტორიკოსი გიორგი კედრენე (სკილიცა); ის ბიზანტიურ წყაროთაგან ერთადერთია, რომელსაც მოეპოვება ქსიფია-წარვეზის განდგომის ისტორია. და ამ მოთხრობაში კედრენე გადმოგვცემს: «ფოკას სიკვდილი რომ შეიტყო მეფემ, გაგზავნა თეოფილაქტე, დამიანე დალასენეს ძე (Δαμιανοῦ τοῦ Δαλασσηνοῦ υἱός). თეოფილაქტემ შეიპყრო ქსიფია და შებორკილი მოჰგვარა სამეფო ქალაქში». მოგვყავს კედრენეს „ისტორიის“ ეს ადგილი მთლიანად:

Γεωργίου δὲ τοῦ ἄρχοντος Ἀβασγίας τὰς πρὸς Ῥωμαίους ἀθετήσαντος συνθήκας καὶ τὰ ὅμορα κατατρέχοντος, ἔξεισι κατ' αὐτοῦ ὁ βασιλεὺς πανστρατί, κατόπιν λιπὼν Νικηφόρον πατρίκιον τὸν Ξιφίαν καὶ Νικηφόρον πατρίκιον τὸν υἱὸν Βάρδα τοῦ Φωκᾶ. οἱ δὲ διὰ τὸ τῆς στρατείας ἀπολελεῖφθαι δεινοπαθήσαντες οὐ μικρῶς, λαὸν ὡς ἔτυχεν ἠθροικότες ἀπό τε Καππαδοκίας καὶ Ῥοδάντου καὶ τῶν πέριξ χωρίων, ἀποστασίαν κινοῦσιν.	რადგან აბაზგიის მთავარმა გიორგიმ დაარღვია რომაელებთან დადებული ხელშეკრულება და რომაელთა საზღვრებში იჭრებოდა, მეფემ მთელი ჯარით გაილაშქრა მის წინააღმდეგ, ხოლო პატრიკიოსი ნიკიფორე ქსიფიასი და პატრიკიოსი ნიკიფორე, პარდა ფოკას ძე, შინ დასტოვა. ამათ კი ძალიან ეწყინათ, რომ ისინი ლაშქრობას გამოთიშეს; შეკრიბეს, როგორც იყო, ჯარი კაპადოკიიდან, როდანტიდან და მეზობელი მხარეებიდან და აჯანყება მოაწყეს.
Οὗπερ ἀγγελθέντος τῷ βασιλεῖ ταραχὴ κατεῖχε τὴν παρεμβολὴν καὶ ἀγωνία, δεδοικυῖαν μή πως ἐν μέσῳ Ἀβασγῶν τε καὶ τῶν ἀποστατῶν συνειλημμένοι (διεδέδοτο γὰρ καὶ λόγος ὡς οἱ περὶ τὸν Ξιφίαν διεκηρυκεύσαντο περὶ τούτου πρὸς τὸν ἄρχοντα Ἀβασγίας) ἀνήκεστόν τι πάθωσιν.	ეს ამბავი რომ აუწყეს მეფეს, მისი ბანაკი შიშმა და ძრწოლამ მოიცვა: ეშინოდათ, ვაი თუ აბაზგებსა და აჯანყებულთა შუა მოვემწყვდეთ და ცუდი დღე დაგვადგესო (ხმები დადიოდა, ქსიფიას კაცები ამის შესახებ მოლაპარაკებას აწარმოებენ აბაზგიის მთავართანო).
Ὁ δὲ βασιλεὺς γράμματα γράψας πρός τε τὸν Ξιφίαν καὶ τὸν Φωκᾶν ἐξέπεμψε, παραγγείλας τῷ λαβόντι σπουδάσαι πάντα τρόπον λαθεῖν καὶ ἑκάστῳ ἀσυγγνώστως δεδωκέναι τὸ γράμμα. τοῦ δὲ ὡς ἐκελεύσθη ποιήσαντος καὶ τὰς ἐπιστολὰς ἐγχειρίσαντος λεληθότως, ὁ μὲν Φωκᾶς εὐθὺς ἐπανέγνω τὴν ἑαυτοῦ τῷ Ξιφίᾳ, ἐκεῖνος δὲ τὴν ἑαυτοῦ ἀποκρύψας καὶ γράμμα δέξασθαι ὅλως ἀπαρνησάμενος ἐν μιᾷ τῶν ἡμερῶν καλεῖ τοῦτον ἐπὶ κοινολογίαν, καὶ ἐλθόντα, λόχους ἔχων προευτρεπισμένους, ἀποκτίννυσι. καὶ ἡ ἐπισύστασις τῶν ἀποστατῶν εὐθὺς διεσκεδάσθη.	მეფემ წერილები გაუგზავნა ქსიფიასს და ფოკას და შიკრიკს დაავალა ყოველნაირად ცდილიყო, რომ ერთიმეორის ჩუმად გადაეცა წერილები, შიკრიკმაც შეასრულა დავალება და ჩუმად ჩააბარა წერილები; ფოკამ მაშინვე გააცნო ქსიფიასს თავისი წერილი. ამან კი თავისი წერილი არ გამოუჩინა და სრულიად უარყოფდა წერილი არ მიმიღიაო; ერთ დღეს ქსიფიასმა მოსალაპარაკებლად უხმო მას და, რომ მოვიდა, წინასწარ ჩასაფრებულ კაცებს მოაკვლევინა იგი. მეამბოხეთა კავშირი მაშინვე დაიშალა.
Τοῦ δὲ θανάτου τοῦ Φωκᾶ γνωσθέντος τῷ βασιλεῖ πέμπεται Θεοφύλακτος ὁ Δαμιανοῦ τοῦ Δαλασσηνοῦ υἱός, καὶ τὸν Ξιφίαν συλλαβὼν ἐκπέμπει δέσμιον πρὸς τὴν βασιλίδα πρὸς Ἰωάννην τὸν πρωτονοτάριον, ὃς	მეფეს რომ აცნობეს ფოკას სიკვდილი, მან გაგზავნა დამიანე დალასენოსის შვილი, თეოფილაქტე, რომელმაც დაატყვევა ქსიფიასი და შებორკილი მიჰგვარა სატახტო ქალაქში იოანე პროტონოტარს. იოანემ

ἐν τῇ νήσῳ τοῦ Ἀντιγόνου μοναχὸν αὐτὸν ἀποκείρει. ὁ δὲ βασιλεὺς τοῦ τῶν ἀποστατῶν ἀπολυθεὶς δέους συμβάλλει τοῖς Ἀβασγοῖς, καὶ πολλοὶ πίπτουσι τῶν Ῥωμαίων. ὅμως διελύθησαν ἄμφω τὰ στρατεύματα. καὶ ἡ νίκη ἀμφίβολος ἦν.

იგი ბერად აღკვეცა და ანტიგონეს კუნძულზე გადაასახლა. შეამბოხეთაგან განთავისუფლებული მეფე ეკვეთა აბაზგებს: თუმცა რომაელთაგან ბევრნი დაიღუპნენ, მაგრამ ორივე მხარის ჯარები რომ დაიშალნენ, აღმოჩნდა, რომ გამარჯვება არავის არ ჰრგებია.

Μετὰ δὲ ταῦτα δευτέρας συμπλοκῆς γενομένης, τῇ ια' τοῦ σεπτεμβρίου μηνός, ἰνδικτιῶνος ϛ', κατὰ τὸ ,ϛφλα' ἔτος, πίπτει μὲν ὁ Λιπαρίτης (οὗτος γὰρ ἦν ἀρχιστράτηγος τῷ Γεωργίῳ) καὶ σὺν αὐτῷ πᾶν τὸ κρατιστεῦον ἐν Ἀβασγοῖς, φεύγει δὲ καὶ ὁ Γεώργιος εἰς τὰ ἐνδότερα ὄρη τῆς Ἰβηρίας, μετ' ὀλίγον δὲ διαπρεσβευσάμενος, καὶ τῷ βασιλεῖ ἐκστὰς χώρας ὁπόσης ἐβούλετο, σπένδεται, ὅμηρον δοὺς τὸν υἱὸν αὐτοῦ Παγκράτιον· ὃν μάγιστρον ποιήσας ὁ βασιλεὺς ὑπέστρεψε. τοὺς μὲν ἄλλους τῶν τῷ Ξιφίᾳ συναραμένων καὶ τῷ Φωκᾷ τῶν ὑπαρχόντων γυμνώσας καθεῖρξε, μόνον δὲ τὸν πατρίκιον Φέρσην ἀπέκτεινε, πρὸ πάντων τε προσρυέντα τοῖς ἀποστάταις, καὶ τέσσαρας ἀρχόντων γειτόνων κουράτωρας ἀποκτείναντα, καὶ ἐκτομίαν τινὰ βασιλικὸν αὐτοχείρως καρατομήσαντα. ἐδόθη δὲ καὶ λέουσι βασιλικοῖς τις θαλαμηπόλος βρῶμα, ἐλεγχθεὶς φαρμάκοις ἐπιβουλεύων τῷ βασιλεῖ διὰ τὸν Ξιφίαν (Georgius Cedrenus, v. II, 477—478: CB. Bonnae 1839).

ამის შემდეგ მოხდა მეორე ბრძოლა, სექტემბრის თერთმეტს, მეექვსე ინდიქტიონს, 6531 წელს; ამ ბრძოლაში დაეცა ლიპარიტი (იგი ჰყავდა გიორგის მთავარსარდლად) და მასთან ერთად აბაზგების ჯარის საუკეთესო ნაწილი; თვითონ გიორგი გაიქცა ივერიის შიდა მთებში. ცოტა ხნის შემდეგ მან მოლაპარაკება გამართა მეფესთან, დაუთმო თავისი ქვეყნის ის ადგილები, რომლებიც მეფეს სურდა, და შეკრა ზავი: თავისი ვაჟი ბაგრატიც მძევლად მისცა. მეფემ მაგისტროსობა უბოძა ბაგრატს და უკან გაისტუმრა, სხვებს კი იმათი რიცხვიდან, ვინც ქსიფიასსა და ფოკას ეხმარებოდნენ, ქონება ჩამოართვა და დაატუსაღა; სიკვდილით მხოლოდ პატრიკიოსი ფერსი დასაჯა, რომელიც ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებს. მეზობელ მთავართა ოთხი კურატორი მოჰკლა და მეფის ერთ საჭურისს საკუთარი ხელით თავი მოჰკვეთა: ერთი საჭურისიც შესაჭმელად მიეცა მეფის ლომებს: მას ბრალად ედებოდა, რომ ქსიფიასის დავალებით მეფის მოწამლვა ჰქონდა განზრახული.

ახლა ცხადია, რომ „მატიანე ქართლისა“-ს ავტორს გამოუყენებია გიორგი კედრენეს „ისტორია“: სიტყვა «დალასანოსთა» მომდინარეობს კედრენესაგან [1]. თუ „მატიანის“ წყარო სუმბატი ყოფილიყო, სუმბატს ხომ არა აქვს მოხსენებული, რომ ქსიფია შეიპყრეს დალასანოსებმა; მაშ, საიდან აიღებდა ამას „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი? ცხადია, წყაროა „მატიანე ქართლისა“, ხოლო სუმბატს ის ფრაზა («დალასანოსთა სისხლისათჳს ფოკას ძისა») გამოუტოვებია, რადგან ვერ გარკვეულა სიტყვაში „დალასანოსთა“, ხოლო „ფოკას ძის“ კი გამოუყენებია ზემოთ («ძე ფოკას განდგომილისა»).

კედრენეს „ისტორია“, როგორც ჩანს, გამოუყენებია „მატიანე ქართლისა“-ს ავტორს მთელ იმ მოთხრობაში, რომელშიც გადმოცემულია ბიზანტიისა და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ ბიზანტიის კეისრის ბასილი II-ის დროს.

[1] «დალასანოსი» იხსენიება კედრენესთან აგრეთვე მეორე ადგილას. იხ. ქვემოთ, გვ. 039

საზოგადოდ, ბერძნული წყაროს და, კერძოდ, კედრენეს „ისტორიის“ ქართველი ისტორიკოსის მიერ გამოყენების ეჭვები აღძრა ჩვენში ზოგიერთი ბერძნულის მსგავსი გამოთქმის ხმარებამ „მატიანე ქართლისა“-ში. ასე, მაგალითად:

1) „მატიანე ქართლისა“ წერს: «ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშჳდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად. და მოვიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდიან სჳნდაქსად» (CT; სჳნააქსად A, სვინდაქსარ Mm). ერთი შეხედვით შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ლაპარაკია იმ ადგილზე, სადაც დაბანაკებული იყო ბასილი მეფე. ჭალაშვილისეულ (C) ნუსხაში ამოკითხული ვარიანტი «სჳნდაქსად» საბუთს იძლევა ვიფიქროთ, რომ აქ გვაქვს ბერძნული სიტყვა σύνταξις, რომლის ντ, საშუალო ბერძნულის ფონეტიკის მიხედვით, უდრის ნდ-ს. ბერძნული σύνταξις კი ნიშნავს: „შეწყობას“ (აქედან გრამატიკული ტერმინი „სინტაქსი“), „დარაზმვას“, „საბრძოლველად დარაზმვას“. ჩვენს ისტორიკოსს ბერძნულ წყაროში ამოუკითხავს „სჳნდაქსი“ და კიდევაც უხმარია იგი, ხოლო საჭიროდ დაუნახავს ქართულადაც განემარტა: „იწყეს განმზადებად ბრძოლად, რომელსა უწოდიან **სჳნდაქსად**».

2) ასევე ბერძნული წყაროს გავლენას უნდა მიეწეროს ხმარება სიტყვისა «კატაბანი» (ὁ κατεπάνω).

ბაგრატს, რომელიც მძევლად იყო ბიზანტიაში და ბრუნდებოდა «მამულსა და სამეფოსა თჳსსა, მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა თჳსისა» (289, 4).

«მოეწია სწრაფით მანდატური და მოართუა კატაბანსა წიგნი კოსტანტინე მეფისა» (289, 6).

კედრენეს ეს სიტყვა ბევრგან აქვს ნახმარი და ერთ იმ ნაწყვეტშიც, რომელიც საქართველოს ამბებს ეხება:

Παγκρατίου δὲ τοῦ ἐξουσιαστοῦ Ἀβασγίας σφοδρῶς ἐπικειμένου τῷ κατεπάνω Ἰβηρίας τῷ Ἰασίτῃ, ὁ Ἰωάννης μετὰ τῶν ταγμάτων τῆς ἕω πάντων τὸν δομέστικον Κωνσταντῖνον τῶν σχολῶν, τὸν αὐτοῦ ἀδελφόν, ἐκπέμπει, καθυποσχόμενος συνεκπέμψαι τούτῳ καὶ τὸν Δαλασσηνόν, ὡς ἂν ἔχῃ τοῦτον σύμβουλον καὶ παραστάτην ἐν τοῖς πολέμοις (CB, II 19, 5—10).

რადგანაც აფხაზეთის მთავარი ბაგრატი ძალიან აწუხებდა იბერიის კატაბანს იასიტეს, იოანემ გაგზავნა მის წინააღმდეგ თავისი ძმა, სქოლათა დომესტიკი კონსტანტინე, აღმოსავლეთის ყველა რაზმებითურთ (ტაღმებითურთ), და დაპირდა, რომ თანვე გაუგზავნიდა მას დალასენოსს, რათა ჰყოლოდა იგი მრჩეველად და თანაშემწედ საომარ საქმეებში.

3) ერთნაირ კონტექსტში არის ნახმარი როგორც კედრენეს „ისტორიაში“, ისე „მატიანე ქართლისა“-ში «მანდილი წმიდა» (287, 13), რომელშიც გახვეულია „ძელი ცხოვრებისა“, და ἅγιον μανδύλιον (Cedrenus II, 516, 6).

4) ერთიმეორეს ემთხვევა „მატიანე ქართლისა“-ს მოთხრობა ლიპარიტის გამგზავრების შესახებ ბერძენთა საშველად თურქთა წინააღმდეგ და შებმა «ორდროსა და უკუმიასა ქუემოთ» (302, 10) და გიორგი კედრენეს აღწერა ლიპარიტის ჯარისა და ბერძნების შეერთებისა ერთ დაბლობში, რომელსაც ეწოდება Ὀσούρτρου (v. l. Οὐρτρού) (Cedrenus II, 576, 4).

5) თვით სახელი თურქთა მეთაურისა «ბარაჰიმ-იდიმ» (302, 7-8) უთუოდ მიაგავს ამ სახელის ბერძნულ ფორმას Ἀβραάμιος Ἀλείμ.

თავი მეხუთე

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კონიექტურები

§ 18. **ახალ გამოცემაში შესწორებული ადგილები.** თავისთავად ცხადია, რომ „ძველი ქართლის ცხოვრების“ ოთხი ნუსხის (ACMm) მოპოვებამ შესაძლებელი გახადა მთელი რიგი შესწორებები შეგვეტანა ტექსტის წაკითხვაში, შედარებით იმ ტექსტთან, რომელიც ამ 100 წლის წინ დაადგინა მ. ბროსემ XVIII საუკუნის სამი ნუსხის მიხედვით. ყველა ეს შესწორება, რომელიც კი ჩვენ შევიტანეთ, ნათლად ჩანს ტექსტუალური აპარატიდან. ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ შესწორებაზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, როგორც ნიმუშებზე, რათა გავაცნოთ მას ჩვენი მსჯელობის გეზი ტექსტის ცალკეული საეჭვო ადგილების დადგენის დროს. ამასთანავე მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ყველა ჩვენი შესწორება ხელნაწერთა ვარიანტებს ეყრდნობა და ჩვენი საკუთარი კონიექტურაც ხელნაწერული ტრადიციით გასამართლებელ საბუთებს ემყარება.

1) 588—589 წლებში სპარსთა მეფე ურმიზდი თურქების წინააღმდეგ საბრძოლველად გზავნის სარდალ ბარამ ჩუბინს, რომელიც იმარჯვებს თურქებთან ბრძოლაში და ჰკლავს მათ მეფეს. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში ასე სწერია:

220, 4-6: «ესე (ბარამ ჩუბინი) ეწყო თურქთა, სპარსთა შემუსრულთა, ვითარცა წერილ არს განცხადებულად ცხოვრებასა სპარსთასა, **მოკლა თურქთა მეფე** და აოტა ბანაკი მათი».

მხოლოდ ერთი ნუსხა (C) ხაზგასმულ ადგილს ასე კითხულობს: «მოკლა **საბა**, თურქთა მეფე».

C-ს რედაქტორის მიერ აღნიშვნა თურქთა მეფის სახელისა („საბა“), რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის: სპარსულ წყაროებში მართლა აღნიშნულია, რომ თურქთა იმ მეფეს, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა ბარამ ჩუბინი, ერქვა **შაბა**, რაც ბერძნულად დაიწერებოდა „საბა“ (Nöldecke, Tabari, 269; Ю. Кулаковский, История Византии [I, 435). უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნული წყაროების მიხედვით ჯუანშერმა იცოდა თურქთა მეფის სახელი.

2) 220, 13—221, 1: «ბარამ ჩუბინი გაადგა სპარსთა მეფესა, და დასწუნეს თუალნი ურმიზდს მეფესა და ცოლის ძმათა მისთა».

ასეთია ტექსტი ვახტანგისეული რედაქციის ყველა ნუსხაში.

ვახტანგამდელი ნუსხები (ACMm) ერთხმად უარყოფენ კავშირს „და“ და ამით აღადგენენ საქმის ნამდვილ ვითარებას:

«ბარამ ჩუბინი გაადგა სპარსთა მეფესა, და დასწუნეს თუალნი ურმიზდ მეფესა ცოლის ძმათა მისთა (Mm: ურმიზადს მეფის ცოლის ძმათა)».

მართლაც საისტორიო წყაროებით (თეოფილაქტე სიმოკატა IV, 6) ცნობილია, რომ ურმიზდ მეფეს, რომელსაც აუჯანყდა ბარამ ჩუბინი, თვალები დათხარეს მისმა ცოლის ძმებმა, რომელთაგან ერთი, ბინდოი, ურმიზდის მიერ საპყრობილეში იყო ჩაგდებული და როდესაც იგი მეორე ცოლის ძმამ, ბისტამმა, საპყრობილიდან განათავისუფლა, სათავეში ჩაუდგა აჯანყებულებს, შეიჭრა სასახლეში და მეფე შეიპყრო (იხ. Ю. Кулаковский, История Византии, т. II, стр. 436).

3) 297, 16: «და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, შემზადა ტივები და ნავები ღამით წარსლვად ლაშქარსა თანა ფადლონის შვილისასა».

ასე იკითხებოდა ეს ადგილი ბროსეს მიერ გამოცემულ „ქართლის ცხოვრებაში“.

თბილელი ამირა ჯაფარი, რომელსაც თბილისის წართმევას უპირებენ ბაგრატ IV-ის ლაშქარნი, ემზადება განძაში წასასვლელად, რომ იქ განძის ამირასთან ჰპოოს

დახმარება. ჩვენ მოველით, რომ ნათქვამი იქნება: მიდის ამირასთან, ფადლონთან ან სხვა ვინმესთან. აქ კი სწერია, რომ ამირა ჯაფარი მიდის ლაშქართან («ლაშქარსა თანა»)[1], რაც შეუსაბამობას წარმოადგენს. მარიამისეული ნუსხის აღმოჩენამ კიდევ უფრო გაართულა ამ წინადადებების გაგება, რადგან იქ სწერია: «წარსლვად ლაშქარსა თანა ფადლონის შვილსა». თუ ბროსეს გამოცემაში (ე. ი. ვახტანგისეულ ნუსხებში) ეწერა, რომ ჯაფარი მიდის „ფადლონის შვილის ლაშქართან“, მარიამისეულმა ნუსხამ, თითქოს უფრო დააბნელა აზრი: „მიდის ლაშქართან, ფადლონის შვილთან“.

მართალია, ანასეულმა ნუსხამ სიტყვა „ლაშქარი“ უარყო და მის მაგიერ დასწერა „ლაშქარია“ (რაც უკვე კაცის სახელს ჰგავს), მაგრამ სამაგიეროდ სხვა ადგილი წარმოგვიდგინა დამახინჯებულად, და ამიტომ ნამდვილი აზრი გაუგებარი დარჩა: «წასავალად განძას ლაშქარიას თანა ფადლონიას თანა შვილისა».

ჭალაშვილისეულმა ნუსხამ (C) გაიმეორა წაკითხვა «ლაშქარიას». მაშასადამე, შემთხვევითი არ ყოფილა A-ს ვარიანტი «ლაშქარია» და, როგორც ჩანს, საქმე გვქონია კაცის სახელთან, და, ამრიგად, უკვე აზრიანი გამოდის გამოთქმა «ლაშქარიას თანა» („მიდის ლაშქარიასთან“, რომელსაც უნდა მოელაპარაკოს). მაშინ გასაგები ხდება ისიც, რომ არც ერთი ვახტანგის წინადროინდელი ნუსხა არ კითხულობს «შვილისასა», არამედ «შვილსა» (Mm) და «შვილისა» (AC), რაც საბუთს გვაძლევს დავადგინოთ ასეთი წაკითხვა: «წარსლვად განძას ლაშქარიას თანა ფადლონის შვილსა», ე. ი. ჯაფარი მოემზადა „განძაში წასასვლელად ლაშქარიასთან, ფადლონის შვილთან“. მაშასადამე, განძის ამირას ფადლონის შვილს რქმევია სახელად „ლაშქარია“.

4) 302, 7-8: «და შემდგომად წელიწდისა მოქცევისა გამოჩნდეს თურქნი სულტნისანი ბაჰრამ-ლამიანი ქუეყანასა ბასიანისასა». ასე იკითხებოდა ეს ადგილი ბროსეს გამოცემაში. შემდგომ მოპოებული AM ნუსხების მიხედვითაც მაინცდამაინც მთლად დამაკმაყოფილებელ წაკითხვას ვერ ვღებულობთ, თუ არ შევიტანეთ ზოგიერთი კორექტივი. სახელდობრ:

1) ამოსავალი წერტილი ვარიანტის დასადგენად უნდა იყოს კედრენესთან მოცემული Ἀβράμιος Ἀλείμ, რაც უნდა შეესაბამებოდეს თურქულს: „იბრაჰიმ ალიმ (‖ ილიმ)“.

2) მაშასადამე, ვარიანტებიდან უნდა ავირჩიოთ ის, სადაც არის ჰ: ამდენად ვახტანგისეულ ნუსხებში არსებული „ბაჰრამ“ უფრო მისაღებია, ვიდრე რომელიმე სხვა ვარიანტი. მაგრამ ეს ფორმა, ჩანს, შეგუებულია ძველად ცნობილ სახელთან „ბაჰრამ [ჩუბინ]“. ამიტომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი უნდა იყოს Mm-ის წაკითხვა: „ბარალიმ“, სადაც უნდა ვივარაუდოთ ლ — ჰ (ⴊ — ⴠ).

3) არავითარი გამართლება არ მოეპოვება „ნ“-ს („ილმიანი“) თუ არ ვივარაუდებთ, რომ ეს არის ქართული მსაზღვრელის დაბოლოება: „თურქნი ბარაჰიმ-ილმისანი“.

5) 326, 15: «შემდგომად წელიწდისა ერთისა მიიცვალა მეფე კჳრიკე, და დასუეს კახთა მეფედ ძმისწული კჳრიკესი აღსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიშანი მეფობისა». ასეთი წაკითხვით („ნიშანი“) არის გადმოცემული ეს ადგილი ყველა ნუსხაში, როგორც „ძველი“, ისე „ახალი ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში. მაინც და მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადება უაზრობას წარმოადგენს («არა რა ჰქონდეს ნიშანი მეფობისა»), მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ აზრი მთლიანად ნათელი იყოს. თუ აქ „ნიშანი“ ჩვენთვის ცნობილი მნიშვნელობის მატარებელია მხოლოდ (ახლანდელი „ნიშანი“, ან „სასწაული“), მაშინ ადვილი საფიქრებელია, რომ ტე-

[1] „თანა“ აქ ნიშნავს ad (და არა cum. შდრ. 301, 11 მივიდა ლიპარიტის თანა ხოვლეს; 303, 12 გიორგი მთაწმიდელი მოვიდა მთაწმიდითგან... კოსტანტინე მონომახისა თანა (ე. ი. გიორგი მთაწმიდიდან მოვიდა კოსტანტინესთან); 304, 22 ნიანია... წარვიდა ანისს ბერძენთა თანა (ე. ი. ანისში წავიდა ბერძნებთან).

ქსტი დამახინჯებული იყოს, რომ აქ ტექსტი დამახინჯებული უნდა იყოს. ამას შეიძლება გვაფიქრებინებდეს ანალოგიური გამოთქმა ჟამთააღმწერლისა:

«დასუეს ნოინთა ყაენად ძმა აბაღასი აჰმადა, არარა ნიჭთა საჴელმწიფოთა მქონებელი» (მარიამისეული ქ. ცხ. 886, გვ. 729).

რადგან ანალოგია სრულია და აზრიც უკვე ნათელია („მეფობის ნიჭი არ ჰქონდაო“), ამიტომ ეჭვმიუტანლად შეიძლებოდა დავით აღმაშენებლის ისტორიის ის ადგილი შეგვესწორებინა. საბედნიეროდ, ჩვენი კონიექტურის გარეშეც შესწორდა ის: ჭალაშვილისეულ ნუსხაში (C) ეს ადგილი იკითხება:

«არარათ მქონებელი ნიჭთა მეფობისათა»

6) ნაწილობრივ გაირკვა და დადასტურდა ივ. ჯავახიშვილის მიერ წარმოდგენილი გაგება დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის იმ ცნობისა, რომელიც ეხება დავითის ლაშქრობას შარვანში:

339, 3: «და მსწრაფლ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს, მაისსა შჳდსა, არაბია-ლიჟათათ ქურდევანამდე და სიშტალანთამდე».

ვარიანტები მაინც და მაინც სანუგეშოს ვერაფერს გვაძლევდნენ:

არაბია ლიჟათათ **BRTdps**
არბიალაით ჟამთ **ER'**
არაბიალით ჟამთ **b**
არბიალით ჟაით **A**.

მარიამისეული ნუსხის ვარიანტმა «არბია ლიჟათათ» საბუთი მისცა ივ. ჯავახიშვილს (ქ. ერის ისტ. II, 517) წაეკითხა: «მოარბია ლიჟათით ქურდევანამდე». რომ აქ „დარბევაზე“ უნდა ყოფილიყო ლაპარაკი იქიდან ჩანდა, რომ უკვე ვახტანგის კომისიის ხელიდან გამოსულ რუმიანცევისეულ ნუსხაში ტექსტისავე ხელით „არაბია“ შესწორებულია „არბია“-დ. ასევე გაუგია ეს ადგილი D-ს რედაქტორს, რომელსაც ტექსტისათვის თავი ვერ გაურთმევია, მაგრამ შინაარსში გარკვეულა და მთელი ის წინადადება გადმოუცია სხვა სიტყვებით: «და მოტყუენა ყოველნი არენი შარვანისანი». ჭალაშვილისეულმა ნუსხამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ აქ „დარბევაზე“ ჰქონია ნათქვამი ისტორიკოსს: «დაარბივა ლაჟთათ ქურდევანამდე». ჩვენც ამის მიხედვით შევიტანეთ ტექსტში: «არბია ლიჟათათ ვიდრე ქურდევანამდე». თუ რა არის „ლიჟათათ“, დღესაც გაურკვეველი რჩება.

7) 356, 11—15: «პირველად ორგულებასა, და ზაკუასა, და ღალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირეთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ უმალლესსა ვინ თჳსსა თანა, ანუ მოყუასსა თჳსსა, გინა ყრმათა თჳსთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყჳსასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა».

ასე აგვიწერს ისტორიკოსი დავით აღმაშენებლის მიერ მოწყობილ სადაზვერვო და საინფორმაციო აპარატს: საკმარისი იყო ვინმეს არა თუ ეთქვა, არამედ გაეფიქრა რამე სალალატო ან საორგულო, რომ მაშინვე მეფეს იცოდა ეს. მაგრამ სრულიად გაუგებარი იყო სიტყვები «თუ უმალლესსა».

ტექსტის ამ ადგილს თავის ცვალებადობაში შემდეგი საფეხურები გამოუვლია:

*თუმღ῀ლესა — ჩვენი ვარაუდით
თუ უმალლესა **AERT**
თუ უმალლესსა **BCbdps**
თუ ცხედრეულსა **Mm**.

გამოთქმაში „თუ უმალლესსა“ რაღაც ისეთი სიტყვა იმალებოდა, რომელმაც საბუთი მისცა M-ის რედაქტორს დაეწერა სიტყვა „ცხედრეულსა“, ესე იგი M-ის რედაქტორისთვის შინაარსი ასეთია: საკმარისი იყო ვინმეს მეფის საავუგო ეთქვა, თუნდაც თავის ცოლთან, მოყვასთან ან შვილებთან, რომ პირიდან სიტყვის ამოსვლისთანავე უკვე მეფის ყურამდე მისულიყო ეს სიტყვა. რედაქტორსაც „ცოლის“ მნიშვნელობით დაუწერია «ცხედრეულსა». მაგრამ რადგან ასეთი სიტყვა («ცხედრეულსა») ქართულში არ იხმარება (იხმარება „თანამეცხედრე“), ამიტომ D-ს რედაქტორს დაუწერია:

თუმღლესა და ცხედრეულსა,

ე. ი. დაუწერია ის, რაც წინათ ეწერა, გაუგებარი „თუმღლესა“, და ისიც, რაც ერთ-ერთ წინამორბედ რედაქტორს დაუწერია („ცხედრეულსა“). იმავე D-ს ახალ რედაქტორს ჩაუმატებია „ეუ“ და, ამგვარად, მიუღია „თუ მ[ეუ]ღლესა“.

ამიტომ ჩვენ ვვარაუდობთ, რომ თავდაპირველად უნდა წერებულიყო „თუმღ῀ლესა“ (= თუ მეუღლესა); ამიტომაც არის, რომ ხელნაწერებში ჯერ გაჩნდა „თუ უმალლესა“ (ერთი ხანით), ხოლო შემდეგ გაააზრეს „თუ უმალლესსა“.

8) ტექსტის რამდენიმე ადგილის შესწორება შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ გაირკვა მნიშვნელობა სიტყვისა „**დისძე**“, რომელიც უკვე ვახტანგის წინადროინდელი ნუსხების რედაქტორთათვისაც გაუგებარი ყოფილა. ეს ადგილები ასე იკითხებოდა ძველ გამოცემებში.

130, 23: ხოლო ესე ბაქარ ეზრახა სპარსთა მეფესა, მამის მმისწულსა მისსა, დაემოყურა და გაუცვალა ქუეყანა და **სიძესა** (მისი მესა A) მისსა ფეროზს.

298, 2: და იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, აშოტ მთავარი მარილელი და **სიძე** (სიძე D, დისი: ძე A) კჳრიკე მეფისა.

313, 9: ამისა შემდგომად აღისურვილა დიდმან ოვსთა მეფემან დორღოლელმან **დის სიძისა** (დის ძისა Bdp, დის სძისა ER, დისა და სიძისა D) მათისა ბაგრატისა სევასტოსისათჳს.

379, 8: და იყო მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, **დის ძე** ნასრესი.

ყველა ხაზგასმულ შემთხვევაში ჩვენ მიერ მიღებულია წაკითხვა **დისძე** (ე. ი. დის ქმარი სიძე), რაც ემყარება ერთი მხრით ტექსტის შინაარსს და, მეორე მხრით ზოგიერთი ნუსხის ჩვენებას.

განვიხილოთ, პირველ რიგში, მეოთხე შემთხვევა (სუმბატის „ქრონიკიდან“): რომ აფხაზთა მეფე ბაგრატ I, ძე დემეტრე მეორისა, იყო ნასრას დის ქმარი, ეს ჩანს „მატიანე ქართლისა“-ს ჩვენებით: «და გამოიყვანა ბაგრატ აფხაზთა მეფემან ნასრა ცოლის ძმა მისი საბერძნეთით». ეს გარემოება კარგად მოეხსენებოდა აკად. ე. თაყაიშვილს, და ამიტომ მან თავის გამოცემაში ხელნაწერების წაკითხვა „დის ძე“ უარყო და დასწერა: «ბაგრატ, სიძე ნასრესი» (იხ. სუმბატ დავითის ძის ქრონიკა, გამოცემა მესამე. თბ. 1949, გვ. 64, § 46).

მესამე შემთხვევაშიც აშკარა იყო, რომ ტექსტი თავის რიგზე ვერ იყო («დის სიძისა»): დორღოლელმან მოიწადინა თავისი სიძის, დის ქმრის, ბაგრატ IV-ის ნახვა; გამოთქმა კი **დის სიძისა** შეუფერებელი იყო: ბაგრატ IV დორღოლელის „სიძე“ იყო და არა „დის სიძე“. ეს გარემოება გაუთვალისწინებია D-ს რედაქტორს და ტექსტი ასე შეუსწორებიათ: «დისა და სიძისა», ე. ი. მას ტექსტისათვისაც გაუწევია ანგარიში და შინაარსიც მიუღია მხედველობაში: დორღოლელმა მოიწადინა თავისი დის და სიძის ნახვაო.

ოთხივე შემთხვევაში დამახინჯებული ტექსტის აღდგენის საკითხს წყვეტს გათვალისწინება ძველქართული სიტყვის («დისიძე») მნიშვნელობისა. საბა ორბელიანის ლექსიკონი არ იცნობს ამ სიტყვას; ვახუშტი ბატონიშვილის დროსაც „დისიძე“ გაუგებარი ყოფილა და მას რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეხვედრია ეს სიტყვა, შეუცვლია

იგი თავისი დროისათვის უფრო გასაგები სიტყვით „დის ქმარი“ (იხ. 130, 23 შენიშვნა).

ეს სიტყვა „დისიძე“, როგორც ჩანს, კარგა ხანია ხმარებიდან გადავარდნილა: ძველქართულ ძეგლთა ხელნაწერების გადამწერთ იგი არ ესმოდათ და მის მაგიერ სწერდნენ: და სიძე, დის სიძე, დის ძე... ყველაზე ადრე მოხერხდა ამ სიტყვის დადგენა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ («რამეთუ მოკლა ლაკლაკმან დისიძე თჳსი»[1]). რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს, ზემოთ უკვე იყო განხილული ორი შემთხვევა და ნათელყოფილი, რომ იქ ლაპარაკია „დის ქმარზე, სიძეზე“. გარდა ამისა A-ს რედაქტორს ხელთ ჰქონია ისეთი ნუსხაც, სადაც წერებულა „დისიძე“: ჩვენი ოთხი შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში (გვ. 313, 9) A-ში სწერია: «აღისურვილა... დოროლელმან **დისძისა** მათისა ბაგრატისა სევასტოსისათჳს»; მეორე შემთხვევაში კი გადამწერი მაინც ვერ გარკვეულა და მცდარად გაუყვია სიტყვა (**დისა: ძე** 298, 2). ყოველ შემთხვევაში, არ შევცდებით, თუ ზემო ნათქვამიდან ასეთ დასკვნას გავაკეთებთ:

ა) A ნუსხის ვარიანტი ორ შემთხვევაში (დისიძისა, დისი ძე) მოწმობს იმას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ იმთავითვე ეწერა ყველა ოთხივე შემთხვევაში „**დისძე**“; ამ სიტყვის მნიშვნელობის დავიწყებამ და ხელნაწერში ასოების გამკრთალებამ შექმნა ვარიანტი: დის[.]ძე, დ[ა]სიძე, სიძე და სხვ.

ბ) A-ს რედაქტორს მესამე შემთხვევაშიც (130, 23) ჰქონდა ხელთ ისეთი ვარიანტი, სადაც ეწერა «მისიძესა», სადაც თავკიდური **მ** უნდა მომდინარეობდეს **დ**-საგან.

გ) ვახუშტისაც ჰქონდა, უთუოდ, ისეთი ნუსხა, სადაც ეწერა „დისიძესა“, ხოლო მან შესცვალა იგი ახალი სიტყვით: „დის ქმარსა“ (130, 23 შენ.).

9) მოისპო ერთი გაუგებრობა, რომელსაც ჰბადებდა გვ. 313,1-ის ტექსტი:

313, 1: და მოართუეს გაგიკეთი, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი.

გაუგებრობას ჰბადებდა შემდეგი სამი გარემოება:

ა) ლაპარაკია ბაგრატ IV-ის მიერ ქალაქ გაგის აღებაზე; გამოთქმა «მოართუეს» შეუძლებელია მიემართოს „ქალაქს“: „ქალაქის მირთმევა“ შეუფერებელი გამოთქმაა (შდრ. საბა: «მირთმა ძღუნის მიტანა»).

ბ) ტექსტის მიხედვით ისე გამოდიოდა, თითქოს ქალაქს ერქუა „გაგიკეთი“, რაც არც ერთი სხვა მასალით არ დასტურდებოდა: ყურადღებას იქცევდა ის გარემოება, რომ ერთადერთი შემთხვევა სიტყვა „გაგიკეთი“-ს ხმარებისა მხოლოდ ამ ჩვენს ადგილას გვქონდა.

გ) სტილისტიკურად ისიც იყო უცნაური, რომ ერთ წინადადებაში ორჯერ იყო ლაპარაკი ერთისა და იმავე ქალაქის აღებაზე: „მოართუს გაგიკეთი“ და „აღიღო გაგი“.

ეს გაუგებრობა გაჰფანტა ჭალაშვილისეულმა ნუსხამ, სადაც ვკითხულობთ:

«და მოართუნეს **გაგით კლიტენი**, და აღიღო აფხაზთა მეფემან გაგი».

მაშასადამე, ბაგრატ IV-ს ქალაქი გაგი კი არ მოართვეს, არამედ ქალაქის „კლიტენი“. ასეთი წაკითხვით ერთბაშად ისპობა ის სამივე უცნაურობა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი.

ტექსტის დამახინჯების ისტორია ასე უნდა წარმოვიდგინოთ: თავდაპირველად ეწერებოდა ქარაგმით „გაგით კ˜ლნი“ ან „გაგ˜თ კლ˜ი“, რასაც შეეძლო მოეცა, „ლ“-ს და „თ“-ს (ლ და თ) აღრევის გამო, „გაგ˜თ კ˜თი“, რაც უქარაგმოდ გაიხსნებოდა „გაგი(თ)კეთი“.

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946, გვ. 90; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალურ-ქართული ლიტერატურა, 1935 წ. გვ. 173.

საგულისხმოა, რომ ამგვარივე გამოთქმა ნახმარი აქვს იმავე ისტორიკოსს („მატიანე ქართლისა“-ს ავტორს) სხვა ადგილასაც: «მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი» (იხ. ქვემოთ გვ. 299, 19; შდრ. აგრეთვე ბასილი ეზოსმოძღვრის მიერ ნახმარ გამოთქმას: «მოიხუნეს ციხოვანთა მათ კლიტენი», გვ. 32, 16-17).

10) ვფიქრობთ, რომ საბოლოოდ გასუფთავდა ტექსტის ის ადგილი, რომელიც ყველა ნუსხაში გადამწერთა და რედაქტორთა გაკვირვებას იწვევდა ტექსტის აღრეული ხასიათის გამო და ასეთ შენიშვნებს აწერინებდა: „აქა ამბები აკლდა დედნებს“, „აქა ფურცლები აკლია“. ეს არის გვ. 13, 19-20, სადაც ვახტანგისეულ ნუსხებში ასე იკითხება:

13, 19-20: მაშინ ჰოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა. ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა. რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთა, გარდამოიყვანეს ოვსნი...

M ნუსხაში ფურცლები არეულია და სიტყვების შემდეგ «მარჯუე ქართლოსიანთა სწერია: «ბერძენთასა. ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი...», ე. ი. ჩართულია ალექსანდრე მაკედონელის ქართლში შემოსვლის ისტორია, რომელიც შემდგომ თავში უნდა ყოფილიყო (იხ. ახ. გამოცემის გვ. 17, 6). რაც შეეხება AC ნუსხებს, მათ ხომ აკლიათ ეს პირველი ფურცლები მთლიანად.

ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ორმა გარემოებამ:

ა) სრულიად უადგილოა აქ მსჯელობა იმის შესახებ, რომ «ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა»; თხრობა ხომ ეხება იმას, რომ აფრიდონმა ქართლში გამოგზავნა თავისი ერისთავი არდამი, რომელმაც «შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და ციხენი ქართლისანი...». შემდეგ ქართლში ბატონობს აფრიდონის ერთი სამ ძეთაგანი იარედი. ხოლო როდესაც აფრიდონის ძენი ერთმანეთში აიშალნენ, ამით ისარგებლეს ქართველებმა («პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა») და... ზოველით რომ ლაპარაკი იქნება იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხეს ქართველებმა სპარსელი მოძალადეების წინააღმდეგ ბრძოლა. ამის ნაცვლად კი ვკითხულობთ: «ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა».

ბ) მეორე შეუსაბამობა ის არის, რომ ამის მომდევნო წინადადება «რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა ეზრახნეს ოვსთა» სინტაქსურად გაუმართავია: «ეზრახნეს» მოითხოვს ქვემდებარეს სახელობით ბრუნვაში («მკჳდრნი მის ადგილისანი») და არა მოთხრობითში (M-ის რედაქტორს თითქოს უგრძვნია ეს შეუსაბამობა და სინტაქსური წყობის გამოსწორების მიზნით დაუწერია «ზრახნეს»).

ამ ორმა გარემოებამ გვაიძულა მოგვეხდინა ტექსტის რევიზია; გამოირკვა შემდეგი:

ა) «ხოლო ეგრის წყალს ქუემოთ დარჩა ბერძენთა. რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა» ეკუთვნის სხვა ადგილს (იხ. ჩვენი გამოცემის გვ. 24, 1-2), სადაც იგი შინაარსობლივ გამართლებულია, სინტაქსურადაც გამართულია: «რამეთუ მკჳდრთა მის ადგილისათა არა ინებეს განდგომა ბერძენთა», ხოლო ძველ დედანში ფურცლების არევის გამო შეცდომით განმეორებულია აქაც, მე-13 გვერდზე, ყველა მომდევნო ნუსხაში. მე-13 გვერდზე მისი არსებობა, რასაკვირველია, შეუსაბამობა იყო, და რედაქტორებს ეგონათ, რომ «აქა ამბები აკლდა დედნებს», ნამდვილად კი არაფერი აკლია; პირიქით, მთელი ეს წინადადება «ხოლო — ადგილისათა» ზედმეტია და ამიტომ ჩვენ ამოვშალეთ.

ბ) რადგან ეს წინადადება, როგორც ზედმეტად გამეორებული, მოისპო, მოისპო აგრეთვე სინტაქსური შეუსაბამობაც და მივიღეთ ასეთი გაბმული თხრობა: როდესაც აფრიდონის შვილები ერთმანეთში აიშალნენ, ამით ისარგებლეს ქართველებმა, მოელაპარაკნენ ოვსებს, გადმოიყვანეს ოვსები და შეერთებული ძალებით გაუმართეს ბრძოლა სპარსთა ერისთავს: «პოვეს ჟამი მარჯუე ქართლოსიანთა. ეზრახნეს ოვსთა, გარდამოიყვანეს ოვსნი და ჰოვეს ერისთავი სპარსთა... და მოკლეს იგი».

თავი მეექვსე

„ქართლის ცხოვრების" ძეგლთა ენა

§ 19. **„ქართლის ცხოვრების" ძეგლთა ენის ზოგადი დახასიათება.** „ქართლის ცხოვრების" ქვემოთ დაბეჭდილი ტექსტი უხვ მასალას იძლევა XI—XIII საუკუნეთა ქართული ენის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ მოვლენათა დასახასიათებლად. ეს მასალა ღირსია იმისა, რომ დაიწეროს სპეციალური მონოგრაფია: „ქართლის ცხოვრების ენა". აქ კი ჩვენ მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ „ქართლის ცხოვრების" ენის მხოლოდ ზოგიერთ მხარესა და მოვლენაზე.

პირველ რიგში უნდა ითქვას შემდეგი: **„ქართლის ცხოვრება" არის საერო მწერლობის ძეგლი.** ამით აიხსნება ის გარემოება, რომ უძველეს ნუსხებში (ACMm) ისეთი ენობრივი ფორმები გვხვდება, რომლებიც განასხვავებენ „ქართლის ცხოვრებას" XI—XII საუკუნეების სასულიერო შინაარსის ძეგლებისაგან. „ქართლის ცხოვრების" ძეგლებში უხვად არის შეჭრილი ახალი ქართული ენობრივი ფორმები. ასე, მაგალითად:

1. ხმოვანფუძიან სახელებში თითქმის არასოდეს არ იხმარება ბრუნვათა დაბოლოებებში „ჲ" (მაგალითების მოტანა არც კი არის საჭირო: «დამძიმდა თხოვა შენი» 182, 12 [და არა „თხოვაჲ"], «დაარღჳს შურის-ციხე» 269, 12 [და არა „ციხჱ"], «აღმოსავლეთი და ჩრდილო» 197, 22 [და არა „ჩრდილოჲ"]). XVIII საუკუნის გადამწერთ ხშირად აღდგენილი აქვთ „ჲ".

2. „ქართლის ცხოვრების" ნუსხები რომ მერყეობენ «თორმეტსა» და «ათორმეტს» შუა (და სხვა მსგავს ფორმებში), რასაკვირველია, უძველესი ნუსხებისათვის უნდა ვივარაუდოთ «თორმეტი». „ვეფხისტყაოსანში" არც ერთი შემთხვევა არ არის „ათორმეტის" მსგავსი ფორმების ხმარებისა. ნიშანდობლივია, რომ „ქ. ცხოვრების" უძველესი ხელნაწერებიც ამგვარ ხალხურ ფორმებს გვაძლევენ: «მოვლო ყოველი ქუეყანა თორმეტსა წელსა შინა» (19, 12), მეთოთხმეტესა (19, 13), ცამეტი (27, 19), ჩჳდმეტი (34, 5), თურამეტი (34, 8), ცხრამეტსა (36, 6).

ახალი, სალაპარაკო ენიდან შემოსული, ფორმები, რასაკვირველია, იმას არ მოასწავებენ, რომ ენა უკვე გამოვიდა ძველი ქართულის ფარგლებიდან. „ქართლის ცხოვრების" ენა ჯერ კიდევ ძველი ქართულია. იგი მხოლოდ იწყებს საშუალო ქართულის ნიშნების ათვისებას. ჯერ კიდევ საკმაოდ გვხვდება ისეთი ენობრივი ფორმები, რომლებიც ძველი ქართულის დამახასიათებელია. ასეთ ფორმებად მიგვაჩნია ჩვენ, მაგალითად:

1. **ატრაქცია**, რომლის მშვენიერი ნიმუშები იქნებოდა:

20, 10: ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს (cm. იქონიოს) საჭურველი, მოკალთ იგი.

327, 9-10: მონამან რომელმან იცოდის ნება უფლისა თჳსისა და არა განემზადოს ნებისაებრ მის[ის]ა, იგუემოს ფრიად.

359, 9-11: ამისთჳსცა არაოდეს მოაცალა (დავით აღმაშენებელმა) ამისად განზრახვად... არამედ საქმეთა რომელთა იწყო ქმნად, განასრულნაცა მაღლად და შუენიერად.

2. **უფროობითი ხარისხის** წარმოება არა მარტო ზედსართავი სახელისაგან, არამედ არსებითი სახელისგანაც:

8, 17: ესე ხუთნივე იყვნეს გმირნი. არამედ მცხეთოს უგმირე იყო სხუათა მათ.

9, 11: ხოლო მცხეთოს, რომელი უგმირე იყო ძმათა მისთა, ესე დარჩა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოსისათა.

238, 8-9: და მიმართა უფროსმან წყალმან მჴედართა, რომელთა-იგი ბანაკი იყო უჭალაკე (იხ. ქვემოთ გვ. 050).

ამის ანალოგიურია „ვეფხისტყაოსნის" 252: აწ მოყვარე გიპოვნივარ დისაგანცა უფრო დესი.

3. **ნათესაობითი ბრუნვის** ხმარება დროის ზმნისართის გამოსახატავად: ზამთრის („ზამთარში"), ზაფხულის („ზაფხულში"), ხვალისა („ხვალ"), სიცივისა და სიცხისა 210.26. იქნება აქვეა მოსახსენებელი ასეთი შემთხვევებიც:

308, 23: შემოვლო რანისა.

310, 17-18: და აღმოვლო ღამე ყოველ მუხნარისა.

ძველქართულია მრავალ შემთხვევაში აგრეთვე ლექსიკაც.

§ 20. **ლექსიკა.** მართალია, ამ წიგნის ბოლოში დართულ ლექსიკონში განმარტებულია „ქართლის ცხოვრების" ძეგლებში ხმარებული სიტყვები, მაგრამ აქ ჩვენ უფრო დაწვრილებით გვინდა შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

1. **დევტალარი, დევტალარობა:**

72, 16: ვინაცა ძმა ესე იობენალი მიემთხჳა დევტალარობასა, ხოლო დაჲ იგი მისი სოსანა მსახურებდა ნიაფორსა სარა ბეთლემელსა.

75, 12: და იხილა, რამეთუ პირველ ჴსენებული იგი დევტალარი პატრიაქ ქმნილ იყო; და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრიაქი იგი.

ამ ამონაწერების მიხედვით წმ. ნინოს ბიძა (დედის ძმა) იობენალი იერუსალემში მოღვაწეობდა: ჯერ ყოფილა ის დევტალარად, ხოლო შემდეგ პატრიარქობა მიუღია. ჩანს, დევტალარობა რაღაც მაღალი სასულიერო თანამდებობა ყოფილა, რომ ამ თანამდებობის კაცი რამდენიმე წლის შემდეგ პატრიარქად აურჩევიათ. ეს სიტყვა ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოსულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ"-ს ტექსტიდან, საიდანაც მომდინარეობს მთელი თხრობა ნინოს მოღვაწეობის შესახებ. სახელდობრ, იქ ვკითხულობთ:

«ესე ძმაჲ სუსანაჲსი მიემთხჳა დევტალარობასა, ხოლო სუსანა ჰმსახურებდა ნიაფორსა სარას ბეთლემელსა» (ე. თაყაიშვილი, Описание, II, 736).

«და დევტალარი (ჭელიშ.: დევტელრი) იგი პატრეაქ ქმნილ იყო: და ფრიად დაიმეგობრნეს ურთიერთას ზაბილონ და პატრეაქი» (იქვე, 739).

სხვა ძველქართულ ძეგლებში სიტყვა „დევტალარი" არსად დამოწმებული არ ყოფილა აქამდე. ს. ორბელიანიც ამ სიტყვას მხოლოდ ნინოს „ცხოვრებიდან" იცნობს. საბა წერს:

«დევტალარი — წმიდის ნინოს ბიძა იყო, რაცალა ხაჯელოა (მოელეა B)».

დ. ჩუბინაშვილსაც, ჩანს, სხვა მასალა არ ჰქონია: „ქართლის ცხოვრების" ზემოთ მოყვანილ ტექსტზე დაყრდნობით და მითითებით ის განმარტავს:

«დევტალარი — эконом. დევტალარობა — звание эконома. 1 ქართლ. 65».

ამ სიტყვამ იმთავითვე აღძრა ჩვენში აზრი, რომ იგი შეიძლება იყოს დაკავშირებული ბერძნულ სიტყვასთან δεύτερος („მეორე"). მართლაც, ბერძნულ ლექსიკონში ვკითხულობთ:

«δευτερώσεις მეორე ხარისხი (LXX); ებრაელთა თორა (საეკლ. მწერლებთან)».

«δευτερωτής თორის განმმარტებელი, რაბინი (საეკლ. მწერლებთან)» (Pape I, 554)[1].

Pape-ს ამ განმარტებებით „დევტეროტი" ყოფილა ებრაელთა საღმრთო წიგნის განმმარტებელი, რაც მიახლოებით შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებია ქართული „დევტალარის" გასაგებად. მაგრამ ენობრივი ფორმის მხრით ქართულ „დევტალარს" უფრო შეესაბამება δευτεράριος რომელიც მოჰყავს დიმიტრაკის თავის „დიდ ლექსიკონში":

«δευτεράριος, საშუალო საუკუნეების ბერძნულში, აღნიშნავს კაცს, რომელსაც მონასტერში უჭირავს მეორე ადგილი წინამძღვრის შემდეგ».

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ წმ. ნინოს ცხოვრების ჭელიშურ ვარიანტში სწერია «დევტელ[ა]რი», უნდა ვაღიაროთ, რომ ქართული ფორმა ზედმიწევნით გადმოსცემს ბერძნულ δευτεράριος-ს (დევტერარი → დევტელარი → დევტალარი).

რაც შეეხება ამ სიტყვის მნიშვნელობას, ჯერჯერობით ვერაფერს ვიტყვით დაბეჯითებით: სიტყვის ეტიმოლოგია მიგვითითებს იმაზე, რომ „დევტალარობა" მაღალი თანამდებობა იყო, ამ თანამდებობის პირი მეორე კაცია წინამძღვრის შემდეგო, მაგრამ სახელდობრ რა თანამდებობაა ეს, არა ჩანს.

[1] ყოფილა აგრეთვე ზმნა δευτερόω, რაც ნიშნავს „ებრაელთა საღვთო წერილის სწავლებას" (იხ. დიმიტრაკის ლექსიკონი).

ამ საკითხის გასარკვევად ყურადსაღებია აგრეთვე შემდეგი მასალაც:

არსებობს ძველქართული თარგმანი VI—VII საუკუნის ბიზანტიელი მწერლის იოანე მესხის (Μόσχος) „სამოთხისა“. ამ კრებულში შემავალ ერთ-ერთი ნოველის ქართულ თარგმანში ოთხჯერ გვხვდება სიტყვა „დევტალარი“. ამ სიტყვით აღნიშნულია იერუსალემის „წმ. აღდგომის სახელობის“ ტაძრის პასუხისმგებელი მსახური. ვამბობთ პასუხისმგებელიო იმიტომ, რომ იგი უთანასწორდება ქვეყნის მთავარს. აი, თვით ტექსტიც:

«მთავარი ვინმე იყო კეისრისა ფილისტიმესა ზედა სახელით ბემარ. და დღესა ერთსა მოვიდა იგი ერითა თჳსითა ლოცვად წმიდასა აღდგომასა. და ვითარცა ეგულებოდა შესლვად წმიდად აღდგომად, იხილა მან ვერძი ერთი, რომელი მოეგება და სცა მას რქითა თჳსითა ძლიერად, და უკუმოაგდო იგი კარისაგან საფლავისა. ხოლო იგი შეშინდა და კუალად იქცა შეძრწუნებული. რქუა მას დ ე ვ ტ ა ლ ა რ მ ა ნ და ფარგალიტთა: რაჲსა არა შეხუედ, უფალო, საფლავად? მიუგო მ თ ა ვ ა რ მ ა ნ და რქუა...»[1].

დანარჩენ სამ შემთხვევაშიც „დევტალარი“ ესაუბრება ქვეყნის „მთავარს“: «რქუა მას დევტალარმან», «მიუგო დევტალარმან და რქუა». ასე რომ ეჭველია, რომ „დევტალარი“ მაღალი თანამდებობის პირია ეკლესიაში. ჩვენ შევუდარეთ ქართული ტექსტი ბერძნული ტექსტის (Λειμωνάριον: PG, 87, 2903) შესატყვის ადგილებს, და აღმოჩნდა, რომ ეს, ქართულში შემოსული, ბერძნული სიტყვა „დევტალარი“ ბერძნულ დედანში ოთხსავე შემთხვევაში გადმოცემულია სიტყვით σταυροφύλαξ (და არა δευτεράριος), რაც ნიშნავს სიტყვა-სიტყვით „ჯვარის მცველს“. ყველა კომენტატორი, ძველი საუკუნეებისა და ახალი საუკუნეებისაც, σταυροφύλαξ-ს, რომელიც გვხვდება მხოლოდ იოანე მესხთან და თეოფანეს „ქრონოგრაფიის“ ერთ ადგილას, განმარტავს როგორც „იერუსალემში დაცული ჭეშმარიტი ჯვარის მცველს“ (sanctae crucis Hierosolymis asservatae custodes σταυροφύλακες: Theophanes, Chron., Bonnae 1841, ტ. II, გვ. 414; the keeper of the true Cross at Jerusalem: Sophocles, Lexicon 1007).

როგორც ნინოს ცხოვრების ტექსტი, ისე იოანე მესხის „სამოთხე“ გულისხმობენ სწორედ იერუსალიმის ტაძრის თანამდებობის პირს. ბერძნული სიტყვა „დევტალარი“ ძალიან ადრე შემოსულა ქართულში და მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვებია მეტყველებაში, ასე რომ ბერძნული ტერმინი σταυροφύλαξ-ი უფრო გვიანდელმა ქართველმა მთარგმნელმა გადმოგვცა „დევტალარით“.

2. **გამორთვა, განრთვა, მირთვა, მორთვა.** ერთგვარ სიძნელეს წავაწყდით იმ სიტყვის გაგების დროს, რომლის შინაარსი უნდა იყოს „შეერთება“, „მიკედლება“, „გაერთიანება“, და რომელიც ნახმარია ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებებში.

გ ა მ ო გ ე რ თ ო: მე წარვჰყვე მოციქულთა შენთა თანა წინაშე კეისრისა, და მუნით გამოგერთო („შ ე გ ი ე რ თ დ ე ბ ი“) ჯაზირას სპითა ძლიერითა 185, 3.

გ ა მ ო გ უ ე რ თ ნ ე ნ: ვგონებ, რომელ ჰრომთა მათგანნიცა გამოგუერთნენ, რამეთუ ურიცხუნი აწყუედილ არიან მათგანნიცა აზონისგან („ვფიქრობ, რომ რომაელებიც შ ე მ ო გ ვ ი ე რ თ დ ე ბ ი ა ნ, რადგან უამრავი მათგანი გაწყვიტა აზონმაო“ — შემოუთვალა ქუჯიმ ფარნავაზს) 22, 18.

გ ა მ ო ე რ თ ნ ე ს: ფარსმან ქველი... უყუარდა მირდატის კერძთაცა ქართველთა და სძულდა მირდატ მესისხლეობისა და მედგრობისა მისისათჳს. და გამოერთნეს („მ ი ე კ ე დ ლ ნ ე ნ“ ფარსმან ქველს) უმრავლესნი მირდატისაცა კერძნი 51, 7.

გ ა ე რ თ ნ ე ს: მეფენი დარუბანდისანი გაერთნეს („მიეკედლნენ სპარსელებს“) 179, 7.

გ ა ნ ე რ თ ნ ე ნ: უკეთუ შევრისხნე ქართველთა, განერთნენ იგინი ბერძენთა („ქართველები რომ გავაბრაზო, ისინი ბერძნებს მ ი ე კ ე დ ლ ე ბ ი ა ნ ო“ — ამბობს სპარსთა მეფე) 216, 20.

[1] ვსარგებლობთ პროფ. ი ლ ი ა ა ბ უ ლ ა ძ ი ს მიერ გამოსაცემად დამზადებული ტექსტით, რომელიც მან თავაზიანად დაგვითმო სარგებლობისათვის.

გ ა ნ რ თ ვ ა: რამეთუ ჰგონებდა იგი (სპარსთა მეფე) განმრავლებასა სპათა მისთასა სომხითით და მეფეთაგან კავკასიანთასა, ხოლო მათ ვერ იკადრეს გ ა ნ რ თ ვ ა დ მისა. რამეთუ რომელთამე მათგანთა აქუნდა სასოება ჯუარცმულისა, ხოლო რომელნი იძლივნეს ეშმაკისაგან, მეფენი დარუბანდისანი გ ა ე რ თ ნ ე ს („სპარსთა მეფე ფიქრობდა, რომ სომხითის და კავკასიის მეფეთა შემწეობით გაზრდიდა თავისი ჯარის რაოდენობას, მაგრამ მათ ვერ გაბედეს მ ი კ ე დ ლ ე ბ ო დ ნ ე ნ მას, რადგან ზოგი მათგანი ქრისტიანი იყო, ზოგი კი ეშმაკის მიერ იყო ძლეული [ე. ი. არ იყო ქრისტიანი], როგორც მაგალითად, დარუბანდის მეფეები, და ისინი მ ი ე მ ხ რ ნ ე ნ მას“) 179, 5.

უკანასკნელ წინადადებაში ნახმარი «გ ა ნ რ თ ვ ა დ» მოწმობს იმას, რომ ყველა ზემომოყვანილ შემთხვევაში უნდა გვქონდეს ზმნა -რთ- და ზმნის პირიელი ფორმები ე-პრეფიქსით ვნებითი გვარის ფორმებს უნდა წარმოადგენდნენ. მაშასადამე, აქა გვაქვს ჩვენ საწყისი ფორმები: **გამორთვა** და **განრთვა**.

3. ჰალაკი.

როდესაც ძველქართულ ტექსტებში „ჰალაკი“ შეგვხვდება ხოლმე, მაშინვე აზრად მოგვდის მხოლოდ ის, რომ იგი „კ უ ნ ძ უ ლ ს“ ნიშნავს, იმ დროს როდესაც ეს ყოველთვის ეგრე არ არის. რომ „ჰალაკი“ ყოველთვის „კუნძულს“ არ ნიშნავს, ეს კარგად იცის ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ მ ა, რომელიც წერს: «ჰ ა ლ ა კ ი — კუნძული, გინა ჰალა». აკად. ნ. მ ა რ ი ც „ფიზიოლოგის“ გამოცემაში წერს: „ჰალაკი в нашем памятнике встречается в значении острова (XX_9). Так-то оно означает и прибрежье с лесом или вообще „с растительностью“ (ТР VI, 113 შენ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს ასეა, „ფიზიოლოგის“ ტექსტში, სადაც ორ ადგილას (XX და XXVI თავებში) გვხვდება „ჰალაკი“, ნ. მარი ორსავე შემთხვევაში თარგმნის რუსულად „остров“, იმ დროს როდესაც მეორე შემთხვევაში „ჰალაკი“ „კუნძულს“ არ ნიშნავს: «მონადირჱ რაჟამს სდევნ ჰ ა ლ ა კ თ ა, თაჳუმან მოიკუეთნის საურველნი იგი და მიუთხინის მონადირესა მას».

„ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში რამდენსამე ადგილას გვხვდება „ჰალაკი“ „ჰალის“ მნიშვნელობით:

151, 21: ჰალაკნი და ველოვანნი პირთა მდინარისათა.

173, 2: და ეწყვნეს იგინი ზღჳს კიდესა მას, რომელ არს ჰალაკი, რიყე ხერთვისისა.

235, 9: თავსა ზედა გორისასა, რომელსა მოსდგამს სამხრით ზღუა და ჩრდილოთ ჰალაკი მწყურნები („მთას აკრავს სამხრეთიდან ზღვა და ჩრდილოეთიდან წყალმრავალი ჰალა“).

ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში[1] ნათელია „ჰალაკის“ მნიშვნელობა: ყველგან „ჰალას“ ნიშნავს. მაგრამ განსაკუთრებულის მკაფიოობით მოჩანს მისი ასეთი მნიშვნელობა შემდეგ წინადადებაში, რომელიც ეხება მურვან ყრუს ლაშქრობას ეგრისში და მისი ჯარების დამარცხებას აბაშისა და ტეხურის ნაპირას, ციხე-გოჯთან:

238, 5—10: და ვითარცა აღიარეს ციხე-გოჯი და დაიბანაკეს წყალთა მათ ზედა ორთა, მსგავსად ერთისა, და გარდამოჴდა წჳმა ფიცხელი, აღდგეს მდინარენი სასტიკად; და მიმართა უმცროსმან წყალმან სპასა აბაშთასა და წარიღო მათგან მკჳრცხლი ოცდასამი ათასი. და მიმართა უფროსმან წყალმან მკედართა, რომელთა-იგი ბანაკი იყო უ ჰ ა ლ ა კ ე, რომელნიმე ივლტოდეს ადგილითა და რომელნიმე ხეთა ზედა გაკდეს, და წარიღო ცხენი ოცდათხუთმეტი ათასი. და მიერითგან სახელ-ედვა ორთა მათ მდინარეთა: ერთსა ცხენისწყალი და ერთსა აბაშა.

[1] მ. ბ რ ო ს ე ს ა ც „ქართლის ცხოვრების“ ფრანგულ თარგმანში პირველსა და მესამე წინადადებაში „ჰალაკი“ ესმის როგორც ჰალა (forêt): B r o s s e t, I, 156, 240.

აქ, ჩვენის აზრით, შემდეგი ამბავია გადმოცემული: მურვან ყრუს ჯარები მოადგნენ ციხე-გოჯის მიდამოებს, აბაშისა და ტეხურის (და არა ცხენისწყლის) ნაპირებს, იმ ადგილს, სადაც ეს ორი მდინარე ერთიმეორესთან შეერთებას აპირებს («მსგავსად ერთისა»); მოვიდა დიდი წვიმა, ორივე მდინარე ადიდდა: ერთმა მდინარემ მურვან ყრუს ქვეითა ჯარი, აბაშთაგან შემდგარი, გაანადგურა, ხოლო მეორე მოსდგა ცხენოსნებს, რომლებიც დაბანაკებული ყოფილან უ ფ რ ო ჭ ა ლ ი ა ნ («უჭალაკე») ადგილას და ზოგი მათგანი გაქცეულა, ზოგიც ხეზე ასულა (და ისე გადარჩენილა); წყალმა 35 ათასი ცხენოსანი (მაინც) წაიღო.

აქ სიტყვა „უ ჭ ა ლ ა კ ე“ შეიძლება ნიშნავდეს მხოლოდ „უაღრესად ტყიან ადგილს“, რაც იმითაც დასტურდება, რომ ქვევით არის ნათქვამი: ჯარისკაცები გადარჩენის მიზნით ხეებზე ავიდნენო («ხეთა ზედა გაჴდეს»). აკად. მ. ბროსე ფიქრობს, თითქოს აქ ჯუანშერი გულისხმობდეს ორ მდინარეს შუა შექმნილ ნახევარ-კუნძულს და ამიტომ მცდარად თარგმნის წინადადებას «რომელთა-იგი ბანაკი იყო უჭალაკე» — qui étaient plus avant dans l'île (B r o s s e t I, 242)“.

რომ „ჭალაკს“ ჰქონდა „ჭალის“ მნიშვნელობა, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ხანდახან ერთსა და იმავე წინადადებაში ზოგი ნუსხა კითხულობს „ჭალას“, ზოგიერთი — „ჭალაკს“. ასე, მაგალითად, 324, 19: ოდესცა ნადირობა უნდის ქართლისა ჭ ა ლ ა თ ა. ასეა ანასეულ ნუსხაში. ყველა დანარჩენ ნუსხაში სწერია «ჭ ა ლ ა კ თ ა».

4. გუერდქცეული:

298, 11: ლიპარიტ იწყო საურავთა გ უ ე რ დ ქ ც ე უ ლ თ ა.

იმის გასარკვევად, თუ რას ნიშნავს „გუერდქცეული“, ჩვენ მოგვეპოვება აქ მოყვანილი წინადადების შინაარსისვე შემცველი პარალელური წინადადება:

300, 8: კუალად იწყო ლიპარიტ მათვე ფ ი ც ხ ე ლ თ ა საურავთა.

როგორც ჩანს, „გუერდქცეული საურავი“ და „ფიცხელი საურავი“ შინაარსობლივ ერთი და იგივეა, და უნდა ნიშნავდეს ისეთ საზრუნავს, რომელიც სასტიკია („ფიცხელი“) და რომელიც მიმართულია არა მართალი საქმისათვის. ამისდა მიხედვით მივეცით ჩვენ სიტყვას „გუერდქცეული“ შემდეგი მნიშვნელობა: „გვერდი რომ აქვს აქცეული“, „არა სწორ გზაზე მდგარი“; აქედან გამომდინარეობს «საურავი გუერდქცეული» — „ზრუნვა სალალატო საქმეზე“.

5. ინწუბა:

325, 14: ვითარცა ღორი ი ნ წ უ ბ ა სანგორელსა მწჳრისასა.

რომ გამოთქმა «ინწუბა» უკვე კარგა ხანია აღარ ესმოდათ გადამწერთ, ჩანს იქიდან, რომ მთელი რიგი ხელნაწერები კითხულობენ ამ ადგილს დამახინჯებულად: ინწუნბა, იწუნბა, ინწუნებდა, ანწუნბა. შედარებით სწორი ფორმის დადგენის საშუალებას გვაძლევს ს ა ბ ა ს განმარტება:

მწუბება წუმპეში გორვა.

ზმნა „მწუბება“ კანონზომიერად მოგვცემს ნამყო წყვეტილში **«იმწუბა»**, საიდანაც უნდა იყოს წარმომდგარი ასიმილაციის შედეგად «ი ნ წ უ ბ ა».

თავი მეშვიდე

„ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები

§ 21. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესწავლა. ამ თავში ჩვენ არ ვაპირებთ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა სრული აღწერილობის წარმოდგენას. ასეთი აღწერილობა მოთავსებული იქნება ჩვენი გამოცემის მეორე ტომში, სადაც დამთავრდება „ქართლის ცხოვრების“, როგორც ძველი ისე ახალი შედგენილობის, ძეგლთა ტექსტები და ამ ძეგლთა შემცველი ხელნაწერებიც იქნება შეფასებული.

ჩვენ მიერ გამოყენებულ ნუსხათა ხელნაწერებიდან ს ა მ ი (ანასეული — A, ჭალაშვილისეული — C, მარიამისეული — M) ვახტანგის წინადროინდელია, **XV—XVII** საუკუნეებისა, ხოლო თ ე რ თ მ ე ტ ი (რუმიანცევისეული, თეიმურაზისეული, ჭალაშვილისეული-ახალი, ჯანაშვილისეული, საეკლესიო მუზეუმისა, ფალავანდიშვილისეული, ბარათაშვილისეული, დადიანისეული, სხვიტორული, ბროსესეული და ქუთაისის მუზეუმისა) წარმოგვიდგენენ ვახტანგის მეცნიერ კაცთა მიერ გადამუშავებულ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტს. რაც შეეხება მაჩაბლისეულ ხელნაწერს, რომელზედაც ქვემოთ საგანგებოდ გვექნება საუბარი, ის თუმცა 1736 წელსაა გადაწერილი, მაგრამ „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის (**XIV** საუკუნემდელ) ძეგლებს წარმოგვიდგენს ძველი სახით (როგორც **ACM**).

ეს ნუსხები, გარდა ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერისა, საკმაოდ დაწვრილებით არის შესწავლილი და აღწერილი:

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი	ს ა დ მ ო ი პ ო ვ ე ბ ა მ ი ს ი ა ღ წ ე რ ა
ანასეული — A	ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ. 1945, გვ. 303 შმდ.
	ს. ყაუხჩიშვილი, ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი (წიგნში: ანასეული ქართლის ცხოვრება), თბ. 1942.
ჭალაშვილისეული — C	ივ. ჯავახიშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. XVII შმდ.; ძვ. ქ. საისტ. მწერლობა, თბ. 1945, გვ. 380—404.
მარიამისეული — M	ე. თაყაიშვილი, Описание II, 27—114.
მაჩაბლისეული — m	ს. ყაუხჩიშვილი, ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942, გვ. XXVII—XXXII.
რუმიანცევისეული — R	А. Хаханов, Описание груз. р. Румянцевского музея. М. 1897.
	ე. თაყაიშვილი, Описание II, 8—21.
	კ. გრიგოლია: საქ. მეცნ. აკადემიის მოამბე, ტ. V, № 9, 1944.
თეიმურაზისეული — T	ე. თაყაიშვილი, Описание II, 47 შმდ.
ჯანაშვილისეული — D	მ. ჯანაშვილი, ნაშრომი I.
	ე. თაყაიშვილი, Описание II, 114—132.
საეკლესიო მუზეუმისა — E	თ. ჟორდანია, ქრონიკები I, გვ. VI.
	ე. თაყაიშვილი, Описание II, 21—26.
ფალავანდიშვილისეული — P	კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954, გვ. 168—170, 180—185[1].
ბარათაშვილისეული — b	ე. თაყაიშვილი, Описание I, 202—270.
დადიანისეული — d	ე. თაყაიშვილი, Описание I, 419—517.
სხვიტორული — s	კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ. 1954, გვ. 147—155.

§ 22. დამატებითი ცნობები ზოგიერთ ნუსხათა შესახებ. ზემოთ მოყვანილ ცხრილში არაფერია ნათქვამი ბროსესეული (B) და ქუთაისის მუზეუმის ნუსხათა შესახებ. ბროსე-

[1] დოც. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს ნაშრომში: „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბ. 1954, შესწავლილი და შეფასებულია თითქმის ყველა დანარჩენი ნუსხაც.

სეული ნუსხა, რომელიც ამჟამად საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტის (ყოფ. სააზიო) მუზეუმშია დაცული, გადაწერილია ფალავანდი-შვილისეული ნუსხიდან 1839 წელს («ცხოვრება საქართველოჲსა ვახტანგის მიერ. სვიმონ ტაბიძისაგან გადაწერილი კნიაზ ფალავანდოვისა დედანით გამო 1839») და წარმოადგენს მ. ბროსეს სამუშაო ეგზემპლარს.

რაც შეეხება ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერს (k)[1], იგი, როგორც ირკვევა, გადა-წერილია XIX საუკუნეში ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტიდან. ამაში გვარწმუნებს შემდეგი ფაქტები:

1) პეტრე იბერიელის „ცხოვრება“ ორი ვარიანტით არის წარმოდგენილი ვახტანგი-სეულ ნუსხებში: T-ში მოთავსებულია მოკლე ვარიანტით, ხოლო დანარჩენებში — უფრო ვრცელი ვარიანტით. ბროსემ თავის გამოცემაში დაბეჭდა ორივე ვარიანტი. ქუთათურ ხელნაწერშიც მოიპოვება ამ „ცხოვრების“ ორივე ვარიანტი (იხ. ქვემოთ, გვ. 132—135).

2) მთელი რიგი ჩანართები მოიპოვება მხოლოდ T ნუსხაში (იხ. ზემოთ, გვ. 034); რომელი ამათგანიც ბროსემ შეიტანა თავისი გამოცემის ძირითად ტექსტში, არის აგრეთვე ქუთათურ ხელნაწერშიც.

3) გვ. 295,13—296,17 წარმოადგენს T-ს მიერ ჩართულ ტექსტს მელქისედეკის სიგელიდან; ეს ჩანართი მთლიანად დაბეჭდა ბროსემ „ქართლის ცხოვრების“ გამოცე-მაში, ხოლო T-ნუსხის და სიგელის „ცუქითი“ (295,14) გადააკეთა და დასწერა „წუქეთი“ (ისე როგორც მოხსენებულია ამ სახელწოდების ადგილი „ქართლის ცხოვრების“ სხვა ტექსტში, გვ. 243, 19; 244, 15). ქუთათურ ხელნაწერსაც უწერია აქ „წუქეთი“ და არა „ცუქითი“.

ამგვარი შემთხვევები ნათელ ჰყოფს, რომ ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერი მომდი-ნარეობს ბროსეს მიერ დაბეჭდილი „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან (ხოლო გადამ-წერს ზოგი რამ თავისებურად შეუცვლია) და, მაშასადამე, მას მანუსკრიპტული მნიშვნე-ლობა არა აქვს.

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანი (a). იგი შესრულებულია XII საუკუნის მეორე ნახევარში[2] და ჩვენამდე მოღწეულია რამდე-ნიმე ხელნაწერით, რომელთაგან უძველესი 1279—1311 წლებს შორის არის გადაწერილი. ბუნებრივია, რომ „ქართლის ცხოვრების“ XII საუკუნის სომხური თარგმანის XIII საუ-კუნის ხელნაწერს ჩვენ მივაკუთვნეთ დედნის მნიშვნელობა და ზოგიერთი მისი ვარიან-ტული ჩვენება მოვათავსეთ კრიტიკულ აპარატში.

§ 23. მარიამისეულისა და მაჩაბლისეული ნუსხების ურთიერთობისათვის. ჯერ კიდევ 1942 წელს ვწერდით ჩვენ, რომ მაჩაბლისეული ნუსხა ახლოსა დგას მარიამისეულ ნუსხასთან თავის ძველ ნაწილში. ამ ორი ნუსხის ახლო ნათესაობის მაჩვენებელია შეხვედ-რები როგორც კითხვა-სხვაობებში, საერთოდ, ისე შეცდომებში, კერძოდ, მაგალითად:

M	m
არჩილის წამება და მეფეთა ცხორება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველამან დედასა ასეთნი ეწერა (244, 20-21 შენ).	არჩილის წამება და მეფეთ ცხოვრება და ნინოს ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმან დედას ასეთნი ეწერა.

Mm	ვახტანგისეულ ნუსხებში
მოერთო ბურტა, ძმა კეისარ ქათალიკოზისა, გიორგი მეფესა (268, 12).	მოერთო შურტა, ძმა კჳრიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა.

[1] ამ ხელნაწერის მოკლე აღწერილობა იხ. ჩვენს გამოცემაში: „ანასეული ქართლის ცხოვრება“, თბ. 1942, გვ. XXXVII.

[2] იხ. პროფ. ილ. აბულაძის გამოცემა: „ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი. ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით“. თბ. 1953, გვ. 020.

მაჩაბლისეული ნუსხა იმეორებს, დავით აღმაშენებლის ისტორიის შემდეგ M-ში მოთავსებულ „სუმბატ დავითის-ძის ქრონიკას“ (m 373—394); იმეორებს იმ ლექსსაც, რომელიც მოსდევს ამ „ქრონიკას“ M-ში:

სახელი ღ(მრ)თისა მაღლისა მე დიდებითა მიქია.
აქა კორციითა ვადიდებ, სულითა ვმონებ იქია.
ჩემზედა შემწედ ამყოფოს წმინდა გაბრიელ მიქია
და მძლავრსა არ მიმცეს ბოროტსა, არა მტანჯუიდეს იქია.

ამგვარად, მაჩაბლისეული ნუსხა იშვიათის ზედმიწევნილობით იმეორებს M-ის შეც-დომებს[1]. მაგრამ არის ისეთი განსხვავებაც ამ ორ ნუსხას შორის, რომ m არ შეიძლება იყოს M-ისაგან გადაწერილი, მაგალითად:

1) 128, 3: და დამარხეს მღვჳთ შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისსა, რამეთუ მ უ ხ ი თ ხ ო ვ ა თ ჳ თ დაფლვა მეფისაგან.

ხაზგასმული სიტყვები ასეა წარმოდგენილი Mm-ში:

M 281	m 170
რამეთუ **მუნით ხოვლით** დაფლვა მეფისაგან.	რამეთუ **თჳთ ითხოვა მუნ** დაფლვა მეფისაგან.

რომ გიორგი მაჩაბელს ხელთ ჰქონოდა M და არა რომელიმე სხვა ნუსხა, ის ვერას-გზით ვერ ამოიკითხავდა M-ის ტექსტიდან «**თჳთ ითხოვა მუნ**». M-ის ტექსტის ისტორია ასეთი უნდა იყოს: მუნით ხოვ**ლით** ← მუნ ითხოვა: **თთ**, ე. ი. **მუნ ითხოვა თ(ჳ)თ**.

ხოლო იმ ნუსხაში, რომელიც ხელთ ჰქონდა მაჩაბელს, სიტყვები გადასმული იყო: «თჳთ .... მუნ», სწორედ ასეთი წყობა აქვს C-ს: «**თჳთ** ითხოვა დაფლვა **მუნ**».

2) 183, 8: ვინ უწყის, თუ დ ა ს ჯ ე რ დ ე ს ბერძენთა მეფე ქმნულსა ჩუენსა.

M 367	m 225
ვინ: უწყის: თუ: და: სეერდეს: ბერძენთა მეფე ქმნულსა ჩუენსა.	ვინ უწყის თუ დასჯერდება ბერძენთ მეფე ქმნულსა ჩუენსა.

«და: სეერდეს» მოწმობს იმას, რომ დედანში „ჯ“ ისე ყოფილა დაწერილი, რომ იგი „ე“-ს ჰგავდა. M-ს იგი ვერ ამოუკითხავს, m-ს კი წაუკითხავს სწორად.

არის კიდევ რამდენიმე შემთხვევა „ჯ“-სა და „ე-ს აღრევისა. რიგ შემთხვევებში m-ს სწორად აქვს ამოკითხული „ჯ“, ზოგიერთ შემთხვევაში მასაც M-ის მსგავსად „ე“ წაუკითხავს:

192, 2: დაჯერებულ (M: დაეერებულ)	172, 1: ჯობნასა (M: ეობნასა, m: ეობანსა)
243, 13: კლარჯეთს (M: კლარეეთს)	185, 12: ჯუანშერ (Mm: ეუანშერ)
306, 16: ჯავახეთს (M: ეავახეთს)	244, 11: კლარჯეთს (M კლარეეთს, m კალარეეთს)
317, 11: ჯუარისათა (M: ეუარისათა)	
327, 4: უსჯულოებასა (M: უსეულობასა)	
376, 25: კლარჯეთსა (M: კლარეეთსა)	

3) 248, 6: მ ო ი პ ა რ ე ს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს დიდითა პატივითა, და დამარხეს ნოტკორას.

M 437	m 275
მოიპოვეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი	მოიპს გუამი წ(მიდ)ისა მოწამისა არჩილისი

როგორც ჩანს, Mm-ის დედანში ყოფილა «მ ო ი პ ს», რაც M-ს წაუკითხავს «მ ო ი-პ ო ვ ე ს», ხოლო m-ს ვერ გაუგია და ისევე დაუტოვებია.

4) 268, 21: ვითარცა იხილა კჳრიკე ქორეპისკოპოსმან, რამეთუ არღარა იყო ღ ო ნ ე მისი, ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა, და დაულოცა კახეთი გიორგი მეფესა.

[1] უფრო დაწვრილებით იხ. ანასეული ქართლის ცხოვრება, თბ. 1942, გვ. XXIX—XXXIII.

M-ში «ლონე»-ს მაგიერ სწერია «მუ´ნე», ხოლო m-ში არის «ლონე». ჩანს დედნის ლu M-ს წაუკითხავს როგორც ლu.

5) 306, 1: ხოლო ლიპარიტ მიიცვალა საბერძნეთს... და წარმოიყვანეს დიდითა დიდებითა...

M 496	m 317
წარმოიყუანეს დიდითა დიდებითა	წამ[ო]ილეს დიდითა დიდებითა

M-ის წაკითხვა მისდევს AC-სას, ხოლო m-ში ისევეა, როგორც ყველა დანარჩენ ნუსხაში.

6) 151, 5-6: და დაუტევნა განმგებელად სამეფოსა თჳსისა დედა მისი საგდუხტ და დაჲ მისი ხუარანძე, და დაწერა ანდერძი ესრეთ

M 313	m 191
დაუტევნა განმგებლად სამეფოსა მისისა და დედა მისი საგდუხტ და დამისცა ხუარანძე და დაწერა ანდერძი ესრეთ.	და უტევნა განმგებლად დედა მისი სამეფოსა მისსა საგდუხტ და და მისცა ხუარანძე და დაწერა ესრეთ ანდერძი.

7) მაჩაბლისეულ ნუსხაში განსხვავებულად არის მოყვანილი მინაწერი:

M 636	m 427
რუსეთის ბატონიშვილი.	რუსეთის ბატონიშვილი მოიყვანეს.

მაჩაბლისეული ნუსხის გადამწერის ანდერძიდან ჩანს, რომ მას დედნად ჰქონია „ქართლის ცხოვრების“ ძველი ნუსხა არჩილ მეფის ნაქონი[1]. საფიქრებელია, რომ ამ დედნის მინაწერებში სადმე მოხსენებული იქნებოდა „არჩილი“. მარიამისეულ ხელნაწერში კი ბევრგან მოიპოვება იმის კვალი, რომ ის ვახტანგს ჰქონია ხელში: რომ ის „არჩილის ნაქონიც“ ყოფილიყო, ამის კვალიც იქნებოდა; მეორე მხრით, რომ მაჩაბელს მარიამისეული ნუსხა ჰქონოდა დედნად, შეუძლებელია მას ანდერძში არ მოეხსენებინა, რომ ეს დედანი ხელთ ჰქონდა ვახტანგს ჯერ კიდევ მისი ბატონიშვილობის დროს.

ზემოთქმულის მიხედვით ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ორივე ნუსხა, მაჩაბლისეული და მარიამისეული, უნდა მომდინარეობდეს ერთისა და იმავე დედნიდან, რომელიც ან თვითონ არის „არჩილის ნაქონი“, ან საიდანაც „არჩილის ნაქონი“ ნუსხაა გადაწერილი.

[1] «მე ფრიად ცოდვილი გიორგი მაჩაბელმან დავწერე წმიდა ესე ქართლის ცხოვრება დიად ძველი იყო, მეფის არჩილის ნაქონი...» (m 665).

ქართლის ცხოვრება

გამოყენებულ ნუსხათა სია

A ანასეული ნუსხა — Q-795*, XV საუკუნისა

C ჭალაშვილისეული ნუსხა — Q-207, XVI საუკუნის მეორე ნახევრისა

M მარიამისეული ნუსხა — S-30, 1633—1646 წლებისა

R რუმიანცევისეული ნუსხა — H-2080, 1703 წლამდე

T თეიმურაზისეული ნუსხა — № 13 ლენინგრადის კოფ. სააზიო მუზეუმისა, XVIII ს. პირველი მეოთხედისა

c ჭალაშვილისეული ნუსხის ახალი ნაწილი — Q-207, 1731 წლისა

m მაჩაბლისეული ნუსხა — H-2135, 1736 წლისა

D ჯანაშვილისეული ნუსხა — S-4770, XVIII ს. შუა წლებისა

P ფალავანდიშვილისეული ნუსხა (მისი ძველი, ნუსხა-ხუცურით დაწერილი, ნაწილი) — H-988, 1719—1744 წლებისა

P[1] (=p) ფალავანდიშვილისეული ნუსხა (მისი ახალი, მხედრულად დაწერილი ნაწილი) — 1761 წლისა

d დადიანისეული ნუსხა — S-354, XVIII ს. შუა წლებისა

E საეკლესიო მუზეუმისა — A-131, 1748 წლისა

B ბროსესეული ნუსხა — № 41 ლენინგრადის კოფ. სააზიო მუზეუმისა, 1839 წლისა

b ბარათაშვილისეული ნუსხა — S-25, 1761 წლისა

s — სხვიტორული, XVIII საუკუნის მეორე ნახევრისა

k ქუთაისის სახ. ისტორიული მუზეუმისა — № 441, XIX საუკუნისა.

n — მატიანისეული ნინოს ცხოვრება, შეტანილი ქართველ მოწამეთა კრებულში (A-130, 1713 წლისა და სხვ.)

a — ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი — 1279—1311 წწ. ხელნაწერი

v = ვ ა ხ უ შ ტ ი (საქართველოს ისტორია).

* ლათინური ასოებით აღნიშნულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდები: S — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკის ფონდი, H — საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის ფონდი, Q — საქ. სახ. მუზეუმის ახალი ფონდი, A — საეკლესიო მუზეუმის ფონდი.

[ნაწილი პირველი: ცხოვრება ქართველთა მეფეთა]

M 95 ვიწყო[1] მითხრობად

ცხოვრებასა ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა

[თავი პირველი]

[ამბავი რვათა ძმათა]

ხოლო იხილა რაჲ ესე ბასილი, შეიქცა თრიალეთით, და უკმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა T142b შინა ზამთრი|სათა, და კუალად უბოროტესად ადრე **შურისგებით მოაოკრნა ქუეყანანი იგი.** წარვიდა და დაიზამთარა ქუეყანასა ხალდსა, მახლობელად ქალაქსა ტრაპეზონთასა. და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი **ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათჳს ერთმანერთსა წინაშე, მშჳდობისა** და სიყუარულისათჳს.	ხოლო იხილა რა ესე ბასილი მეფემან, შეიქცა თრიალეთით, და უკმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა, და კუალად უბოროტესადრე (სუმბ.: უბოროტეს ადრე) მოაოკრა და წარვიდა; და დაიზამთრა ქუეყანასა ხალდასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს მათ შორის მოციქულნი ზავისა და სიყუარულისათჳს.

(T-ს ტექსტში ჩვენ მიერ ხაზგასმული ადგილები რედაქტორს ამოუღია ACMm-ის ტექსტიდან გარდა უკანასკნელისა [«ორთავე ამათ მეფეთანი.....»), რაც სუმბატის „ქრონიკიდან“ ამოუღია.

1 წარვეზი C, წარვაზი Mm, წარვიზი + ძე ფოკას განდგომილისა და მეფე იქმნა ქსიფენ cet. (+ სუმბ.). 1 წარიდგინეს CMm, მოვლო A, მიიდგნეს Bdp, მიიდგინეს მათ cet. (+ სუმბ.). 1 ქუეყანით C. 1 ქუეყ. აღმ. ACMm, ყოველი აღმოსავლეთი კერძი ქუეყანა cet. (+ სუმბ.). 1-2 და დიდად — გარნა ACMTm, < cet. 2 ბასილი + მეფე C. 2 პატივ-სცა ღმ. მასვე ACMm, ხოლო ღმერთმან ბასილის დიდად შეშინებულსავე პატივ-სცა cet. (+ სუმბ.). 2 წარვეზი და ქასიფე C. 3 განადგეს C. 3 მირ. იყვნეს] მირთვოდეს C. 3 და გადგეს — ქსიფეს < A (ex hom.). 3 მიუგო A. 3 ცრუება MTm. 2-4 და მოკლა — ციხესა ACMTm, რამეთუ განუდგა ქსიფენს წარვიზი და ყოველნივე ერნი მისად მიმდგომელნი და მოკლეს ქსიფენ cet. 4 ციხესა + ყოველნივე ერნი მისად მომდგომელნი შეიცვეს ციხესა შინა T (სუმბატის „ქრონიკიდან“). 4 დალასანოთა Ed, დასალასანიოსათა Mm. 4 ბუკასის A, ფოკასის T, ფოპასის Mm. 41 შეიპყრეს + და წარმოგზავნეს წინაშე T (სუმბატის „ქრონიკიდან“).

---

[1] სუმბატის „ქრონიკაში“ არ სწერია, რომ 1) ქსიფემ მოკლა წარვიზი, და 2) დალასანოსებმა შეიტყუეს ციხეში ქსიფე. ორივე ეს ცნობა მოიპოვება კედრენეს „ქრონოგრაფიაში“: «ქსიფიამ... სთხოვა ერთ დღეს მოსულიყო მასთან მოსალაპარაკებლად; ფოკა რომ მოვიდა მასთან, ქსიფიას წინასწარ მოემზადებინა მისთვის მახე და მოკლა იგი... ფოკას სიკვდილი რომ შეიტყო მეფემ, გაგზავნა თეოფილაქტე, დამიანე დალასენოს ძე (*Δαμιανοῦ τοῦ Δαλασσηνοῦ υἱός*). თეოფილაქტემ შეიპყრო ქსიფია და შებორკილი მოჰგვარა სამეფო ქალაქში...» (კედრენე, II, 477-478).

გუარეს ბასილი მეფესა, და მან ექსორია ყო კუნძულსა რომელსამე. და მისთანათა მრავალთა მოჰკუეთა თავი მახჳლითა, რომელთა თანა იყო ფერის[1], ძე ჯოჯიკისი, ნათესავით ტაოელი, და სხუანი იყვნეს ბერძენნი.

A 304 C196a M 476 კუალად შემოიქცა ბასილი, მოვი|და ბასიანს, ითხოვდა ქუეყანათა და ციხე|თა, და აღუთქმიდა ზავსა და მშჳდობასა. ცნა რა გიორგი მეფემან წარავლინ|ა ზჳადი ერისთავი სპითა მისითა და უბრძანა, რათა[მცა] ზავის მიპყრობითა მცირედ-ხან დაიმჭირვა ადგილსა, და თჳთ წარუდგა უკანა სპითა ძლიერითა. და განიზრახვიდა ესრეთ: „უკეთუ ინებოს ზავი ბასილი მეფემან, იქმნეს ესრეთ; და უკეთუ ინებოს ომი, განვემზადნეთ მისთჳსცა“. ხოლო რომელთა არა უნდა ყოფად მშჳდობისა, იწყეს განმზადებად ბრძოლად. და მივიდეს ბასილი მეფესა ზედა დაბანაკებულსა, რომელსა უწოდიან სჳნდაქსად[2].

იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ლაშქრისა მისისა. განუწყრა ბასილი მეფე, უბრძანა მოყვანებად მელისა ცხოვრებისა, და მანდილი წმიდა დადვა ქუეყანასა ზედა, და თქუა: „უკეთუ მიმცე კელთა მტრისათა, არღარა ვიყო თაყუანისმცემელ თქუენდამი უკუნისამდე“. და ვითარ გაგრძელდა მათ შორის ბრძოლა, კუალადცა მეოტ იქმნნეს

---

1 რომელსამე AC, რასამე cet. 1 და + მიმდგომთა T (სუმბატის „ქრონიკიდან“). 1 მახჳლითა < C. 2 ფერის ACT, ფეზისი Mm, ფერიზ cet. 2 ჯოჯიკესი C. 3 ნათესავი Ds. 4 ბასილი CMm, + მეფე cet. 4 ითხოვდა + იგი გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანა T + სუმბ. 5 ცნა] ხოლო ცნა T. 5 წარავლინა] განავლინა T + სუმბ. 6 მისითა < Mm. 6 სპითა მისითა + და ლაშქრითა დიდითა უწინარეს თჳსსა T (ex სუმბ.). 6 რათა codd. 6 მცირედ ხანს C. 6-7 დაიმჭირვა ადგილსა A, < C, დასჭირვად ადგილისა cet. 7 ადგილსა + დაილაშქრა ზჳიადმანცა ამიერ კიდესა ბასიანისსა. რეცა ზამთრის სახედ T (ex სუმბ.). 7 და თჳთ ACDMm, და (T: ხოლო) თჳთ გიორგი მეფე cet. 7 წარუდგა] წარვიდა წარდგომად A, < T. 7 უკანა ACDMTm, უკანით cet. 7 ძლიერითა + განვიდა ზავად ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა T (ex. სუმბ.). 7 განიზრახეს C. 8 ენებოს C. 9 მისთჳსცა AC, მისთჳს cet. 10 ბრძოლად CMm, ბრძოლა A, ბრძოლად + გარნა ორკერძოვე მზაკვარნი იგი აზნაურნი არა მიეშვნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა უნდოდათ მშჳდობა T (ex სუმბ.), ბრძოლად + რამეთუ არა უნდოდათ მშჳდობა cet. 10 მეფისა დაბანაკებულსა ზედა A. 10-11 სჳნდაქსად CT, სჳნაქსად A, სვინდაქსარ Mm. 11 სჳნდაქსად ACMm, + არამედ აზრახეს მას (T; მეფესა გიორგის cet.) ბრძოლად, იწჳეს (Db: აწჳეს) იგი ბასილის ზედა, რომელი-იგი ზავად და მშჳდობად ჰგონებდეს მისულასა მათსა, და მოელოდა cet. (ex სუმბ.). 12 და აოტეს] დაუტევეს M, და დაუტევეს m. 12 იწყეს — მისისა ACMm, ხოლო გიორგისთა იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა. მაშინ უბრძანა ბასილი მეფემან დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა წერილი მათი, რომელნი (T; რომელი cet.) მისად დაუწერნეს გიორგი მეფესა (T: + ჩუენსა) სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფემან ჰოროლის წუერითა ამართნა იგინი (T; იგი cet.), მიუპყრა ღმერთსა და ჰრქუა: „იხილე, მეუფეო, წერილი ესე მათი და საქმე რომელ აწ იქმნა“ (სუმბ.: რომელსა აწ იქმან) cet. (ex სუმბ.). 12-13 განუწყრა—ცხოვრებისა ACMTm, <cet. 13 მოყვანებად] მოღებად A. 13 მანდილი] მადლი A. 13-14 და მანდილი — თქუა ACMm, და კუალად მოიღო ბასილი მეფემან ძელი ცხოვრებისა მანდილითა წმიდითა და დასცა იგი ქუეყანასა ზედა და თქუა ესრეთ ვ̃დ cet. (ex სუმბ.). 14 მიმცე A, მიმეც Mm, მიმეცი C, მიმცე მე cet. 14 ჴელთა მტერისათა C, ჴელსა მტერთასა A, ჴელსა მტრისასა Mm, ჴელთა მტერთასა cet. (+ სუმბ.). 14-15 არღარა — უკუნისამდე ACMTm (T, ამას გარდა, უმატებს იმასაც, რაც დანარჩენ ნუსხებშია სუმბატის „ქრონიკიდან“ შეტანილი: «და არღარა თაყუანის მცე შენ უ̃კე»), არღარა თაყუანის მცე შენ უკუნისამდე cet. (ex სუმბ.). 14 თქუენდამი C, თქუენდა მე MTm, თქუენ თანა A. 15 უკუნისამდე] უკუე Mm. 15 ∼ ბრძ. მათ შორის A, მათ შინა ბრძოლა T.

---

[1] «ფერის ჯოჯიკის ძე» მოხსენებულია გიორგი ათონელის „ცხოვრებაში“. მას «რისხჳთა ბასილი მეფისათა თავი წაეკუეთა, რამეთუ განდგომილებაჲ დასწამეს» (იხ. ათონის კრებული, გვ. 290). კედრენეც გვიამბობს, რომ ბასილი მეფემ მოჰკლა «პატრიკიოსი ფერზი (*τὸν πατρίκιον Φέρσην ἀπέκτεινε*), რომელიც ყველაზე უწინარეს მიეკედლა აჯანყებულებს» (კედრენე, II, 478).

[2] „სჳნდაქსი“ = *σύνταξις* („საბრძოლველად დარაზმვა“, „ბრძოლად განმზადება“).

სპანი ქართველთანი და წარმოვიდეს მეოტად, მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახჳლი-
C196b სათა; | და რომელნიმე ტყუე იქმნნეს. და წარიღეს ავარი დიდძალი და განძი სამეფო,
A 305 რომელი ჰქონდა | თანა.

და წარმოუდგა უკანა ბასილი მეფე. ხოლო კუალადცა იწყეს ზავად, ვითარცა
M 477 პირველ; რამეთუ შიში დიდი აქუნდა საბერძნეთით | განდგომისა. და ყვეს მშჳდობა
და დაიზავნეს, და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ წელიწდისა
სამისა და ციხენი რომელ პირველ გაეცნეს აზნაურთა დაუცალნა და მისცნა; სხუანიცა
ციხენი პირველ მიცემულნი და უკანის თოთხმეტნი; და ქუეყანა, რომელი ჰქონდა
დავით კურაპალატსა ტაოსთა, ბასიანს, კოლა-არტანთა და ჯავახეთს. ხოლო რომელნიმე
ამა ქუეყანათაგან ეკლესიანი, სოფელნი და ადგილნი დაულოცნა გიორგი მეფესა. და
წარვიდა ბასილი მეფე და თანა წარიყვანა ბაგრატ უფლისწული მძევლად ძე გიორგი

1 ქართველთანი A, ქართლისანი C, საქართველოსანი Mm, გიორგისნი cet. 1 წარვიდეს Mm. 1 და მოისრნეს CMm. 287, 15 — 288, 2 და ვითარ — ტყუე იქმნნეს ACMm. [ვახტანგის შემდეგდროინდელ ნუსხებში იგივე ტექსტი წარმოდგენილია მთლიანად სუმბატის „ქრონიკის“ მიხედვით, ხოლო T-ში ნარევი სახით, როგორც ეს იყო ზემოთ:]

T	დანარჩენი ვახტანგისეული ნუსხები
და ვითარ ესე ყო და თქუა, და ვითარცა განგრძელებულ იყო მათ შინა ბრძოლა ამას სიტყუასა ზედა, მყის მასვე ჟამსა იძლივნეს და კუალადცა მეოტ იქმნეს სპანი გიორგისნი და ლაშქარნი საქართველოსანი, რომელნი-იგი პირველად მივიდეს.	და ვითარ ესე ყო და თქუა, მყის მასვე ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგი მეფისანი, რომელნი-იგი პირველ მივიდეს.
და გამოვიდეა მიერ-კერძო ტაღმანი მეფისა რუსნი და არა განერა ერთიცა პირველ მისრულთა მათ, თჳნიერ მცირედისა *.	და მოისრნეს ურიცხჳნი პირითა მახვილისათა და რომელნიმე ტყუე იქმნნეს.
რამეთუ თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყვნეს ჯერეთ ყოვლადვე. და მოიკლნეს მათგანი მას დღესა შინა, რომელთაცა მშჳდობისა ყოფაჲ არა ენებათ.	რამეთუ თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყვნეს ჯერეთ ყოვლადვე და იგინიცა მოისრნეს (D: მოიკლნეს) მას დღესა შინა, რომელთაცა მშვიდობისა ყოფა არა ენებათ.
და მ[ე]ოტ იქმნნეს ყოველნი და მოისრნეს ურიცხვნი პირითა მახჳლისათა: რომელნიმე ტყუე იქმნნეს, რომელნი მეოტ იქმნნეს *.	

2-3 წარიღეს — თანა ACMm, წარიღეს ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეუფო (T: სამეფო) ყოველი სრულიად, რაოდენი (T: რომელი) აქუნდაჲ ქართველთა მათ (ქ. მ. < T) cet. 4 და წარმოუდგა უკანა ACMm, და წარმოიძრა მცირედ ბასილი მეფე ბერძენთა (< D) და მოუდგა უკანა მეფესა გიორგის cet. (+ სუმბ.). 4 ~ ბ. მ. უკანა A. 4 ზავებად C. 4 ხოლო კუალადცა ACMTm, და კუალად cet. (+ სუმბ.). 4 იწყეს ზავად ACMTm, იწყო ზავი და მშჳდობა cet. 4 ვითარცა ACMTm, < cet. 5 პირველ ACMm, პირველისაებრვე cet. 5 დიდი ACMTm, < cet. 5 საბერძნეთით ACMTm, ბერძენთა cet. 5 ყვეს ACMm, + მაშინ cet. 6 წელიწდისა AC, წლისა cet. 7 რომელ AC, რომელნიმე cet. 7 დაუცალნა C, დაულოცნა cet. 7 და მისცნა < AMm. 8 თოთხმეტნი C, იადნი A (← ი˝დ-ნი), თხუთმეტნი Mm, ვითარ (ა)თოთხმეტნი cet. 9 დავით < A. 9 ტაოსთა A, ტაოს cet. 9 ბასიანს < ACMm. 9 კოლარტანთა C, კოლა-არტანთა T, კოლატანს Mm, არტანთა A, < cet. (< სუმბ.). 9 ჯავახეთს ACMm, + შავშეთს cet. 10 ამა AC, ამათ cet. 10 ქუეყანათაგან + იძლივნეს და კუალად A. 10 ~ დაულოცნა ეკლ. სოფ. ... A. 10 და C, ხოლო A, < Mm, და ესრეთ cet. 11 ბას. მეფე CT, თჳთ A, < cet. 11 თანა A, < cet. 11 მძევლად + წინაშე Bdp.

* ხაზგასმული სიტყვები რედაქტორს დამატებით ამოუღია სუმბატის „ქრონიკიდან“ (§ 89).

მეფისა ჩუენისა. აღუთქუა ფიცითა აღთქმა, ვითარმედ: „წელსა მესამესა გამოგიგზავნო
C197a მე შენი“. და იყო სამ წელ ქალაქსა სამეფოსა კოსტანტინეპოლეს. და წე|ლსა მესამესა
გამოგზავნა, ვითარცა აღუთქუა.

რაჟამს მოიწია მამულსა და სამეფოსა თჳსსა, მოჰყვა თანა კატაბანი აღმოსავლეთისა ვიდრე საზღვართამდე მამულისა მისისა. და ვითარ შეიქცა გარე, მოეწია სწრაფით მანდატური და მოართუა კატაბანსა წიგნი კოსტანტინე მეფისა [1], რომელსა წერილ
A 306 იყო ესრე სახედ, ვითარმედ: „განგებითა ღმრთისათა | მიიცვალა სანატრელი ძმა ჩემი,
M 478 ბასილი მეფე, და ნ|აცვლად მისსა ვიქმენ მე მეფედ ყოველსა საბერძნეთსა. აწ უკუე,
სადაცა მიწევნულ იყოს განსაგებელსა ჩემსა ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა კელმწიფისა, შეაქციეთ სწრაფითა დიდითა, რომელ მოიწიოს წინაშე ჩუენსა“.

ხოლო მან, ვითარცა წარიკითხა ბრძანება მეფისა, ენება, რათამცა შეაქცია გარე ბრძანებისაებრ მისისა. შეიქცა სწრაფით, დევნა უყო უკანა. რაჟამს მიეახლა, იხილა, რომელ სიმრავლე დიდძალი მიგებებულ იყო წინა: დიდებულნი, ერისთავნი და აზნაურნი ტაოელნი, მესხნი და ქართველნი, რომელთა არა იყო რიცხჳ სიმრავლისა
C197b მათისა. შეიქცა გარე და უთხრა მანდატურსა, რომელი მიწეულ იყო: „უკე|თუ მალ გიც
შენ, აქციე, ჩემგან კულა ესე აღარა ეგების“.

288, 4—1 და წარმოუდგა — მეფისა ჩუენისა] T-ში ეს ნაკვეთიც წარმოდგენილია შერეული სახით, როგორც ზემოთ მოყვანილ ნაკვეთებშია (ე. ი. ვახტანგისეული ტექსტი შევსებულია ACMm-ის ვარიანტებითაც და სუმბატის „ქრონიკითაც“). 1 ესრეთ ვითარმედ DC. 1 გამოვგზავნო b. 2 სამეფოსა ACMTm, სამეუფოსა cet. 3 წარმოგზავნა Bdp (+ სუმბ.). 3 გამოგზავნა + ქალაქით კოსტანტინეპოლით T. 4 რაჟამს AMm, < C, ხოლო რაჟამს cet. 4 მოიწია მამულსა A, < C, მოიწივნეს ტაოს, შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას T (+ სუმბ.). 4 რაჟამს — თჳსსა] და წარმოატანეს თანა C. 4-5 მოჰყვა — მამულისა მისისა (თჳსისა) < s (ex hom.: თჳსსა ..... თჳსისა). 4-5 აღმოსავლისა + და მოჰყვა C. 5 საზღურამდე A. 5 მისისა AC, თჳსისა cet. 5-6 და ვითარ — მოართუა] ხოლო შერაჲქცა კატაბანი იგი, მიემთხვივნეს მას მანდატურნი და მოართვეს D (ex სუმბ.). 5-6 სწრაფით AC, მსწრაფით T, მსწრაფლ Mm, მოსწრაფებით cet. 6 და მო[ა]რთო კატაბანსა (და მოართო) წიგნი A. 6 კაბატანს Mm. 6 კოსტანტი A, < C. 6 მეფისა < C. 6 რომლისა Bdp. 7 ესრე სახედ Bbdp, ესრეთ C, ესრეთ სახედ cet. 7-8 ძმა — მეფე Mm, ეფე ბასილი ჩემი ძმა A, ბასილი მეფე ძმა ჩემი cet. 8 მისა A. 8 ვიქენ M. 8 მე AC, < cet. 8 ყოველსა + ზედა A. 9 სადატა M (ღ←ღ). 9 მიწევნილ C. 9 იყო A. 9 ჩემსა CDMm, შენსა A, ჩუენსა საჴელმწიფოსა შინა T (ex სუმბ.), ჩუენსა cet. 9 გიორგი + მეფისა A. 9-10 ჴელმწიფისა] მეფისა D. 10 შეაქციე A, შემოაქციე C, გარევე შეაქციეთ T (ex სუმბ.). 10 რომელ — ჩუენსა] რათა მოვიდეს ჩუენ თანა A. 10 შეაქციეთ — წინაშე ჩუენსა] გარევე აქციე იგი სწრაფით და წინავე ჩუენსა მოგზავნე D (+ სუმბ.). 11 წარიკითხა + წიგნი იგი C, აღმოიკითხა D (+ სუმბ.). 11 ბრძანება მეფისა ენება] ბრძანა ვნება Mm. 11 შეაქცია AC, შეაქციეს cet. 12 მისისა AC, მეფისა cet. 12 უყო + ბაგრატს DT (ex სუმბ.). 11-12 ენება — უკანა] მსწრაფლ მოიქცა იგი და დევნა უყო ბაგრატს გარნა ვერ უძლო უკმოქცევა ბაგრატისა D (ex სუმბ.). 12 უკანა + გარნა ვერ ეწია მას. რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო იგი და განძლიერებულ ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერაჲ ეძლო კატაბანსა მას და T (+ სუმბ.). 13 მიგებებულ იყო AC, მიგებებულნი cet. 12-13 რაჟამს — წინა] შემოსრულ იყო და მიჰგებებოდა სიმრავლე ერისა D. 13 დიდებულნი წინა A. 13 ერისთავთ-ერისთავნი და ერისთავნი A, ერ.-ერისთავნი და აზნაურნი C, ერ[.]ნი და აზნაურნი Mm, ერისთავნი და აზნაურნი cet. 14 მესხნი] მეხნი M (შდრ. Н. Марр, ТР IV, 54). 15 მანდატურსა AC, მას მანდატურსა cet. 15 რომელი AC, რომელ cet. 15 მიწეულ იყო] მიწევნულ იყო Mm, მიეწია C, მოწეულ იყო + დასტირითა A, მიწეულ იყო + დასტიდარითა cet. 15 გაც Mm. 16 აქციე] დააბრუნე C. 16 კულა ესე < C. აღარა AC, არ(ა) cet. 15-16 შეიქცა გარე — ეგების] რომლისა ბრძოლად ვერაჲ ეძლო კატაბანსა მას აˊდ გარე უკუნიქცა და წარვიდა D (+ სუმბ.).

[1] არშიაზე: კოსტანტინე კეისარი, ძმა ბასილისა Rs.

ჳ, დიდი საკჳრველება და მოწყალება ღმრთისა! ვითარ მეის განერა მართალი
ჴელთაგან მათთა, რომელთა ენება ზაკჳთ შექცევა მისი. და თუ ვისმე გენებოს განცდად
ესევითართა, შეწევნითა ღმრთისა-მიერითა იხილეთ და განიცადენით ურიცხუნი ჴელის
A 307 აპყრობანი ღმრთისა-მიერნი ამას დიდსა ბაგრატს აფხაზთა მეფესა ზე|და, რომელნი
M 479 არავის ზედა მოწევნულ იყვნეს სხჳსა მეფისა, რომლისათჳ|ს ჟამსა და ჟამსა გაუწყოს
წინამდებარემან სიტყუამან.

ვითარ უკუე მოიწია წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა, სახლად მათდა
ქუთათისს, იხილეს მშობელთა მისთა შვილი მათი მსგავსი განუცდელისა და მიუთხრო-
ბელისა სიკეთისა მათისა, ყოვლითურთ შუენიერი, რომლისა სიკეთისა მისისათჳს
შეუძლებელ არს კაცთაგან მითხრობა. იხილეს რა, განიხარეს სიხარულითა მიუთხრო-
ბელითა და შეწირეს მადლობა ღმრთისა მიმართ. იყო ქრონიკონი მას ჟამსა ორას
ორმოცდახუთი.

[1] ამისა შემდგომად წარვიდა პატრიაქი მელქისედეკ კოსტანტინე მეფისა წინაშე კოსტან-
ტინეპოლედ. შეიწყნარა მეფემან ბერძენთამან კოსტანტინე(მ) და მოსცა შესამკობელნი ეკლე-
სიათა, ხატნი და ჯუარნი, და ყოველი სამღდელთმთავრო და სამღდელო სამკაული. მოვიდა ქუე-
ყანასა და სამწყსოსა თჳსსა და იყიდა სოფლები ტაოს: ზადკარეკი ხუთითა აგარა[ჲ]თა, და
ბაღლის-კევს იყიდა სოფელი ოროთა სამითა აგარა[ჲ[თა. ესე ორნივე სოფელნი მათითა აგა-
რა[ჲ]თა თჳსთა მმათა გახმითა იყიდა. და კლარჯეთს მოიგო სოფელი ერთი სხლოანი. და შავ-
შეთს მოიგო სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი. და ჯავახეთს მოიგო სოფელი
T145a ტონთიო. და კოლას მოიგო და დააშენა სოფელი დიდი ო|როტანი აგარა[ჲ]თა. და ფანავარს
ააშენა სოფელი ერთი მახაროვანი. და საკოეთს შეიპყრნა და ააშენნა სოფელნი ორნი (და):
ნაქალაქევი და ბერდამონი, და დაუდვა წმიდასა ამას დედაქალაქსა მცხეთას, სუეტსა ცხოველსა.

C198a |შემდგომად ორისა წლისა გარდაიცვალა გიორგი მეფე [2], სავსე ყოვლითა სიკე-
თითა, ჟამსა ოდენ სიყრმისასა, რომელ არავინ გამოჩენილ იყო მსგავსი მისი მამათა
შორის მისთა ახოვნებითა, ჭაბუკობითა და სიქუელითა, ტანითა და სახითა, ცნობითა,

1 დიდი საკჳრველი და მოწყალება AC, დიდი საკჳრველი მოწყ. D (+ სუმბ.), დიდი და საკჳრვე-
ლება და მოწყ. cet. 1 განარინა C. 1 მრთელი Mm. 2 მათთა] შემპყრობელთა და მტერთა მათთა T
(+ სუმბ.). 2-3 თუ ვისმე — ესე ვითართა < Mm. 3 ესევითარითა DRs. 3 შეწევნათა ღმრთისა მიმართ,
შეწევნათა ღმრთისა მსახურთა მის ზედა C. 3 იხილენით b, იხილნეთ A, < C. 3 და < C. 4 ღმრთისა-
მიერნი AMm, ღ῀თისანი C, < cet. 4 ამას დ. ბ. აფხ. მეფესა ზედა AC, ამას დ. ვახტანგს (?) აფხ. მე-
ფისა Mm, ამის დიდისა ბაგრატისი D, ამის დიდისა ბაგრატ აფხ. მეფისა cet. 5 მოწევნულ] შეწევნულ T.
5 იყუნეს A, იყო D. 5 სხუასა მეფესა (D: + ზედა) DMm. 5 რომელთათჳს C, რომელთათჳს (გაუწყრა) A.
5 ჟამითი ჟამად C. 7 ვითარ უკუე CMm, ესე უკუე A, ხოლო ვითარ უკუე cet. 7 ~ მამისა წინაშე A.
7 სახლად მათდა < C. 8 ქუთათისს] < Mm, + ქალაქსა მათსა და ესრეთ შეკრბეს მშჳდობით, და მისცეს
დიდება და მადლობა ღმერთსა T (+ სუმბ.). 8 შვილი მათი და მსგავსი მათი A, შვილი მსგავსი Mm.
9 სიკეთისა მათისა — რომლისა AC, < cet. (ex hom.). 9 მისისათჳს] მათისა A, მის[ი]სათჳს M. 10 რომ-
ლისა შეუძლებელ D. 17 ოროთა] ორთაჲ სიგ. 19 ნაღვარევი T. 20 დააშენა T, ავაშენე სიგ.
22 ბერდაძორი სიგ. 23 შემდგომად + ბაგრატის მოსვლითგან T. 23 და შემდგომად ამისსა გარდაჴდეს
რაჲ წელიწადი ორი გარდაიცვალა მეფე გიორგი D (+ სუმბ.). 24 სიყმისასა A. 24 რომელ AC, რო-
მელი cet. 24 გამოჩინებულ Mm. 25 და < AC. 25 და სხვითა Mm, სახითა და A.

[1] ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ Tk-ნუსხებში და წარმოადგენს ექსცერპტებს მცხეთის XI საუკუნის
საბუთიდან (იხ. ზემოთ, გვ. 282, სქოლიო 1).

[2] არშიაზე: იმეფა ი῀გ წელ და ხუთ თვე Bbp (B-ში შიგ ტექსტშია).

და სავსე ყოვლითა განგებითა საჴელმწიფოთა, ქრონიკონსა ორას ორმოცდამჳდსა,
თუესა აგჳსტოსა თექუსმეტსა, ქუეყანასა თრიალეთისასა, ადგილსა, რომელსა ეწოდების
მეინვარნი გინა იწრონი. და დაუტევა გლოვა და მწუხარება ყოველთა მკჳდრთა
A 308 მამულისა | და სამეფოსა მისისათა. იგლოვდეს ყოველნი სიკეთისა, და სიჭაბუკისა, და
M 480 ახოვნებისა მ|ისისათჳს. წარიყვანეს და დამარხეს საყდარსა ქუთათისსა [1].

ესხნეს შვილნი ოთხნი: ძენი ბაგრატ და დემეტრე [2], და ასულნი გუარანდუხტ და
კატა; მეხუთე შვილი მათი მართა მიცვალებულ იყო. შემდგომად მიცვალებისა დიდისა
მეფისა გიორგისსა, მასვე ჟამსა მეფე იქმნა ბაგრატ ყოველსა მამულსა და სამეფოსა
C198b მისსა ზედა, ზემოსა და ქუემოსა, წელიწდისა ცხრ|ისასა.

მეორმოცდაცამეტე მეფე ქართლისა და აფხაზეთისა, ბაგრატ, ძე გიორგი მეფისა, ბაგრატონი [3]

მასვე ჟამსა წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის-ძე და ბანელი
ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა. ხოლო კოსტანტინე
მეფემან მოქცევასა ოდენ წელიწდისასა გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხჳთა,

1 და სავსე ყოვლითა C, ყოვლითურთ სავ!ე ყოვლითა A, და (< T) ყოვლითურთ სრული cet. 1 ქრონ.
ორას ორმოცდ.] მაშინ იყო ქ῀კონი ს῀მზ D, ქორანიკონსა ს῀მ῀ლ Mm. (Ъ—Ъ), ქ῀კსა ას ორმოცდაშჳდს A.
2 თრიელეთისასა M. 3 ვი[წ]რონი T. 3 და (დაუტ.) < AC. 4 მი[სი]სათა Mm. 4 იგლოვდენ Mm, რამეთუ
იგლოვდეს D. 4 ყოველნი ქართველნი D. 4 და (სიჭ.) < C. 4-5 იგლოვდეს ყოველნი სიკეთესა და სიჭა-
ბუკესა მისსა A. 5 წარიყვანეს ACMm, წარიღეს cet. 5 ქუთათისისასა Cs. 6 ესხნეს] ხოლო ამას გიორგი
მეფესა ესხნეს D. 6 ოთხნი] ორნი AC. 6-7 და კახაა Mm (ლ—ლ), კატა და A, და კა[ტა] C. 7 დედოფალი
მართა C. 7 ხოლო შემდგომად A. 7 დიდისა AC, დიდისა მის cet. 8 გიორგისასა C, < cet. 9 წელიწ-
დისა ცხრისასა (C: ცხრისა) AC, წელიწადსა ათსა Mm, წლისა ცხრისა ყრმაჲ D, წელიწადისა თ Bdp,
წელიწადსა ცხრასა RTs, წელიწადსა თ cet. 10 მეორმეოცდა მეათშჳდმეტე Bp, მეორმეოცდაოთხე ERTs,
მეორმეოცდა ათსამმეტე cet. 12 მასვე ჟამსა ACMm, ხოლო რაჟამს დაჯდა მეფედ ბაგრატ (+ წლისა
ცხრისა T ex სუმბ.) მასვე ჟამსა cet. 12 წარვიდეს] განუდგეს D. 12 საბერძნეთს < D. 12 კარჭისძე C.
12 ბანაელი C. 13 და მათ თანა უმრავლესნი აზნაურნი D (ex სუმბ.). 13 ტაოელთა + რომელნიმე
ციხოვანნი და რომელნიმე უციხონი (ex სუმბ.) და წარვიდეს საბერძნეთს წინაშე კოსტანტინე მეფისა D,
ტაოელთა + რომ. ციხ. და რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტის, ძმასა ბასილის
ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო T (ex სუმბ.). 13 კოსტანტი AC. 14 მოქც.
ოდენ წელიწდისასა] < C, და წელსა მესამესა T (სუმბ.: წელს მეორესა). 14 პარკიმანოს C, პარკი-
მოზი m, პარკიმანოზი + თჳსი ურიცხჳითა განძითა და მიუწდომელითა ლაშქრითა თჳსითა (D: ~ მიუწდ.
ლ. თჳსითა და განძ. ურ.) ყოვლად უძლიერესად ბასილი მეფისაცა DT (ex სუმბ.).

[1] «შემდგომად — ქუთათისსა» (290, 23—291, 5): ამის წყაროა სუმბატის „ქრონიკა“: «და შემდგომად
ამისსა რა გარდაჴდეს წელნი ორნი, გარდაიცვალა გიორგი, მამა ამის ბაგრატისი, თრიალეთს, ადგილსა მას,
რომელსა ეწოდების მყინვარნი, ქორონიკონსა სმზ, თვესა აგვისტოსა ივ, და დამარხეს იგი ქუთათის» (§ 95).

[2] ამის გასწვრივ არშიაზე სწერია: «ამის გიორგის ძე და ძმა ბა[გრატ] მეფისა ესე დიმ[იტრი], რომელი
აქ დაუწ[ერია]თ, ამის ნათესავ[ისაგა]ნ იყო ქმარი [თამა]რ მეფისა, დავა ... ძელი მეორედ [მეფ]ეს თამარს» R
(მოგვიანო მხედრული ხელით). R-ში იმავე ხელით ანალოგიური მარგინალური შენიშვნებია ქვემოთაც:
1) «მიკჳრს მეფის თამარის ქმარი ნომ ამ დემეტრეს თესლისაგან იყო, და რატომ არ დაწერეს ან რა ხნისა
მოკუდა და ან ვის ქალთან დარჩა შვილი» (იხ. ქვემოთ გვ. 301, 2); 2) აქ სცან ბაგრატოვანება დავი-
თისი, თუ იყო თუ არა. დიმიტრის მეექუსე ნათესავი იყო» (იხ. ქვემოთ თამარ მეფის ისტორიაში).

[3] სათაური არის ყველა ნუსხაში გარდა ACMm-ისა. C-ში არშიაზე წითლით და ახალი ხელით სწე-
რია: ბაგრატ მ῀ფე.
არშიაზე: მესამე ბაგრატ Rbs, გ῀ ბაგრატ BDEdp.
არშიაზე: ქ῀ტს აქეთ ჩ῀კზ (= 1027) წელსა D (სხვა ხელით და სხვა მელნით) (b-ში შეცდომით: ჩ῀კბ).

მოვიდა და ჩამოდგა, და მოაოჴრნა იგივე ქუეყანანი, რომელნი ბასილი მეფესა მოეოჴრნეს. მოვიდა თრიალეთს ციხესა ქუეშე კლდე-კართასა; მას ჟამსა ჰქონდეს ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავსა, ძესა ლიპარიტისასა. შემოკრიბნა სხუანიცა აზნაურნი, დაუდგეს განძათა და შეებნეს ციხესა ქუეშე. რაჟამს იხილა პარკიმანოზმან, რომელ ვერას
M 481 ავნე|ბდა, შეიქცა გარე. მასვე ჟამსა წარვიდა ჩანჩახი ფალელი საბერძნეთს, მისცა ციხე
A 309 გარყლობისა, მიერთო ბერძენთა, და არჯევან ჰოლოლას-ძემან მისცა ბ|ერძენთა ციხე წერეფთისა.

რაჟამს იხილა საბა, მტბევარმან ეპისკოპოსმან, რომელ შავშეთს არღარა იყო სხუა ღონე, აგო ციხე თავსა ზედა ტბეთისასა, დაიჭირა ქუეყანა შავშეთისა, ქმნა დიდი
C199a ერთგულობა ბაგრატ აფხაზთა მეფისათჳს. პატივ-სცა ღმერთმან | და ვერ წარუღეს ქუეყანა მტერთა. რამეთუ მას ჟამსა გაგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან იოვანე ბანელი ხარტულარი, წარიყვანა თანა ვალანგი ლაშქრითა დიდითა, და მისცა თანა დემეტრე კლარჯი, ძე სუმბატისი, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა კაცთათჳს, და ამით მიზეზითა მოიქცეს მრავალნი კაცნი მის ქუეყანისანი წურილისა ერისაგან. შემოვიდა მასვე ციხესა შინა ეზრა ანჩელი, და რომელნი აზნაურნი გამოჩნდეს ერთგულად, შეუდგეს მასვე ციხესა შინა და გამაგრდეს ფრიად.

---

1 და ჩამოდგა] < C, ჩამოდგა A, და ჩამოდგა და მოვლო T (ex სუმბ.). 1 მოაოჴრნა C, აოჴრნა A, ააოჴრნა D, აოტნა Mm, მოაოჴრა T, აღაოჴრა cet. 1 იგივე ქუეყანანი] ქუეყანანი იგი T. 1-2 რომელნი (ACMm; რომელი cet.) ბ. მეფ. მოეოჴრნ.] რომელი პირველ მოეოჴრნეს ქუეყანანი ბასილი მეფესა და ააოჴრნა, და უმეტესცა რ͠ მიიწია T (ex სუმბ.). 2 და მოვიდა ესე T. 2 კლდე-კართასა ADT, კლდეთა Mm, კლდე-კართა cet. 2 ჰქონდა ციხე იგი ლიპარიტს D. 3 ლიპ. ერისთავთ-ერ. < C, ერისთავსა < A. 3 ძესა ლიპარიტისასა < A. 3 შემოიკრიბნა A. 4 განძათა AMm 4 ციხეთა CD. 4 და რაჟამს D. 4 პატრიაკმან: ოსმან Mm. 4 რომელი Mm. 5 ავნებდეს A. 5 გარე + სადა იგი იყვნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძოლა ყვეს, გარნა არა დიდად და განდგეს კუალად აზნაურნი და მისცნეს ციხენი. და ერისთავმან შავშეთისა ჩანჩუხმან მისცა ციხე წეფთისა T (ex სუმბ.). 5 მასვე < Mm. 5 ჩანჩახი C, ჩანჩახი ფალელი A, ჩანჩხი ფ. Mm, ჩანჩუხი ფ. cet. 5-6 გარყილობისა C, გაყრილობისა Mm, გარყლოფისა Bdp. 6 ჰოლოლას C, ლოლოლას A, ჰოჰოლას Mm, ჵლოლის Bdp, ჰოლოლის cet. 6 მისცა AC, გასცა cet. 6 ბერძენთა AC, ბერძენთადვე d, ბერძენთავე cet. 7 წერეფთისა Mm, წერ[ე]ფთისა C, წერბეთისა A, წეფთისა cet. (+ სუმბ.). 8 რაჟამს ACMm, ხოლო რაჟამს cet. 8 ტბევარმან CMm. 9 ტბეთისასა] მახლობლად ტბეთისასა და ეკლესიისა სიმაგრე და სახელ სდვა მას სვეტი T (ex სუმბ.). 9 დაიჭირა BEdp, და დაიჭირა C, დაიმჭირა cet. 10-11 პატივ-სცა — მტერთა < D. 11 გამოგზავნა C. 11 პარკიმანოზმან და პროედროსმან (C: პროედოროსმან) AC, პატრიკოზმან (m: პატრიაკმან) და პროიდროსმან ერისთავმან Mm, პარკიმანოზ პროედროზი ერისთავმან cet. 11-12 ინება: ელი C (← ი͠ნე ბა[ნ]ელი). 12 ხარტულარი AC, ხალტურლარი Mm, ხალტულარი cet. 12 ვალანგი Mm (+ სუმბ.), ვლიანჭი C, ელიანბი A, ვითანგი cet. 12 მისცნა C. 13 კლარჯი] კთარჯი M, კათარჯი m (m ← m). 13 შესატყუევნელად C, შესატყუჲნელად AT, შესატყუენლად Mm, შესატყვენველად cet. 13 მით A. 14 წერილისა (!) C. 15 ეზრაზა BCEbdp, ეზარ A, ეზარა (ყანჩაელი) m. 15 არჩელი A, ყანჩაელი m. 16 გაამაგრეს A. 16 ფრიად AC, < cet. 11-16 რამეთუ მას ჟამსა — გამაგრდეს ფრიად] ასეა ყველა ნუსხაში, DT-ს გარდა: 1) T მოყვანილ ტექსტს უმატებს სუმბატის „ქრონიკის“ §§ 98-95-ს მთლიანად და სიტყვა-სიტყვით; 2) D ზემოთ მოყვანილ ტექსტის მაგიერ ურთავს სუმბატის „ქრონიკის“ იმავე პარაგრაფებს, ხოლო განსხვავებული რედაქციით:

T + სუმბატი

და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი, და შევიდეს მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი და ეზრა ანჩიელ ებისკოპოსი და შავშეთის აზნაურნი და განძლიერდა მას შინა.

D

(გაგრძელება იხ. მეძღვ გვერდზე)

ხოლო ციხე არტანუჯისა ჰქონდა იოვანეს ერისთავსა აბუსერსა, და მათ ჟამთა
A 310 M 482 ქუეყანათა ამათ შინა | იქმნნეს ბრძოლანი და შუღლნი და მი-და-მონი მრავალნი. და ვითარ დიდად იღელვებოდა ქუეყანა ესე, კუალადცა პატივ-სცა ღმერთმან ბაგრატს, აფხაზთა და ქართველთა მეფესა. ეწია ხენი სასიკუდინე კოსტანტინე მეფესა. მოუწერა პარკიმანოზს პროედროსსა, უკმო შეღმართ. ხოლო იგი წარემართა მსწრაფლ და, ვიდრე მოვიდოდა, მიიცვალა კოსტანტინე მეფე. და რაჟამს მიიცვალებოდა, დასუა სხუა
C199b მე|ფე, სახელით რომანოზ[1], და შერთო ცოლად ასული თჳსი ზოია.

T (continued):

ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოსმან იოვანე ხალტულარი სახელით ვალანგ ლაშქრითა დიდძალითა (T: დიდითა), და თანა მოსცა (T: + მას) ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუენელად ქუეყანასა მკჳდრთა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ, რამეთუ მიიქცეს ერნი სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარნი სუეტსა მას ტბეთისასა.

და ჰბრძოდის (T: ბრძოდენ) ძლიერად მრავალღონედ. და ღმერთმან განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა, და ლოცვითა წმიდათა ამათ მღუდელ-მოძღუართათა და ვ͠ა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი სამღთონი (< T) თავთა თჳსთა სიკუდილად განწირვიდეს და კორციელთა უფალთათჳს თავთა თჳსთა განწირვიდეს და სისხლთა დასთხევდეს სიტყჳსაებრ მოციქულნი (T: მოციქულთასა) და განძლიერდებოდეს. ყოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ: „ნუმცა შეგვიტყვებინ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გვირგვინი ახოვნებისა“. რამეთუ მბრძოლნი იგი გარემოდგომილნი მათდა ლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილითა და საფასეთათა.

D (continued):

ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოზმან იოანე ბანელი და ვალანგ ხალტულარი ლაშქრითა დიდითა, და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა შესატყუევნელად ქუეყანისა მკჳდრთა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ. რამეთუ მიიქცეს ერნი მხოფლიონი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა და გამოადგინეს ლაშქარი სუეტსა მას ტბეთისასა, რომელი აღეგო საბა მტბევარ ეპისკოპოზსა ციხედ.

და ჰბრძოდეს ძლიერად მრავალღონედ. და ღ͠თნ განაძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულთათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღრდელთ-მოძღვართათა. და ვ͠ა ერთგულნი და ჭეშმარიტნი მარტვილნი თავთა თჳსთა განსწირვიდეს სიკუდილად, ეგრეთვე იგინიცა კორციელთა უფალთა თჳსთათჳს თავთა თჳსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევდეს სიტყჳსაებრ მოციქულთასა. და ყოველნივე ეტყოდეს ურთიერთსა ციხესა მას შინა მყოფნი, რომელთა თანა ერთო ეზრა ანჩელი, ვ͠დ: „ნუმცა შეგვიტყუებენ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი. ა͠დ მოვიგოთ მადლი ერთგულობისა და გჳრგჳნი ახოვნებისა“, რ͠ მბრძოლნი იგი გარე მოდგომილნი მათდა ჰლიქნიდეს აღთქმითა და ქადებითა კეთილთა და საფასეთათა.

1 იოვანე A, < C. 1 ერისთავსა < Mm. 1 მათ ჟამთა ABdp, მას ჟამსა CMm, მას ჟამთა cet. 2 ∼ (მას ჟამსა) შინა ქუეყანასა ამას C. 2 იქმნნეს] იყუნეს C (∼ ბრძ. და შ. იყუნეს). 2 და (შ.) AC, < cet. 2 და მიდამონი მრ. < C. 3 დიდად < AC. 1-3 და მათ ჟამთა — ქუეყანა ესე] ხოლო ესე ვითარად რაჲ ღელვად აღტეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი D (ex სუმბ.). 3 ბაგრატ A. 4 მეფესა + ხოლო ესე ვითარად რაჲ ღელვად აღტეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი T (ex სუმბ.). 4 ეწია] მაშინ ეწია D, მსწრაფლ ეწია რისხვა T (ex სუმბ.). 4 კოსტანტი A. 4 უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს T (ex სუმბ.). 4 მოწერა A. 4 მეფესა მოუწერა] მეფესა + მსგავსადვე (D: მსგავსად) ივლიანეს უსჯულოსა უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა (< D) და მოოჴრებისათჳს მამულისა მისისა და მოსწრაფედ მოუწერა DT (ex სუმბ.). 5 პატრიკომანოზს Mm. 5 პროედროსსა] Ⴖეროედროსსა Bdp. 5 პროედროსსა უკმო შეღმართ < D (უკმო შეღმართ < სუმბ.). 5 (შეღმართ) + რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი ლაშქრითურთ და მივიდეს კოსტანტიპოლედ DT (ex სუმბ.). 5 წარმოემართა BEdp, წარემართა + და წარვიდა T (ex სუმბ.). 5 მსწრაფლ + ესმა რა (D: + სიტყუა) ესე DT (ex სუმბ.). 6 მივიდოდა D, იგი მივიდოდა C, ვითარ მივიდოდა Mm. 6 კოსტანტი A. 6 დასუა] და სხუა B. 7 მეფე ABCMmp, მეფედ cet. 7 სახელით < A. 7 რომანოზ + მიმდგომელი თჳსი T (ex სუმბ.), რომანოზ კეისარი BEdp. 7 შეირთო A.

---

[1] არშიაზე: რომანოზ კეისარი Rs.

[1] წარვიდა კათალიკოზ-პატრიაქი მელქისედეკ წინაშე რომანოზ ბერძენთა მეფისა კოსტანტინეპოლედ. შეიწყნარა და მოსცა შესამკობელნი ეკლესიათანი, ხატნი და ჯუარნი, სამღდელთმთავრო და სამღდელო სამკაული, და წარმოვიდა ქუეყანასა და სამწყსოსავე თჳსსა.

შემდგომად ამისსა, წელსა მესამესა, წარვიდა დედოფალი მარიამ, დედა ბაგრატისი, აფხაზთა მეფისა, საბერძნეთად მიებად მშჳდობისა და ერთობისა, და კუალად მიებად პატივისა კურაპალატობისა მისათჳს თჳსისა, ვითარცა არს ჩუეულება და წესი სახლისა მათისა, და მოყვანებისათჳს მის ცოლისა.

[2] ამის ჟამში იყო წმიდა გიორგი მთაწმიდელი მთარგმნელი, თან ახლდა დედოფალს მარიამს, ქრისტეს აქათ ჩ˝ჲ𐲈.

[3] ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ.

და ვითარცა მიიწია საბერძნეთად წინაშე ბერძენთა მეფისა, აღუსრულა ყოველი სათხოველი სიხარულით: მოსცნა ფიცნი და სიმტკიცენი ერთობისა და სიყუარულისათჳს, დაუწერნა ოქრო-ბეჭედნი, მოსცა პატივი კურაპალატობისა, და მოსცა ცოლად ბაგრატისთჳს ელენე დედოფალი[4].

4 შემდგომად ამისსა AC, შემდგომად პირველ რომანოზ მეფობისა T, და ამისსა შემდგომად D (ex სუმბ.), შემდგომად cet. 4 წელიწადსა C. 4 დედა] დაი (!) C. 4-5 ბაგრატიისი A, ბაგრატ cet. 5 აფხაზთა ACMm, + და ქართველთა cet. 4-5 წარვიდა — ერთობისა] DT-ში შევსებულია სუმბატის „ქრონიკის“ მიხედვით:

D

სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან ბაგრატ მეფისამან, რომელი ნაშობი იყო დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა, შეიმოსა სიმჴნე და აზოვნებაჲ და წარვიდა კოსტანტიპოლედ წინაშე რომანოზ კეისრისა ძიებად მშვიდობისა და ერთობისათჳს (ხაზგასმული სიტყვები DT-ს აულიათ დანარჩენი ნუსხებიდან).

T (+ სუმბ.)

სანატრელმან დედოფალმან მარიამ, (დე)დედა ბაგრატ აფხაზთა და ქართველთა მეფისა (სუმბ.: დედამან ბ. მეფისამან) შეიმოსა სიმჴნე და აზოვნებაჲ. რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა მათ ძლიერთა და დიდთა მეფეთა არშაკუნიანთა (სუმბ.: არბაკთა), და წარვიდა საბერძნეთად კოსტანტიპოლედ წინაშე რომანოზ მეფისა ვედრებად მისსა და ძიებად მშჳდობისა და ერთობისა (d. მშ. და ერთ. < სუმბ.) და ყოს აღმოსავლეთისათჳს, და რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ და მყუდრო იყვნენ.

5 და (კ.) < A. 6 ძებნად Mm, < C. 6 პატივსა C. 6 კულაპარატობისასა AC, კულატპალატობისასა MTm, კურატპალატობისა Bdp, კ—ბისასა cet. 6 d. თჳსისა AC, ძისა თჳსისათჳს cet. 6 და წესი < A. 7 სახელისა Bp (+ სუმბ.). 7 და + კუალად C. 7 ძის] მის b, < CMm. 8 ამის ჟამში ER, ხოლო ამას ჟამსა Bp, ხოლო ამის ჟამსა b, ამას ჟამსა d. 8 წმიდა R, < cet. 9 აქათ R, აქეთ cet. 9 ჩ˝ჳ𐲈 b. 11 მიიწია ACMm, + დედოფალი მარიამ cet. 11 საბერძნეთად A, < cet. 11 აღუსრულა + ბერძენთა მეფემან A. 12 და (< C) მოსცნა AC, მისცნა cet. 12 ფიცარნი A. 12-13 ერთობისათჳს და სიყუარულისა C, ერთობისა (+ და A) სიყუარულისათჳს cet. 13 დაუწერნა AC, და დაუწერა D, დაუწერა cet. 13 და < AC. 13-14 ~ ბაგრატისთჳს ცოლად A.

[1] ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ Tk ნუსხებში და ამოღებულია მცხეთის სიგელიდან (იხ. ზემოთ, გვ. 282, სქოლიო 1).

[2] ეს ჩანართი მოიპოვება ყველა ნუსხაში გარდა ACMm და DTs-ისა. R-ში ამის შემდეგ $2^{1}/_{2}$ გვერდია დაუწერელი. R-ში ეს ჩაწერილია არშიაზე სულხან-საბა ორბელიანის ხელით (იხ. ალ. ბარამიძე: თ. ს. უ. შრომები XXXb — XXXIb [1947], გვ. 314).

[3] ეს ჩანართი («ხოლო—მოვიდეთ») მოიპოვება ყველა ნუსხაში გარდა ACDMm-ისა (Ts-ში არის, თუმცა ჩანართი გიორგი მთაწმიდელზე გამოტოვებულია).

[4] არშიაზე: ბაგრატ მეფემ, გიორგი მეფის ძემ, კეისრის ქალი შეირთო Mm (M-ში არა გადამწერის ხელით).

მო-რა-იწია მარიამ დედოფალი მამულსა მისა თჳსისასა, ქუეყანასა ტაოს, მოართუა
A 311 M 483 პატივი კურაპალატობისა; აღასრულ|ეს ქ|ორწილი, უკურთხეს გჳრგჳნი ბანას.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა მიიცვალა ელენე დედოფალი ქუთათისს შინა, და შეირთო ცოლად ბაგრატ მეფემან ბორენა დედოფალი, ოვსთ მეფისა ასული, დაჲ დორღოლელისა.

C200a და ამისსა შემდგომად სხუაცა მე დარჩა | გიორგი მეფესა ანაკოფიას შინა, ოვსთა მეფისა ასულსა მეორესა ცოლსა თანა. და აზნაურთაგან იყო მათ შუა მი-და-მო საუბარი, და ყრმა მცირე იყო, სახელით დემეტრე. ვერცა გაამეფეს, თუცა ვის გულსა ედვა, და ვერცაღა გამოინდვეს ბაგრატ მეფემან და დედამან მისმან, არცაღა თავადთა დიდებულთა ამის სამეფოსათა. და ვერღარა დაიდგნა და წარვიდა სამეფოსა მისგან, და მიმართა ბერძენთა მეფესა, და წარუტანა თანა ანაკოფია. და მიერითგან წარუჴდა ანაკოფია აფხაზთა მეფესა მოაქამადმდე.

[1] შემდგომად ამისა წმიდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიაქმან მელქისედეკ მოიგო ქართლს: მონასტერი პალავრა ოთხითა სოფლითა; და ცუქითი შესავლითა მისითა; ყინცვისი შესავლითა მისითა; და შინდების ნახევარი; კურბითს საახნაურო კარგი სოფელი ერთი; ჩოჩეთს უბანი ერთი, მიწა და ვენაკი სასეფეო; ზეგანთა სოფელი ერთი შიდარი; და კახეთს ახატანს უბანი ერთი და ნოსორნა სოფელი ერთი; და ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა (და) ლაგოდეკი და ჰერეთსვე კატეხისა ეკლესია შესავლითა მისითა; და კაკს ვაჭარი ათორმეტი; და ზიარი სოფელი დიდი. ესე ყოველი სოფლები, რომელი მან მოიგო.

და რომელნი სოფელნი მეულად ჰქონდეს წმიდას[ა] სუეტსა ცხოველსა და კათოლიკე ეკლესიასა, და სხუა შესავალნი რაც იქვნეს მოაკსნა ბაგრატ კურაპალატსა და შეუვალად გაუკადნეს. და მისცა სიმტკიცე შეუვალობისა; და სხუა რომელნიმე შესავალნი იქვნეს ამის წმიდისა დედაქალაქისანი: ცხუარი, ცხენი, ღჳნო ზედანი და რაცა იყო ყოველი ალი ამირმა[ნ] ამოაგდო

1 მორაიწია ACMm, ხოლო მორაიწია cet. 1 ~ დედ. მარიამ D. 2 კულაპალატობისა C, < cet. 2 ალასრულეს C, ალასრულა A, აღუსრულა cet. 2 უკურთხნეს გჳრგჳნნი A, უკურთხნეს გვირგვინი M. 2 ბანას CMm, ბაგრატს cet. 2 ალასრულეს — ბანას] აღუსრულა ქორწილი ძესა თჳსსა ბაგრატ მეფესა და უკურთხეს მუნ გჳრგჳნი, და გარდაიხადეს ქორწილი შუებითა და სიხარულითა მიუწდომელითა. ხოლო გარდაჴდეს რაჲ ამას შინა ჟამნი რაოდენნიმე D. 3 შემდგომად მცირედისა ჟამისა C, < cet. 3 ქუთათის codd. 3 შინა] < A, ყოფნასა შინა D. 4 ცოლად AC, < cet. 4 ბორენა RTs (R-ში მერე გადაუსწორებიათ „ბ“-დ). 4 დაი C, დაა Mm. 5 დორღოლელისა A, დორღულელისა C, დურღულელესა/ი cet. 4-5 და შეირთო მეფემან ბაგრატ სხვა ცოლი ასული ოვსთა მეფისა, დაჲ დურღულელისი, სახელით ბორენა D. 6 და ამ. შ˝დ AT, და ვთქუათ ესეცა რამეთუ D, ხოლო ამ. შემდგომად cet. 6 ძე] ძმა C. 6 მეფისა A. 6 ანაკოფს m, ანკოფას M. 6-7 ოვსთ(ა) მეფისა AC, ოსთასა მეფეთა Mm, ოვსთა მეფეთა cet. 7 ასულისა ABCp. 7 მეორის(ა) ცოლისა ABp. 7 თანა ACD, თანა + მეფისასა Mm, თანა + გიორგი მეფისასა cet. 7-8 ~ მ. საუბარი მათ შუა C. 8 დემეტრე] ბაგრატ A. 8 გაამეფეს T. 8 თუმცა D. 8-9 ~ თუცა ვ. გ. ედვა ვერცა გაამეფეს C. 9 ვერცა D. 9 დედამან] დედოფალმან m. 9 არცაღა A, ვერცა C, და არცა D, და არცაღა cet. 9-10 ~ დიდებულთა თავადთა A, თავადთა D (< დიდ.). 10 ვერღარა დაიდგნა < C. 10-11 წარვიდა — მეფესა] წარვიდა წინაშე ბერძენთა მეფისა C. 10-11 მისგან და < Mm. 11 ანაკოფიო C, ანკოფია M. 11 ანაკოფია — წარუჴდა < Mm (ex hom.). 12 ანაკოფიო C. 12 მეფეთა AMm. 12 მოაქამადმდე < Mm. 12 აფხ. მ. მოაქ. AC, ~ მოაქ. აფხ. მეფესა cet. 14 ცუქითი T + სიგ., წუქეთი k + ბროსე. 15 საახნაუროჲ სიგ., რა აზნაორი Tk. 16 სასეფო სიგ. 16 ზეგანთა სოფელი: ა: შიდარი სოფელი: ა: სიგ. 17 ერეთს Tk. 17 და Tk, < სიგ. 18 ერეთსვე Tk. 20 ქონდეს Tk. 23 ამირმა Tk, ამირამან სიგ.

[1] ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ Tk-ნუსხებში და ამოღებულია მცხეთის XI საუკუნის საბუთიდან. იხ. ზემოთ გვ. 282, სქოლიო 1.

T148a და აკადა ამას წმიდასა კათოლ|იკე ეკლესიასა. და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმიდისა კათო-
ლიკე ეკლესიისანი არიან, ააშენნა და დადგნა ყოველგან სახლნი და ააგო ეკლესიანი რიცხჳთ
ყოველნივე.

და შემდგომად სამხრით სადიაკვნოსა წმიდათა მოწამეთა სამარტჳლოსა შიგან შექმნა საფ-
ლავი თჳსი, და დადგა საკურთხეველი. დააყენა საფლავსა თჳსსა ზედა გაზრდილი მისი იოანე,
და უჩინა ამა საკურთხეველსა [და] ჟამისმწირველსა, და მისცა თემს გლეხი სამი ფუძითა
სრულითა, ვენაკი ერთი, მიწა ერთი, წისქვილი ერთი, ჭალა და ოტათლოანს გლეხი ერთი;
ციხედიდს გლეხი ერთი, ორივე ფუძითა სრულითა, და ვენაკი ერთი; მცხეთას სენაკი ერთი,
ბოსელი, ყანა, ვენაკი — ესე ყოველი კელ-შეუვალად თავისუფლად მისცა და გაირიგა სამკჳდრო
სახულიერო აღაპნი და მოსაკსენებელი. და გარდაიცვალა წმიდა ესე, და აწ წარუმართენ ღმერთ-
მან ოქროპირს, მელქისედეკისგან შვილად გაზრდილსა; დაჯდა კათალიკოს-პატრიაქად ოქრო-
პირი, და ამანცა მრავალნი შემატნა დიდსა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიასა. და აღაშენა
დასავლის კუთხს სამხრით ეკვდერი, ქვითა წმიდითა და თეთრად შუენიერად გამოქანდაკებუ-
ლითა, ყოვლად წმიდისა და კათოლიკე ეკლესიისა, და სხუა შესავალნი რაც იყვნეს მოაკსენა
ბაგრატ კურაპალატსა და კჳრიკე კახთ მეფესა, დისწულსა კჳრიკე მეფისასა, და შეუვალად
T148b გაუკადნეს, და მისცა სიმტკიცე შეუვალობისა; წმიდამან ამან კათალიკოს-პატრიაქმან ოქრო|-
პირ(მა) მრავალნი ეკლესიანი აღაშენნა და განა[ა]ხლნა.

და შემდგომად ამისა მოირჭუნა და ეუფლა ზემოსა და ქუემოსა თავის მამულსა
ზედა ბაგრატ.

და დიდი ფადლონ ავად იქცეოდა, და სწუნობდა ყოველთა მოთაულთა ამის სამე-
ფოსათა. და ვიდრე ერმალა იყო ბაგრატ, შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, იპირნეს
ლიპარიტ და ივანე აბაზას-ძე; მოვიდა დიდი კჳრიკე, რანთა და კახთა მეფე, დავით
A 312
M 484 |სომეხ|თა მეფე, და ჯაფარ ამირა ტფილელი, რამეთუ ესე ყოველნი პირობითა კჳრი-
C200b კესითა შეკრებულ იყვნეს ეკლეცს ფადლონს ზედა; გაა|ქციეს ფადლონ და აუწყჳდეს
ლაშქარი, აიღეს ავარი და განძი ურიცხჳ. ამიერითგან ვიდრე სიკუდილამდე შეპავდა
ფადლონ.

და სიმცირესავე შინა ბაგრატ მეფისასა ლიპარიტ ლიპარიტის ძემან და ივანე
აბაზას-ძემან, ქართლის ერისთავმან, მუხათგუერდსა გამოიტყუეს ტფილელი ამირა
ჯაფარ, და შეიპყრეს, და დიდი ხანი დაყვეს პატიმრობასა შინა, და წარუღეს ბირ-

1 წ"ისა T. 2 ეკლესიანი T. 2 ააგნო T. 6 და ს ი გ., < Tk. 6 ფოძითა Tk. 8 ფოძთა
სრულთა Tk. 8 სენანი ს ი გ. 10 წარუმართონ Tk. 18 მოიჭურნა Mm. 18 და დაეუფლა M, დედო-
ფალმან C. 18 თავისა DMRms, თჳსსა T. 19 ბაგრატ ACMm, ესე მეფე ბაგრატ D, ბაგრატ მეფე cet.
20—297, 2 და დიდი — ამირას შუა] ხოლო მას ჟამსა შინა D (და შემდეგ გვ. 95a დაუწერელია). 20 ფლადონ A.
20 პავად C. 20 იქცეოდა (იქცეოდა) C. 20 სწონობდა CMm. 20 და სწუნობდა ყოველთა < A. 20 მო-
თუალულთა A. 21 ვიდრე] ყოველ-დევე M, ყოვლადვე m. 21 ყრმა Mm. 21 იბირნეს Bdp, იპრიანეს A,
იპყრნეს Mm. 22 ივანე ACER, იოვანე Mms, იოანე cet. 22 აბაზას ძე ACM m, აბაზაძე cet. 22 რა[ნ]თა Mm.
22 და დავით A. 23 და < A. 23 ჯაფარა A. 23 ამირა AC, ამირ cet. 23 ტფილისისა A. 23 რამე-
თუ AC, < cet. 23-24 პირობითა კჳრიკესითა < A. 24 შეკრებულ იყვნეს AMm, შეკრბეს მიუჴდეს C,
შეკრებულ იყვნეს, მიუჴდეს ესე ყოველნი cet. 24 ეკელუცს C. 24 ზედა] < C, ზედან m. 24 და < C.
24 უწყუდეს Mm. 25 ლაშქარნი BEdp. 25 აღიღეს AMm. 25 შეპავდა] შჰვა Mm, შევიდა A. 27 შინა]
მაშინ A. 27 ლიპარიტ < Bp. 27 ლიპარიტის ძემ Ts, ლ[ი]პარიტის ძე Mm. 28 აბაზარის Bdp. 28 აბა-
ზას ძემან ACm, აბას ძემან M, აბაზაძემ s, აბაზაძემან cet. 28 მუხადგუერს Mm, მუხადგუერდს s. 28 (და)
გამოიტყუ(ი)ეს A. 28 თბილელი Mm. 28 ამირ m. 29 და შეიპყრეს] შეიტყუეს და ჴელთა შეიპყრეს A.
29 და < A. 29 დაყვეს ACMTm, დაყო b, დააყოფინეს s, დააყენეს cet. 29 შინა < Mm.

თჳსი. შეიწყალა აფხაზთა მეფემან და გაუტევა ტფილისს ზედა ამირად; და მიერითგან
დარჩა მტერობა ლიპარიტეთ და ამირას შუა.

და შემდგომად მცირედისა ჟამისა აზრახა ლიპარიტ ბაგრატს წაღება ტფილისისა.
მოადგეს ტფილისსა მტკუარსა ამიერით, ზემოთ და ქუემოთ, აფხაზთა მეფისა ლაშ-
ქარნი, და წყალსა იმიერით, ისნით კერძო, მოადგეს ლაშქარნი კახნი და ჰერნი. მას
ჟამსა მოკლულ იყო დიდი კახთა მეფე კჳრიკე ოვსისა ვისმე მონისა მიერ[1], რამეთუ
წყობასა შინა ოვსთა მეფე ურდურე მოეკლა კჳრიკე მეფესა. და მესისხლეობით მოიკლა
M 485 კჳრიკე მეფე ნადირობასა შინა, ფიდრაზის გორთა, ო|ვსისა მონისა მიერ.

C201a მას ჟამსა | იყო მეფე კახეთს გაგიკ[2], ძე დავით სომეხთა მეფისა სამშჳლდარისა
A 313 და მორაკერტელისა, დისწული კჳრიკესი, და ბრძოდეს ორ წელ ტფილისსა. და მ|ას
ჟამსა იყო ამირად ჯაფარ, ძე ალისი. და ესრე შეაჭირვეს ტფილელთა, რომელ ლიტრა
ვირის კორცი ხუთას დრამად[3] ასყიდიეს, და ვერღარა დაუდგმიდეს შიმშილთა და
ბრძოლათა ძლიერთა. ტფილელთა განიზრახეს მიცემა ტფილისისა. და ამის ქალაქისა
ბრძოლასა შინა წაუხუნეს ციხენი ორბეთი და ფარცხისი აფხაზთა მეფისა ლაშქართა.
და ამირა შეეკაზმა თავის ლაშქრითა, მემზადა ტივები და ნავები ღამით წარსლვად
განძას ლაშქარიას თანა ფადლონის შვილსა. და რომელთამე დიდებულთა აფხაზთა
მეფისათა ლიპარიტისაგან ფარულად გააზრახეს მეფესა არა განძება ამირასი, და
ფარულად ლიპარიტისაგან დაჰკიდეს ზავი ამირასა, გამოაცხადეს და დაამკჳდრეს ამირა

1 გაუტევა ACMm, განუტევა cet. 1 ტფილისი A. 1 ამიერითგან C. 2 ლიპარიტს C. 296, 20—297, 2 და
დიდი ფადლონ — ამირას შუა] ხოლო ჩუენ პირველივე სიტყუა ვიწყოთ და წარმოვთქუათ ამბავი მისვე ბაგ-
რატ აფხაზთა მეფისა და ვითარ განუტევა ამირა ტფილისისა მეფემან ბაგრატ და შეიქმნა მტეოობაჲ ლიპა-
რიტეთთა და ამირასა შორის D. 3 მცირედისა ჟამ"სა M, მცირედისა ჟამსა RTms, მცირედსა ჟამსა C.
3 ბაგრატს < A. 1-3 ზედა — ტფილისისა < A (ex hom.). 4 ამიერით Bb, ამერით dp, იმიერით კერძო A,
იმიერითგან T, იმიერით cet. 4 ზემოთ < A. 5 იმიერით CMm, < A, იმერით cet. 5 ესნის კერძო C,
ისანი A (< კერძო), ისინი კ. E, ჰსინით კ. M, ჰსნით კ. m. 5 მოადგეს A, მოაყენნეს C, მოადგინნა cet.
5 ჰერნი] აერნი A. 6 დიდი კჳრიკე კახთა მეფე C, დიდი მეფე კახთა კ. A. 6 მონისა მიერ AC, მონისა-
გან cet. 7 წყობათა D. 7 კჳრიკეს C (< მეფესა), კჳრიკე კ ა ხ თ ა მეფესა Bdp. 7-8 მესისხლეობით მოიკლა
კჳრიკე მეფე (C: კჳრიკეცა) Cb, მეს. მოეკლა კ. მეფე ERTs, ამისთჳს მოკლა ოვსმან კ. მეფე მესისხლობით
Bdp, და მის გამო მეს. მოკლა D, < AMm (ex hom.). 8 ფიდრაზის — მიერ < A. 8 გორთა M, გო-
რათა m, გომთა C, გორთან cet. 8 ოვსისა მონისა მიერ] < C, მონამან ვინმე ოვსმან C. 9 ~ გაგიკ კა-
ხეთს C. 9 მეფე A. 9 სამშჳლდისა Mm 10 ზოლაკერტისა Mm, ზორაკერტელისა Bdps, ზულა:· კერტე-
ლისა C, ზოლაკერტელისა cet. (შდრ. ზემოთ 280, 2). 10 და დისწული D. 10 ბრძოდეს ACMm, ბრძო-
დენ cet. 10 თბილისსა C. 10 და < C. 11 ამირად < Mm. 11 ალესი Mm. 11 ტფილელნი Bdp.
11 რომე C. 12 ასყიდიეს AC, იყიდდეს cet. 12 დრამით იყიდეს Bdp. 12 შიმშილსა C, შიმშილითა ABdp.
13 ძლიერთა] ფიცხელთა C. 13 ტფილელთა — ტფილისისა < D (შდრ. ქვემოთ, სტრ. 14). 13 ~ განიზრ.
ტფილელთა C. 13 და ამა A, ხოლო ამის D. 14 შიგან A, შინა cet. 14 წაუხუნეს AC, წარტყუენეს cet.
14 ლაშქართა AC, ლაშქარმან cet. 14 წაუხუნეს — ლაშქართა] წარტყუენეს აფხაზთა მეფისა ლაშქარმან
ციხენი ორბეთი და ფარცხისი: მაშინ განიზრახეს ტფილელთა მიცემა ტფილისისა D. 15 შეკაზმა T. 15 თა-
ვის AMm, თავისა cet. 15 შეამზადა A, შეჰმზადა Mm, და შემზადა D. 15 წასავლად A. 16 ლაშქარიან AC,
ლაშქარსა cet. 16 ფადლონიას (თანა) A. 16 შვილსა Mm, შვილისა AC, შვილისასა cet. 17 ლიპარიტი-
საგან < A. 17 გააზრახეს T, აზრახეს A. 17 განძება C, გაანძებ M. 17 ამირას Mm, ამირისა A. 18 აჰკი-
დეს A, და: ჰკითხეს Mm. 18 ამირას Mm, < C.

[1] ა რ შ ი ა ზ ე: კვირიკე კახთა მეფე მოკლა ოვ[ს]მან (s: ოსმან) Rs (E-შიც იგივეა, ხოლო შიგ ტექსტში,
წითლით).
[2] ა რ შ ი ა ზ ე: გაგიკ კახთა მეფე Rs
[3] ა რ შ ი ა ზ ე: ლიტრა ვირის კორცი ხუთას დრამად Rs.

ტფილისსავე ზედა. და იბირნა აფხაზთა მეფემან კახნი, ამოტ მთავარი მარილელი, C201b ღისიძე კჳრიკე მეფისა, და ხახჳლა გურთა ჯუარის-ციხი|თა; და მოეუარა აფხაზთა მეფე ქალაქსა და ემტერა კახთა. და მიერითგან შეიქმნა ლიპარიტ ქუეგამხედვარად თავის პატრონისაგან.

M 486 A 314 გაილაშქრა აფხ|აზთა მეფემან კახეთს, მეება და მეუკდა მთასა ზედა მიქელ|-გაბრიელთასა. და წუობასა შინა შეიპყრნა: სტეფანოზ ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და მაჭელისა. გარდადგა თიანეთს და დაწუა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდისა კჳრიკე მეფისა აგებული. და ესე ერისთავნი ქენებით აძლევდეს ციხეთა მათთა; და ვერღარა ჩავიდეს კახეთს და შემოიქცა, რამეთუ ლიპარიტ იწყო საურავთა გუერდქცეულთა.

შემდგომად მცირედისა ჟამისა გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა. და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს, არე-არე მოწუეს ქართლი.

C202a და ჰყვეს ლიპარიტს კახნი და ბერძენნი, და ვერ წა|იღეს ატენი, რამეთუ ციხეთა-უფალნი კაცნი მტკიცე იყვნეს ერთგულობასა ზედა ბაგრატისსა, თჳნიერ ფარსმან თმოგუელისა და ბეშქენ ჯაყელისა, თუხარისისა ერისთავისა. გავიდეს ჯავახეთს და A 315 იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად[1], რამეთუ მას | ჟამსა უზღუდო იყო. არე ზამთ-M 487 რისა მოწევნულ იყო; ბერძენთა ენება | შეღმართ წასლვა. დაეხავა ლიპარიტ აფხაზთა მეფესა; უბოძა მეფემან ქართლის ერისთაობა. წარვიდეს ბერძენნი საბერძნეთად და წარიტანეს დემეტრე თანა.

1 ტფილისვე C. 1 ზედა < C. 1 აბირნა A. 1 კახნი] კაცნი A (ც ← ხ). 1 ამოტ] აბოც Mm. 1 მთავარნი Bp. 1 მარირელი Bp, მარღილელი M, მრღილელი m. 2 ღისიძე ჩვ. კონიექტ., ღისი: ძე A, სიძე D, და სიძე cet. 2 ხახჳლა A, ხახუელა C, ხულა Mm, სახულა d, ხახულა cet. 2 გურნი Mm, გუარნი C. 2 და ემოყურა Bdp, და მოეყარა cet. 2-3 აფხ. მ. ქალაქსა] მეფე ბაგრატ ტფილისსა D. 3 და ემტერა] დემეტრე (!) Mm. 3 და ემტერა კახთა და < C. 4 თავის ABdp, თავისა cet. 5 აფხაზთა < D. 5 მეფე A. 5 მიქაელ A, მიქიელ C. 6 წყობასა ACM, წყობათა cet. 6 შეიპყრნა AC, შეიპყრეს cet. 6 სტე[ფა]ნოზ A. 6 ვარანჯანის m. 7 ვაჯე A. 7 სძე A, ძე cet. 7 გურგენ ერისთვისა ხორნაბუჯის C, გურგენი ბერის სახუარ(ი სა)ნაბუჩის A. 7 ხორამბუჯის m. 7 და ჯედი AC, და: ჯე Mm, დაჯე cet. 8 გოდოერძისა A. 8 ტორის C, ტურის A, ტვი″რის M, ტვირის m, სტორის s, ბტორის d. 8 მჭელისა AMm. 8 ∼ შტორისა და მაჭელისა ერისთავი D. 8 გარდაადგა ABp, გარდაუდგა T. 9 სახელოვანისა m. 9 მეფისაგან A. 9 ერისთავი A. 10 ჩავიდა C. 10 კახეთად A. 10 და < CMm. 10 შემოიქცეს m. 11 იწყო] იყო A. 11 გარდაქცეულთა AC. 12 და შემდგომად AD, რამეთუ შემდგომად C. 12 ∼ მცირ. შემდგ. ჟამისა C. 12 ჟამსა EMRTms. 12 ძმა] ძე AC. 12 ბაგრატ მეფისა D. 13 საბერძნეთით C, < A, სამეფოთა Mm, სამეფოდ cet. (გამოიყვანა დემეტრე ძმა ბაგრატისი სამეფოდ). 13 მეფისა < A. 13 ვინმე < C. 14 ატენს + და A. 14 არიარე Mm. 14-15 ∼ მოწუეს არე-არე A. 14-15 ∼ არე-არე მოწ. ქ. და მოადგეს ატენსა D. 16 ჰყვეს ლიპ.] იყუნეს ლიპარიტის თანა A. 16 და ვერ AC, ვერა EMms, გარნა ვერა D, ვერ cet. 16-17 ციხის-უფალნი A. 18 თუხარისისა C, თუხარსისა A, თუხარის(ა) cet. 18 გავიდეს ჯავახეთს AC, < Mm, გავიდა მეფე ჯავახეთს cet. 19 რამეთუ < C. 19 უზღუდე A. 19 არე ACMm, და არე cet. 19-20 ზამთრისაცა D. 20 და ბერძენთა C. 20 და დაეზავა D. 20-21 აფხ. მეფესა < A. 21 მეფემან C, < cet. 21 ერისთვობა C, ერისთა″ობა M. 21 და წარვიდეს D. 21 და < C. 22 ∼ თანა დემეტრე C, ∼ თანა დემეტრე + ძმაჲ ბაგრატ მეფისა D.

[1] მინაწერი: ახალქალაქისა ზღუდეთა შენება d.

და კუალად განძლიერდა და მოირჭუნა ბაგრატ მეფემან თავის მამულსა ზედა. და დააგო სუემან ბაგრატისმან ჟამი; მოერთო ვესტი ცხრითა ციხითა ანისისათა, თჳნიერ ამბერდისათა. და მოსცეს ანელთა ანისი ბაგრატის დედასა, რამეთუ მამულად ეყვოდეს სომეხნი — სენაქერემ სომეხთა მეფისა ასული იყო მარიამ დედოფალი, ბაგრატის დედა.

იყო ჟამი გაზაფხულისა და ბაგრატ აფხაზეთს იყო; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად. და მოვიდეს ტფილელნი ბერნი, რამეთუ მის ჟამისა პირველ C202b მომკუდარ იყო ტფილელი ამირა ჯაფარ. | უქადეს ქალაქი და უკმეს საწრაფოდ. წამოვიდა და მოაყენა ანაკოფიას გარე ქუაბულელ ჭაჭას ძე ოთაღო აფხაზეთისა ლაშქრითა. ამოიარა და მოვიდა ქუთათისს, და მოიყენა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი მოიყვანნა ხუფათისა, დაუდგნეს ფილაკავანნი A 316 M 488 და ბრ|მოდეს. და ამოიარა მეფემან და მოვიდა ქართლს, და მოვიდეს სხუანი მკმ|ობელნი ბერნი ტფილელნი.

წარემართა ტფილისად და მოეგებნეს ქალაქის ბერნი, დარბაზის ყმანი, ცხენოსანნი დიღმისა ველსა, და ყოველი ერი ქუეითი დაკაზმული უმედეულსა, და დედათა და მამათა სიმრავლე იყო მოედანს. და იყო კმა ბუკთა და დუმბულთა ორკერძოვე საშინელი, რომლისა კმითა იძრვოდა ქუეყანა; და იყო სიხარული ორკერძოვე განსაკჳრვებელი. შეიყვანეს და მოავლეს ქალაქი, ასხმიდეს დრამასა და დრაჰკანსა, და მოართუნეს კლიტენი ქალაქისანი, და შეიყვანეს საამირაოსა დარბაზსა. დაჯდა მეფე ბაგრატ საურავად. აღიხუნა კოშკნი კართანი თავის კაცითა, და აღიღო ციხე ქალა-C203a ქისა დარიჯელი, | და ორნივე კოშკნი წყალყინისანი და თაბორი, და დაადგინნა შიგან ლაშქარნი თჳსნი და ერისთავნი. ხოლო ისნელთა ჩააგდეს კიდი და არა მოსცეს

1 და < A. 1 მოიჭურნა AMm, მოირჭუნა cet. 1 ბ. მეფემან ACMm, ბ. მეფე cet. (D: ∼ მეფე ბ. მოირჭუნა). 1 ∼ ზედა ბაგრატ მეფემან C. 2 და დააგო A, და იგდო M, დააგდო m, და დააგდო cet. 2 და დააგო — ჟამი < C. 2 მოერთო < A. 2 ვისტი A. 2 ცხრითა] თ″ ძალითა Mm. 2 ანისისითა Mm. 3 ამბერდისა C. 3 ბ. დედასა] ბაგრატს A. 4 ეყვოდეს C, ეყოვდეს A, ეყ″ოდ″ეს M, ეყოდეს cet. 4 სენექერემ C, სენექერე(რე)მ A, სენაქრემ Mm. 4-5 ∼ დ. ბაგრატისი C. 6 იყო] ხოლო იყო D, რამეთუ იყო Bdp. 6 აფხაზეთს + შალს Mm. 6 იყო და A, < C. 7 ასაღებელად A, წარსაღებელად C. 7 და] < C, მაშინ D. 7 მოვიდნეს m. 8 ∼ ჯ. ამირა ტფ. C. 8 უკმეს] უმკუეს Mm. 9 წამოვიდა C, დააგდო cet. (T: დაჲგდო). 9 მოეყენა Mm. 9 ქობულ უთაო სამ ჭაჭა ძე A, ქობულოთა აღოი სამჭაჭასძე C, ქვაბლიელ ჭაჭას ძე ოთაღო Bdp. 9 ოთაღო] უთაღო Mm, უთაო A, ოთა აღოი C. 9-10 წამოვიდა — ლაშქრითა] ხოლო მეფემან ბაგრატ დააგდო ქუაბ. ჭ. ძე ოთ. აფხ. ლაშქრითა და მოაყენა ანაკოფიას გარე D. 10 და თვით ამოიარა D. 10 ქუთათის codd. 10 მოიყენა ჩვ. კონიექტ., მოეყენა m, < A, მოაყენა cet. 10 ქუთათისისა AC, ქუთათისსა cet. 10 სამოქ. < AC. 11 მოიყუანნა EMd, მოიყენნა m, მოიყვენნა Bp, < C, მოაყენ(ნ)ა cet. 11 ხუფათსა AC, ხუფათის M, ხუფთისი m, ხოფათის cet. 11 დაუდგნეს ფილაკავანნი (C: ფილაკევანნი) AC, და დაუდგეს ფილაკავანი (Mm: ფილაკვანი) cet. 12 აღჰოიარა C, და მუნით ამოიარა D. 12 მეფე ბაგრატ D. 12 და კ″დ მოვიდეს D. 14 ტფილისს D. 14 და < C. 14 ბერნი + ტფილელნი A. 15 ერი < AC. 15 უმედეულსა Mm, < cet. 15 და AC, < cet. 16 და მამათა < A. 16 მაიდანს A, მაედანს C. 16 კმა AC, კმობა cet. 16 და დუმბულთა] დადუმებულთა A, დაუდუმებელთა Mm. 17 რომლისა — ქუეყანა < C. 17 ∼ ქუეყანა კმითა იძვროდა m. 18 შეიყვანეს] შეიყარნეს Mm, < Ed. 18 მოვლეს m. 18 დრამასა და < Mm. 19 შეიყვანეს] შეიყარნეს Mm. 19 საამიროსა C, სამიროსა A, სამირნოსა m. 20 კოშკნი ქართანი Mm, კოშკნი წყალყინისანი და კოშკნი კართანი A. 20 თავის კაცითა < A. 21 დარიჯელი Mm, დარიჯელჭლი C, დარიჯელელი cet. 21 კოშკნი] კოჭნი d. 21 და ორნივე ქ. წყალ. < A (შდრ. ზემოთ შენ. 20). 21 წყალ ყაინისანი M, -ყანისანი m, წყალჳნისანი Bp (ჳ ← უი ← ყი). 21 მთაბორი A. 22 ლაშქ. თ. და ერ. C, ერისთავნი თჳსნი cet. 22 მოსცნეს DRT.

ისნი; დაუდგნეს ფილაკავანნი, და ბრძოდეს ისნსა, და ესროდეს ისარსა. და ისნის
ველსა მოვიდეს კახთა მეფე გაგიკ და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი
დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშჳდობისა მებნად.
A 317 მაშინ განვიდა ბაგრატ მეფე ველსა ისნისასა, მოიყვანნა კახნი და ითაყვანნა, | მისცა
მშჳდობა და განუტევნა. და იყო სიხარული და მშჳდობა და საურავი დღითი-დღე
შემატებისა.

M 489 და ვითარ ამას შინა | გარდაჴდეს დღენი ზაფხულისანი, და კუალად იწყო ლიპა-
რიტ მათვე ფიცხელთა საურავთა. და გამოიტყუვნა ანისით დედოფლისაგან აბუ-
სერი, ერისთავი არტანუჯისა, და ხიხათა და ციხის-ჯუარისა და აწყუერის ციხის პატ-
რონი, და ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გუარამ გოდერძის ძე, ბეჴის ციხისა
C203b პატრონი, — და შეიპყრნა იგინი ანისის კარსა. და დააგდო ტფილისი | მეფემან, და
გავიდა ჯავახეთს.

ამისა შემდგომად გამოიყვანნა მაწყუერელმან მესხნი, განმითა ბაგრატისითა,
შეულად მეფისა. და მეფე დგა ღრტილას. ხოლო ლიპარიტ შეკრიბნა კახნი და მოადგა
ფოკათა. გამოექცა მაწყუერელი მეფესა ბაგრატს და შეეზრახა ლიპარიტს. ვითარცა
ცნა ესე მეფემან, ზამთრისა ბუქთა სამინელთა გარდაიარა შავშეთი და ჩავიდა ქართლს.

და ლიპარიტ გამოიყვანნა ახლად საბერძნეთით დემეტრე, ძმა ბაგრატ მეფისა.
ბერძენთა მეფისა გაძმი და ლაშქარი შემწე იყო. და განხეთქნა ამის სამეფოსა კაცნი:
1 და უღირსად D. 1 განკუეთნეს — საყდართაგან A, გარდამოსთხინეს (გარდმოსთხივნეს m) საყდარ-თაგან CMm (აკლია „განკუეთნეს და შეაჩუენნეს“), გარდამოსთხივნეს საყდართაგან (+ მათთა D) და შეა-ჩვენნეს cet. (< განკუეთნეს). 2 დაღათუ] და რამეთუ A, ხოლო დაღათუ D. 2 ძნელღა A, არა ადვილ cet. 2-3 რამეთუ—საყდრები] ნათესავთა მათთა ძლიერებითა CMm. 3 რომელთა A, რამეთუ რომელთა RTs, რამეთუ რომელთაცა cet. 3 რომელთა უწესოდ დაეპყრნეს] ა˝დ ამისთჳს არაჲ ჰრიდეს მათსა წარჩინებულობასა და შეჩუენებით განაძეს რომელთა დაეპყრნეს უწესოდ D. 3 დაეპყრნეს BRTp, დაეპყრა A, დაიპყრნეს cet. 3-4 და სათნონი ღმრთისანი < CMm. 4 ∼ ჭეშმარიტნი და სათნონი ღმრთისანი მწყემსნი A. 4 დაადგი-ნეს T. 4 შუენიერი < A. 4 ჭეშმარიტი RT, და ჭეშმარიტი D. 4 ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა < CMm. 5 ათოთხმეტთა კრებათა b, ათორმეტთა მ ა თ კრებათა D (ჩამატებულია იმავე ხელით). 5 ნიჭთა A. 6 სამეფოთა ABMmp, სამეუფოთა cet. 6 წარგზავნნეს AD, განიმგზავრნეს C, განგზავნნეს (გაგზავნეს) cet. 6 თვითეულნი D. 6 სახედ AC, სახლად Mm, სახიდ cet. 6 მიმსგავსებული C. 7 კოსტანტინესი C. 7 აღესრულა დავით მეფისაგან C. 7-8 უწინარეს — თჳსთა D, < cet. 8 სანაც˝ლოდ M, სანაცლოდ m. 8 თუ < dm. 8 ღმერთმან გულთა მეცნიერმან T, < Mm, ღ˝თნ C. 9 უძილმან < A, და უძილმან D. 10 რამეთუ] მას ჟამსა შინა D. 10 კსენებულ იყო A. 10 ერთა A, ჰრეთა Mm, Ⴑერთა ‖ ერთა cet. 11 და (დედ.). < Mm. 11 მათმან] მისმან A. 11 ბარამ ქავთარის ძემან C, ქავთარის ძემან Mm. 11 და <AC. 11-12 და მოსცეს მეფესა დავითს და მისსა შემდგომად აიხუნა მეფემან დავით D. 12 ერტოხს Mm, ერტუხს C. 13 კმა-გასმენილი ACT, -გასმენილნი cet. 13 იგი < Ab. 13 დიდი AC, < D, და დიდი cet. 13 ძლევა < D. 14 ურიცხუნი სპანი AC, სპანი ურიცხუნი cet. 14 და ათაბაგი AC. 14 განძასა CMm. 14 და < A. 15 ქუეყანისა მის D. 15 ერი < A. 15 ჩუენდა A, ჩუენთა C (∼ ჩუენთა გარემოდგომილი), ჩუენთანავე D, ჩუენ თანა cet. 15-16 ესეოდენ და ადვილად ჴელთ A. 16 უსხენან m. 16 საკჳრველმან A. 16 რომელი A. 17 თუ < CMm. 17 ჴლითა < CMm. 17 არა < Bdp. 17 არა წარიქცევდეს თუ არა ბევრთა C. 17-18 ∼ ბევრნი წარექცივნეს A. 18 მათივე A, მათითავე C, მთითვე Mm. 18 ტყუეთათ Ad, ტყეთა C. 18 მოიყვანდეს A. 19 ყოველნი A, იგინი C, იგინი ყოველნი cet. 19 ქრისტიანენი < C.

[1] ამის შემდეგ D-ს აკლია ფურცელი. გაგრძელება იხ. ქვემოთ გვ. 330, 1.

ხოლო თჳთ მეფე არა თუ ვითარცა სხუა ვინმე ზურგით უდგა ოდენ სპათა
C224a თჳსთა, | ანუ შორით უზახებდა, ვითარცა ერთი მთავართაგანი ვინმე, არამედ უპირა-
ტეს ყოველთასა თჳთ წინა უვიდოდა, და ვითა ლომი შეუზახებდა კმითა მაღლითა,
და ვითა გრიგალი მი-და-მო იქცეოდა; და თჳთ გოლიათებრ მიმართებდა და მკლა-
ვითა მტკიცითა დაამკობდა ახოვანთა, სრვიდა და დასცემდა წინა დამთხუეულთა
ყოველთა, ვიდრემდის ფრიადისა ცემისაგან არა თუ ვითარცა მუელსა დავითს ელია-
ზარის ჴელი ჴრმლისა ვადასა ოდენ დაეწება, არამედ ჴრმლით მისით უკმოძდინარითა
სისხლითა წელნი აღსავსე ესხნეს, რომელი შემდგომად ომისა გარდაჴდისა და სარტულისა
M 526 განჴსნისა საცნაურ იქმნა, ქუეყნად რა დაითხია ესეოდენისა მტკნარისა | სისხლისა
შეუნებულისა, რომელსა პირველ განხილვისა თჳთ მისგან ვგონებდით გამოსრულად.
და მას დღესა სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაღა ზედა მჯდომმან სრულ ყო
მის დღისა ომი. და ესე მრავლისაგან ყოვლად მცირედი და კნინი წარმოვთქჳთ.
A 355 ესრეთ რა თჳთმპყრობელობით დაიპყრა ჰერეთი | და კახეთი, და ნებიერად
აღიხუნა ციხენი და სიმაგრენი მათნი, მზეებრ მიჰფინა წყალობა ყოველთა ზედა
C224b მკჳდრთა ქუეყანისათა. და ვინათგან ღმერთი ესრეთ განაგებდა | საქმეთა დავითისთა,
და წარუმართებდა ყოველთა გზათა მისთა, და მოსცემდა ჟამად-ჟამად ძლევათა საკჳრ-
ველთა, და უმღოდა მალითი-მალად, — არცა იგი უდებებდა განმრავლებად ტალანტთა,
არამედ სრულითა გულითა მსახურებდა, და მათ იქმოდა, რომელნი ნებისა ღმრთისად
დაამტკიცნის და სათნო-ყოფილად მისდა აღუჩნდის, ვითარცა აწ ითქუას.

რამეთუ მოიგონა აღშენება მონასტრისა და დაამტკიცა რომელიცა გამოირჩია
მადლმან საღმრთომან ადგილსა ყოვლად შუენიერსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა,
რომელსა შინა ვითარცა მეორე ცაჲ გარდაართხა ტაძარი ყოვლად წმიდისა და
M 527 უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატე|ბული ყოველთა

1 თუ <C. 1 ვითარცა სხუა] ვასხა Mm (ვ˝ა სხ˝ა). 1-2 ∼ სპათა თჳსთა ოდენ b. 2 თჳსთა] მისთა A. 2 უზახებდა AC, უზრახებდა cet. 2 მთავართაგანი A, მრავალთაგანი cet. 2 ვინმე < C. 3 ყოველთასა A, ყოველთა cet. 3 თჳთ <b. 3-4 და ვითა ლომი—იქცეოდა <CMm. 3 ვითარცა ლომი Bdp. 4 და (თჳთ) A, < cet. 4 გოლიათი ვითა C. 4 და A, < b, თჳთ cet. 5 მტკიცითა] ძლიერითა A. 5 დაამკობდა AC, და კმობდა cet. 5 დასცემდა] მისცემდა Mm. 6 ყოველთა < CMm. 6 ძუელისა დავითისა A. 6-7 ელიაზარს Mm, ელიაზარ C. 7 ჴელი < A. 7 ჴლმისა A. 7 ვადისა b. 7 მისითა < Mm. 7 უკუმომდინარითა A. 7 წელნი] წიაღნი CMm. 8 აღსავსე ესხნეს A, აღსავსედ ეტჳრთნეს cet. 8 რომელი Mm, რაჟამს cet. 8 ერისა ომისა A, მუცლისა CMm. 8 გარდაჴდისა A, < CMm, გარდაჴდის cet. 8 მუცლისა და სარტყ-ლისა CMm. 9-10 ქუეყნად რა დაითხია დამტკნარებული სისხლი და რამეთუ ჩუენთჳს მისგან გამოდენასა ვაყენებდით A, ქუეყნად რაი დაითხია ესეოდენი მტკნარი სისხლისა შეყენებულისა, რომელსა პ. გ. თ. ვგ. გამო-სრულად C. 11 გამოუკლნეს ACMm, გამოუკლეს cet. 11 მეოთხესა A. 11 მჯდომელმან m, < A, მჯდომ-მან cet. 12 ყოვლად < A. 12 და კნინი] < A, და წინა Bdp. 13 ესრეთ] ესე A. 13 მპყრობელობით Mm. 13 და <A. 13 და (ნებ.) <A. 15 განაგებდა <C. 16 და წარუმართებდა] წარმართებდა C. 16 ჟამად-ჟამად ACMm, ჟამითი-ჟამად cet. 16-17 საკჳრველთა AC, საკჳრველებათა cet. 17 უდებად A, უდებდა Mm. 17 ტალანტთა (C: ტალატთა) CMm, საქმეთა კეთილთა და სათნოთა ღმრთისათა cet. 18 არამედ < b. 18 მით Mm. 18 ნებისად C. 18-19 რომელნი—აღუჩნდის] რომელნი მას სათნო ეყოფვოდიან A. 19 ითქუ-მის A. 20 დაამტკიცა T. 20 გამოარჩია Mm. 21 მადლმან] მღდელმან C. 22 ვითარცა <Mm. 22 მეორე ცაჲ] მერეცა Mm(= მე[ო]რე ცა), მეორე ცა Cs. 22 გარდავართხა Mm, გარდაირთხა C, გარდააკარვა A (შდრ. ე ს ა ი ა 40, 22: «რომელმან გარდაართხა ცაჲ ვითარცა კამარაჲ»). 23 და უფროსად კურთხეულისა <CMm. 23 დედისა ღმრთისა A, ღ˝თისა დედისა C, ღ˝თის მშობელისა cet. 23 ყოველთა < A.

წინ[1]ანდელთა ქმნულთა, რომელი ზედა ჰმატს შუენიერებასა ყოველთასა, სივრცითა
და ნივთთა სიკეთითა და სიმრავლითა, და მოქმნულობისა შეუსწორებლობითა, რო-
A 356 მელსა აწ თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი. და აღავსო სიწმი|დეთა მიერ
პატიოსანთა ნაწილთა წმიდათასა, და წმიდათა ხატთა მიერ და სიწმიდისა სამსახურე-
ბელთა ყოვლად დიდებულთა და სხუათა ნივთთა მნიად საპოვნელთა.

C225a ამათ | თანა დასხნა მუნვე დიდთა და ხოსროანთა მეფეთა ტახტნი და საყდარნი,
სასანთლენი და კიდელნი ფერად-ფერადნი იავარად მოხმულნი თჳსნი. და კუალად
გჳრგჳნნი და მანიაკნი, ფიალანი და სასუმელნი, რომელნი მოუხუნა მეფეთა არაბეთი-
სათა, რაჟამს თჳთ იგინიცა ტყუედ მოიყვანნა, მასვე ტაძარსა შინა შეწირნა ღმრთისა
საკსენოდ და სამადლობელად ძლევისა მის საკჳრველისა.

და მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა
სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთაჲთ
სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერითა და ჴორციელითა სათ-
ნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკჳდრნა
M 528 მას შ|ინა.

და მამული ლიპარიტეთი უმკჳდროდ დარჩომილ იყო, არამედ სხუათა მრავალთა
A 357 და სამართლიანთა უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფელთა თანა | მისცნა დედასა ღმრთი-
სასა სამსახურებელად მისსა წინაშე მდგომელთა მისთათჳს, და უზრუნველი ტრაპეზი
C225b განუჩინა. რომელიცა აწ წინამდებარე არს ყოვლისა აღმოსავლისა მეორედ | იერუსალემად,

1 წინდელთა s. 1 ქმნულთა A, ქმნულობისა DMRTm, ქმნილობისა cet. 1 ზეშთა ACDs, ზესთა cet. 1 შუენიერებითა ყოვლითა A, შუენიერებითა ყოველთასა D. 2 ნივთითა CMms. 2 და (სიმრ.) < A. 2 და < b. 2 მოქნილობისა C. 2 შესწორებულობითა AMm (Mm-ში უფრო ქვემოთ, 330, 16 შეცდომით განმეორებულ წინადადებაში სწერია „მოქმნილობის შეუსწორებლობითა"). 2-3 რომელსა აწ] რომელთა Mm, რომელსა C. 3 თანამოწმობით ხედვენ თუალნი ყოველთანი A, თანამოწამედ ჰქონან თუალნი ყოველთა ჴორციელთა (ყოვ. ჴ. <CMm) მხედველთანი cet. 3 მიერ და C. 4 ნაწილსა DRTs. 4 წმიდათათა ABdp. 4 და (წმ.) AD, <cet. 4 მიერ A, <cet. 5 ძნიად საპოვნებელთა A, ძჳრად საპოვნელთა cet. 6 ხოსროანთა A, ხუასროანთა cet. 6 და <A. 7 სასანთლენი AC, სასანთლეები D, სასანთლები cet. 7 კიდელნი A, საკიდელნი cet. 7 ფერად-ფერადნი AD, ფ″დ ფრიად B, ფ″დ ფ″დ p, ფერად ფერად cet. 7 მოხმული Bdp. 7 თჳსნი AMm, < cet. 8 გჳრგჳნი A. 8 და AC, <cet. 8 ფიალნი A, და ფიალნი Cs, და ფიალანი cet. 8 სას″მელნი M, სასმელნი Bdp. 9 მასვე A, და მისვე MRTms, და მასვე cet. 9 შინა < C. 9 შეწირა T. 11 და < A. 11 ცხოვრებითა < b. 11 შემკობილნი C. 12 სათნოებითა] სათნოთა ცხოვრებითა b. 12 ∼ არა ოდენ სამეფოთა თჳსთა C. 12 ოდენ სამეფოთა A, სამეფოთა ოდენ cet. 12 შინა < A. 12 კიდეთათ A, კიდეთა cet. 13 სადაცა A, სადითცა Bp. 13 ვიეთიმე C. 13 სიწმიდე A, < cet. 13 სიკეთეცა C. 13 სისრულე AC, და სისრულე cet. 13 სულიერთა და ჴორციელთა სათნოებათა C. 13-14 სათნოებითა < A. 14 იძინა AMm, იძივნა C, იძია ,cet. 14 და < Mm. 14 კეთილად Mm, < b, კუალად cet. 14 გამოიძინა AMm, გამოიძივნა C, < b, გამოიძია cet. 14 და < d. 14 დაიმკჳდრნა Mm. 16 და ACD, < cet. 16 და შ ე ს წ ი რ ა მამული b. 16 ლიპარიტეთა m. 16 დაშთომილ D, დაშთომილი CMm. 16 დარჩომილ იყო არამედ A, დაშთომილი სრულიად CMm, დარჩომილი (დაშთომილი Ts, დარჩომილ Bp) იყო სრულიად cet. 16 სხუათა + და ნ ი ვ თ თ ა სიკეთითა და სიმრავლითა და მოქნილობის შ ე უ ს წ ო რ ე ბ ლ ო ბ ი თ ა რ ო მ ლ ი ს ა თანა Mm (ეს არის განმეორება ზემოთ [სტრ. 2 შემ.] მოყვანილი წინადადებისა ხაზგასმული სიტყვების შესწორებით; ჩანს, Mm-ის დედანში ეს ადგილი არშიაზე ყოფილა შესწორებული და მერე შიგ ტექსტში შესულა, შეცდომით სხვა ადგილას). 17 უსარჩლელ-მიხუეჭილთა Mm. 17 სოფლებთა codd. 18 სამსახურებელნი A. 18 მისსა] მის Bp, <A. 18 წინაშე < Mm. 18 ∼ წინაშე მისსა C. 18 მდგომელთა მისთათჳს A, მდგომთათჳს cet. 19 აღმოსავლისა CDMRm. 19 რ″ მეორედ D. 19 იელუსალემად C.

[1] აქედან («... ანდელთა») აგრძელებს ტექსტს D (იხ. ზემოთ გვ. 328, 17).

სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად
უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად.

ხოლო სახელი მისი გელათი.

და კუალად სხუა მოიგონა საქმე, შემსგავსებული მოწყალისა და ტკბილისა
ღმრთისა სახისა, კაცთმოყუარებისა თჳსისა: აღაშენა ქსენონი ადგილსა შემსგავსებულსა
და შუენიერსა, რომელსა შინა შეკრიბნა მძანი, თჳთოსახითა სენითა განცდილნი, და
მოუმზადა ყოველი საჴმარი მათი, უნაკლულოდ და უხუებით, და განუჩინნა შესავალნი
და სალუაწნი მათნი ყოვლადვე. თჳთ მივიდის და მოიხილნის, მოიკითხნის და ამბორს
უყვის თჳთოეულსა, აფუფუნებდის მამებრ, სწყალო[1]ბდის და ნატრიდის, განამჴნობდის
მოთმინებისა მიმართ, მონასის თჳსითა ჴელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი
A 358 მათი, პინაკი და ყოველი საჴმარი მათი, მისცის თჳ|თოეულსა ოქრო საყოფინი, და
M 529 გა|ნაკრძალნის ზედამდგომელნი მათნი, და განაგის ყოველი საქმე მათი დიდად შუენი-
ერად და ღმრთის-მსახურებით.

ხოლო ვიდრე ამა ჟამადმდე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი
სამშჳლდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს
C226a თე|ვდორეს, ჭყონდიდელისა დისწულსა, კაცსა გონიერსა და დიდად მეოფსა. რამეთუ რა
მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას
ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა და მწიგნობართ-
უხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და ივანე ორბელი, და სიმარჯჳთ მოიპარეს
სამშჳლდე.

მაშინ იქმნა დიდი სიხარული, რამეთუ დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა
სამეფოსათა. ცნეს რა თურქთა აღება სამშჳლდისა, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი

1 სასწავლოდ C, სასწაულად cet. 1 კეთილისად ACD, კეთილისა cet. 1 სწავლულობისად A. 1 სხუად DMm, სიტყუად A, სახად C (← ს″ხად), სახლად cet. 1 ათინად < C. 1 ფრიადცა D. 2 უაღრეს — შუენიერებისად] უაღრეს მისსა ჰყო და საღ″თოთა შინა წესად. და კანონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად შეამკუნა D. 2 წესთა დიაკონად A, წესად და კანონად და C, წესად კანონად cet. 2 საეკლესიოსა ACMRm, საეკლესიოისა Bdp, საეკლესიოჲსა cet. 3 **ხოლო სახელი მისი გელათი** C, < cet. 4 სხუა < d. 4 შემსგავსებული AC, შემსგავსებულად cet. 5 სახისა AMm, სახიერისა cet. 5 კაცთმოყუარისა C. 5 თჳსისა ADMRTm (კაცთ-მოყუარებისა)თჳს b, მისისა cet. 5 აღაშენნა ქსენონნი M, აღაშენა ქსენონნი m, აღაშენნა ქსენონი s. 5-6 შემსგავსებულად შუენიერად Mm. 7 ყოველივე Bdp. 7 და < A. 7 და < AMbm. 8 და < C. 8 სალუაწენი Mm. 7-8 განუჩინა შესავალი და სალუაწი მათნი A. 8 და ყოვლადვე CMm. 8 თჳთ AMm, ხოლო თჳთ cet. 8 და AC < cet. 8 და მოიკითხნის C. 8 და < C. 9 აფუფუნებდის Mm, < A, ჰფუფუნებდის cet. 9 მამაებრ M. 9 განამჴნის Mm. 10 მოთმინებისა < Bdp. 10 ცხედრებისა მოსილებითა Mm. 10 სამოსელი საგებელი C. 11 მათი < CMm. 11 ყოველი <d. 11 მოსცის A. 11 საყოფინი A, კმა CMm, კმასაყოფი s, კმასაყოფნი cet. 11 და < Mm. 12 განკრძალნის Mm, განკრძალულნი A. 12 მათნი < C. 12 და A, < cet. 12-13 და შუენიერად A, შუენიერად და cet. 14 ხოლო ვიდრე] < Mm, ხოლო C. 14 ამა A, ამად cet. 14 და A, < cet. 14 და (ყ.) < ACMm. 15 და < ACMm. 15 ჰქონდეს ACMm, აქუნდეს cet. 15 ხოლო — ჰქონდეს < Mm (ex hom.). 15 თრიალეთნი s. 16 თევდორე ჭყონდიდელსა Mm, თევდორე ჭყონდიდელისა C. 16 და < Mm. 16-17 რა მეფე A, მეფე რა cet. 17 აფხაზეთით C. 17 უმცრო Mm. 18 გარდამოვიდეს Mm. 18 ∼ გარდავიდა მეფე C. 18 იმერით AC, იმერეთს Bdp, იმერითს cet. 18 და < AC. 18 გიორგი AC, გიორგის cet. 18 გიორგი ჭყონდიდლის წინაშე და მწიგნობართა უხუცესსა A. 18 ჭყონდიდელ Bdp. 18 და AC, < cet. 18-19 მწ.-უხუცესის Bdp. 19 აბულეთ AMm. 21 დიდი < b. 22 სამეფოსათა CMm (და აგრეთვე ჯ ა ვ ა ხ. სამ. ისტ. II, 1, 8), სამეფოთა cet.

[1] ამის შემდეგ D-ს აკლია ფურცელი. გაგრძელება იხ. ქვემოთ გვ. 332, 17.

დაუტევნეს, და ღამით მეოტ იქმნნეს, და ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი. რამეთუ ვიდრე მოაქამომდე სთუელთა ჩამოიარიან თურქთა სომხითი, ყოვლითა ფალანგითა A 359 მათითა, ჩამოდგიან გაჩიანთა, პ|ირსა მტკუარისასა, ტფილისითგან ვიდრე ბარდავადმდე, და იორის პირთა, და ყოველთა ამათ შუენიერთა ადგილთა საზამთროთა, რომელთა შინა ზამთრის, ვითარცა არესა გაზაფხულისასა, ითიბების თივა, და აქუს შეშა და წყალი უხუებით, და მუნ არს სიმრავლე ნადირთა თჳთოფერი და სამყებელი ყოველი. ამათ ადგილთა შინა დადგიან ხარგებითა. ცხენისა, ჯორისა, ცხუარისა და M 530 C226b აქლემისა მათისა არა იყო რიცხ|ჳ, | და აქუნდა ცხოვრება სანატრელი; ნადირობდიან, განისუენებდიან და იხარებდიან, და არა იყო ნაკლულევანება მათ თანა. თჳსთა ქალაქთა ვაჭრობდიან, ხოლო ჩუენთა ნაპირთა არბევდიან ტყჳთა და ალაფითა სავსეთა. გაზაფხულსა თანა იწყიან სლვა აღმართ მთათა სომხითისა და არარატისათა. ეგრეთვე ზაფხულისცა ჰქონდის შუება და განსუენება, თივათა და ველთა შუენიერთა, წყაროთა და ადგილთა ყუავილოვანთა, და ესეოდენ დიდი იყო ძალი მათი და სიმრავლე, რომელ სთქუამცა თუ „ყოველი თურქობა ყოვლისა ქუეყანისა იქი არსო“. და არავისგან A 360 მოსაგონებელ იყო ოდესცა მათი გასხმა ანუ ვნება, არცა თუ თჳთ სულტ|ანისაგან.

ოდეს სამშჳლდე და ძერნა აიღეს, ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი. მას წელსა მოვიდა ძალი სულტანისა და ყოველი[1] თურქობა, კაცი ვითარ ასი ათასი, უგრძნეულად სიმარჯჳთა, ხოლო მეფე დგა ნაჭარმაგევს ტაძრეულითა. ცნა რა მიმწუხრი მოსლვა მათი თრიალეთს, ღამე ყოვლ წარვიდა მასლათა კაცითა ათას ხუთასითა, რამეთუ ესეოდენნი დახუდეს მას შინაშე. ცისკარს მოვიდეს თურქნი და იქმნა ბრძოლა ფიცხელი C227a მას დღესა, და შეწევნითა ღმრთისათა | იმლია ბანაკი მათი. და მიდრეკასა დღისასა

1 ღამით A, ღამე cet. 1 მეოტ იქმნნეს A, ივლტოდეს cet. 1 და] ხოლო CMm. 1 ჩუენთა C (← ჩუენთ῾ა). 1-2 რამეთუ ვიდრე] ხოლო Mm, რამეთუ C. 2 მოაქ῾მდის M, მოაქამდის m, მოაქამდე C. 2 სთუელთამდის A. 2 ფალანგითა A, ფალანგებითა cet. 3 პირსა AMbm, და პირსა cet. 3 თბილისით-გან C. 3 ვიდრე < CMm. 4 პირსა C. 4 და < A. 4 მათ A. 4 ∼ საზამთროთა შუენიერთა ად-გილთა AC. 5 ∼ ვითარცა ზამთრის (ზამთრისა M)Mm. 6 თუალ ფერი Mm. 7 ხარგებითა ACb, ხარე-ბითა M, კ ა რ ე ბ ი ს ა m, ხარგაებითა cet. 7 ცხენისა < C. 7 ჯორისა < CMm. 7 ჯორისა ცხურისა A, ∼ ცხ. ჯორისა cet. 8 აქლემისა A, აქლემებისა cet. 8 აქუნდა A, ჰქონდა CMm, აქუნდათ cet. 9 და < ACMm. 9 იხარებდიან < Mm. 9 არარა C. 10 ჩუენთა ნაპირთა] ჩუენთანა პურითა Mm. 10 და ტყუეთა Mm, და ტყჳთა C. 10-11 გაზაფხულისა Bm. 11 სლვა აღმართ A, აღმართ სლვად cet. 11 სომ-ხითისა AC, სომხითისათა cet. 12 ზაფხულისაცა AMm. 12 ჰქონდის ACMm, ჰქონდისთ cet. 12 თივითა და ველითა შუენიერითა Mm. 13 ადგილთა ყუავილოვანთა Mm, ყუავილოვანთა ადგილთა ყოფითა (ყ ო ფ ი ლ თ ა A) AC, ადგილთა მწვანვილოვანთა cet. 13 ესეოდენ AMm, ესოდენ cet. 13 დიდ CMm. 13 ძალი და სიმრავლე მათი AC. 14 რომელ სთქუმცა C, რომელსა თუმცა A, რომელი სთქუამცა cet. 14 თურქმანება C. 14 იქი არსო CDMRTb, იქ არსო m, უმისოდ A, აქა არსო cet. 14 და < A. 15 ∼ გასხმა მათი C, გასმია Mm. 15 თუ < C. 16 ოდეს — ოცდაათი < D. 16 და ძერნა < CMm. 16 ქრონიკონი იყო სამას ოცდაათი < Mm. 16 ქარონიკონსა სამას ოცდა ათსა ოდეს სამშჳლდე აიღეს C. 16 სამას ოცდაათი A, ტარი და ლასი RTs, ტ და ლ Bdp, ტლ cet. 16 მას წელსა MRTbm, მაშინ A, მას ჟამსა D, და მას წელსა cet. 17 თურქობა] თურქ: ქმნილობა Mm, თურქმანობა C. 17 ასი ათასი] ს῾ჩ Mm. 17 უგრძნაულად A, უგრძნეულოდ CMm, უგრძნულად DR. 18 სიმარჯუეთ Mm, სიმარჯჳთ C. 18 ტაძრე-ულთა C. 18 მიმწუხრითურთ T. 19 ღამ-ყოლე Bdp. 19 მასლათა] < CDMm, მას῾ლათა T. 20 შინაშე A, წინაშე cet. 20 ცისკარსა M, და ცისკარს D, ცისკრად C (∼ მოვიდეს ცისკრად). 20 და ACD, < cet. 20 ფიცხელი] ძლიერი Mm, მათ შორის ფიცხელი D, ძლიერი და ფიცხელი C. 21 მას დღესა < AD, მას დღესა შინა C.

[1] აქედან («ყოველი») გრძელდება ტექსტი D-ში (იხ. ზემოთ გვ. 331, 9).

მიდრკეს სივლტოლად ესეოდენ ზარგანჴდილნი და მოსწრაფენი, ვიდრემდის არცა თუ M 531 კარავთა მათთა და ჭურჭელთა მიხედნეს ყოვლად, არამედ მოსწრაფებასა პატივ-სცე|ს ფერჴთა მათთა უფროს საქონლისა მათისა, და ესრეთ განიბნივნეს თჳსთა ქუეყანათა.

ხოლო ესევითარსა საკჳრველსა სივლტოლასა მათსა თჳთ მეფე და სპანი მისნი ესოდენ ურწმუნო იყვნეს, ვიდრემდის არავინ სდევნა ყოვლად, რამეთუ ხუალისა ომი ეგონა. და წარიღო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხნარს ყოფასა. A 361 ქრონიკონი იყო სამას ო|ცდა თხუთმეტი. რომლისათჳსცა დიდად წყენა შეექმნა თურქთა და რიდობა საზამთროთა ადგილთა დგომისა. რამეთუ მოიმსტვარნის მეფემან რომელთა მოსრვა ეგებოდის, და უგრძნეულად დაესხის და მოსწყჳდნის. და ესე არა ერთგზის ანუ ორგზის, გინა სამ, არამედ მრავალგზის, ვითარცა აწ ერთი ითქუას.

რამეთუ ტაოს ჩამოდგეს დიდნი თურქნი ხარგებითა, ვინათგან ზამთრისა სიფიცხესა და მთათა სიმაგრეთა მიენდვნეს. ხოლო მეფემან მოიკლოვნა ესრეთ, რამეთუ C227b სპათა ქართლისათა მხაობა უბრძანა და თჳთ ქუთათისს გარდავიდა, რომ|ლითა უეჭუელ ყვნა იგინი. და თუესა თებერვალსა აცნობა ქართველთა და მესხთა, რათა კლარჯეთს დახუდენ პაემანსა, და თჳთ მიდითა სპითა ხუფთით ჭოროხის პირი წარვლო. და შეკრბეს ერთად, და უგრძნეულად დაესხნეს მათ ზედა, უშიშად გულდებითა მხედრომარეთა ბასიანამდე და მთად კარნიფორისად. რამეთუ ქრონიკონი იყო სამას ოცდათექუსმეტი.

1 მიდრიკეს m. 2 ჭურჭელთა + მათთა AD. 2 ყოვლადვე D. 3 ფერჴთასა C. 3 მათთა] < CMm, მათთასა D. 3 საქონლისა მათისა] მათს Mm, მათსა C, მიხედვასა საქონლისა მათისასა D. 3 განიბნივ-ნეს AMm, განიბნინეს C, მეოტად განიბნივნეს D, განიბნივნეჴ cet. 3 ქუეყანასა + შინა D. 4 ხოლო < b. 4 ესე ვითარსცა Mm. 4 ესევითარსა ქუეყანასა საკჳრველსა მათსა A. 4 ყოველნი სპანი D. 5 იყვნეს AC, იქმნეს cet. 5 ვითარმედ A. 5 ჰომი C. 6 ეგონათ D 6 და A, და შემდგომად ამისსა ქ῾დ D. 6 წაი-ლო AC, წარვლო Mm, წარიღო cet. 6 გიორგი ჭყონდიდელი A, გ῾ი ჭ῾ყ Mm. 6 მეფისა AMm, მეფის cet. 6 მუხრანს AMm. 6 ყოფნასა D, ყოფსა M. 7 ∼ იყო ქრონიკონი A, <Mm. 6-7 და წარიღო — სამას ოცდა-თხუმეტი] ქარონიკონსა სამას ოცდა თხუთმეტსა წაილო გიორგი ჭყონდიდელმან რუსთავიცა, მეფისა მუხ-ნარს ყოფასა C. 7 სამას ოცდა თხუთმეტი A, ტარი ლასი და ენი RTs, < Mm, ტლე cet. 7 რომლისა-თჳს AC. 7 დიდად წყენა] შეწყენა A, < D. 7 შეექნათ D 8 და რიდობა] დიდი წყენა და რიდობაჲ D. 8 დგომისათჳს D. 8 მოიმსტვარნის] მოიმსტურის C, მოიმსახურნის M, მომისახურნის m, მოიმსახურნა A. 8-9 რომლითა მორევა Mm. 9 ეგებვოდის A. 9 და A, რამეთუ cet. 9 უგრძნაულად A, უგრძნეულოდ CD. 9 და < A. 9 ამოსწყჳდნის m. 9 არა თუ C. 9 ერთგზის Am, ერთხელ C, ერთ cet. 10 ანუ A, გინა cet. 10 ორგზის A, ორ cet. 10 გინა A, ანუ cet. 10 ანუ ორგზის გინა სამ < C. 10 აწ < A. 10 ითქუმის A. 11 რამეთუ ქრონიკონსა სამას ოცდა თექუსმეტსა ტაოს C. 11 ხარაგებითა m, ხარგაებითა A, ხარგე-ბითა და დედა-წულითა D, ხარგებითა cet. 11 ვინათგან] რამეთუ AD. 11 ∼ ვინათგან ხარგებითა (m: ხარაგებითა) Mm. 11-12 სიფიცხითა A, სიფიცხლესა C. 12 მთათა] მთისა C, მათთა m. 12 სიმაგ-რეთა DMm, სიმაგრესა cet. 12 მეფემან დავით D. 13 მაზაობა Bdp (ასევე ყოფილა RT-შიც და მერე შეუსწორებიათ). 13 ქუთათის codd. 13 წარვიდა A. 14 ყვნა] იქმნეს Mm. 14 თებერვალსა T, ფებერვალ῾ა cet. 14 კალარჯეთს m. 15 შჳდითა AMm, შიდათა C. 15 ხუფთითა A, ხუფათით C. 15 ჭოროხის Bdp. 15 წავლო A. 15 და AC, < cet. 16 და AMRdmp, < cet. 16 უგრძნაულად As, უგრძნულოდ CDMm. 16 დაესხა A. 16 მთაზედა C. 16 უშიშთა s. 16 უშიშად გულდებითა] სასო-ებით CMm. 17 და < C. 17 მთად] მათად Mm. 17 კარმიფორისად A, კარიმფორისა Bp, კარნიფო-რისა Cm, კარნიმფორისა s, კარმიფორისა cet. 17-18 რამეთუ — ოცდათექუსმეტი < CDMm (D-ში ქრო-ნიკონი არის ცოტა ქვემოთ [გვ. 334, 3], C-ში ზემოთ [გვ. 333, 11] არის). 17-18 სამას ოცდათექუსმეტი] ტარი ლასი და ვინი RTs, ტლე b, ტლვ cet.

მოსრეს სიმრავლე მათი ურიცხუ, და აღიღეს დედა-წული მათი, ცხენები, ცხო-
A 362 ვარი, აქლემები და ყოველი ნაქონ|ები მათი, რომლითა აღივსო ყოველი სამეფო მისი
M 532 ყოვლითა კეთი|ლითა.

და მასვე წელსა ასული თჳსი კატა გაგზავნა საბერძნეთს სძლად ბერძენთა მეფისად. რამეთუ პირველ ამისსა პირმშო ასული თჳსი თამარი გაეგზავნა დედოფლად შარვანისა, რათა ვითარცა ორნი მნათობნი — ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს — ცისკროვან ჰყოფდენ სფეროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი.

[1] ამისა ჟამთა შევიდენ მთარგმანებელნი წიგნთანი ეფრემ მცირე, და თეოფილე, და არსენ იყალთოელი, და იოვანე ტაიჭის ძე, ქრისტეს აქათ ქკ~ს ჩ~როდ.

და მეორესა წელსა დაიპყრნა გრიგოლის ძენი, ასამ და შოთა, და აღიღო ციხე გიში. და გაგზავნა ძე თჳსი დემეტრე შარვანს სპითა ძლიერითა ლაშქრად. ხოლო მან ქმნნა ომნი საკჳრველნი, რომლითა განაკჳრვნა მხილველნი და მსმენელნი; გამოიღო ციხე ქალამორი და ძლევა-შემოსილი მოვიდა წინაშე მამისა თჳსისა, სავსე ალაფითა და ტყუჱთა ურიცხჳთა.

C 228a ხოლო მეორესა წელსა | ბზობად წარმოემართა მეფე დანუჯით წარსლვად რაჴსის პირსა, და ზატიკი გარდაიკადა ნაკიდურს. მუნ მოართუეს ამბავი ბემქენ ჯაუელისა
A 363 ჯავახეთს თურქთაგან მოკლვისა. და ამისთჳ|ს უმლიდეს დიდებულნი მას ჟამსა წარსლვად. და არა მოისმინა ყოვლად, არამედ დაესხა თურქთა, რაჴსის პირსა მდგომთა, და მოსრა სიმრავლე მათი, და წარმოიღო ტყუე და ალაფი ურიცხჳ.

---

1 და მოსრეს D. 1 ურიცხჳ — მათი] დაატყუევეს დედაწული მათი C, < Mm (ალბათ, ex hom.). 1 და <A. 1 ყოველი დედაწული D. 1 ცხენებით A. 2 აქლემი AC. 2 მისი <C. 3 კეთილითა + რ~ ქრონიკონი იყო ტ~ლვ D. 4 და მასვე] ამასვე Bdp. 4 კახა Mm (ႩႠ—Ⴉ), სახელით კატაჲ D. 4 კატა < C. 4 ძლად s. 4-5 მეფისა CMTm. 5 ამისსა] ამირასა A. 5 ასულთა თჳსთა CMm, ასული A. 5 თამარ ACD. 5 გაგზავნა შარვანის დედოფლად თამარ A. 5 გაეგზავნა DMRTm, გაგზავნა cet. 6 რათა] რამეთუ Bdp. 6 აღმოსავალს AC. 6 ხოლო მეორე A, და მეორე C, და ერთი D, ერთი cet. 7 დასავალს AC. 7 ჰყოფდეს D. 7 საფეროსა Mm, სფერასა Bp, სჶერასა d, სფეროთა D, < C. 7 მიმღებელთა A. 9 ხოლო ამისა ჟამთა შინა D. 9 შევიდნენ b, იყუნეს D. 9 მთარგმნელი b 10 იოანე Db. 10 აქეთ b. 10 ქ~კსა DE. 11 და] ხოლო D. 11 წელსა მეორესა დავით მეფემან D. 11 ასა A, სათა Mm. ასათ C. 11 შოთაი C, ბოთა Mm. 11 აიღო AC, შემდგომად მისა აღიღო D. 12 გიბი Mm. 12 და < AC. 12 დემეტრე AMm, სახელით დიმიტრი D, დიმიტრი cet. 12 შარავანს Mm. 12 ლაშქრითა A. 12 ხოლო < D. 12 მან CMm, მუნ cet. 13 მსმენელნი + მისნი D. 13 გამოიღო] აიღო A, და გამოიღო CD. 14 ქლაძორი Mm, ქალამორი d. 15 ურიცხჳთა + მოვიდა მამისა თჳსისა A, + შარვანელთათა D. 16 ხოლო < CMm. 16 ~ წელსა მეორესა D. 16 წელსა + დაიპყრნა A (შეცდომით წინა აბზაცის დასაწყისის გავლენით), წელსა < C. 16 ~ წარმოემართა ბზობად A, (მეორესა) ბზობასა წარმოემართა C. 16 წარმოემართა] წარემართა D. 16 მეფე] < A, მეფე დავით D. 16 იანუჯით Bdp, დანუხით b, <C. 16 რახსის A. 16-17 რაჴსის პირსა] რაჴისს C, რაჴ[ს]ის პირსა Mm. 17 ზადიკი Bp. 17 ანბავი m. 18 და <A. 19 და — ყოვლად A, ~ და ყოვლად არა მოისმინა cet. 19 მდგომარეთა C. 20 და < C. 20 მათი CMm, მათი ურიცხჳ cet. 20 და (წარმ.) < CMm. 20 ურიცხჳ < A.

---

[1] ეს ჩანართი მოიპოვება მხოლოდ DERb ნუსხებში. R-ში ის მიწერილია არშიაზე ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი ს ხელით (იხ. ალ. ბ ა რ ა მ ი ძ ე: თ. ს. უ. შრომები XXXb — XXXIb, გვ. 314), ხოლო D-ში შიგ ტექსტშია შეტანილი.

ამასვე წელსა აღიღო სომხითისა ციხე ლორე. და მასვე წელსა, ივლისსა, აღიხუნა აგარანი, მეორესა დღესა, ცისკარს. რამეთუ პირველცა ესე ციხე აეღო ბაგრატს,
M 533 პაპასა მისსა, გარნა | სამ თუე ბრძოლითა. ხოლო ამასვე წელსა აგჳსტოსსა მოკუდა სულტანი მალიქი, მალიქ-შას ძე, და ალექსი ბერძენთა მეფე. და ვერ ცნეს ერთმან მეორისა სიკუდილი. ქრონიკონი იყო სამას ოცდათურამეტი.

ხედვიდა რა მეფე დავით ესეოდენთა ზეგარდამოთა ღმრთისა მიერ წყალობათა, შეწევნათა, ძლევათა და გამარჯუებათა თჳსთა, და რომელთა ღმერთი მოსცემდა[1] სამეფოთა ქუეყანათა, ქალაქთა და ციხეთა, რამეთუ არა იყო ესეოდენი სიმრავლე ლაშქართა სამეფოსა შინა მისსა, რათამცა ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირ-
C 228b ველად და კუალად თჳთ მის თანა მყოფად და მოლაშქრედმცა კმა ეყვნეს | დაუცხრო-
A 364 მელად მიმოსლვასა ლაშქრობასა მისსა ზამთარ და ზაფხულ. | ამისთჳსცა შემოიკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე, ვითარცა დავით, სულისა მიერ წმიდისა, აღიღო მაღლად თავი თჳსი და მიმოავლო თუალი გონებისა თჳსისა და განიცადა კეთილად, განიზრახა სამეფოთა ცნობითა, რომელ არა კმა იყვნეს სამეფოსა მისისანი თანამიყოლად კრთომათა და წადიერებათა სულისა მისისათა.

და მსგავსად ალექსანდრესსა ქმნა და ამანცა სულთ-ითქუნა, რამეთუ ითქუმისცა მისთჳს, ვითარმედ ფილოსოფოსმან ვინმე რქუა მას: „არიანო მრავალნი და ურიცხუნი სამეფონი, რომელთა არცა თუ სახელი გასმიეს შენ“. და მან სულთ-ითქუნა და თქუა: „უკეთუ დამიმთეს ესენი, რა იყოს მპყრობელობა ჩემი“. ამისთჳსცა ამან მეორემან
M 534 ალექსანდრე განიზრახა სივრცითა გონებისათა, რამე|თუ სხუაებრ არა იყო ღონე, და

---

1 წელსა] დღესა C 1 აიღო ACR. 1 სომხითისა] < A, სომხით~ს M, სომხითს m. 1 ციხე ლორე A, ციხე ლორე ციხე-ქალი Mm, ციხე-ქალაქი ლორე cet. 1 და მასვე წელსა] და მაშინვე Mm, მაშინ A. 1 ივლისსა < CDb. 1-2 აიხუნა ACMm. 2 აგარნი A. 2 და მეორესა C. 2 ცისკარს AC, ცისკარსა cet. 2 ესე ACMm, ესევე cet. 3 პაპსა C. 3 პაპასა მისსა + ბაგრატს D. 3 სამ თუე] სამთავე m, სამ თუ ოდენ D. 3 ხოლო ამასვე წელსა D, ქრონიკონსა სამას ოცდა თურამეტსა თუესა C, ამასვე cet. 3 აგჳსტოსსა AM, აგჳსტოსა cet. 4 მარიქი C. 4 მალიქაბის ძე Mm. 4 ალექსი + კომნინს Bdp. 4-5 ერთმან ერთისა CMm. 5 ქრონიკონი — ოცდა თურამეტი <CMm (C-ში იხ. აქვე სტრ. 3). 5 იყო] იჯდა D. 5 სამას ოცდათურამეტი A, ტარი, ლასი და ჩე (T: ჰე) RTs, ტლ~ cet. 6 დავით მეფე Bdp. 6 ღმრთისა მიერ წყალობათა < CMm. 6 მიერ] მიმართ ADRTds. 7 შეწევნათა < A. 7 განმარჯუებათა DMRTms. 8 და რამეთუ C. 8 არა + ეგრე A. 9 მდგომად და] მდგომი A, მდგომად C. 10 თჳთ მის თანა A, თჳსთა თანა MRTds, თჳს თანა cet. 10 მყოფად A, მყოლად C, მყოფელად cet. 10 მოლაშქრედცა ABp. 10 ეყვნეს A, იყვნეს cet. 11 მიმოსლვასა — ზაფხულ A, და სამარადისოჲ მისსა მიმოსლვასა (+ და C) ზამთარ და ზაფხულ განალა სადამე (განალსამე C, განალა: სადმე Mm) ლაშქრობასა (ლაშქრობისა b) cet. 11 ამისთჳსცა AC, ამისა Mm, ამისთჳს cet. 11 შემოიკრიბა AMRTm, შემოიკრიბნა cet. 12 კეთილად — წმიდისა < CMm. 13 აღიღო მაღლად თავი თჳსი < A. 13 მიმოვლო MRm, მიმვლო T. 13 გონებასა Mm. 13 თჳსისა და < Mm, თჳსისა < C. 14 განიზრახა] განიცადა Mm, და განიზრახა C. 14 ცნობითა] გონებითა Mm. 14 რომელ AC, რომელი cet. 14 სამეფოსა] მეფობისა Bdp. 15 კრთომითა ABMmp. 15 და < A. 15 წადიერებითა ACMm. 15 მისისათა A, თჳსისათა cet. 16 მჰსგავსად Bp. 16 ქმნა და ამანცა A, ამანცა CMm, ქმნა ამანცა cet. 16 ითქუმისცა A, ითქ(უ)მის cet. 17 მისთჳს ვითარმედ A. 17 მას ACMRTbm, + ვითარმედ cet. 17 არიან A. 18 სამეფონი A, სოფელნი cet. 18 თუ < C. 18 რომელნი არცა თუ სახელი ასმიეს შენი A, რომელთა არცა სახელი შენი ასმიეს C. 19 რა ACMms, რაი Bp, რაჲ cet. 19 ჩემი ამისთჳსცა] ჩემთჳსცა m, ჩემისათჳსცა M. 19 მეორემან A, მეორე cet. 20 განიძრახა m. 20 სხუაებრ ACMm, სხჳებრ cet. 20 და A, < cet.

---

[1] ამის შემდეგ D-ს აკლია ფურცლები, ვიდრე გვერდამდე 339, 2-3 («წარმოვიდა ქართლს»).

უწყოდა კეთილად ყივჩაყთა ნათესავისა სიმრავლე, და წყობათა შინა სიმჴნე, სისუ-
ბუქე და მიმოსლვა, სიფიცხე მიმართებისა, ადვილად დასამჭირველობა და ყოვლითურთ
მომზავებლობა ნებისა თჳსისა. და ამათ თანა უადვილეს იყვნეს მოსლვად მახლობე-
C229a A 365 ლობითაცა და უპოვარებითა, და რამეთუ პირველ | მრავალთა წელთასა მიერ | მოეყვანა
სანატრელი და ყოვლად განთქმული სიკეთითა გუარანდუხტ დედოფალი, შვილი ყივ-
ჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის მისა, სჯულიერად მეუღლედ თჳსად და დედო-
ფლად ყოვლისა საქართველოსა. ამისთჳსცა წარავლინნა კაცნი სარწმუნონი და მოუ-
წოდა ყივჩაყთა და სიმამრსა თჳსსა.

ხოლო მათ სიხარულით მიითუალეს, გარნა ითხოვეს გზა მშვიდობისა ოვსთაგან.
ამისთჳსცა ბრძანა მეფემან წარსლვა ოვსეთს, და სიტყუასავე თანა წარემართა და
თანაწარიტანა გიორგი ჭყონდიდელი და მწიგნობართ-უხუცესი თჳსი, კაცი სრული
ყოვლითა სიკეთითა სულისა და კორცთასა, სავსე სიბრძნითა და გონიერებითა, გან-
მზრახი, სჳანი და ფრთხილი, თანაალზრდილი აღმზრდელი პატრონისა და თანაგან-
მკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა.

შევიდეს ოვსეთს და მოეგებნეს მეფენი ოვსეთისანი და ყოველნი მთავარნი მათნი,
და ვითარცა მონანი დადგეს წინაშე მისსა. და აღიხუნეს მძევალნი ორთაგანვე, ოვსთა
A 366 და ყივჩაყთა, და ესრეთ ადვილად შეაერთნა ორნივე ნა|თესავნი. და ყო შორის მათსა
M 535 სიყ|უარული და მშჳდობა ვითარცა ძმათა. და აღიხუნა ციხენი დარიალსა და ყო-
ველთა კართა ოვსეთისათა და კავკასიისა მთისათანი. და შექმნა გზა მშჳდობისა ყივჩაყ-
თათჳს, და გამოიყვანა სიმრავლე ფრიად დიდი; და სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი
C229b არა ცუდად დაშურეს; არცა ცუდ იქმნა | გამოყვანა მათი, არამედ მათითა ჴელითა მოსრნა
სრულიად სპარსეთისა მალნი, და დასცა შიში და ზარი ყოველთა მეფეთა ქუეყანისათა,
და მათითა თანადგომითა ქმნნა საქმენი დაურწმუნებელნი, ვითარცა ითქუას წაღმართ.

---

1 ნათესავად A. 1 სიმრავლესა A. 1 წყობათა] წყალობათა m. 1-2 და წყობათა — მიმოსლვა A, და სიმჴნე წყობათა შინა, სისუბუქე მიმოსლვისა (C: მიმოსლვა) cet. 3 ~ ამათ თანა და AC. 3 უადვილე C. 4 უპუარებითა C. 4 და < A. 4 პირველ < A. 4 წელთა A. 4 მოეყვანა AC, მოიყვანა cet. 5 სანატრელი] კუალად სანატრელად A (კუალად ← ქლდ ← კეთილად?). 5 ყოვლად < A. 5 შვილი < d. 6 ათრანქ (m: ათრაქ) სარანის Mm, ათრაქშარა ღანის C. 6 თჳსა MRTms. 6 და < AC. 6-7 და დედოფლად C. 7-9 ამისთჳსცა — ოვსთაგან <C (ex hom.). 7 კაცნი + ყოვლისა საქართველოსა A (შეცდომით განმეორებული უკანასკნელი წინადადებიდან). 9 მათ < A. 9 გარნა ითხოვეს] განითხოვეს A. 10 ბრძანა მეფემან A, აიძულა Mm, იძულა მეფე C, აიძულა მეფემან და ბრძანა cet. 10 წარსლვა A, წარსლვად cet. 10 და სიტყუასავე თანა წარემართა < CMm. 11 თანაწარიტანა ოვსეთს C, წარიყუანა Mm. 11 და AC, < cet. 12 ხორცთათა C. 12-13 განზრახი M, განმაზრახი m. 13 და AMm, < cet. 13 თანაალზრდილი აღმზრდელი პატრონისა AC, თანაალმზრდელ აღზრდილი პატრონთა Mm (+ ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამ. ისტ. II, 1, 67), თანაალზრდილი პატრონთა cet. 13-14 თანაგანმკაფელი ჯ ა ვ ა ხ. (სამ. ისტ. II, 1, 127), თანაგანკაფილი M, თანაგანყოფილი m, თანაგანკაფული cet. 14 საქმეთა A, და საქმეთა cet. 15 ოვსეთის მეფენი A. 15 ყოველნი < A. 16 ვითარცა მონანი] მონანივითა C. 16 და დადგეს M. 16 მისსა < CMm. 16 და < C. 16 აიხუნა CMm. 16 ორგნითვე M, ორგნითავე m. 17 შეაერთნეს A. 18 ~ მშჳდ. და სიყ. C. 18 და (აღ.) A, <cet. 18 დარიალსა C, დარიალისა Mm, დარიელისნი A, დარიელისა cet. 19 კართა] კაცთა A. 19 ოვსეთისა ACMm, ოვსეთისათა cet. 19 კავკასისა A. 19 მათისანი A, მთისანი Cs, მთისა თანა Mm. 19 და < A. 20 გამოიყვანა ფრიად დიდი ლაშქარი C. 19-20 ყივჩაყთათჳს — დიდი < A. 20-21 და სიმამრი — გამოყვანა მათი A, სიმამრი და ცოლის ძმანი თჳსნი, და არცა ცუდად დაშურა არცა უსაქმოდ მათი გამოყვანება cet. 21 არამედ < Mm. 22 სრულიად <CMm. 23 თანადგომითა A, თანაყოლითა cet. 23 დაურწმუნებულნი Mm, დაურწმუნოებულნი A. 23 ვითარცა] რომელი აწ C. 23 წაღმარ m.

ხოლო მაშინ ოვსეთს ეოფასა მიიცვალა გიორგი ჭყონდიდელი; თავ-ადგა სიყრ-
მითგანთა პატრონისა მსახურებათათჳს; და პატივითა დიდითა წარმოგზავნა მონასტერსა
ახალსა და მუნ დაემარხა. რომელი იგლოვა ყოველმან სამეფომან და თჳთ მეფემან,
ვითა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა მავისათა ორმეოც დღე, ვიდრემდის იშვა
ვახტანგ, რომლისა ხარებითა დაიჴსნა გლოვა.

ხოლო ყივჩაყნი დააყენნა ადგილთა მათ მარჯუეთა დედა-წულითა მხითა, რო-
მელთა თანა იყო წყობად განმავალი რჩეული ორმოცი ათასი. ესენი განასრულნა
ცხენებითა და საჭურველითა; და კუალად მონანი რომელ ჰყვეს რჩეულნი და განსწავ-
ლულნი ღუაწლსა, ვითარ ხუთიათასი კაცი, ყოველნი ქრისტიანე ქმნულნი, მისანდონი
A 367 და გამოცდილნი სიმ|ჴნითა. და თჳთ ყივჩაყნიცა უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს
C230a M 536 დღითი-დღე, და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა. ე|სენი რა | ესრეთ შემო-
იკრიბნა, და დააწყუნა გუარად-გუარად და დაუდგინნა სპასალარნი და მმართებელნი;
და ეგრეთვე თჳსისა სამეფოსა სპანი, რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და
პირმეუქცეველნი; და | საშუალ მათსა თჳთ იგი უმსგავსო სპასპეტი და წინამბრძოლი,
მიმსგავსებული მეელისა ქაიხოსროსთჳს მოთხრობილთა, წინაუძღოდა, და იწყო რბე-
ვად სპარსეთისა, შარვანისა და სომხითისა დიდისა. რამეთუ არა დაშურებოდა, არცა
მოეწყინებოდა, არამედ ქამიერად და წესიერად აღამქრებდა მათ, მართებდა და განა-
გებდა მსგავსად მისსა დიდ-გონეობითა, და ვინლამცა იყო წინამდგომი მისი, და ანუ
მიმმართი ომისა მის წინაშე. რამეთუ დაღათუ წერილმან ფრთოვანსა ვეფხსა მიამსგავსა
მაკედონელი იგი სიფიცხითა მიმმართველობისათჳს, და მსწრაფლ მიმოვლისა ქუეყანათა
შინა, და ჭრელად მრავალფერობისათჳს ქცევათა და განზრახვათა მისთასა, არამედ

---

1 ხოლო < CMm. 1 გიორგი < A. 1-2 თავ-ადგა სიყრმითგანთა პატრონის მსახურებათა ჯ ა ვ ა - ხ ი შ ვ ი ლ ი (სამ. ისტ. II, 1, 67), და თავადგა სიყრმითგანთა პატიოსნისა მსახურებათათჳს A, და თავადგან სიყრმითგანთა პატრონის მსახურებათა თჳსთა Mm, და თავით დგა სიყრმითგანთა პატრონისა მსახურებათა C, თავიდგან სიყრმისგან პატრონის მსახურებასა შინა მყოფი ბ რ ო ს ე (ქ. ცხ. I, 247, შენ.), და თავადგა სიყრმითგანთა პატრონი მსახურებათათჳს cet. 2 და პატივითა < C. 2 და წარმოგზავნა m. 3 ყოველმან სოფელმან სამეფომან C. 4 ვითა მამა AERTs, < CMm, ვითარცა მამა cet. 4 და < codd. (უმატებს ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი: ენიმკის მოამბე X, 287-8). 4 უმეტესცა მამისა C, უმეტესცა ძძისა Mm (M-ში წინათ ყოფილა „მამისა“), < cet. 4 შემოსითა შავისათა] შემოსითა (შემოსითა) M, შემოსითა m. 4 შვა C. 5 რომელი ERTs. 5 ხარებისა m. 5 დაიჴსნა A, დაჴსნა cet. 6 დაჲყენნა T. 6 მათ ბ რ ო ს ე (ქართლ. ცხ. I, 247, შენ. 2), სამთოდ Mm, სამათოდ C, მათთა cet. 6 მარჯუენეთა Mm. 7 განმავალი რჩეული ABCp, განმავალნი რჩეულნი cet. 7 ორმეოცი ათასი Bp, მ ჱ Mm. 7-8 ესენი — საჭურველითა < A. 8 საჭურველითა CMRm, საჭურველებითა cet. 8 რომელნი BCdp. 8-9 და განსწავლულნი] განასრულნა Mm. 9 ხუთიათასი C, ხუთასი A, ხუთათასი cet. 9 ყოველი ქრისტიანედ A. 9 და მისანდონი C. 10 უმრავლესნი < d. 10 იქმნებოდეს] ქმნილნი A. 11 და < A. ურიცხჳ] < A, რიცხუისა მძლე C. 11 შეეძინებოდეს C. 11-12 შემოკრიბნა A. 12 გუარად AC. 12 და (დაუდ.) < C. 12 და < A. 12 მამართებელნი m, მართებელნი s. 13 სამეფოსანი A. 14 პირშექცეულნი AMm. 15 ძუილისა Mm. 15 და უწყო CMm. 15-16 რბევად] ბრძოლად Mm. 17 არამედ < Mm. 17 აღამქრებდა] იყოვნებდა Mm, იყვანებდა C. 18 დიდ-გონეობითა Mm, დიდისა გონიერებისა A, დიდგონებობისა C, დიდ გონ῾ბითა T, დიდ გონებითა cet. 18-19 და ვინლამცა იყო წინადამდგომად (წინადამდგომი C) ანუ ამაღლებული (ამღებელ C) საჭურველისა მის წინაშე (წინაშე მისსა C) CMm. 18 წინამდგომი A, წინადამდგომად Mm, წინადამდგომი CERTs, წინაალმდგომი cet. 18 მისი < CMm. 18 ~ წინ. იყო Bdp. 18 და ანუ A, < cet. 19 მიმართი Bps. 19 მის წინაშე < A. 18-19 ანუ — წინაშე] ანუ ამღებელ საჭურველისა წინაშე მისსა C, ანუ ამაღლებული საჭურველისა მის წინაშე Mm. 19 მიემსგავსა C. 19 ~ ფ. ვ. მიამსგავსა წერილმან A. 20 მაკიდონელი d. 20 სიფიცხისა A, სიფიცხეთ C. 20 მიმმართებელი M, მიმართებული m, მიმმართებლობისათჳს C. 20 მიმოვლის CMm. 20 ქუეყანასა A.

ჩუენი ესე გჳრგჳნოსანი და ახალი ალექსანდრე, დაღათუ იყო ჟამითა შემდგომი, არა-
A 368 მედ არა საქმითაცა, არცა განზრახვითა, არცა | სიმჴნითა უმცირე, და თჳთ მათ საქმეთა
C230b შინა, რომელთა მმლედ ითქმის ალექსანდრე, არა უმდაბლე, არამედ მრავლითა | უმაღ-
ლეს მგონიეს ესე. და რაოდენ საწუთოთა და კორციელთა შინა იგი მისთა სწორთა
და მისგან და მის ჟამისათა ყოველთა უმაღლეს და უზეშთაეს იყო, ეგეოდენ ესე სად-
M 537 მროთა და ქრისტეს მცნებათა შინა კორციელთავე | თანა მისთა პირველთა ყოველთა
ჰმატდა. რამეთუ არა სცა მილი თუალთა, არცა ჰრული წამთა, არცა განსუენება
კორცთა თჳსთა; არა მიდრკა გემოვნებათა მიმართ, არცა ნებასა კორცთასა; არა
სასმელ-საჭმელთა, არცა სიმღერა-სიღოდათა და არათურთითა არარა კორციელთა
შეაკრა გონება, გარნა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად და უდე-
ბებად მზიდველთა ნებისათა. და განიცადეთღა ოთხთა ამათ წელთა ქმნილნი მისნი,
რომელთა მრავალკზის ქმნულთა მცირედი მეგულების თქუმად.

ხოლო აქუნდის ჩუეულებად ესე მეფესა, რამეთუ განზრახვით გარდავიდის აფხა-
ზეთით და ჩამოიტყუვნნის თურქმანნი საზამთროთა ადგილთა მტკურის პირისათა.
რამეთუ მათნიცა მსტოვარნი ზედა ადგიან მეფესა და ეძებდიან გზათა მისთა. გარდა-
ვიდა მეფე გეგუთს და მიერ სუფათს, და ამით გულპერობილ ქვნა იგინი. ქრონიკონი
A 369 | იყო სამას ორმოცი. ხოლო მათ ცნეს რა სიშორე მისი, ჩამოდგეს ბოტორას, დიდნი
C231a ფრიად, და დაიზამთრეს. | და არა ჰრულოდა მეფესა, არამედ გარდამოიფრინვა თებერ-
ვალსა ათოთხმეტსა და უცნაურად დაესხა ზედა, და მლით ვინმე შეესწრა ცხენსა
და გარდაიხუეწა. აღიღეს ტუჳე და ალაფი ურიცხჳ, და მოვიდა ღანუკს.

1 იყო <CMm. 1 ჟამით A. 1 შემდგომი AC, შემდგომად cet. 2 საქმითა ACd. 2 არცა] არა A, და C. 2 არცა] და C. 2 უმცირე CMm, უმცირედ cet. 2 და <A. 3 არა] არცა C. 3 უმდაბლე CERMms, უმდაბლეს cet. 3 მრავალთა Mm. 3-4 უმაღლეს — ესე] მოუგონიეს ესე უმაღლეს მისსა C. 4 მგონე A, მგონეს T. 4 რაოდენთა საწუთროთა (C: საწუთოთა) AC. 4 იგი შინა A, იგი <d. 4 მისთა სწორთა] სწორთა მისთა d. 4-5 სწორთა — იყო] სწორითა და მოჰამებთა M, სწორითა და მოჰამებათა m, სწორთა და მოყამეთა C. 5 და მის] მის ERT. 5 ესე <A. 6 ყოველთა <CMm. 7 მატდა A, ჰმატდა Mm, ჰმატა cet. 7 არა სცა] არცა A. 7 თუალთა + მისთა C. 8 თჳსთა <Mm. 8 არამედ მიდრკა არა A, არცა მიდრკა T. 8 გემოვნებითა C. 8 ნებასა] ჴსენებასა C. 8 არცა C. 8-9 არა საჭმელთა სასმელ RT (R-ში ყოფილა: არა სასმელ საჭმელთა), არცა (E: არა) საჭმელ სასმელთა BEp 9 სიმღერა სათუოდთა Mm, სიმღერათა C. 9-10 არათურთითა — გონება A, არათურთ არა ეშმაკრეულთა ჴორცთა და გონებისათა Mm, რაჲთურთ (რათურთ Ep, რათურთითი b, რაჲთურთითი და C) არარა (რასა b, არარათ C) შემკრველთა ჴორცთა და (<b) გონებისათა cet. 10 გარნა საღმრთოთა ყოველთა <CMm. 10-12 დასრულებად — თქუმად <A. 10 დასრულებად] და დასულებად C. 10-11 უდებეობად m, უდიდებად b. 11 და მზიდველთა ნიჭისათა C. 12 მრავალკზის] მრავლისაგან C. 12 ქმნულთა b, <cet. 12 მცირედნი m, მცირედთა C. 12 თქუმა C. 13 ხოლო A, <CMm, რამეთუ cet. 13 აქუნდის AC, აქუნდეს cet. 13 ჩუეულება AMm. 13 განზრახვით A, განგებულებით(ა) cet. 13-14 აფხაზეთით C, აფხაზეთად cet. 14 ჩამოიტანნის A, ჩამოიტყუვნის C. 14 თურქნი C. 14 მტკურის პირისათა AC, მტკურის პირთა EMRTm, მტკურის პირსა b, პირთა მტკურისათა cet. 15 მთანიცა C. 15 მსტოვარნი] მსახურნი AMm. 15 ეძებდიან A, აკულევდიან d, იკულევდიან cet. 16 ხუფათს ACMm, ხუფთას cet. 16 მით C. 16 ქრონიკონი იყო სამას ორმოცი <CMm (C-ში არის შემდეგ სტრიქონში). 17 სამას ორმოცი A, ტარი და მანი RTs, ტ და მ E, ტ́მ cet. 17 ბორტიას A, ბოტორიას CMm, ბოტორის d. 17 დიდნი + ულუსნი b. 18 და (დაიზ.) <A. 18 და <A, და ქარონიკონი იყო C. 18 ა რ ც ა მეფესა CMm. 18 გარდამოიფრინვა ACMm, გარდამოიფრინა cet. 18-19 ფებერვალსა codd. 19 ათხუთმეტსა Bp. 19 ზედა A, მათ ზედა cet. 19 ძალითა Mm, ძლივათ C. 19 ცხენსა BCMdmp, ციხესა A, ცხენზედა cet. 20 გარდაიხუეწა ACMm, გარდაიხუეწნეს cet. 20 და <A. 20 და მოვიდა AC, მოვიდა Mm, მოვიდეს cet.

და მასვე შჳდეულსა პირმარხვასა დღესა აიღო შარვანს ქალაქი ყაბალა[1], და
აღავსო სამეფო თჳსი ოქროთა და ვეცხლითა და ყოვლითა სიმდიდრ[2]ითა. წარმოვიდა
ქართლს და მსწრაფლ შეკრიბა სპა, და ჩავიდა შარვანს, მაისსა შჳდსა, არბია ლიყა-
M 538 თათ ვიდრე ქურდევანამდე და ხიშ|ტალანთამდე, და სავსენი ალაფითა მოვიდეს ქართლს.
მათვე დღეთა შეიბნეს შარვანელი და დარუბანდელი, მოკლეს აფრიდონ, და მოსწყჳდნეს
შარვანელნი.

თუესა ნოემბერსა წარვიდა მეფე აშორნიას, დაესხა თურქმანთა, მოსრნა და იავარ-
C231b ყვნა, და წარმოიღო ნატყუენავი მათი ურიცხჳ. ჩამოვლო | მგზავრ, დაესხა სევგელა-
მეჯს თურქმანთავე და არა დაუტევა მოტირალი კარავთა მათთა; ესე ერთისა წლისა.

და მასვე ზამთარსა ჩავიდა აფხაზეთს ბიჭჳნტამდე და განაგნა საქმენი მანდაურნი:
A 370 ღირსნი წყალობისანი შეიწყალნა, შემცო|დენი დაიპყრნა და წყართნა; რამეთუ იყო
ზამთარი მნელი და თოვლი ფრიადი. ხოლო ცნეს რა თურქთა, ვითარმედ შორს არს
მეფე, გულდებით ჩამოდგეს პირსა მტკურისასა, გარნა ლომსა მოკელოვნებულსა არა
სცონოდა, არცა ჰრულოდა ომისათჳს, ვერცარა დამხრწეველთაგანი დაიმჭირვიდა. წარ-
მოვიდა მსწრაფლ აფხაზეთით თოვლთა საშინელთა, გარდაათხრევინა მთა ლიხისა,
სადა გარდანაკუეთსა თოვლისასა აქუნდა სიმაღლე მკარი სამი. და დახუდა მზად სპა
მისი, და პირველ ამბავისა ქართლისა ცნობამდე დაესხა ხუნანს. და აღავსო ლაშქარ-

1 და <A. 1 დღესა <A. 1 შარვანს A, შარვანი Mm, შარვანისა cet. 1 ყაბა A, კაბალა Mm, ყაბალა cet. 2 აღივსო AC. 2 თჳსი <A. 2 და (ყ.) <A. 2 წამოვიდა A, და წარმოვიდა მუნით D, და წარმოვიდა cet. 3 მსწრაფლ A, მყის cet. 3 შეკრიბა AC, შეიკრიბნა m, შეიკრიბა cet. 3 სპანი თჳსნი D. 3 შევიდა A. 3 შირვანს m. 3-4 არბია ლიყათათ Mm, დაარბივა ლაყთათ C, არბიალით ჟაით A, არაბიალით ჟაჲთ b, არბიალაით ჟაჲთ ER (R: მიწერილია არშიაზე ტექსტის ხელით), არაბია-ლიყათათ BRTdps, და მოტყუენა ყოველნი არენი შარვანისანი D (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. ერის ისტ. II, 517: მოარბია «ლიყათით ქურდევანადმდე...»). 4 ვიდრე Ab, <cet. 4 ხიშტალანთამდე Ab, ახიშტალანთამდის C (ა თითქოს მიმატებულია), შიშტლანთამდე cet. 4 და <A. 4 ქართლსა Mm, ქართლად A. 5 მასვე დღესა A, ხოლო მათვე დღეთა D. 5 შარვანელი <Mm. 5 შარვანელნი და დარუბანდელნი Bdp. 5 ფრიდონ A. 5 ამოსწყჳდნეს A, და მოსწყჳდეს CMm. 6 შირვანელნი m. 7 ფებერვალსა b, ნოენბერსა cet. 7 მეფე დავით D. 7 აშორნიას AC, აბორნიას Mm, აშორნას cet. 7 დაესხა AD, და დაესხეს m, და დაესხა C, და დაესხნეს cet. 7 თურქმანთავე Mm. 8 ნატყუენავი მათი D, <cet. 8 ურიცხუნი m. 8 და მუნით ჩამოვლო D. 8 მგზავრ CMm, მგზავრად cet. 8-9 სივგელამეჯს A, სევგელამენჩს v, სევგელმეჯს Mm, სევგელმაჯს C (~ თურქმანთა სევგ. C). 9 თურმქანთა A. 9 მეოტი ძალი A, მოტირალი cet. 9 მათთასა D. 9 წილისა A, წლისა Mm, წლისად ქნა C, წლისად cet. 9 ~ ერთისა წლისად ესე s. 10 და] ხოლო D, <ACMm. 10 ჩავიდა + მეფე დავით D. 10 ბიჭვინტად D, ბიჭჳნტამდი C. 10 გააგნა M, გაგნა m. 11 და შემცოდენი CD. 11 და <A. 11 წუართნი A. 11 რამეთუ <CMm. 12 ძნელი <A. 12 ფრიად A, დიდი C. 12 ხოლო ცნეს რა A, ხოლო სცნეს რაჲ ესე D, ესე რა ცნეს cet. 13 მ ა შ ი ნ ჩამოდგეს გულდებით D. 13 პირთა მტკურისათა A. 13 გარდა] და დაიზამთრეს მუნ, გარნა D. 13-14 მომკელოვანებულსა (მოჴელოვნებულსა m, მომჴელოვნებელსა C) არა სცონოდა (სცნობდა m) CMm, მეფესა დავითს ჰომისა არა ჰრცხუენოდა და D, ლომსა (ომისა b, ომსა s, ჰომსა ERT) არა ჰრცხუენოდა cet. 14 არცა ჰრულოდა ომისათჳს <CMm (სხვებში, A-ს გარდა, „დაიმჭირვიდა"-ს შემდეგ არის), ომისათჳს D. 14 ვერცარა A, არცა cet. 14 დამწველთაგანი d, დამხრწნელთა თანა C. 14 დაიმჭირვიდა A, რაჲ დაიმჭირვიდა b, რომელი იჭირვიდა C, რა(ჲ) იმჭირვიდა cet. 14-15 დ ა მ ი ე რ წარმოვიდა D. 15 აფხაზეთით <D. 15 მთა ლიხისა] ლიხნი CM, თოვლი ლიხნი m. 16 სადა] რამეთუ A. 16 სიმაღლე <A. 16 ~ სამი მჴარი C. 16 და AC, <cet. 17 ~ ქართლისა პირველ ჰამბისა D. 17 ამბვისა C. 17 ქართლისა <A. 17 ცნობამდი C. 17 და დაესხა D. 17 ხუანას A, სულტანს B. 17—340, 2 ხუნანს — ამბავისა] ხუნანს თურქთა და ამოსწყუიტნა ყოველნივე და მოსრნეს პირითა მახვილისათა რომელ არაჲ დაუშთათ მთხრობი ჰამბავისა, რომლისა ლაშქრითა აღსავსე იყო მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე D. 17—340, 1 და აღავსო ლაშქარ-

[1] ა რ შ ი ა ზ ე : ყაბა ყაბა E. [2] აქედან («-ითა წარმოვიდა») გრძელდება ტექსტი D-ში (იხ. გვ. 335, 7).

მან მთით მტკურამდე და გაგთათ ბერდუჯამდე. და მოსრეს პირითა მახჯლისათა,
C232a | რომელ არა დაუშთა მთხრობი ამბავისა. ქრონიკონი იყო სამას ორმოცდაერთი, თუე
მარტი.

გაზაფხულ განდიდნა მტკუარი, რომელ ნადინებსა ვერ დაეტია. ამისითა მინდო-
ბითა ჩადგეს თურქმანნი ბარდავს გულდებითა. მაშინ მონახნა მეფემან იგინიცა და
M 539 ალონს მტკუარსა გაცურდა ყივჩაყითა და|უზრავსა მას წყალსა, მოსრნა თურქნი,
არბია ბარდავი, და დაყო ორი დღე, და ნებიერად მოვიდა შინა სავსე ალაფითა. თუე
იყო ივნისი.

A 371 ამათ ესევითართა ჭირ|თაგან შეიწრებულნი თურქმანნი და კუალად ვაჭარნი
განძელ-ტფილელ-დმანელნი წარვიდეს სულტანსა წინაშე, და ყოველსა სპარსეთსა
მეიღებნეს შავად, რომელთამე პირნი, და რომელთამე კელები, და რომელნიმე სრუ-
ლიად; და ესრეთ მიუთხრნეს ყოველნი ჭირნი, მოწევნულნი მათ ზედა, რომლითა
აღძრნეს წყალობად თჳსა, და იქმნა გლოვა ფრიადი შორის მათსა.

მაშინ სულტანმან მოუწოდა არაბეთისა მეფესა დურბეზს, სადაყას ძესა, და მოსცა
C232b ძე თჳსი მალიქი და ყოველი ძალი მისი; | და აჩინა სპასალარად ელღაზი, ძე არდუ-
ხისი, კაცი დაჰმანი და მრავალღონე. და უბრძანა თურქმანობასა სადაღაცა ვინ იყო,
დამასკოთ და ჰალაბითგან ამოღმართ, ყოველსა მკედრობად შემძლებელსა, ამათ თანა
ათაბაგსა განძისასა მისითა ძალითა და ყოველთა სომხითისა ამირათა. ქრონიკონი
იყო სამას ორმოცდაერთი.

შეკრბეს ესე ყოველნი, შეითქუნეს, შეიმტკიცნეს სიმრავლითა ვითარცა ქვიშა

მან მთით] და აღივსო ლაშქრითა მათითა A. 1 მტკურამდინ C. 1 გაგთიათ A. 1 ბერდაუჯამდე A, ბერდუჯამდის C. 1 და < A. 2 რომელ—ამბავისა] და არა დაუტევეს მიქცეული კლდედ (კლდე m, კლდეთა C) CMm. 2 დაუშთა A, დაუშთათ cet. 2 მომთხრობი bd. 2 ქრ. იყო ს. ორმ. < CMm. 2 სამას ორმოცდაერთი A, ტარი, მანი და ანი RTs, ტ̃მ და ა E, ტ̃მა cet. 2-3 თუე მარტი A, თუე მარტი იყო s, თუე იყო მარტი cet. 4 გაზაფხულ CMm, ხოლო ვითარცა მოიწია გაზაფხული cet. 4 და განდიდნა A, განდიდა C, გადიდნა cet. 4 მტკუარი CMm, + ფრიად cet. 4 რომელ] რამეთუ A. 4 ნადინებსა ვერ დაეტია CMm, ნადინები მისი ვერღარა იტევდა cet. 4 და მისითა A, და ამისითა D. 5 ჩადგენ ERTs. 5 თურქნი A. 5 მაშინ < CMm. 5 მონახუნა A, მონახა T. 6 ალონს < A, იალონს s (ახალი შესწორებულია). 6 გაუცურდა T. 6 და ყივჩაყნიცა C. 6 დაუზრავსა A, და უზარავსა C, და ჰუაზრავს(ა) ERMm, ჰუაზრავსა D, დაუჰაზრავსა cet. 6 ამას A. 6 მოსრნა A, და მოსრნა cet. 6 თურქნი იგი D. 7 არბია MRms, არბა ER'b, დაარბია D, < C, არაბია cet. 7 და ა ბარდავი C. 7 და < CDMm. 7 დღე ორი CMm. 9 მათ A, ხოლო ამათ D. 9 თურქნი C. 10 განძა Mm. 10 დმანელნი ACMm, და დმანელნი cet. 10 წარვიდოდეს Mm. 10 სულტნის(ა) DMm. 11 შეეღებნეს Mm, შეღებნეს ds. 11 პირი C. 11 და < CMm. 11 და < CMm. 11 და რომელნიმე] < A, რომელიმე m. 12 ყოველნი < A. 12 რომლითა AMm, რომელთა cet. 12-13 რომლითა — მათსა < C. 13 აღზრნეს M, ალაზრნეს m. 13 თჳსა AMRTm, თჳსადა m, თჳსსა DETs, თჳსად cet. 13 და იქმნა — მათსა < A. 13 (გლო)ვა ფრიადი შორის მათსა < s (ახალ გვერდზე გადავიდა და დაავიწყდა დაწერა). 14 სულტანმა m. 14 მოუწოდა სულტანმან D. 14 დურაბეზს Bp. 14 სადაყას CMm, სადაყის cet. 14 მისცა Bdp. 15 მალაქი b, მელიქი D. 15 ყოველი < CMm. 15 ელიაზი CMm. 15-16 არდუღისი A, არდოხისი Bp, არდუზისა v. 16 კაცი ACMm, კაცნი cet. 16 და ჰმ̃ნი Mm, დაჰმატნი d, ამანი C (შდრ. ზემოთ გვ. 305, 9 Mm-ის ვარიანტი: «კაცი და იამანი»). 16 თურქმნობასა A. 16 სადაცალა M, სადაცა m, სადღაცა A. 17 დამასკოით Mm. 17 ალაბითგან AC. 17 ამოღმართ ADMm, აღმართ C, აღმოღმართ cet. 17 ყოველნი C. 17 მჴედრობათა D. 17 შემძლებელსა] შემოკრებულსა C. 18 განძას Mm. 18 ყოვლითა Mm. 18 სომხითისათა Bdp. 18 ამირთა m. 18 ქრ. იყო სამას ორმ.], < CDMm. 19 სამას...] ტარი, მანი და ანი RTs, ტმ და ა E, ტმა cet. 20 შეკრბეს ACMmp, შემოკრბეს D, შეკრბნეს cet. 20 და შემტკიცდეს CMm, და შეიმტკიცნეს D,

ზღჳსა, რომლითა აღივსო ქუეყანა, და აგჳსტოსსა თურამეტსა მოვიდეს თრიალეთს,
მანგლისს და დიდგორთა, რომელ თჳთ ფერჴთა ზედა ვერ ეტეოდეს ამათ ადგილთა.
A 372 ხოლო მეფემან დავით, უშიშმან და ყოვლად უძრავმან გულითა, თუ ვითარ | წინა
განაწყო[1] სპა მისი, და თუ ვითარ ყოველი საქმე შუენიერად და ღონიერად ყო, რაბამ
M 540 რამე წყნარად, | უშფოთველად და გამოცდილებით და ყოვლად ბრძნად განაგო, და
თუ ვითარ თჳსნი სპანი დაიცვნა უვნებელად, — ამათ ყოველთათჳს არა ჩუენი, არამედ
ვგონებ, რომელ ყოველთა ბრძენთა სოფლისათა ენა ვერ შემძლებელ არს მითხრობად
ზედამიწევნით ყოველსავე.

რამეთუ პირველსავე ომსა იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა, რამეთუ კელი მაღ-
ლისა შეეწეოდა, და ძალი ზეგარდამო ფარვიდა მას, და წმიდა მოწამე გიორგი განცხა-
დებულად და ყოველთა სახილველად წინაუძღოდა მას და მკლავითა თჳსითა მოსრვიდა
ზედამოწევნულთა უსჯულოთა მათ წარმართთა, რომელ თჳთ იგი უსჯულონი და უმე-
ცარნი მოღმართ აღიარებდეს და მოგჳთხრობდეს სასწაულსა ამას მთავარ-მოწამისა
გიორგისსა, და ვითარითა ღონითა მოსრნა სახელოვანნი იგი მებრძოლნი არაბეთი-
სანი, და ანუ მეოტთა ვითარ სიმარჯჳთ და განკრძალულად სდევნნა და მოსრნა, რომ-
ლითა აღივსნეს ველნი, მთანი და ღელენი მძორებითა.

ხოლო სპანი ჩუენნი და უფროსად ყოველი სამეფო აღივსო ოქროთა და ვეც-
A 373 ხლითა, არაბულითა ცხენებითა, ასურულითა ჯორებითა, | კარვებითა, სრა-ფარდაგე-
ბითა, სხჳთა უცხოთა ჭურჭლებითა საბრძოლველთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილა-
კავანთათა, სასმურთა ტურფათა და სანადიმოთათა, საბანელთა და სამზარეულოთათა, —
რაოდენმან ქარტამან და მელანმან დაიტიოს აღწერად! და რამეთუ გლეხთა იხილეს,

1 რომ. აღივსო] რომელთა ვერ იტევდა ქუეყანა CMm. 1 თორმეტსა Mm. 1 მოვიდეს Mm, მოვიდა cet. 2 მანგლის ACDMRTm. 2 რომელი AER, რომელნი D, და CMm, რომელ cet. 2 ეტყოდეს B. 2 ადგილთა შინა D. 3 თუ CDMm, და თუ cet. 3 წინა < d. 4 განეწყო Mm. 4 სპაა (= სპაჲ) M. 4 მისი] თჳსი Mm. 5 ~ და უშფოთველად Mm. 5 განაგ(დ)ო T. 5 გამოცდილობით A. 5 და < A. 5 განაგო + და თუ ვითარ ზეგარდამოთა შეწევნითა Mm. 6-8 და თუ ვითარ — ყოველსავე < Mm (ქვევით არის გადატანილი «მძორებითა»-ს შემდეგ: გვ. 341, 16). 6 უნებლად R, უნებლიად T, უნებელად s. 6 არა ჩუენი არამედ Mm, < cet. 7-8 ვგონებ — ყოველსავე] ვგონებ, ვითარმედ ყოვლისა სოფლისა ბრძენთა და გამომეტყუელთა ენა იმხილოს ჯეროვნად გამოწულილვით თხოვასა (sic!) მიცემად Mm. 7 ენა Mm, < cet. 7 მითხრობით A (← მითხრობათ). 9 რამეთუ < Mm. 9 პირველსა E. 9 ჰომსა ERTs. 9 იოტა ბანაკი მათი და ივლტოდა] სივლტოლად მიდრიკიან (მიდრიკნა m) Mm. 9 ივლტოდა] ივლტოდეს იგინი D. 9-14 რამეთუ ჴელი — გიორგისსა < Mm. 10 შეეწეოდა + მას s. 10 მას < s. 10 მოწამე] მთავარმოწამე D. 11 მოსრვიდა + მას b. 13 სასწაულსა] სწავლასა d. 14 და ვითარითა — არაბეჳისანი < A (ex hom.). 14 მებრძოლნი AMm, მბრძოლნი cet. 15 და < Mm. 15 სიმარჯჳთ ADRT, სიმარჯჳთა cet. 15 და (განკ.) < A. 16 ველნი] ჴელნი Bp, ყოველნი E. 16 ღელენი] ღრენი Mm. 16 მძორითა A, მძოვრებითა Dm. 17 სპანი ჩუენნი] სპანი დავით მეფისანი D. 17 უფროსად < A. 17 აღივსო] თუ ვითარ ესე აღივსო Mm. 18 ~ ცხენებითა არაბულითა d. 18-19 და სარა (m: სრა) ფარდებითა Mm, სარა ფარდაგებითა A. 19 და სხვითა DMm. 19 უცხოთა] ურიცხოითა M, ურიცხუითა m. 19 ჭურჭლითა Mm. 19 საბრძოლელთა ADR, საბრძოლველთა cet. 19 თჳთო-სახეთათა A, თჳთოსახეთა cet. 19-20 საბრძოლელთა თჳთო-სახეთათა, ქოსთა და ფილაკავანთათა < Mm (სწერია მხოლოდ დასაწყისი ასოები: საბრა M, საბარ m). 20 სასმურითა ტურფითა Mm. 20 საბნელეთა m. 21 ქარტამ m. 21 აღწერად < Mm.

[1] ამის შემდეგ ვიდრე გვ. 343, 9 («ძალი და») აკლია C-ს.

ოდეს არაბთა მეფენი მოჰყვანდეს ტყუედ. და სხუათა გოლიათთათჳს რაღღა რამცა
გჳნდოდა თქმად.

ხოლო ამად რა თხრობად მოვიწიე, ვაებისა ღირსად შევრაცხენ დიდნი იგი და
სახელოვანნი გამომეტყუელნი, ვიტყჳ უკუე უმიროსსა და არისტოვლის ელინთა, ხოლო
იოსიპოს ებრაელსა, რომელთაგანმან ერთმან ტროადელთა და აქეველთანი შეამკვნა
M 541 თხრობანი, თუ ვითარ აღამჴნონ და | პრიამოს, ანუ აქილევი და ეკტორი, მერმეცა
ოდისეოს და ორესტი ეკუეთნეს, და ვინ ვის მძლე ექმნა; და მეორემან ალექსანდრესნი
წარმოთქუნა მძლეობანი, სიმჴნენი და ძლევა-შემოსილობანი; ხოლო მესამემან ვესპა-
სიანე ტიტოჲს-მიერნი მეტომეთა თჳსთა-ზედანი ჭირნი მისცნა აღწერასა. და ვინათგან
ამათ ნივთნი საქმეთანი არა აქუნდეს კმად მისათხრობელად, ამისთჳსცა მის ჴელოვნე-
A 374 ბითა რიტორობისათა განავ|რცელნეს, ვითარცა იტყჳს თჳთ სადამე ალექსანდრე: „არა
დიდ იყავ აქილევი, არამედ დიდსა მიემთხჳე მაქებელსა უმიროსს“. რამეთუ ოცდარვა
წელ განგრძობასა ტროადელთა ბრძოლისასა ვერა-რა ღირსი ქებისა იქმნა. ხოლო
ესრეთ წარმართებასა და ბედნიერობასა შინა მათსა დაჲ მათი რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტანმან მელიქმან, რომელსა ეგჳპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთი ჰქონდა, და დაშალა მოწყალებამან ღმრთისამან და არა ყო ესრე.

შემდგომად ამისსა დიდითა შემოხუეწითა სთხოვა შარვან-შაჰმან. უქადეს და უბრძანეს მიცემისა პირი. გაგზავნა შარვანს ქართლისა ერისთავი და თჳთ გიორგი მეფე ბაგავანს მივიდა გაკაზმად და მიცემად დისა მისისა და ათ დღე [დაყო], დრო იყო წასლვისა მისისა. ხოლო მოგუაგო ღმერთმან პატიჟად ცოდვათა ჩუენთა: მოკუდა გიორგი მეფე ბაგავანს იანვარსა თურამეტსა, დღესა ოთხშაბათსა. ქრონიკონი იყო A 425 ოთხას | ორმოცდაორი.

და იქმნეს საშინელნი ტკივილნი, ცრემლთა წილ გულით სისხლის დენანი, წარწირვანი დარჩომისა და სიცოცხლისანი თანააღზრდილთა და მომჴსენებელთა კეთილთა და სიამოვნეთა მისთანი, ტკივილნი და ნაცრისა თავსა სხმანი ვაზირთა და დიდებულთა და ყოვლისა სამეფოსაგან და თჳთ მისისა გამზრდელისა ივანე ათაბაგისაგან.

ღმერთმან, რომელი მდიდარ არს მოწყალებითა და მიუწდომელ ძლიერებითა, მოხედნა და არა გაწირა ესე სამეფო, რისხვასა შინა წყალობით მოიჴსენა: ესრე ღმრთისა ნებითა დარჩომილი ამასვე სამეფოსა შინა რუსუდან დასუეს მეფედ მასვე წელიწადსა. უკეთუმცა ღმერთსა წარწყმედისაგან არა დავეცვენით, აღარ საგონებელ იყო სიცოცხლესა ტკივილისაგან ძმისა მისისა.

წაიყვანეს მაშინვე გელათს, დამარხეს საფლავსა მამისა მისისასა. და არა დარჩა ცოლსა თანა გჳრგჳნისა შვილი.

ხოლო ღმერთმან ყოვლისა სახიერებისამან, რომელი არა განსწირავს მოშიშთა მისთა, დაიცავნ სამეფო ესე და მეფე ჩუენი ღმრთივ-გჳრგჳნოსანი რუსუდან, და ყავნ ნაყოფი მისი ჩუენდა სალხინებელად თესლითი-თესლადმდე, და მიეცინ სიმრავლე წელიწადთა, შემდგომად უწინარესი და სასუფეველი ცათა.

---

1 დაჲ] დაა A. 2 სურტანმან A. 4 შარვაშე A. 6 შაგვანს A. 6 დაყო ჯავახიშვილი, < A. 8 შაგავანს A. 9 ოთხას] რვაას A (უ ⟶ ყ). 10 გულითა A. 15-16 ღმერთმან — მოიჴსენა] A-ში ეს არის არა ამ ადგილას, არამედ იგი მოსდევს სიტყვას „მისისა“ 371 გვერდის 7. სტრიქონში. 18-19 საგონებელი იყო სიცოცხლესა ჯავახიშვილი, საგონი სიცოცხლისა A.

სუმბატ დავითის-ძე

ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა [1]

ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა

სუმბატ ძემან დავითისმან [2]

[3] ადამ შვა სეით. სეით შვა ენოს. ენოს შვა კაინან. კაინან შვა მალელ. მალელ შვა
იარედ. იარედ შვა ენოქ. ენოქ შვა მათუსალა. მათუსალა შვა ლამექ. ლამექ შვა ნოე.
ნოე შვა სემ. სემ შვა არფაქსად. არფაქსად შვა კაინან. კაინან შვა სალა. სალა შვა
M 568 ებერ. ებერ შვა ფალეგ. ფ|ალეგ შვა რაგავ. რაგავ შვა სერუქ. სერუქ შვა ნაქორ. ნაქორ
m 374 შვა თარა. თარა შვა აბრამ. | აბრამ შვა ისაკ. ისაკ შვა იაკობ. იაკობ შვა იუდა. იუდა
შვა ფარეზ. ფარეზ შვა ესრომ. ესრომ შვა არამ. არამ შვა ამინადაბ. ამინადაბ შვა ნაასონ. ნაასონ შვა სალმონ. სალმონ შვა ბოოს. ბოოს შვა იობედ. იობედ შვა იესე. იესე შვა დავით მეფე. დავით მეფემან შვა სოლომონ. სოლომონ შვა რობუამ. რობუამ შვა აბია. აბია შვა ასაფ. ასაფ შვა იოსაფატ. იოსაფატ შვა იორამ. იორამ შვა ოზია. ოზია შვა იოთამ. იოთამ შვა აქაზ. აქაზ შვა ეზეკია. ეზეკია შვა მანასე. მანასე შვა ამონ. ამონ შვა იოსია. იოსია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იექონია, იექონია შვა სალათაელ. სალათაელ შვა ზორაბაბელ. ზორაბაბელ შვა აბიუდ. აბიუდ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა აზორ. აზორ შვა სადუკ. სადუკ შვა აქიმ. აქიმ შვა ელიუდ. ელიუდ შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა მატათან. მატათან შვა იაკობ. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი და ძმა კლეოპასი. კლეოპა შვა ნაომ. ნაომ შვა სალა. სალა შვა რობუამ. რობუამ შვა მოსთარ. მოსთარ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა ბენიამენ. ბენიამენ შვა იერობემ. იერობემ

1 ბაგრატიონთა T. 2 ქართველთ m. 3 რომლითა m. 5 მალელ Mm, მალელაელ cet. 8 ებერა m. 8 ნაქურ Mm. 9 აბრამ Mm, აბრაჰამ BDRp, აბრაამ cet. 10 არამ. არამ შვა < Mm. 10-11 შვა ნაასონ — იობედ < Mm. 12 სოლომან m. 12 რობუამ BDMRmp, რობოამ cet. 13 იოსაპატ m. 15 იოვაკიმ. იოვაკიმ შვა Mm, < cet. 15-16 სალათაელ Mm, სალათიელ cet. 17-18 ელეაზარ R. 18 მატთანა m, მატათან M, მატთან cet. 19 და ძმა კლეოპასი] ძმა იოსებისი კლეოპა Mm. 19 რობუამ MRm, რობოამ cet. 20 რობემ Mm.

[1] „ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა“ მოიპოვება მთლიანად მხოლოდ Mm-ში. მისი შუა ნაწილი (იხ. ქვემოთ გვ. 378, 11 — 382, 4 «წარმართნა ღმერთმან ჴელმწიფება მათი — ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა») აქვს აგრეთვე მოყვანილი T-ს (შდრ. ზემოთ გვ. 261, სქოლიო 3), ხოლო დასაწყისი ნაწილი (იხ. აქვე გვ. 372, 5 — 374, 15 «ადამ შვა სეით — და დაიპყრეს მათ კამბეჩანი») მოიპოვება ყველა ვახტანგისეულ ნუსხაში (იხ. ზემოთ გვ. 218—220, სქოლიოები). სუმბატის „ქრონიკის“ დანარჩენი ტექსტი ვახტანგისეულ ნუსხებში ჩართულია ჯუანშერის თხზულებისა და „მატიანე ქართლისა“-ს სხვადასხვა ადგილას.

[2] ეს სათაური Mm-ის გარდა მოეპოვება T-ს.

[3] სათაურის შემდეგ გადამწერის მინაწერია Mm-ში: «ღმერთო და წმიდაო ღთისმშობელო, შეიწყალე და დაიცვე ორსავე ცხორებასა შინა მისსა დედოფალთ-დედოფალი მარიამ, რომლისა ბრძანებითა იწერებიან წმიდანი ესე წიგნნი. ამინ».

შვა მოსე. მოსე შვა იუდა, იუდა შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა ლევი. ლევი შვა იორამ. იორამ შვა მანასე. მანასე შვა იაკობ. იაკობ შვა მიქია. მიქია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იერუბემ, იერუბემ შვა აბრაჰამ. აბრაჰამ შვა იობ. იობ შვა აქაბ. აქაბ შვა სჳმონ. სჳმონ შვა იზაქარ. იზაქარ შვა აბია. აბია შვა გაად. გაად შვა ასერ. ასერ შვა ისაკ. ისაკ შვა დან. დან შვა სოლომონ. სოლომონ შვა შჳდნი ძმანი, რომელნი-იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა.

M 569 და ესენი შჳდნი ძმანი, | ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილის-
m 375 ტიმით, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს | ეკლეცს წინაშე რაქაელ
დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს იგინი ქუეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს: ხოლო ერთი მათგანი, სახელით გუარამ, განაჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა. და ესე ქართლისა ბაგრატონიან[ნ]ი შვილის შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი.

ხოლო ძმა მისი, სახელით საჰაკ, წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი ამათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს, და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს. და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა.

ხოლო ვინათგან მოაკლდა მეფობა შვილთა გორგასლისათა, მით ჟამითგან ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა ვიდრე ამათადმდე. არამედ დაესრულა უფლება ქართლისა აზნაურთა ბოროტთა საქმეთა მათგან.

მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი იყო სჳმონ-პეტრე; და მცხეთა [1] აღთხელდებოდა და ტფილისი აღშენდებოდა, არმაზი შემცირდებოდა და კალაჲ განდიდდებოდა [1]. და სპარსნი [2] უფლებდეს ქართლს, კახეთს, ჰერეთს, სომხითს, სივნეთს, ასპურანგს [2].

მოკუდა კათალიკოზი სჳმონ და დაჯდა კათალიკოზად სამოელ, კათალიკოზი მეცხრე.

1 ლეუი m. 1-2 იარომ Mm. 2 იაკობ — მიქია შვა < Mm. 3 იუროზემ DRTb, რომემ Mm. 3 აბრაჰამი Bp. 4 გაად Mm, გად cet. 7 ესენი] ესე m. 7 სოლომანისნი m. 7-8 წარმოვიდეს — ჰურიანი და < Mm. 8 რაქელ m. 9 და მისგან MTm, < cet. 9 ქუეყანასა T. 11 და < m. 11 ძმანი მათნი M, მათნი ძმანი T, ძმანი m. 11 სახ῀ლით M, სახლით m, სახელით T. 12 გუარამ M, გურამ Tm. 12 და ესე — ბაგრატიონთა T, < Mm. 13 ქართლისა < T. 13 ბაგრატიონიანი m, ბაგრატონიანი MT. 13 მის < T. 15 საჰკ Mm. 16 ძმანი T, ძმა Mm. 16 ვარაზვარად m, ვარზვარად M, ვარზავარდ T. 16 კანბეჩანს m. 17 ~ მუნ იგინი T. 18 ხარნაბუჯს M. 18 ამ Mm, ამა T. 20 ამათადამდე Mm. 23 აშენდებოდა m. 23 კალაა Mm, კალა T. 23 განდიდებოდა Tm. 24 სივნეთს T, სავანეთს Mm. 24 ასპორანგს Mm. 25 მოკუდა — მეცხრე T, < Mm (ეს, ცხადია, არის ჩანართი შენიშვნა, არშიიდან ტექსტში გადმოსული).

[1] და მცხეთა — განდიდდებოდა] ჯუანშერთან: «მცხეთას მოაკლდებოდა და ტფილისი განძლიერდებოდა, არმაზი აღოჴრდებოდა და კალა აშენდებოდა» (იხ. ზემოთ, გვ. 223, 11-12). სუმბატის წყარო უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“: «მცხეთაჲ ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა, არმაზნი შემცირდებოდეს და კალაჲ განდიდნებოდა» (შატბერდის ტექსტი: Такайшвили, Описание II, 724).

[2] და სპარსნი — ასპურანგს] ჯუანშერთან: «სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა» (იხ. ზემოთ, გვ. 217, 13-14). სუმბატის წყარო აქაც უნდა იყოს „მოქცევაჲ ქართლისაჲ: «სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხითს, და სივნიეთს და გუასპურაგანს» (Такайшвили, Оп. II, 724).

მას ჟამსა კათალიკოსი იყო მცხეთას სამოელ, და ერთად შეკრბა ყოველი ქართლი და გამოარჩიეს გუარამ[1], დავითის ნათესავისაგან, მოწყვნული ძმათა მისთა თანა, ასამს და ვარაზვარდს, რომელნი იგი ზემო ვაჴსენენით. ესენი წარმოვიდეს ეკლეცით, M 570 რომელნი მონათლნა რაჟაელ დედ|ოფალმან, ძმანი მჴდნი ჰურიანი, ტყუეობით მოს-m 376 რულნი ქუეყანით | ფილისტიმით, და ნათელ იღეს ეკლეცს კელითა რაჟაელ დედოფ-ლისათა. რომელმან სამთა მათგანთა უცვალა სახელი: რამეთუ ერთსა სახელ სდვა მუშელ, და ერთსა ბაგრატ, რომელ არს მამა ბაგრატონიანთა, ერთსა აბგავარ; ერთი შემოიყვანა სიძედ და ორნი მათგანნი ამზახნა სომხითის მეფეთა.

ხოლო ოთხნი ესე ძმანი წარმოემართნეს ქართლს, ვითა ზემო ვაჴსენეთ, და გუარამ განაჩინეს ერისთავად[1]. და მოსცა ამას მეფემან ბერძენთამან პატივად კურა-პალატობა და წარმოგზავნა მცხეთას. და ამან დადვა საფუძველი ჯუარისა ეკლესიასა, რომელ არს მცხეთას.

ხოლო სამნი ესე ძმანი წარვიდეს კახეთს და საჰაკ დაუზახა ბაკურს, ძესა ნერ-სესსა, ხოლო ასამ და ვარაზვარდ წარვიდეს კამბეჩოანს, და გარდაუქციეს ერი ვეზანს, ერისთავსა ბაჰარ ჩუბინისსა, და ვეზან მოკლეს, და დაიპყრეს მათ კამბეჩოანი.

და იყო მას ჟამსა მცხეთას კათალიკოსი სამოელ. და ამის-ზე ტფილისისა მკჳდრთა ეკლესიისა გებად იწყეს, რომლისა ნახევარსა ყოველი ერი აშენებდა, და ნახევარსა ერთი ვინმე დედაკაცი.

და კათალიკოსი იყო მცხეთას ბართლომე.

და შემდგომად ამის გუარამისსა ერისთაობდა ძე მისი სტეფანოზ და ძმა დემეტ-რესი. და აშენებდეს ეკლესიასა ჯუარის[ასა] მცხეთას.

და ამის-ზე წარვლო ერეკლე მეფემან ბერძენთამან, და მივიდა ტფილისად, და დადგა დამართებით ციხესა კალისასა. და ციხისთავმან კმა უყო ციხით გამოღმართ და რქუა ერეკლე მეფესა: „რომელსა გასხენ წუერნი ვაცისანი და ვაც-ბოტისა კისერი გათქს“. მაშინ [ვითარცა] m 377 M 571 |ესმა [სიტყუა ესე] | ერეკლე მეფესა, განრისხნა მისთჳს, და აღმოიკითხა წიგნისაგან დანიელ წინასწარმეტყუელისა სიტყუა იგი, ვითარმედ: „აღმოვიდეს ვაცი დასავლისა და შემუსრნეს რქანი აღმოსავლისა ვერძისანი“. და თქუა მეფემან: „უკეთუ იყო ჩემდა

2 გამოარჩივეს m. 2 გურამ Tm. 2 მოწეუნული m. 3 ოსამს Mm. 3 ვარაზვარდს m, ვარზა-ვარდს MT. 3 ესენი T, ესე Mm. 4 მონათლნა T, მონათანი Mm. 4 რაჴელ m. 4 შჳდნი T, < Mm. 7 მუშელ T, მოშალე Mm. 7 ბაგრატიონთა Tm. 8 ამზახა Mm. 8 სომეხთ T. 10 გურამ Tm. 10-11 კურატ-პალატობა codd. (აქაც და სხვაგანაც). 11 და წარმოგზავნა მცხეთას T (+codd.), < Mm. 11-12 და ამან — მცხეთას < T. 13 სამი Mm. 13 სჰაკ M, საჰკ m. 14 ხოლო] და Mm. 14 უსამ Mm 14 და < Mm. 14 ვარზავარად M, ვარაზვარად m, ვარზავარდ cet. 14 კამბეჩოვანს m, კამბეჩიანს Ts, კამბეჩოანს cet.). 14 ვეზა´ნს M, კეზანს m. 15 ერისთავი Mm. 15 ბაჰარ ჩუბინისსა T, სპარსთასა codd., < Mm. 15 და ვეზან მოკლეს T, <cet. 17 ნახევარი (ყ.) m. 19 ქათალიკოზი Mm. 20 გურამისასა m. 22 ერაკლე M. 23 გამარ-თებით T. 23 ციხისთავმან ციხის გამოღმართ აგინა ერეკლე მეფესა T. 23 ჰქუა Mm. 23 ჰერეკლე M. 24 ვაც-ბორროტისანი Mm. 24 კისერი გათქს < Mm (ჯუანშერთან: ვაც-ბოტისა კისერი გათქს AC, ვაც-ბოტისა კისერი გაქუს cet., ვაც-ბორროტისა კისერი გათქს Mm). 24 ვითარცა < MTm. 25 სიტყუა ესე < MTm. 26 ვაცი] კაცი m. 27 და ჰრქვა მეფემან მბასრობელსა თჳსსა T. 27 უკეუთუ M, უკეეთუ m.

[1] წყაროა „მოქც. ქართლ.“: «და კათალიკოზი იყო სამოველ. და ნელადრე შეკრბა ქართლი და განა-ჩინეს ერისთავად გუარამ (Опис. II, 724).

სიტყუა ეგე, კადნიერებისათჳს ჩემისა მისაგებელი ორკეცი დაგიტეო შენ“. და დაუტევა ტფილისს ჯიბღუ ერისთავი ბრძოლად ციხესა ტფილისისასა, და თჳთ წარემართა ბაღდადს. და მივიდა გარდაბანს, ვარაზ გაგელისასა, და დაილაშქრა ადგილსა მას, რომელსა ჰქჳან ხუზაშენი, და ნათელ-სცა ერეკლე ვარაზ გაგელსა და ყოველსა ერსა მისსა. და იწყო შენებად ეკლესიასა, რომელი იგი უბრწყინვალეს არს ყოველთა ეკლე-სიათა. და წარვიდა ბერდუჯს და დადგა გულსა სოფლისასა. და აღმართა ჯუარი ქვისა და დადვა საფუძველი წმიდისა ღმრთისმშობელისა ეკლესიისა, და აღასრულა გუმბათი მისი. ხოლო მან ჯიბღუ წარიღო კალა და ციხე იგი ტფილისისა გამოიღო, და ციხისთავი იგი შეიპყრა. და დრაჰკნითა პირი აღუვსო ამისთჳს, რამეთუ თქუა სადი-დებელი იგი მეფისა ერეკლესი. ხოლო კადრებისა მისთჳს ტყავი გაჰკადა და მეფესა მისწია იგი გარდაბანს ვარაზ გაგელისსა. და გარდაბანით მეფემან მიცვალა ლალს, და უწოდა მეწჰკევნელთა მთავარსა, ნათელ-სცა და წარვიდა ბაღდადს. და გამოიღო ბაღდადი, და შეიპყრა ხუასრო მეფე, და მოაღებინა ძელი ცხოვრებისა. და იწყო შენებად m 378 იერუსალემისა, და დასუა | მოდისტოს პატრიაქად და წარმოემართა აქათვე, და მოვიდა M 572 წელსა მეშჳდესა. | და ვიდრე მოსლვადმდე მისსა ტფილისის ეკლესია სიონი განე-სრულა, ხოლო ჯუარისა ეკლესიასა აკლდა.

და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიასა შევიდენ, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლის-მსახურნი, რომელნიცაღა არა მოინათლნენ, მოისრნენ. ხოლო მათ ნათლისღება არა ინებეს, არამედ ზაკუვით აღერივნეს ქრისტიანეთა თანა. და მიაწიეს ყოველთა მათ ზედა მახჳლი, და ეკლესიათა შინა მდინარენი სისხლთანი დიოდეს. და განწმიდა სჯული ქრისტეს ღმრთისა ჩუენისა, და წარვიდა ერეკლე მეფე სამეფოდვე თჳსად.

და მთავრობდა ქართლს იგივე სტეფანოზ დიდი. კათალიკოსი იყო მეორე ბართლომე.

მის ზედავე და შემდგომად მისსა მთავრობდა ადარნასე, ძე მის სტეფანოზისი. და მის ზედა სამნი კათალიკოსნი იცვალნეს: იოვანე, ბაბილა და თაბორ. და ამისა შემ-დგომად მოკუდა ადარნასე მთავარი და მის წილ დაჯდა სტეფანოზ, ძე მისი. და მან განასრულა ეკლესია [ჯუარისა], და განაწესა მუნ ჯუარისა კრება, და დაჯდა ტფილისს ცხოვრებად. და კათალიკოსი იყო სამოელ და ენონ. და მის-ზე ქუეყანა ქართლისა

1 კადრებისათჳს T. 2 ტფილისი Mm, ტფილის T. 2 ტფილის მის თანა ერისთავი, რომელსა ერქუა ჯიბღუ, და უბრძანა ბრძოლად კალისა T. 4 ჰერაკლე M. 4 ვარზა გრიგოლისი M, ვარაზა გრიგოლისი m, ვარაზ გაგელსა codd. ჯუანშერთან. 6 და (წარვ.) MTm, და მუნით codd. 6 სოფლისასა codd., სოფიო-სასა Mm. 7 ეკლესისა m (ბევრგან სხვაგანაც). 7 გუმბადი M. 8 წარიღო კალა და T, < Mm. 10 ჰ´რაკ-ლესი M, ჰერეკლესი m. 10 კადნიერებისა m. 11 გაგელისსა] გრიგოლისასა Mm (— გ´გლი›სა). 11 და გარ-დაბანით — ლალს] < T, და მუნით მივიდა ლალს codd. ჯუანშ 12 და უწოდა — ბაღდადს <T. 12 ბა[ღ]-დადს M. 13 ძალი Mm, ძელი codd. ჯუანშ. 13 შენება m 14 იელუსალემისა Mm. 14 აქათვე + უკმო-იარა რათგან ჩავლო გზა ქართლისავე T. 15 სიონი < Mm. 17 ტფილის M, ტფილისი m. 18 შევიდნენ m. 19 რომელიცალა m. 20 ზაკიცით Mm, ზაკუვით „მოქც. ქართლ.“. 20 და < m. 20 მიაწივეს m. 21 გან-წმიდნა M, განწმინდა m. 22 ჰერაკლე M, ჰერეკლე m. 22 თჳსდა m. 23 ქართლსა m (ზემოთ არის ჩამა-ტებული). 23 ქათალიკოზი Mm. 25 და < m. 25 ადრანასე m. 26 ქათალიკოზნი Mm. 26 გარდაიცვალ-ნეს სამნი კათალიკოზნი, მეათოთხმეტე კათალიკოზი T. 27 მოკუდა ადარნასე მთავარი და მის წილ დაჯდა codd. ჯუანშ., < Mm. 27 დაჯდა] დადგა T. 28 ტფილის Mm. 29 ქათალიკოზი Mm.

აღწერეს, და წარიღეს საბერძნეთს. და ამბავი მოიწია, ვითარმედ ბაღდადი დაიპყრეს აგარის ნათესავთაო.

და ამის სტეფანოზისა შემდგომად ერისთაობდა ძე მისი გუარამ კურაპალატი.

m 379 და შემდგომად მისსა ვარაზ-ბაკურ, ძე მისი, ანთიპატ|ოსი, რომელმან გარდაბა-
M 573 ნელნი მოაქცივნა. და მერმე ნერსე და ძენი მისნი, ფი|ლიპე და სტეფანოზ და ადარნასე. და ძენი მისნი გურგენ ერისთავი, აშოტ კურაპალატი.

ხოლო აშოტ კურაპალატი მთავრობდა ქუეყანასა მას შინა და სახლად მისა იყო ბარდავი და ტფილისი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა. და მაშინ გამლიერდა ჴელმწიფება აგარიანთა და იწყეს მიება აშოტ კურაპალატისა. და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჳლნი, უხუცესი ადარნასე და შედეგი ბაგრატ. ხოლო უმრწემესი ძე გუარამ ჯერეთ არა ესუა. და ერი თჳსი მცირედ ჰყვა თანა, მკჳდრნი მისნი, დედაწულითურთ და შვილითურთ. მოიწივნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა ტბისა ფარავნისასა დამაშურალნი სლვისაგან, და გარდაჰჴდეს განსუენებად კიდესა მის ტბისასა. ჭამეს რა პური, და მცირედ მიერულა. და მმინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანი. მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა, და კნინსა მას ლაშქარსა მისსა მოსცა ძლევა მათ ზედა, და მოსრნეს სიმრავლენი ურიცხუნი. წარმოვიდეს მუნით და მოიწივნეს ჴევსა შავშეთისასა.

ხოლო ჴევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჴრდა, ოდეს-იგი ერუმან ბაღდადელმან შემუსრნა
M 574 ყოველნი ც|იხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი. და კუალად შემდგომად მისსა
m 380 სრვამან სატლობისამან მოაოჴრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს | კაცნი ადგილ-ადგილ. ხოლო დაშთომილთა მათ მკჳდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა, და დაემკჳდრა მუნ. და მისცა ღმერთმან გამარჯუება და აჴელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოთა, და ზოგი ოჴერი აღაშენა, და განამრავლა სოფლები აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა. და მისცა ღმერთმან და განამტკიცა ჴელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა.

1 მოაწია m. 1 ბა[ღ]დადი M. 3 გურამ m (ასე სხვაგანაც m-ში). 4 ანთიპატოსი ჩვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., ანთიპატრიკოსი M, ანთი პატრიაკოსი m. 4-5 გარბანელნი M. 5 მერმე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, მოისრა Mm. 6 კურატპალატისა Mm. 7 სახელად Mm, **სახლად** cet. 10 წარ(ა)ემართა M. 11 მას] მათ Mm. 11 ასაკითა ჩ. MTm, მისნი cet. 12 **შედეგი** < MTm. 12 უმრწამესი m. 12 გუარამ M, გურამ m, სახელით გუარამ cet. 12 ჯერეთ არა ესუა MTm, **არტანუჯსა შინა დაებადა** cet. 13 ა რ ა ერი M, ა რ ა ერთი m. 13 მკედარნი m. 13 შვილითურთ Mm, შვილით მათით cet. 14 დიდსა Mm, დიდისა მის cet. 15 და < m. 15 და Mm, < cet. 16 მიერულა Mm, მიერულათ cet. 16 მაშინ < Mm. 17 და (მოსრ.) < m. 18 მუნით < MTm. 18 მოიწივნეს] მოვიდნეს m (მერე თავზე დაუწერიათ „მოიწივნეს"). 19 მცირედთა < m. 20 სპარსთა] სარკინოზთა თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. 20 ყრუმ m. 21 ~ ციხენი ყოველნი MTm. 22 სრვამან] სლვამან Mm. 22 კალარჯეთი m. 22 მცირეთღა m. 23 შავშეთისათა + **ქუეყანისა** m (მერმე „ქუეყანისა" გარშემოხაზულია ზედმეტობის ნიშნად). 25 შ.-კლარეეთსა M, შავშეთთ კალარჯეთსა m. 25 და მან — საფასოთა Mm, და რომელნიმე სოფელნი მის ქუეყანისანი მოიყიდა საფასოთი cet. 26 ოკერ m. 26 ზოგი ოკ. აღ. Mm, ზოგნი ოკერნი აღაშენნა cet. 26 სოფელი MT, < m. 27 და მისცა ღმერთმან Mm, < cet. 27 **განამტკიცა** Mm, + ღმერთმან cet. 27 მეფისათა Bdp, მეფეთასა cet.

და ამან აშოტ კურაპალატმან ჰოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი; და აოჴრებულ იყო ბაღდადელისა მის ერუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა-კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია წმიდათა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა. და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა.

და იყო ერთსა შინა ჟამსა, განვიდა აშოტ, რათამცა შეკრიბა ლაშქარი ბრძოლისათჳს სარკინოზთასა. მოვიდა იგი ადგილსა რომელსამე და განავლინა ლაშქრის
M 575 მაწუევნელნი. და ვიდრე არღარა შეკრებულ იყო | ლაშქარი იგი მისი მის თანა, დაესხნეს მას სარკინოზნი უცნაურად და აოტეს იგი. წარმოემართა და მოიწია ჴევსა ნიგალისასა და იწყო მებნად ერისა, რათამცა ვითა განიმრავლა ლაშქარი თჳსი. და წარმოემართნეს მოსლვად მის წინაშე იგინი, რომელთა მან უბრძანა, ხოლო იგინი მოვიდოდეს
m 381 კლვად | მისსა. მაშინ ვიდრე მოწევნადმდე მათდა კარად მისსა არა უწყოდა აშოტ ზაკუა მათი, და რაჟამს მოიწივნეს იგინი კარად მისსა, მაშინღა აგრძნა რაჲ-იგი ეზულვებოდა მათ. და არა ჰყვა მას ერი თჳსი თჳნიერ მცირედთასა. ვერ წინააღუდგებოდა იგი მათ. ამისთჳსცა შეივლტოდა აშოტ კურაპალატი ეკლესიად, და მოწყლეს იგი მახჳლითა საკურთხეველსა ზედა და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხევლისასა და სისხლი იგი მისი დათხეული დღესცა საჩინოდ სახილველ არს.

ხოლო ესმა რა ესე ამბავი ერსა მისსა, რომელნი-იგი იყვნეს დოლისყანასა, ვითარმედ მოიკლა უფალი იგი მათი აშოტ ჴელითა ოროზ-მოროზის ძეთათა, წარვიდეს დოლისყანით და დევნა უყვეს მკლველთა მათ უფლისა თჳსისათა, დაეწივნეს მათ სავანესა ზედა ჭოროხისასა, მოსრნეს იგინი ბოროტად, ვიდრემდის არა დაუშთა ერთი მათგანი, და წარმოიღეს მკუდარი აშოტ კურაპალატი და დაფლეს მისსა მას საფლავსა შინა ციხესა არტანუჯისასა, ეკლესიასა წმიდათა მოციქულთასა. რამეთუ მოიკლა ესე აშოტ კურაპალატი დასაბამითგან წელთა ხ́ჳ́ლ, ქრონიკონსა მეათცამეტედ მოქცეულსა შინა
M 576 მ́ვ, თუესა იანვარ|სა ოცდაცხრასა.

და დაუტევნა სამნი ძენი: უხუცესი ადარნასე და შედეგი მისი ბაგრატ. ესე ორნი

1 ამან აშ. კურ. < Mm. 1 კლდე] ტყე T. 1 რომელ m. 2 ~ გორგასალს ვახტანგს M. 2 არტანუჯ M. 3 ყრუთაგან m (წინათ ყოფილა: ყრუსაგან). 3 **განახლა** Mm. 3 აშოტ < m. 9 აშოტ < Mm. 9 შეიკრიბა M, შეიკრიბნა m. 10 და < Mm. 11 მაწუეველნი] მწუერვალნი Mm. 12 კევსა ნიგლისასა m. 13 ლაშქარნი m. 14 მოვიდეს Mm. 15 კალავდი Mm. 16-17 და რაჟამს — მათ < Mm (ex hom.: მ ა თ ი .... მათ). 17 ვერ Mm, რ ო მ ლ ი თ ა ვერ cet. 19 მახჳლითა + გარდაბანს ეკლესიასა შინა T (ჩამატებულია სტრიქონს ზემოთ). 19 საკურთხეუელსა m. 19 საკურთხეუელი m. 20 საკურთხეულისასა m. 21 დღესცა M, დღესაც m, დღესაცა cet. 21 სახილველად არის m. 24 დოლით ყანით Mm. 24 და ეწივნეს M, და დეწივნეს m. 25 სავანეთა Mm. 25 ერთი Mm, ა რ ც ა ერთი cet. 26 მკ. აშ. კურ. DMTm, აშოტ მკუდარი cet. 27 რამეთუ DMRTbm, ხოლო cet. 27 მოციქულთასა DMTm, მოციქულთა პეტრესი და პავლესისა cet. 27 მოიკლა + **მეგრელთაგან** Bbp, მოკლა მეგრელთაგანმან k. 28 ხ́ჳ́ლ Mm, ხ́ულ E, ხყლ ERTs (ყ←ჳ). ჳოლ (!) d. 29 მ́ვ+ქ. აქათ ყა (=801)! b. 30 დაუტეუნა m. 30 ადრანასე m.

თანა ჰყვეს მას, რაჟამს-იგი მოიწია შავშეთ-კლარჯეთად. ხოლო უმრწემესი გუარამ არტანუჯის მოსლვასლა შინა დაებადა.

და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდათ ძეთა აშოტისთა — წარუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყვნეს იგინი უსრულ ასაკითა. ხოლო რაჟამს სრულ-ასაკ იქმნეს იგინი, კუალადცა მოსცა ღმერთმან მათვე ყოველივე იგი ნაქონები მამისა მათისა. და ვიდრე უსრულოდა იყვნეს იგინი ასაკითა, იზარდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყვნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოვლნივე კევნი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს
m 382 მათი ნაქონები იგი მამულები მამისა მათისა, დასუეს ბაგრატ კურაპალატად. | და წარმართა ღმერთმან ჴელმწიფება მათი.

T135a |[1] და იყვნეს ძენი უხუცესისა მის ძმისა მათისა, აშოტის ძისა ადარნასესნი, სამნი: გურგენ, რომელი-იგი დღეთა სიბერისა მისისათა კურაპალატად დასუეს, და ძმანი მისნი აშოტ კეკელაჲ და სუმბატ არტანუჯელი, რომელი ჴელმწიფობასა მისსა დასუეს ანთიპატოს-პატრიკად. და ძენი ბაგრატ კურაპალატისანი სამნი: დავით, რომელი შემდგომად მამისა თჳსისა დასუეს კურაპალატად, ადარნასე და აშოტ. და ძენი უმრწემესისა აშოტის ძისა გუარამისნი ორნი: ნასრა და აშოტ.

ხოლო აშოტ კეკელაჲ, ძე ადარნასესი, გარდაიცვალა ქრონიკონსა პ~ზ, და დაუტევა გურგენ, რომელი შემდგომად კურაპალატად დასუეს, და სუმბატ არტანუჯელი ანთიპატრიკი.

M 577 |გარდაიცვალა აშოტ, ძე მამფლისა გუარამისა, უწინარეს მამისა თჳსისა ქრონიკონსა პ~თ. არა დაუტევა ძე.

გარდაიცვალა ადარნასე, ძე ბაგრატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ჟ~დ; სიცოცხლესავე მამისა თჳსისასა, და არა დაუტევა შვილი. და მამა მისი, ბაგრატ კურაპალატი, ძე აშოტ კურაპალატისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა ჟ~ვ, და დაუტევნა ძენი: დავით, რომელი შემდგომად მისსა კურაპალატ ყვეს; და მოიკლა იგი ჴელითა მამის ძმისწულისა თჳსისა ნასრა გუარამის ძისითა, სიცოცხლესავე შინა გუარამისსა, ქრონიკონსა რ~ა, სუფევასა შინა გუარამისსა, ხოლო გუარამ მამფალი, მამის ძმა მისი, მამა ნასრესი, უბრალო იყო სისხლისაგან დავით კურაპალატისათა; და დაუტევა ამან დავით

1 უმრწამესი Mm. 3 სიკუდილსა Mm. 3 მამისა მათისა MTm, < cet. 3-4 ჰქონდა Mm. 4 ძეთა აშოტისთა < MTm. 4 წაუღეს Mm. 5 ყოველივე < Mm. 6 და ვიდრე — იზრდებოდეს Mm, რამეთუ იზარდებოდეს სამნივე იგი ძმანი, ძენი ამის აშოტ კურატპალატისანი cet. 8 კალარჯეთი m. 8 ნიგლისნი m. 9 მათ T. 9 მამულები < MTm. 9 კურადპალატად m. 11 ადრანასესნი m (შემდეგაც ყველგან „ადრანასე"). 12 მისისასა m. 12 კურადპალატად m. 13 კეკელაა Mm. 14 პატრიაკად M, პატრიაქად m. 14 კურადპალატისანი m (შემდეგაც ყველგან არის „დ"). 15 უმრწამესისა Mm. 16 ნასარ m. 17 კეკელაა Mm. 19 ანთიპატრიაკი m, < T. 20 მამფალი T, მამეფლისა M, მამეფლისა m. 25 მამის ბ რ ო ს ე, მის codd. 27 სუფევასა შ. გუარ. < T. 27 გუარამისსა თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, გუგობასა Mm. 27 მამეფელი m, მ~მ~აფელი M.

[1] აქედან დაწყებული ვიდრე გვ. 382, 4 («და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა») მთლიანად და გაბმით არის მოყვანილი T-ში. დანარჩენ ვახტანგისეულ ნუსხებში შიგა-და-შიგ არის თავთავის ალაგას ჩართული, ხოლო არა სიტყვა-სიტყვით (იხ. ზემოთ გვ. გვ. 257—262, 266, 271, 272, 278, 281, 283, 284—288, 291—294).

T135b მოკლულმან ძე | მცირე ადარნასე, მოუწიფებელი ასაკითა, ხოლო ნასრ მკლველი ივლტოდა სამეფოსა კონსტანტინეპოლედ და იყო მუნ მრავალ წელ.

და ამისსა შემდგომად დასუეს გურგენ ძე ადარნასესი კურაპალატად, დიდისა აშოტ კურაპალატის ძისა.

გარდაიცვალა გუარამ მამფალი, ძე აშოტ დიდისა, მამა ნასრისა, ქრონიკონსა რ~ბ.

და გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ კურაპალატისა, ქრონიკონსა რ~ე.

და ამისსა შემდგომად გამოვიდა ნასრ სამეფოთ და მოვიდა აფხაზეთს. და | იყო
m 383 მაშინ აფხაზთა მეფე ბაგრატ, დისძე ნასრესი, და შესწია მან დიდითა ლაშქრითა, მეფემან აფხაზთამან, და მუნით გარდამოვიდა ნასრ სამცხეს და შეკრიბა სხუაცა ლაშ-
M 578 ქარი ურიცხჳ. ხოლო ადარნასე, ძე მოკლულისა კურაპალატისა, განვიდა ბრძოლ|ად მისა, და მიჰყვა მის თანა შეწევნად ადარნასესა გურგენ კურაპალატი და შვილნი მისნი. და ყვეს ბრძოლა და ომი დიდი ნასრის ზედა. და შეეწია ღმერთი მცირეთა ამათ ადარნასეს კერძთა და სძლეს ნასრას, მეოტ ქმნეს, შეიპყრეს და მოკლეს ნასრა კევსა სამცხისასა, სოფელსა ასპინძას, ქრონიკონსა რ~ე. და არა დაუშთა შვილი ნასრას, და აღიჴოცა საჴსენებელი მისი.

ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ [ნაცვლად] მის მოკლულისა. და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა ჴელითა კჳრიკე ბანელისათა, რომელი-იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ.

და მამფალი სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ~თ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ მამფალი არტანუჯელი [და დავით მამფალი].

T136a |და სიცოცხლესავე შინა სუმბატ არტანუჯელისასა მოისრა ნასრ; და ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა.

ხოლო გურგენ კურაპალატი წარვიდა ტაოთ, კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს. და ამისსა შემდგომად შეიმტერნეს ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანერთსა ზედა ერთ-კერძო გურგენ კურაპალატმან და ერთა მისთა, მეორე-კერძ ადარნასე ქართველთა მეფემან და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი
m 384 კევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავსა, | და ჰბრძოლეს ერთმანეთსა. და მეოტ იქმნა გურგენ კურაპალატი, წყლეს და შეიპყრეს. და მოკუდა წყლულებითა მისითა გურგენ კურაპალატი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, ქრონიკონსა რ~ი~ა. და დაუტევნა
M 579 |ორნი ძენი: ადარნასე და აშოტ ერისთავთა-ერისთავი.

1 ადრანასე m. 1 მოწიფებული m. 1 ჴ~საკითა M. 2 კოსტანტინეპოლეს m. 3 ადრანასესი m (სხვაგანაც). 5 მამეფელი Mm. 5 მამაჲ ნასრასი T. 6 და < m. 7 და < T. 7 სამეფოთა m. 8 დისძე ჩვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., დის ძე MTm, სიძე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. 8 დიდთა ლაშქართა T. 9 შეიკრიბა Mm, შეკრბა T, შეკრიბა თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. 11 შეწეუნად m 12 ნასრას T. 13 მეოტი ქმნეს (M: ქმნ~ეს) Mm, მეოტ იქმნნეს T. 13 კ. შინა სამცხისასა T, კ. მცხეთისასა Mm. 14 ასპინძას Mm, რომელსა ეწოდების ასპინძა T. 16 ნაცვლად თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, < codd. 18 ქმნა T. 19 მამეფელი Mm. 20 მამეფელი Mm. 21 და დავით მამფალი T, < Mm. 22 მოისრა ნასრ და Mm, ოდეს ნასრი მოიკლა T. 22-23 ნასრისი] მისი T. 24 წარმოვიდა T. 25 შეკრბეს T. 27 მეორე კერძოსა T. 28 ჰბრძოლეს Mm, ჰბრძოდეს T. 29 წყლეს — მოკუდა T, < Mm. 29 წყლულ~ბისა მისგან T. 29-30 გურგენ კურ. T, < Mm. 31 და აშოტ T, < Mm. 31 ერისთავთა ერისთავი Mm, რომელიცა შემდგომად ერისთავთ ერისთავად დასუეს T.

შემდგომად გურგენ მამისა თჳსისა კურაპალატისა გარდაიცვალა [ადარნასე] ქრონიკონსა რ´ი´ვ, და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა-ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად, მერმე, დიდი ერისთავთა-ერისთავი იყო.

და გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქრონიკონსა რ´კ´თ, თუესა აპრილსა კ´, დღესა აღვსებასა, და დაუტევნა ძენი ოთხნი: ადარნასე, რომელი-იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ-იდვა, გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით.

გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ადარნასესი, ძისა გურგენ კურაპალატისა, ძმა დიდისა გურგენისა, ქრონიკონსა რ´კ´ჱ, და არა დაუტევა შვილი.

აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა, და დასუა T136b პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე | უწყებითა სულისა წმიდისათა. და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქრონიკონსა რ´ლ´ჱ, და არა ესუა შვილი.

და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა-ერისთავად.

გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ´მ´ბ, და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თჳსისასა, რომელსა-იგი ეწოდა ბაგრატ.

გარდაიცვალა ადარნასე, ქართველთა მეფე, ძე დავით მოკლულისა, ქრონიკონსა M 580 m 385 რ´მ´გ, და დაუტევნა ძენი ოთხნი: დავით, რომ|ელი შემდგომად მამისა | თჳსისა ქართველთა მეფე იქმნა, აშოტ კურაპალატი, და ბაგრატ მაგისტროსი, და სუმბატ, რომელი ძმათა შემდგომად კურაპალატად დასუეს.

გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ´მ´გ, მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიცვალა, და დაუტევა ამან გურგენ ძე მუცელსა შინა ცოლისა თჳსისასა, რომელსა ეწოდა გურგენვე, სახელი მამისა თჳსისა.

გარდაიცვალა დავით, ქართველთა მეფე, ძე ადარნასე მეფისა ქართველთასა, ქრონიკონსა რ´ნ´ზ, და არა ესუა ძე.

გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქრონიკონსა რ´ნ´თ, თუესა ივნისსა, და არა ესუა ძე.

გარდაიცვალა გურგენ დიდი ერისთავთა-ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმჴნენი და ბრძოლანი ქმნნა ყოველთა მამათა მისთასა, და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქრონიკონსა რ´ჲ´ა, თუესა თებერვალსა ი´დ. არა ესუა ძე.

1 ადარნასე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, < codd. 2 ∼ ძენი ორნი T. 2 და T, < Mm. 3 მერმე] მეძმე Mm (ძ—ძ). 4 მამეფელი Mm. 5 აღვსებასა T, აღვსებისა Mm. 6 სახელ იდვა T, სახელ იდვა მას Mm, სახელ ედვა მას თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. 7-8 გარდაიცვალა — შვილი თ ა ყ. (იხ. მისი გამოცემის [1949 წ.] გვ. 18—20 და 65, შენ. 7), გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, მამფალისა, ადარნასეს ძისა გ. კ. ძმა დ. გ. MTm, გარდაიცვალა დავით ერისთავთ-ერისთავი, ძე ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა და ძმა ადარნასე-ყოფილ ბასილისა cet. 12 ესე ⟨ესე⟩ M. 16 რომელსა ეწოდებოდა T. 18 შემდგომად მამისა თჳსისა Mm, შემდგომად სიკუდილისა მისისა T. 21 ერისთავი Mm, გ უ რ გ ე ნ ერისთავი cet. 23 ამან გურგენ ძე თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, ამან ძე გურგენ Mm, ამან ძე T. 23 ცოლისასა M. 23 თჳსისა Mm. 24 თჳსისა Mm, მისისა T. 25 ქართველთასა < T. 30 ყოველთა T, ყოველნი Mm. 30 და T, < Mm. 31 რ´ჲ´ა Mm.

გარდაიცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა მონაზონობასა შინა, ქრონიკონსა რ´ჲ´გ, თუესა თებერვალსა ოცსა, და დაუტევა ძე თჳსი სუმბატ, რომელიცა-იგი დასუეს ერისთავთა-ერისთავად.

გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა რ´ჲ´ე, თუესა მარტსა, და დაუტევა ძე თჳსი ადარნასე, რომელი შემდგომად T137a მამისა თჳსისა მაგისტროსი იქმნა | და შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი იქმნა. მასვე წელსა ბაგრატ მაგისტროსის გარდაცვალებისასა ბასილი მონაზონი კლარჯი M 581 გარდ|აიცვალა, ძე ბაგრატ მამფლისა.

გარდაიცვალა აშოტ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა რ´ო´დ, და არა ესუა შვილი. და ამასვე წელსა აშოტ, ძე სუმბატისი, გარდაიცვალა და არა ესუა ძე.

m 386 და შემდგომად აშოტ კურაპალატისა | ძმა მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ. და ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, გარდაიცვალა ქრონიკონსა რ´ო´ჱ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი.

გარდაიცვალა [ადარნასე კურაპალატი], ძე ბაგრატ მაგისტროსისა, ქორონიკონსა რ´პ´ა, რომელი-ესე ძეთა შეიპყრეს და მონაზონ ქმნეს. მოკუდა უნებლიეთ ფიჩჳთა, და დაუტევნა ძენი: ბაგრატ და დავით ერისთავთა-ერისთავი. გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონიკონსა რ´პ´გ, ხოლო ძმა მისი დავით კურაპალატი იქმნა დიდად.

გარდაიცვალა გურგენ, ძე გურგენის, ძისა ბაგრატ მამფლისა, ქრონიკონსა რ´პ´ჱ.

გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუნისა, ქრონიკონსა ს´გ, და დაუტევა ძე დავით მცირე.

გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა-ერისთავი, კაცი მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქრონიკონსა ს´ჱ და დაუტევნა ძენი ორნი: დავით და ბაგრატ. და შემდგომად მიცვალებისა მისისა დღესა მეორმოცესა გარდაიცვალა ძე მისი ბაგრატ, და T137b M 582 დაუტე|ვნა ძენი ორნი: სუმბატ | და გურგენ.

გარდაიცვალა სუმბატ, ძე ბაგრატ რეგუნისა, ქართველთა მეფისა, ქრონიკონსა ს´ი´ბ, და არა ესუა შვილი.

გარდაიცვალა დავით, ძე სუმბატ ერისთავთა-ერისთავისა დიდებულისა, კაცისა მართლისა; და გარდაიცვალა ბაგრატ რეგუენი ქართველთა მეფე, ძე კურთხეულისა

1 მამეფელი Mm. 2 რ´ჲ´გ Mm. 2 და < Tm. 5 რ´ჲ´ე Mm. 7 მონოზანი m. 7 კალარჯი m. 8 მამეფ´ლისა M, მამეფელისა m, მამფალისი T. 9 კურატპალატისა Mm. 10 რ´უ´დ Mm. 13 და ესე < m. 13 ძე ადარნასესი T. 13 ქართველთა (ქართველთა) T. 14 რ´უ´ჱ Mm. 15 რეგუნი MT, რეგვნი m. 15 (და) და Mm. 16 ადარნ. კურ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, < codd. 16 ბაგრატ არისროსი Mm. 17 შეიბყრეს m. 17 და < m. 17 ფიჩ´თა Mm, ფიჩვითა მოსილი T. 18 ბაგრატ და] ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი. 18 გარდაიცვალა < T. 19 კურაპალატისა + გარდაიცვალა T. 19 ძმა მისი T, ძემა მისი M, ძე მამისი m. 21 ძე გურგენის ძისა ბაგრატ მამეფ´ლისა Mm, ძე გურგენის ძის ბაგრატ მამფალისა T, ძე მის გურგენ ერისთავისა, ძისა ბაგრატ მამფალ-არტანუჯელისა cet. 23 ∼ ძე მცირე დავით დაუტევა T. 24 ∼ დავით ძე Mm. 24 მამეფ´ლისა M, მამეფელისა m. 26 დღესა < m. 30 დიდებულისა] შიდებულისა Mm, < T. 30-31 კაცი მართალი T. 31 რეგუნი m.

სუმბატ კურაპალატისა, ქრონიკონსა ს˜ი˜დ, და დაუტევა ძე თჳსი უხუცესი გურგენ,
რომელსა უწოდეს მეფეთა-მეფე. და ამას გურგენს ესუა ბაგრატ დედით აფხაზთა მეფისა
დისწული, დემეტრესი და თევდოსესი. ვიდრე გურგენის გამეფებამდე ესე ბაგრატ მეფე
m 387 იქმნა | აფხაზეთს, და ამისთჳს გურგენს მეფეთ-მეფობა ეწოდა[1].

გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ძე ადარნასე კურაპალატისა, ქრონი-
კონსა ს˜კ˜ა, და არა ესუა ძე.

და აოჴრდა იმიერ-ტაო; და გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე, და მისცნეს მას
ციხენი აზნაურთა ამა დავითისთა, და დაიპყრა ბასილი მეფემან მამული დავით კურა-
პალატისა. და მივიდეს მის წინაშე ბაგრატ აფხაზთა მეფე და მამა მისი გურგენ. და
მოსცა მათ ბასილი მეფემან პატივი — გურგენს მაგისტროსობა და ბაგრატს კურაპალა-
ტობა, რათამცა ვითარ მტერ ყვნა ერთმანერთისა მიმართ მამა-ძენი ესე, და ამით
ღონითა იმმაცუა. ხოლო გურგენ ჭეშმარიტი და მართალი იყო და ვერა აღძრა გული
მისი ზაკჳთა ამით მიზეზითა და ვერა უძლო ღონისძიებითა.

გარდაიცვალა ესე გურგენ მეფეთ-მეფე, ძე ბაგრატ ქართველთა მეფისა, ქრონი-
კონსა ს˜კ˜ჱ, და დაუტევა ძე ესე თჳსი ბაგრატ, აფხაზთა მეფე, კურაპალატი დიდი, და
ეუფლა ტაოს მამულსა თჳსსა, და დაიპყრა ყოველი კავკასია თჳთმპყრობელობითა
M 583 ჯიქეთითგან ვიდრე | გურგენადმდე. ხოლო ადარბადაგანი და შარვანი მოხარკე ყო, სომ-
ხითისა ჴელმწიფებითა, ნებიერად განაგებდა. მეფე სპარსთა თჳს მეგობრად და ერთგულ
ყო სიბრძნითა და ძლიერებითა თჳსითა უფროს სახლეულთა თჳსთასა, და ბერძენთ
მეფესაცა შიში აქუნდა ამისი ყოვლადვე.

და ამან ბაგრატ კურაპალატმან მოიყვანნა კლარჯნი ჴელმწიფენი სუმბატ და
გურგენ, ძენი ბაგრატ არტანუჯელისანი, თჳსნი მამის დისწულისანი, დარბაზობად მის
წინაშე ციხესა შინა ფანასკერტისასა, და მუნ შინა შეიპყრნა იგინი. და აღიხუნა ქუეყა-
m 388 ნანი და ციხენი მათნი, რამეთუ იგინი | პატიმარ ყვნა ციხესა შიგა თმოგჳსასა. და
მუნ ციხესა შინა თმოგჳსასა გარდაიცვალა სუმბატ არტანუჯელი ქრონიკონსა ს˜ლ˜ა.
და ეგრეთვე მასვე წელსა შინა გურგენცა გარდაიცვალა, ძმა სუმბატისი, ქრონიკონსა
ს˜ლ˜ბ ხოლო ძეილნი ამათნი წარვიდეს კოსტანტინეპოლედ, ძე სუმბატისი ბაგრატ
და ძე გურგენისი დემეტრე, ბასილი მეფისა წინაშე, და მათნივე ძეილნი კლარჯთა მეფე-
თანი რომელ დაშთეს ამათ ქუეყანასა, მოისრნეს ყოველნი სიკუდილითა პატიმრობასა შინა.

ამისსა შემდგომად მოვლო ბაგრატ ყოველი სამეფო თჳსი, აფხაზეთი, ჰერეთი და
კახეთი, მოვიდა და დაიზამთრა ჴევთა ტაოსათა. და მო-რა-იწია ზაფხული, მოვიდა

2 ბაგრატ დედით T, ∼ დედით ბაგრატ Mm. 3 თევდოსისი T, თეოდოსესი m. 4 ეწოდა < Mm.
7 იმარტაო Mm. 8 დავითის მამული m. 9 და (მამა) <MTm. 9 გურგენ <MTm. 1C მათ] მას Mm. 11 ვითარ
Mm, ვითა cet. 12 იმმაც˜ვა Mm. 12 მართალი Mm, წრფელი cet. 12 აზრა Mm, აღძრა cet. 17 გურგე-
ნადმდე] გორანგეთამდე Mm. 18 ნებიერარ Mm, ნებიერად T, < cet. 18 განაგებდა MTm, < cet. 18 თჳს
მეგობრად MTm, მეგობარ cet. 19 თჳსთასა და + რამეთუ Mm. 19-20 ბერძენს მეფესაც m. 20 ამისი T,
ამის Mm. 21 კლარჯნი (კალარჯნი m) ჴელმწიფენი MTm, ესე ორნი ძმანი კლარჯთა ჴელმწიფენი cet.
22 თჳსნი მამის დისწულისანი (ძმისწულისანი m) Mm, თჳნიერ მამისა დისწულნი T, < cet. 23-24 ქუეყანანი
და ციხენი Mm, ციხენი და ქალაქნი cet. 25 თმოგჳსასა MTm, < cet. 25-27 გარდაიცვალა — ს˜ლ˜ბ MTm,
გარდაიცვალნეს სუმბატ და გურგენ cet. 27 კოსტან ჩინეპოლეს m. 29 ამათ Mm, ამას T, ამა cet.

[1] აქ თავდება T-ში მთლიანი ამონაწერი სუმბატის „ქრონიკიდან“ (იხ. ზემოთ გვ. 378, სქოლიო 1).

მასვე ციხესა ფანასკერტისასა წელსა მესამესა. და მუნ შინა გარდაიცვალა ესე ბაგრატ
M 584 ქრონიკონსა | ს˜ლ˜დ, თუესა მაისსა ზ˜, დღესა პარასკევსა. და დაუტევა ძე თჳსი
გიორგი და დაჯდა იგი მეფედ წლისა ი˜ჱ.

ხოლო დაჯდა რა ესე გიორგი მეფედ, გან[უ]დგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა,
და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი. მათ ქუეყანათ კუალადვე
ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი.

[1] და ამის გიორგის მეფობისა მეშჳდესა წელსა გამოვიდა ბასილი ბერძენთა მეფე
ამას გიორგის მეფესა ზედა. ხოლო ესე გიორგი განვიდა ლაშქრითა დიდითა და დაი-
ბანაკეს ქუეყანასა ბასიანისასა ორთავე მრავალ დღე, და არა მივიდეს ბრძოლად ერთ-
მანერთსა ზედა, არამედ მოერიდა გიორგი და მოვიდა და დაწუა ქალაქი ოლთისი.
[და მუნით მოვიდა კოლასა და] გამოუდგა კუალსა და მოუდგა უკანა მეფე ბერძენთა.
და შეკრბეს რა უკანამავალნი გიორგისნი და წინამავალნი ბასილისნი ლაშქარნი,
m 389 იქმნა ბრძოლა დიდი სოფელსა შინა, რომელსა ეწოდების | შირიმთა. და მრავლად
მოისრნეს ორკერძოვე და მოიკლნეს მუნ დიდნი ერისთავნი: რატი ძე ლიპარიტისი
და ხურსი. და ვითარცა მოესმა ჴმა ომისა გიორგი მეფესა, აღბორგნეს, განვიდეს და მო-
ვიდეს ადგილსა მას, სადა იყვნეს ბრძოლად, და მოვიდა მუნ ბასილი მეფეცა სპითა დიდითა.
და შეკრბეს იგინი იმიერ და ამიერ. და იქმნა მუნ ბრძოლა დიდი და მოისრნეს
M 585 მუნ ბერძენნი დიდნი და ფრიადნი. და | წარმოიღეს გიორგისთა აჳარი, და ეზომ
განდიდნა ბრძოლა იგი, რომელ სივლტოლა ეგულებოდა ბასილი მეფესა. გარნა
გიორგისნივე სულმოკლე იქმნეს, რამეთუ მორიდეს და წარმოვიდეს. ხოლო ბასილი
უკანა წარმოუდგა და მოვიდა არტანს, და დაწუა იგი; და რომელი პოვა, ტყუე ყო.
ხოლო გიორგი წარვიდა ნიალით კერძო სამცხედ, და მიუდგა მას უკანა ბასილი ჯავა-
ხეთით კერძო, და მოაოჴრა ყოველივე. გარდავიდა გიორგი თრიალეთად, და მოადგა
ბასილიცა თრიალეთადვე. და რა ეახლნეს ერთმანერთსა, კუალად განძლიერდა გიორგი
ლაშქრითა, რამეთუ მოიყვანნა წანარნი და შაქნი. ხოლო იხილა რა ესე ბასილი,
შეიქცა თრიალეთით და უკმოვლო ჯავახეთი და არტანი დღეთა შინა ზამთრისათა,
და კუალად უბოროტესადრე მოაოჴრა. და წარვიდა და დაიზამთრა ხალდიასა, ქალაქსა
ტრაპიზონთასა. და ვიდოდეს მოციქულნი ორთავე ამათ მეფეთანი ზავისათჳს ერთმან-
ერთისა წინაშე და მშჳდობისა.

ხოლო იქმნა ამას ჟამსა შინა განდგომილება დიდი საბერძნეთს, რამეთუ შეირთ-
ნეს ბასილის სპასპეტი და წარვეზი, ძე ფოკას განდგომილისა, და მეფე იქმნა ქსიფი,
და მიიდგინეს მათ ყოველი აღმოსავლეთით-კერძი ქუეყანა. ხოლო ღმერთმან ბასილის

4 რა < Mm. 4 ქუეყანასა Mm. 5 ქუეყანათ ჩ ვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., ქუეყანად codd. (იხ. ზემოთ, გვ. 284, 7
შენ.). 7 მეფობასა m. 7 მეშჳდესა წელსა < m. 8 ზედა < m. 11 და მუნით — და < Mm (აღდგენილია
ACMTm ნუსხების მიხედვით). 14 მუნ < m. 19 განადიდნა m. 20 გიორგისნი m. 22 ნიალით Mm
ნიგალით cet. 23 თრიელეთად Mm. 24 თრიელეთადვე Mm. 26 თრიელეთით Mm. 26 უკ˜მოვლო M.
27 იზამთრა Mm. 27 ხალდიასა ჩ ვ . კ ო ნ ი ე ქ ტ ., ხალადასა M, ხალადსა m (შდრ. ზემოთ, გვ 285, 15).
28 ტრაპიზონზას Mm. 29 და < Mm. 31 წარვიზი Mm. 31 ქისიფი Mm, ქსიფენ cet. 32 აღმოსავ-
ლით Mm.

[1] აქედან ბოლომდე სუმბატის „ქრონიკა“ გამოყენებული აქვს „მატიანე ქართლისას“. იხ. ზემოთ, გვ. 284—294.

დიდად შეშინებულსავე პატივ სცა, რამეთუ განუდგეს ქსიფენ წარვეზს, და ყოველნივე
M 586 ერნი მისად მიმდგომელნი შეიტყუვნეს ციხესა შინა, შეიპყრ|ეს და ბასილის წინაშე
წარმოგზავნეს. და მან ექსორია ყო იგი კუნძულსა შინა და მიმდგომთა მისთა მრა-
ვალთა თავი მოჰკუეთა, რომელთა თანა იყო ფერის ჯოჯიკის ძე ქართველი.

m 390 და კუალად შემოიქცა ბასილი მეფე | და მოვიდა ბასიანს. და ითხოვდა იგი
გიორგი მეფისაგან ციხე-ქუეყანათა და აღუთქმიდა ზავსა და მშჳდობასა. ხოლო გიორგი
მეფემან განავლინა ზჳადი ლაშქრითა დიდითა უწინარეს თჳსსა. და დაილაშქრა ზჳად-
მანცა ამიერ კიდესა ბასიანისასა, რეცა ზამთრის სახედ. ხოლო თჳთ გიორგი მეფე
უკანა ისრე განვიდა ზავად წადიერი ლაშქრითა დიდითა და ძლიერითა. გარნა ორკერ-
ძოვე მზაკუარნი იგი აზნაურნი არა მიეძუნეს გიორგის ყოფად ზავისა, რამეთუ არა
უნდოდა მშჳდობა, არამედ აზრახეს მას ბრძოლად. აწჳეს იგი ბასილის ზედა, რომელი-
იგი ზავად და მშჳდობად ჰგონებდა მისლვასა მათსა, და ჰგონებდა და მოელოდა. ხოლო
გიორგისთა იწყეს ბრძოლად და აოტეს ზოგი ბასილის ლაშქრისა. მაშინ უბრძანა
ბასილი მეფემან დამოკიდება წუერსა ჰოროლისასა დაწერილი მათი, რომელნი მისად
დაეწერნეს გიორგი მეფესა ჩუენსა სიმტკიცისა და ზავისანი. და ესრეთ ბასილი მეფე-
მან ჰოროლისა წუერითა ამართნა იგინი. მიუპყრა ღმერთსა და თქუა: „იხილე, უფალო,
წერილი ესე მათი და საქმე, რომელსა აწ იქმან“.

M 587 და კუალად მოიღო ბასილი მეფემან ძელი | ცხოვრებისა მანდილითა წმიდითა,
და დასცა იგი ქუეყანასა ზედა და თქუა ესრეთ, ვითარმედ: „უკეთუ მიმცე მე კელთა
მტერთასა, არღარა თაყუანის-გცე უკუნისამდე“. და ვითარ ესე ყო და თქუა, მეის მასვე
ჟამსა იძლივნეს და მეოტ იქმნეს სპანი გიორგისნი, რომელნი-იგი პირველ მივიდეს;
და გამოვიდეს მიერ-კერძო ტაღმანი მეფისანი რუსნი, და არა განერა ერთიცა პირველ
მოსრულთა მათ თჳნიერ მცირედთასა. რამეთუ თჳთ მეფე გიორგი და უძლიერესი
ლაშქარი მისი არღარა მისრულ იყო ჯერეთ ყოვლადვე, და მოიკლნეს მათგანი მას
დღესა შინა, რომელთაცა-იგი მშჳდობის ყოფა არა ენებათ, და მეოტ იქმნეს ყოველნი.
და მოისრნეს ურიცხუნი პირითა მახჳლისათა და რომელნიმე მეოტ იქმნეს. წარიღეს
ბერძენთა ავარი დიდძალი და განძი სამეფო ყოველი სრულიად, რომელი აქუნდა.

m 391 და წარმოიძრა მცირედ ბასილი | მეფე და მოუდგა უკანა. და კუალად იწყო
ზავად და მშჳდობად პირველისაებრვე, რამეთუ შიში აქუნდა საბერძნეთით კუალადცა
განდგომილებისა. და ყვეს მაშინ მშჳდობა და დაიზავნეს.

და მისცა გიორგი მეფემან მძევლად ძე თჳსი ბაგრატ, სამისა წლისა ყრმა ჩჳლი
და მისცა ციხე ათორმეტი, და ქუეყანა დავით კურაპალატისა ნაქონები ტაოს, ბასიანს,

1 გან[უ]დ[გ]ეს Mm. 2 შეიტყუ,ნეს ჩ ვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., შეიცვეს Mm (ღ ← ღ), შეიტყუეს cet. 11 აწჳეს b, იწუეს Mm, იწვიეს cet. 12 მათსა (მათსა) M. 14 დაწერილი მათი] და წუერილით მათ Mm, წერილი მათი cet. 14 რომელნიMTm, რომელი cet. 15 მეფისა Mm. 15 ჩუენსა T, ჩუენისა Mm, < cet. 15 ზავი-სანი] ძლევისანი Mm. 16 უფალო Mm, მეუფეო cet. 17 და < Mm. 17 რომელსა აწ იქმან Mm, რომელ აწ იქმნა cet. 19 მიმეც m. 22-23 და გამოვიდეს — მცირედთასა MTm, < cet. 22 მეფისა T. 23 მის-რულთა T. 23 მცირედთასა m, მცირედისა T, მცირეთასა M. 24 მოიკლნეს DMTm, მოისრნეს cet. (< AC). 25 არა ენებათ < Mm. 26 მახჳლისათა + რომელნიმე ტყუე იქმნნეს T. 26 რომელნი Mm. 27 რომელი MTm, რაოდენი cet. (< AC). 28 და წარმოიძრა — უკანა] და წარმოუდგა უკანა ბასილი მეფე AC. 30 განდგომისა AC, განდგომილებითა M. 31 და მისცა < Mm. 32 ქუეყანანი Mm.

M 588 და ჯავახეთს, შავშეთს. და ესრეთ წარვიდა | ბერძენთა მეფე ბასილი, და თანა წარი-
ტანა ბაგრატ ყრმა მცირე. და შემდგომად სამისა წლისა შინავე წარმოგზავნა აღუთქუა
გიორგის ბაგრატისი.

გარდაჴდეს რა სამნი წელნი, მაშინ წარმოგზავნა ბასილი მეფემან ქალაქით კოს-
ტანტინეპოლით ბაგრატ, ძე გიორგისი, ვითარცა-იგი აღეთქუა. და მოიწია ბაგრატ
ტაოს და შემოვიდა თჳსსა მამულსა ბანას თანამოყოლითა მისად კატაბანისა აღმოსავ-
ლისათა ზღვრადმდე ბაგრატის მამულისა. ხოლო შე-რა-იქცა კატაბანი იგი, მოემთ-
ხჳვნეს მას მანდატურნი წიგნითა ესრეთ წერილითა, ვითარმედ: „მიიცვალა ბასილი
მეფე, ძმა ჩემი, და ვიქმენ მე მეფე ყოვლისა საბერძნეთისა. და აწ სადაცაღა მოწევნულ
იყოს საკელმწიფოსა შინა ძე გიორგისი ბაგრატ, გარე-გე-აქციე იგი სწრაფით და
წინაშე ჩუენსა მოგზავნე“. და ვითარცა აღმოიკითხა კატაბანმან, მსწრაფლ მოიქცა და
დევნა უყო ბაგრატს, გარნა ვერ ეწია მას, რამეთუ თჳსსა მამულსა შემოსრულ იყო
იგი და განძლიერებულ ლაშქრითა, რომლისა ბრძოლად ვერღარა ეძლო კატაბანსა
მას, არამედ გარე-უკუნ-იქცა და წარვიდა. ეჰა, დიდი და საკჳრველი მოწყალება ღმრთისა!
ვითარღა განერა მართალი კელთაგან შემპყრობელთა და მტერთა მისთასა, ქრონი-
კონსა ს̃მ̃ე.

M 589 და მოვიდა ბა|გრატ საბერძნეთით წინაშე მამისა თჳსისა გიორგი მეფისა და
დედისა თჳსისა მარიამ დედოფლისა ქალაქსა მათსა ქუთათისს. და ესრეთ შეკრბეს
m 392 იგინი მშჳდობით, და მისცეს დიდება და მადლობა | ღმერთსა მომადლებისათჳს მათდა
ესევითარისა მის კეთილისა. და შემდგომად ამისსა რა გარდაჴდეს წელნი ორნი, გარ-
დაიცვალა გიორგი, მამა ამის ბაგრატისი, თრიალეთს, ადგილსა მას, რომელსა ეწოდე-
ბის მყინვარნი, ქრონიკონსა ს̃მ̃ზ, თუესა აგჳსტოსა ი̃ვ. და დამარხეს იგი ქუთათისს.

და დაჯდა შემდგომად მისსა მეფედ ძე მისი ბაგრატ ცხრისა წლისა. ხოლო აზნა-
ურნი ტაოელნი წარვიდეს საბერძნეთს: ვაჩე კარიჭისძე, და ბანელი ეპისკოპოსი
იოვანე, და ამათ თანა უმრავლესნი აზნაურნი ტაოსა, რომელნიმე ციხოვანნი და
რომელნიმე უციხონი, განუდგეს ბაგრატს და მიერთნეს კოსტანტინეს, ძმასა ბასილი
ბერძენთა მეფისასა, რომელი შემდგომად მისსა მეფე იყო.

და წელსა მეორესა გამოგზავნა კოსტანტინე მეფემან პარკიმანოსი თჳსი მიუწ-
დომელისა ძალითა ლაშქრითა თჳსისათა და განძითა ურიცხჳთა ყოვლად უძლიერესად
ბასილი მეფისაცა. მოვლო და მოაოჴრა ქუეყანანი იგი, რომელნი პირველ მოეოჴრნეს
ქუეყანანი ბასილი მეფესა, და უმეტესცა. რამეთუ მიიწია ესე თრიალეთს ციხესა ქუემე
M 590 კლდე-კართასა, სადა-იგი იყვნეს მაშინ აზნაურნი ბაგრატისნი, და ბრძ|ოლა ყვეს, გარნა
არა დიდად. და განდგეს კუალად აზნაურნი, და მისცნეს ციხენი, ჩანჩახამან, ერის-
თავმან შავშეთისამან, მისცა ციხე წეფთისა, და თჳთ წარვიდეს იგინი საბერძნეთს.

1 ესრეთ] ერეთს m. 2 შინავე] შავე Mm (← შ̃ავე). 2 წარმოგზავნა თ ა ყ., წარმოგზავნეს Mm. 5 აღეთქუა M, აღუთქუა cet. 9 ვიქმნა Mm. 10 შინა T, შენსა AMm, ჩემსა CD, ჩუენსა cet. 13 კაპა-ტანსა M. 14 და m, < M. 17 საბერძნეთით < M. 18 ქუთათის Mm. 22 ქუთათის Mm. 24 ვაჩე კარ-გის ძე Mm. 26 იოვანე < Mm. 25 ციხეთა Mm. 26 კოსტანტინეს M, კოსტანტინე m, კოსტანტის cet. 27 რომელ Mm. 28 მეორესა] მესამესა T. 28 კოსტანტი ACMm. 29 თჳსითა m. 33 ჩანჩახი ACMm, ჩანჩუხი cet. 34 ცეფთისა Mm.

ხოლო აღაშენა სიმაგრე საბა მტბევარ ეპისკოპოსმან, მახლობელად ტბეთის
ეკლესიასა და სახელ-სდვა მას სუეტი. და შეკრიბა მაშინ მან ერი თჳსი და შევიდეს
მას შინა თჳთ საბა მტბევარ ეპისკოპოსი, და ეზრა ანჩელ ეპისკოპოსი, და შავშეთის
აზნაურნი, და განძლიერდა მას შინა.

m 393 ხოლო მოავლინა მუნ პარკიმანოსმან იოვანე ხ|არტულარი, სახელით ვალანგ,
ლაშქრითა დიდძალითა, და თანა მოსცა მას ძე გურგენ კლარჯისა დემეტრე, რეცა
შესატყუენელად ქუეყანისა მკჳდრთა, რომელი-ესე იქმნა ესრეთ. რამეთუ მიიქცეს ერნი,
სოფელნი უგუნურ-უსუსურნი ცნობითა და გონებითა. და გამოადგინეს ლაშქარნი
სუეტსა მას ტბეთისასა, და ჰბრძოდეს ძლიერად მრავალღონედ. და ღმერთმან განა-
ძლიერნა მყოფნი იგი სუეტსა მას შინა მადლითა და მეოხებითა წმიდათა მოციქულ-
თათა და ლოცვითა წმიდათა ამათ მღჳდელთ-მოძღუართათა. და ვითარცა ერთგულნი
და ჭეშმარიტნი მარტჳლნი საღმრთონი თავთა თჳსთა სიკუდილად განსწირვიდეს, და
კორციელთა უფალთათჳს თავთა თჳსთა განსწირვიდეს, და სისხლთა დასთხევდეს
M 591 სიტყჳსაებრ მოციქულთასა, და | განძლიერდებოდეს. უოველთავე ეტყოდეს, ვითარმედ:
„ნუმცა შეგჳტყუებენ ჩუენ ლიქნანი ესე და საფასენი მსწრაფლ წარმავალნი, არამედ
მოვიგოთ მადლი ერთგულებისა და გჳრგჳნი ახოვნებისა“. რამეთუ მბრძოლნი იგი გარე
მოდგომილნი მათდა ლიქნიდეს აღთქმითა და ქადაგებითა კეთილითა და საფასეთათა:

ხოლო ესევითარად რა ღელვად აღტეხილად იგუემებოდა აღმოსავლეთი, მსწრაფლ
ეწია რისხვა უმსჯავროსა მას მეფესა კოსტანტინეს, მსგავსადვე ივლიანეს უსჯულოსა,
უწყალოებისათჳს ბაგრატ მეფისა ჩუენისა, მოოკრებისათჳს მამულისა მისისა, და
მოსწრაფედ მოუწერა· პარკიმანოსს პროედროსსა თჳსსა, რათა მსწრაფლ შეიქცეს იგი
ლაშქრითურთ თჳსით და მოვიდეს კოსტანტინეპოლედ. და წარვიდა იგი, ესმა რა ესე.
და ვითარცა გარდაიცვალა ესე კოსტანტინე მეფე, დაუტევა შემდგომად მისსა მეფობა
რომანოზს, ნათესავსა და მიმდგომსავე თჳსსა.

ამისსა შემდგომად წელსა მესამესა სანატრელმან დედოფალმან მარიამ, დედამან
ბაგრატ მეფისამან, შეიმოსა სიმჴნე და ახოვნება, რამეთუ ნაშობი იყო ბრწყინვალეთა
m 394 მათ ძლიერთა და დიდთა | მეფეთა არშაკუნიანთა და წარვიდა კოსტანტინეპოლედ
წინაშე რომანოზ მეფისა, ვედრებად მისა, რათა მშჳდობა ყოს აღმოსავლეთისათჳს და
M 592 რათა არღარა იყოს ბრძოლა ბერძ|ენთა და ქართველთა, და გლახაკნი დაწყნარებულ
და მყუდრო იყვნენ, და რათა მიუთხრეს პატივი ძესა თჳსსა ბაგრატს მეფესა წესი-
საებრ სახელისა.

დასასრული პირველი ტომისა

---

1 ებისკოპოზმან მტბევარმან m. 5 ხარტულარი AC, ხალტვირალი M, ხალტულარი cet. 6 კალარ-
ჯისა m. 7 ~ ესრეთ იქმნა m. 14 მოციქულთასა DT, მოციქულნი Mm. 15 შეგვიტყობენ Mm.
17 ქადებითა DT. 17 კეთილთა DTm. 23 ვითარცა Mm, ვიდრე მივიდოდა cet. 23 კოსტანტი AMm.
24 ნათესავი Mm. 27 არშაკუნიანთა T, არბაკთა Mm (=არშაკთა).

საძიებლები

და

ლექსიკონი

საკუთარ სახელთა საძიებელი

ა

აბაზას ძე ივანე (ქართლის ერისთავი) $296_{22, 27}$.

აბაზუკი, ანბაზუკ (ოვსთა გოლიათი) 45_{9}, 46_{14}.

აბაშა (მდინარე) 237_{8}, 238_{11}.

აბაშეთი $195_{12, 13}$; აბაშეთის აღწერა 195_{14-18}.

აბაშნი 141_{3}, 184_{9}, $187_{8, 16}$, $195_{18, 21}$, 237_{7}; აბაშთა სპა 238_{7}.

აბგავარ, ბაგრატის («ბაგრატონიანთა მამის») ძმა 374_{7}.

აბდალ-მელიქი, ეშიმის მამა 233_{12}.

აბელი (ბიბლ.) 164_{18}.

აბეშურა (ასული ასფაგურ მეფისა, ცოლი მირიანისა) 64_{6}; მისი გარდაცვალება 66_{1}.

აბიათარ მღდელი (ურია, მირიან მეფის დროს) 94 სქოლიო 1, $95_{5, 16, 18}$, $97_{13, 15}$, $102_{17, 18}$, 118_{8}; მისი ასულია სიდონია 101_{12}, 102_{11}; იგი ახალი პავლეა 102_{12}, 105_{6}, ჰურიაყოფილია 105_{13}; აბიათარმა აღწერა ცხოვრება და მოქცევა ქართლისა 363_{22}.

აბიბოს ნეკრესელი (იოანე ზედაზნელის მოწაფე) 208_{4}; მან მოაქცია მთეულნი 126_{5}, 229_{6}; მისი გვამი «დადვეს მცხეთას, სამარხავსა ეპისკოპოსთასა» 229_{8}.

აბო (აბო ტფილელი), მისი წამება 263, სქოლ. 1.

აბობიქარ აგარიანი (ხალიფა) $229_{12, 14}$.

აბორნია იხ. აშორნია.

აბოცი, აშოტი (გეოგრ.) 9_{2}, 24_{17}, 48_{8}, 131_{1}, 241_{20}, $257_{14, 16}$.

1. **აბრაამი** (ბიბლ.) 238_{3}.

2. **აბრაამი** (იბრაჰიმი, ამირა ტფილისისა) 257_{7}.

აბულაბაზი (სომეხთა ერისთავი) 256_{12}.

აბულალი (ჰერეთის მთავარი) 279_{5}.

1. **აბულახვარი:** მის ძეს მანუჩას გადასცა სულტანმა ანისი 307_{3}.

2. **აბულახვარი, ბულახვარი** (მანუჩას ძე): მას წაართვა ანისი დავით აღმაშენებელმა 345_{14}.

აბულეთი 331_{19}; აბულეთის ძე ივანე 367_{7}.

აბულ-კასიმი (ამირა აგარიანი), ძე აბუსაჯისი 262_{8}, 263_{1}; მან მოაოჴრა ქართლი და სამცხე $263_{13, 15}$.

აბუსაჯი (აბულ-კასიმის მამა) 262_{8}, 263_{1}.

1. **აბუსერი:** იოვანე ერისთავი აბუსერი (პატრონი არტანუჯისა) 293_{1}.

2. **აბუსერი:** «ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხისჯუარისა და აწყუერისა ციხისა პატრონი» $300_{8, 21}$; გრიგოლ, ძე აბუსერისა 302_{2}.

აბუხუასრო: «რომელი ერისთავობდა თუშთა და ხუნზთა ზედა» 243_{22}, 244_{14}.

აბუშარბი, სიმამრი იოანე მთაწმიდელისა $273_{17, 19}$.

აგ და მაგუგ 163_{1}.

აგადონი (არდამი) 131_{4} შენ.

აგათანგელოსი 82_{9} შენ.

აგარაკი (საეპისკოპოსო, «ხუნანს გამართებით») 199_{4}.

2. თანა („თან“, ad): მივიდა დედის ძმათა მისთა თანა („თავის ბიძებთან წავიდა“) 26_{20}; წარსცა ძლუენი... დედის ძმისა მისისა თანა ვარაზ-ბაკურისა 158_{7}; მისწერა მის თანა წიგნი („წერილი გაგზავნა მასთან“) 158_{13}; წარვალ მამათა ჩუენთა თანა („წავალ ჩვენ მამებთან“, ad patres) 240_{15}; მოვიდა კოსტანტინე მონომახისა თანა („მოვიდა კონსტანტინე მონომახთან“) 303_{12}.

თანაგანმგებელი („თანამმართველი“) 274_{6}.

თანაგანმკაფელი („თანამშრომელი“): გიორგი ჭყონდიდელი,.. კაცი... თანაალზრდილი ალმზრდელი პატრონისა და დ ა ნ ა გ ა ნ მ კ ა ფ ე ლ ი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუაწლთა მისთა („... იყო მეფის თ ა ნ ა მ შ რ ო მ ე ლ ი მის ყოველგვარ სახელმწიფო საქმიანობაში“) 336_{13-14}. იხ. ივ. ჯავახიშვილი, სამ. ისტ. II, 1, 127.

თანაერთჴმა („თანხმა“) 356_{15}.

თანაზრახვა („რჩევა“) 308_{13}.

თანამდგომი („მომხრე“) 300_{22} (იყვნეს თანამდგომ ლიპარიტისსა კახნი).

თანამზრახველი („თანამოსაუბრე“, „მრჩეველი“) 108_{21}, 109_{6}, 184_{17}.

თანამოგზაური („თანამგზავრი“) $80_{9, 16}$.

თანამოსაყდრე („ვინმესთან ერთად მჯდომარე“, „თანა-მეფე“) 82_{15}, 94_{3}.

თანამოყოლა („თანხლება“) 385_{6}.

თანაშეტყუებული („შესაფერი“) 360_{11}.

1. თარგმანება: უთარგმანეს („განუმარტეს“) სახარება 142_{9}.

2. თარგმანება („თარგმანი“, „თარგმნა“) 233_{4}.

თარგმანი („განმმარტებელი“, „მკვლევარი“) 98_{5}, 356_{19} (თარგმანსა და მეცნიერსა).

თაყვანება: ითაყვანნა („მიიღო მათგან მორჩილების განცხადება“) 300_{4}.

თითოფერი („სხვადასხვანაირი“) 88_{14}. შდრ. თჳთოსახე.

თიჭა („ტალახი“) 238_{17}.

თნევა: სთნდა („მოეწონა“) 291_{6}; კეთილად სთნდა („ძალიან მოეწონა“) 63_{19}.

თორნოხანი („რკინის-აბჯრიანი“) 155_{19}.

თუალ-აგნა („თვალი დაადგა“) 210_{31}.

თუალვა („თვლა“): თუალვით ექუსას ორმოცდაათი ათასი 157_{12}.

თუალ-მმრუმედ („დაბნელებული თვალით“) 214_{4}.

თუალუხუავი („პირუთვნელი“, „მიუდგომელი“): მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა თ უ ა ლ უ ხ უ ა ვ ი თ ა მით ბჭობითა თჳსითა („[დავით აღმაშენებელი] ასამართლებდა თავის ქვეშევრდომებს პ ი რ უ თ ვ ნ ე ლ ი მსჯავრით“) 352_{6}. შდრ. თუალ-ხუმა.

თუალშეუდგამი („თვალისმომჭრელი“, „დამაბრმავებელი“) 88_{15}.

თუალ-ხუმა: თუალ-გახუენ („გეფერებიან“) 246_{24}.

თუალუხუავი იხ. ზემოთ.

თურქობა: 1) („თურქები“) $332_{14, 17}$; 2) „თურქთა შემოსევა“ 320_{8}.

თჳთბრძოლა („მარტო ბრძოლა“, „ორთაბრძოლა“) $152_{13, 21}$. იხ. თავის-თავ ბრძოლა.

თჳთმპყრობელობა („თვითმპყრობელობა“ 281_{13}, 382_{16}.

თჳთოსახე („სხვადასხვა“) 115_{18}, 331_{6}.

თჳნიერ („გარდა“) 26_{9} (და ხშირად).

თჳს-თჳსად („ცალცალკე“) 60_{19}, 112_{3}.

თჳსი („ნათესავი“) 3_{6}, 223_{18}.

ი

იავარი, ავარი („ნადავლი“) 319_{9}, 330_{7}, 351_{20}.

იავარ-ყოფა („გაძარცვა“, „დაიტაცა“, „მოინადავლა“) 15_{8}, 339_{7}. იხ. აგრეთვე ავარი.

იელი («ხე თაფლის გამრყვნელი»: საბა) 256_{16}.

იმერი („იქეთელი“, „დასავლელი ქართველი“) 369_{8}.

1. იმიერ და ამიერ („გაღმა-გამოღმა“) 38_{24}, 55_{15}, 75_{8}, 158_{18} (მტკუარსა იმიერ და ამიერ), 211_{2}.

2. იმიერ და ამიერ („იქით და აქეთ“, „იქიდან და აქედან“) 250_{9}, 285_{4}, 383_{17}.

იმიერით („გაღმა“) 297_{5}.

ინწუბა („ამოისვარა“) 325_{14}. შდრ. საბა: «მწუბება — წუმპეში გორვა».

იხი („ის“) 153_{5}, 175_{5}, 190_{16}, 193_{28}.
იქედნე („შხამიანი გველი“) 84_{16}, 326_{10}.
იქი („იქ“) 332_{14}.

იძრვიხი („ქვემძრომი“) 192_{8}.
იძულებით: იძულებით ევედრებოდეს („ძალიან და ხშირად, დაჟინებით ლოცულობდნენ“) 126_{16}.

კ

კადრება („გაბედვა“) 142_{21}, 225_{12}; ვერ იკადრებდა („ვერ ბედავდა“) 135_{28}, 146_{21}; იკადრა („გაბედა“) $174_{8, 17}$, 222_{12}, 226_{7}; იკადრეს 179_{5}. **მკადრებელი** 357_{17}.

კადნიერება („გაბედულება“, „თავხედობა“) 279_{16}, 375_{1}.

კადნიერი („გაბედული“): არა ხარ კადნიერ ბრძოლად მეფისა („შენ ვერ გაბედავ მეფეს შეებრძოლო“) 189_{11}.

კაზმა („მომზადება“) 150_{13}, 301_{7} (პაშტნი... პურსა უკაზმიდეს — „მსახურნი საჭმელს უმზადებდნენ“).

კამარედი („თაღიანი კონქი“, „ნიში“) 213_{6}.

კანდელი („ზეთის ლამპარი“) $134_{4, 6, 7, 8}$, $213_{17, 18}$.

კანკელი („გამყოფი ტიხარი“ ეკლესიაში, ხატებით მოჭედილი) 282_{23} (მოჭედა კანკელი).

კანჯარი («ველური ვირი»: საბა) 161_{14}, 180_{11}.

კარაული („ვირი“) $211_{13, 14, 15, 16, 18}$.

კარი: დარბაზის კარი („სამეფო კარი“) 352_{17}, კარი („სამეფო კარი“) 369_{5}.

კატაბანი („წინამძღოლი“ ὁ κατεπάνω $289_{4, 6}$, $385_{6, 7, 11, 18}$.

1. კედარი („ბნელი ადგილი“, „ჩრდილოეთი“; „საიქიო“) 113_{22}. საბა: «კედარი—ბნელი საჭმუნავი».

2. კედარი („მხარე“) 362_{12}. შდრ. ი. ჭ ყ ო ნ ი ა, სიტყვის-კონა 25: «კედარო — მხარე».

კეთილი („კარგი ხვედრი“, „კარგი ბედი“) 21_{17}.

კეისარი („მეფე“ რომის სახელმწიფოში და ბიზანტიაში) 170_{17} (წინაშე მეფისა კეისრისა).

კერძო („-კენ“): გამოვედ ჩემ-კერძო („გამოდი ჩემკენ“) 155_{1}.

1. კიდე („ზღვის, მდინარის ნაპირი“) 152_{16}, 351_{8}.

2. კიდე („მხარე“): ქუეყანისა კიდედათ 330_{12}.

3. კიდე თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი („გარდა“): მათგან კიდე („მათ გარდა“) 55_{13}.

კიდელი („ქალი“?) 330_{7}.

კითხვა: ვერ იკითხვებოდეს („მათი ბედი საკითხავი აღარ იყო“) 315_{8}. შდრ. ახალი ქართული გამოთქმა: „ნულარ იკითხავ“.

კილიკი („მატყლისაგან მოქსოვილი საგებელი“) $104_{1, 22}$.

კირთება („შეტევა მოუსვენებელი“) 18_{21} (ეკირთებოდეს ქუეყანასა ჰრომისასა), 47_{17}, 48_{19} (იწყეს კირთებად სომეხთა), 279_{14}.

კისაკი („ქისა“, „საფულე“) 353_{10}.

კიცხევა („დაცინვა“) 148_{4}.

კიცხი („კიცხვა“, „დაცინვა“) 148_{9}.

კლიტე («გასაღებელი»: საბა): მოართუნეს კლიტენი (ქალაქისანი) 299_{19}, 313_{1}.

კნინი („ცოტა“, „მცირედი“) 329_{12}, 376_{17}.

კნისობა («სიტყჳთ და საქმით მაწყინარობა»: საბა) 14_{1}.

კოშკი («წვრილი და მაღალი ციხე»: საბა) 140_{21}, 161_{20}, 236_{12}, $299_{20, 21}$.

1. კრება („დღესასწაული“): განაწესა ჯუარისა კრება 375_{28}.

2. კრება („შეკრება“): უკრებნ მკალსა და გუელსა 190_{11}.

კრფებოდეს: მარადის ესრეთ ჰკრფებოდეს ქართველნი 48_{9}.

კრჩხიალება („კივილი“): აქა დედასა ესმა და იკრჩხიალნა 99_{10}; საშინელითა კრჩხიალებითა დაიხახნა 37_{4}. საბა: «კრჩხიალება დიაცთ კივილი».

კუბო („ტახტრევანი“) $123_{4, 6}$.

კუერთხი („ჯოხი“): კუერთხი მეფობისა („სამეფო სკიპტრა“) 351_{4}.

კუერნაულად („როგორც კვერნა“): კუერნაულად კრთების 359_{18}.

კურაპალატობა („კურაპალატის პატივი“) 218_{7}, 374_{10}.

კჳრიაკე („კვირა დღე“) 122_{7}.

ლ

ლავრა („დიდი მონასტერი“) 352_{28}.

ლამოდა („ლამობდა“) 256_{11}, 268_{17}, $269_{2, 7}$, 270_{20}, 312_{10}; ლამოდეს 130_{21}.

ლამპრობა: დღესა ლამპრობასა 269_{6}.

ლაშქრობა („ბრძოლა“): (ლიპარიტმა) ულაშქრა ბერძენთა მეფესა დვინელსა ზედა („იბრძოლა“ საბერძნეთის სასარგებლოდ დვინის წინააღმდეგ“) 302_{5}.

ლიტანია („ლოცვა მუხლ-მოყრით“) 213_{16}.

ლიტონი („მარტივი“) 357_{5}.

ლიხტური („მხედართ-მთავარი“, lictor?) 302_{17}.

ლოდინება („ლოდინი“) 187_{4}.

მ

მაბრძოლი („რომელიც შეებრძოლება“) 47_{13}.

მაგისტროსი (ბიზანტიური თანამდებობა და პატივი) $381_{4, 6, 7, 16}$.

მაგისტროსობა („მაგისტროსის პატივი“) 382_{10}.

მაგრება („გამაგრება“) 220_{11}.

მაგრიად („მაგრად“): მაგრიად მოისარი 319_{4}.

მაზავებელი („შემარიგებელი“) 11_{5}.

მაზრაკი („შუბი“) 237_{20}.

მალე („სწრაფი“): იწყო ნადირობად დიდთა და პალეთა მფრინველთა 190_{19}.

მამა („მონასტრის წინამძღვარი“): მამად ბერთა განაჩინა 211_{22}.

1. მამაკაცება („მამაკაცები“) 86_{13}.

2. მამაკაცობა: ასაკი მამაკაცობისა („სრულწლოვანება“) 140_{28}.

მამამთილი („ქმრის მამა“) $144_{3, 18}$.

მამამძუძე („აღმზრდელი“ [მამაკაცი]) $30_{3, 22}$, 62_{1}, 64_{20}, 65_{12}, 145_{8}, 172_{4}, 189_{21}, 199_{9}.

მამასახლისი („სახლთ უფროსი“, „გვარის უფროსი“, „ქვეყნის უფროსი“): მცხეთის მამასახლისი 11_{4}, $15_{11, 17}$, 16_{1}, 20_{20}, 22_{11}.

მამის დედა („დიდედა“) 172_{13}.

მამის დისწული („მამიდაშვილი“) $27_{1, 20}$.

მამის მამა („პაპა“) $16_{14, 16}$, 31_{5}, 98_{14}, 99_{2-3}.

მამის ძმა („ბიძა“) 246_{16}.

მამის ძმისწული („ბიძაშვილი“) 121_{5}, 130_{22}, 151_{10}.

1. მამული ზ ე დ ს ა რ თ ა ვ ი ს. („მამისეული“, „მამისა“, „თვისტომი“, „მშობლიური“): შემოიღო სჯული მამული და დაუტევა სჯული დედული 29_{11}; ნუ განმარტებთ მახჳლთა თქუენთა ქართველთა ზედა, რამეთუ მამულნი არიან ჩემნი („ნუ აღმართავთ მახვილს ქართველებზე, რადგან ისინი ჩემი თვისტომნი არიან“) 34_{19}; აყუედრა მამულთა სამეფოთა დატევება („უსაყვედურებდა რად დასტოვე მშობლიური სამეფოო) 134_{25}.

2. მამული ა რ ს ე ბ ი თ ი ს. („სამშობლო“, „თავისი მამის ქვეყანა“) 20_{23}, 21_{8}.

3. მამულად („მამით“, „მამის მხრით“) 20_{17}, 138_{7}, 299_{3} (მამულად ეყვოდეს სომეხნი — „მამის მხრით სომეხნი მისი ნათესავები იყვნენ“).

მამულობა („მემკვიდრეობა“, „შთამომავლობა“): დაუწერა საერისთოთა მათთა მამულობა შვილითი-შვილამდე („სამუდამო მფლობელობა“) 217_{8}; უბოძა სულას მამულობით („სამუდამო მემკვიდრეობით“) ციხისჯუარი 305_{3}; მამულობით უფროს („უფრო შთამომავლობის ძალით“) ვიდრე ღირსებით 327_{2}.

მამულ-პაპური: მამულ-პაპურთა კუალთა სლვა („მამა-პაპის კვალზე სიარული“) 325_{4}.

მამფალი („მბრძანებელი“, „მმართველი“; შინაარსით უდრის ძველ „პიტიახშს“) 259_{15}.

მანანა (ერთგვარი საჭმელი, «ზეცით შთამოვრდომილად ითქმის»: საბა) 14_{11}.

მანდა, მანდით („მანდ“, „მანდედან“) $240_{12, 15}$.

მანდატურთ-უხუცესი (ვაზირი, სახელმწიფო ფოსტისა და მიმოსვლის უფროსი, პატივით ამირსპასალარის ტოლი) 368_{18}, 370_{15}.

მანდატური (ბიზ. მოხელე, *μανδάτωρ*, საპატიო კაცის გამყოლი მგზავრობაში) $289_{6, 15}$, 385_{8}.

მანდაური („იქაური“) 344_{10}, 345_{19}; განაგნა საქმენი მანდაურნი 339_{10}. შდრ. მანდა.

მანდილი („თავსაბურავი“, „თავშალი“, „სახვევი“): მანდილი წმიდა (*μανδύλιον ἅγιον*) 287_{13}, 384_{18}.

მანიაკი („ყელსაბამი“) 330_{8}.

მარბიელი („დამარბეველი“, „დამრბევთა რაზმი“) 55_{6}, 306_{10}, $309_{6, 10}$. შდრ. ზედამარბეველი 321_{18}.

მარზაპანი („მეფის ნაცვალი“) 67_{6}, 184_{11}.

მართლმადიდებელი („მართალი სარწმუნოების მიმდევარი“) 266_{8}.

მართუე („ბარტყი“) 173_{17}, 311_{6}.

მარტივი; უ მ ა რ ტ ი ვ ე ს ი: უმარტივესნი ვინმე სჯულისა ჩუენისანი 36_{11}.

მარტოდ-მბრძოლი („ხელდახელ შემბმელი“, единоборец): არავინ იპოვა მ ა რ ტ ო დ - მ ბ რ ძ ო ლ ი („არავინ აღმოჩნდა ისეთი, რომ ო რ თ ა ბ რ ძ ო ლ ა შ ი გაჰყოლოდა“) 69_{7}, 57_{16}.

მარტოდ-შობილი („ერთადერთი შვილი“) 324_{4}.

მარტომყოფობა („განდეგილობა“) 210_{22}.

მარტჳლი („მოწამე“) 304_{1}.

მარტჳლი[ა] (ქრისტიანული დღესასწაული, სულიწმიდის მოფენა“, „პენტეკოსტე“) 122_{10}.

მარჩბივი („ტყუბი“) 178_{12}.

მარჯუე („მოსახერხებელი“, „მოხერხებული“) 131_{9}, 141_{4}, 48_{19}. **უმარჯუესადრე** 171_{21}.

მატიანე („ისტორია“) 359_{8}.

მაქებელი („ქების შემსხმელი“) 342_{12}.

მაღლად („მაღალ დონეზე“, „მაღალი ხარისხით“): საქმეთა რომელთა იწყო ქმნად, გაასრულნაცა მ ა ღ ლ ა დ და შუენიერად 359_{11}.

მაღნარი („ხშირი ტყე“) 120_{6}.

მაყუედრებელი („შეურაცხმყოფელი“) 175_{1}.

მაშმელი (საბა: «მ ა შ მ ე ლ ი — ფუტურო [ქ. ცხ.]»): არა დაუტეობ ნათელსა შემწუელსა, და არა თაყუანის-ვცემ ძელსა მ ა შ მ ე ლ ს ა, რომელი განშუენებულ არს ოქროთა და ანთრაკითა 174_{6} (საპირისპიროა „შემწუელი“).

მაჩუკნებელი („გამანებივრებელი“, „გამადიდლებელი“) 358_{14}. შდრ. ჩუკენი.

მაჭირვეელი („შემაწუხებელი“) 353_{19}.

მგზავრ ზ მ ნ ი ს ა რ თ ი („გზად“) 339_{8}.

მგზებარე („ანთებული“) 197_{3}.

მგმობარი („მგმობელი“) 153_{5}.

მგოსანი („მომღერალი“) 402_{5}; მგოსანნი გლოვისანი 53_{10}.

მგრძნებელი („გრძნეული“) 14_{6}, 53_{14}. იხ. გრძნება.

მგრძნეულობა: მგრძნეულობდეს („მისნობდეს“, „მკითხაობდეს“) 303_{20}.

მდაბალი („დაბალი“, „დაბალი ღირსების“): უმდაბლე 338_{8}.

მდაბიური („სოფლელი“) 209_{5}.

-მე (კითხვითი ნაწილაკი): რა-მე არს ესე? („რა არის ეს?) 112_{9}; 166_{16}.

მეალაფე („დამარბეველი“) 172_{12}.

მებეგრე („ბეგრის გადამხდელი“) 187_{19}.

მეგობრობა: კეთილად მეგობრობდეს ქართველთა 217_{2}.

მეგუადრუცე („ფულის ყუთის შემნახავი“ ჩ უ ბ ი ნ.) 197_{7}.

მედგრობა („ვერაგობა“) 51_{7}, 274_{12}.

მეერგასე („ორმოცდამეათე“) 239_{19}.

მეოეგზური („მეოეგზე“) 85$_{11}$.
მეკერპე („წარმართი“) 160$_{20}$.
მენავეთ-მოძღუარი („ხომალდის უფროსი“) 276$_{13}$.
მენაკიდური („განაპირა [მხარე]“) 361$_{13}$.
მეოტი („გამოქცეული“) 52$_{9, 19}$ (და ხშირად).
მერმე ზედსართავი ს. („მომავალი“): მერმისა საუკუნისა 192$_{12}$.
მესისხლე: 1) („ვისაც სისხლი მართებს“) 57$_{11}$ (რამეთუ მესისხლე იყო ამაზასპ მათი); 2) („შურისმაძიებელი“, „სისხლისმსმელი“) 20$_{9, 14}$.
მესისხლეობა („სისხლის დაღვრა“, „სიკვდილით დასჯა“) 51$_{7}$, 57$_{4}$.
მეტომე („თანამემამულე“, „თვისტომი“; ჯავახიშვილი, სამ. ისტ. II, 1, 20): იოსიპოს... მეტომეთა თჳსთა-ზედანი ჰირნი მისცნა აღწერასა („იოსიპოს ფლავიოსმა მოგვითხრო თავისი თანამემამულეების დაწიოკების ამბავიო“) 342$_{9}$.
მეუდაბნოე („ბერი“) 327$_{12}$.
მეფობა (1. „სამეფო“, 2. „მმართველობა“) 66$_{2}$, 131$_{5, 6}$. **მეფეთ-მეფობა** 382$_{4}$
მეყვისი („მახლობელი“, „ნათესავი“) 282$_{8}$.
მეყუსეულად, მეყსეულად („მაშინვე“, „სწრაფად“) 105$_{2, 8}$, 112$_{1}$.
მეც (= მომეცი) 166$_{9}$ (მეც მე დრო).
მეცნიერება („ცოდნა“) 47$_{7}$, 77$_{6}$.
1. **მეცნიერი** („მცოდნე“) 103$_{12}$; **მეცნიერნი სჯულისანი** („საღმრთო სჯულის და წიგნების მცოდნენი“) 36$_{7, 8}$, 142$_{9}$, 356$_{19}$: მეცნიერი განზრახვასა მათსა („მათი აზრის მცოდნე“) 79$_{10}$; იქმნა მეცნიერ აზონისა („გაიცნო აზონმა“) 21$_{8}$; რომლისა მშობელთა არა მეცნიერ ვართ („არ ვიცით ვინ იყვნენ მისი მშობლები“) 209$_{19}$.
2. **მეცნიერი** („ნაცნობი“) 93$_{18}$, 311$_{14}$.
3. **მეცნიერი** („მცოდნე“, „აღმსარებელი“, „ვინც აღიარებს“): მეცნიერნი არიან ღმრთისა დამბადებელისანი („აღიარებენ დამბადებელ ღმერთს“) 193$_{8}$.
4. **მეცნიერი** („მცოდნე“, „სწავლული“, „მეცნიერი“) 31$_{8}$, 327$_{18}$, 356$_{21}$.
მეძიებელი სისხლისა იხ. ძებნა სისხლისა.
მეწიგნე („მწიგნობარი“): მოვიდეს მწიგნობარნი (Mm: მეწიგნენი) ანელთა თავადთანი 344$_{20}$ შენ.
მეჭუელი („რომელიც ეჭვობს“, „ეჭვი ეპარება“) 325$_{18}$.
მეჯრმლე („ჯალათი“) 74$_{4}$.
მზაობა („მზად ყოფნა“) 333$_{18}$.
მზახობა („მძახლობა“) 270$_{2}$, 306$_{28}$; და ამზახნა ურთიერთას („ერთმანეთის მძახლები გახადა ისინი“) 70$_{18}$; ამზახნა 374$_{8}$; იმზახნეს 262$_{6}$. **მზახებული** 243$_{11}$.
მზრახველი („მოლაპარაკე“): სომხურად მზრახველი 85$_{16}$; ჰინდურად მზრახველი 162$_{21}$.
მზირი („მოთვალთვალე“, „ჯაშუში“) 179$_{8}$.
1. **მთავარი** („მმართველი“, „უზენაესი ხელისუფალი“): მთავარი ქართლისა 225$_{6, 7}$, 226$_{2}$, 228$_{9, 10}$, 233$_{8}$. — **უმთავრესი**: ყივჩაყთა უმთავრესისა ათრაქა შარაღანის ძისა 336$_{6}$.

2. **მთავარი**: უმთავრესისა შენისა („შენზე უფროსისა, უკეთესისა“, „ვინც შენზე მეტია“) 197$_{5}$.
1. **მთავრობა**: 1) („ხელისუფლება“, „მთავრობა“) 161$_{12}$, 162$_{9}$; **მთავრობით** („ხელისუფლობის ძალით“): მთავრობით განაგებდის 25$_{1}$; დაიპყრა მთავრობით 226$_{6}$. 2) („მთავრის თანამდებობა“) 168$_{15}$.
2. **მთავრობა** ზმნა: მთავრობს („მთავრად არის“, როგორც „მეფობს“) 197$_{15}$; სტეფანოზ მთავრობდა 223$_{15}$, 375$_{23}$; მთავრობდა ადარნასე 375$_{25}$.
მთარგმანებელი („განმმარტებელი“, „მთარგმნელი“) 334$_{9}$.
მთარგმნელი („მთარგმნელი“, „განმმარტებელი“) 312$_{16}$.
მთიები („მნათობი“) 121$_{2}$.
მთხრებლი („ორმო“) 189$_{6}$, 328$_{18}$.
მთხუნველი: თაგჳსა მის მთხუნველისა („ბრმა თაგვისა“, „თხუნელასი“), რომელსა არა ასხენ თუალნი 191$_{21}$.
მიგება („მიზღვევა“): მიეგო ცრუობა („მიეზღო ცრუობისათვის“) 286$_{3}$
1. **მი-და-მო** („იქით-აქეთ“, „ორივე მხრიდან“) 301$_{2}$. 329$_{4}$; მი-და-მო საუბარი 295$_{7}$.
2. **მი-და-მონი** („მითქმა-მოთქმა“) 293$_{2}$.
მიდგენა: მიიდგინეს („მიიმხრეს“) 383$_{22}$.
1. **მიდგომა** („მიმხრობა“): მიმდგომი („მომხრე“) 384$_{3}$, მიმდგომელნი 384$_{2}$.
2. **მიდგომა**: მიუდგა („დაორსულდა“) 132$_{22}$, 143$_{3, 6}$; მიუდგეს 166$_{18}$.
1. **მიერ** თანდებული 64$_{10}$ (და ხშირად).
2. **მიერ** ზმნისართი („იქიდან“): გამოვიდა მიერ 38$_{22}$.
მიერითგან („ამ დროიდან“) 51$_{1}$, 52$_{19}$.
მიერთნეს („მიემხრნენ“) 54$_{1}$.
მივის („მყავს“) 40$_{19}$, 196$_{4}$. იხ. ზემოთ ვ- (გვ. 439).
მიზეზობა („მომიზეზება“, „უკმაყოფილების გამოხატვა“, „შფოთი“) 196$_{12}$.
მითუალვა („მილება“, „ჩათელა“) 184$_{4}$; მიითუალენ („მიიღე“) 184$_{2}$; მიითუალვიდა („ღებულობდა [მხედველობაში]“) 233$_{18}$; მიათუალა („ჩააბარა“) 204$_{4}$, 205$_{8}$, 314$_{11}$.
მიიძულებად („ძალდატანებით“) 172$_{12}$.
მილიონი (მანძილი „1000 ნაბიჯი“) 213$_{32}$.
მიმდგომი („მომხრე“, „თანამოაზრე“, „მიმდევარი“) 215$_{6}$, 328$_{5}$, 386$_{24}$.
მიმდემი („ყოველდღიური“, „მუდმივი“) 348$_{2}$.
მიმწუთარი („მიღწეული“) 357$_{15}$.
მიმწუხრადმდე: დილითგან მ. („დილიდან საღამომდე“) 123$_{19}$. **მიმწუხრი** („საღამოთი“) 332$_{18}$.
მინებ („მინდიხარ“) 184$_{15}$.
მიპირუტყუთამდე: კაცითგან მ. („კაციდან პირუტყვამდე“) 237$_{14}$.
მიპყრობა: ზავის მიპყრობითა („ზავის შეძლევით“) 287$_{6}$.
მირკანი („მარტი“) 247$_{22}$.
მირთვა („მიმხრობა“): მიერთნეს („მიემხრნენ“) 54$_{1}$, 298$_{13}$. შდრ. გამორთვა, განრთვა, მორთვა.

მირიდება („გაცლა“): მირიდეს თურქთა („თურქები გაეცალნენ“) 302$_{19}$; მირიდა („გაეცალა“) 316$_{12}$. შდრ. რამთამცა მიჰრიდა და დაემალა (აბო, თავი III).
მირულება („ჩათვლემა“, „მიძინება“) 101$_{7}$, 167$_{1}$.
მისაგებელი („საზღაური“): მისაგებელი ორკეცი 375$_{1}$; მეძლუწეთა მისაგებელნი („მეძლვნეთა დასაჩუქრება“) 351$_{12}$.
მისანდო („სანდო“) 337$_{9}$.
მისანდობელი („სანდო“, „ერთგული“) 27$_{10}$, 51$_{12}$, 189$_{21}$, 276$_{14}$, 281$_{20}$.
მისგითი („მაჰმადიანთა სალოცავი“) 345$_{5}$.
მისმენილ იყო („გაგონილი იყო“) 125$_{3}$
მისჭირდა („გაუჭირდა“) 271$_{5}$.
მიტყდომა („მიწყდომა“): მიატყდებოდა ერი იგი („ხალხი აწყდებოდა“) 116$_{15}$.
მიუკუნისამდე („უკუნისამდე“) 191$_{3}$, 240$_{10}$.
მიუწდომელი („უთვალავი“) 186$_{16, 18}$.
მიუხუეჭელი („მიუტაცებელი“) იხ. მიხუეჭა.
1. **მიქცევა** („მიმხრობა“) 71$_{5}$.
2. **მიქცევა** („სხვა სარწმუნოებაზე გადაყვანა“): იძულებით კუალადვე მიაქცივნა მეგრელნი 42$_{15}$.
1. **მილება** („წართმევა“): უკეთუ სჯულსა მამათა ჩუენთასა მიგჳლებდეს („თუ მამა-პაპათა სჯულს წაგვართმევს“) 63$_{10}$.
2. **მილება** („მიტანა“): მიილის („მიიტანს ხოლმე“) 369$_{5}$.
მიწურვა („მიახლოვება“): ვითარ მისწურეს წალებად („[ციხის] ალებას რომ მიუახლოვდნენ“) 264$_{12}$; წასაღებელად მიეწურა განძა („განძის ალებას ალარაფერი აკლდა“) 302$_{16}$; მოადგა ანაკოფიას და მისწურა წასაღებელად („ის-იყო უნდა აეღოთ ანაკოფია“) 299$_{6}$.
მიწყუდეული („შემწყვდეული“, „დატუსაღებული“) 221$_{8}$, 236$_{4}$.
მიჭირვება („გაჭირება“): მისჭირდა ციხოვანთა („მეციხოვნეებს გაუჭირდათ“) 271$_{5}$.
მიხუედრება: მიახუედრა („წილად შეახვედრა“, „წილად არგუნა“) 37$_{12}$. შდრ. ნინოს ცხოვრებაში: «მიხუდა წილითა კუართი ელიოზს» (ქრ. 226)
მიხუეჭა („წაგლეჯა“, „წართმევა“); მიუხუეჭელი („მიუტაცებელი“): უსარჩლელ-მიუხუეჭელთა სოფელთა („სოფლები, რომლებიც სადავო არ იყო როგორც მიტაცებული“) 330$_{17}$. შდრ. გალობანი სინან.: «მივჰხუეჭე ნაწილი მათი» (ინგოროყვა, გიორგი მერჩულე 603$_{4}$)
მიხუმა („წართმევა“ ბევრისა): საზღვართა მიხუმისაგან („ტერიტორიის წალებისაგან [მტრის მიერ]“) 146$_{20}$.
მიჯლიში, მიჯლისი („წვეულება“, „ლხინი“) 50$_{13}$.
მკალი („კალია“) 190$_{11}$, 234$_{2}$, 319$_{16}$.
მკელობელი („კოჭლი“): მკელობელი ავლინა („კოჭლი გაატარა“, „კოჭლს სიარული გაუსწორა“) 212$_{4}$.
მკრთომელობა („ელვარება“): ლომებრ მკრთომელობითა 360$_{18}$.
მკურნალი: მკურნალი ჴელოვანი („სპეციალისტი ქიმი“) 194$_{22}$.

1. **მკჳდრი** („მცხოვრები“, „მკვიდრი“) 24$_{1}$, 106$_{19}$ 291$_{8}$; მკჳდრნი კლარჯეთისანი 48$_{7}$; მკ. სომხითისანი 161$_{6}$, მკ. ქალაქისანი 39$_{8}$; მკ. ქართლისანი 2$_{17}$, 29$_{8}$, 148$_{17}$, 161$_{11}$, 203$_{11}$; მკ. ქუეყანისანი 39$_{12}$, 272$_{6}$, 311$_{18}$, 329$_{15}$, 356$_{9}$; მკ. ჩრდილოსანი 102$_{7}$; მკ. ბნელისანი 74$_{4}$ **მკჳდრ იყო** („ცხოვრობდა“) 209$_{25}$.
2. **მკჳდრი** („მემკვიდრე“): თუმცა დარჩომილ იყო მკჳდრი მეფისა ჩუენისა... („რომ დარჩენოდა ჩვენს მეფეს მემკვიდრეო“) 62$_{17}$; არა მივის ძე-წული შვილი მკჳდრად, არამედ მისხენ შჳდნი ქალნი, აწ შენ ხარ მკჳდრი სახლისაგან მეფობისა ჩუენისა („ვაჟი არა მყავს მემკვიდრედ, მხოლოდ შვიდი ქალი მყავსო, შენღა ხარ ჩემი მემკვიდრე სამეფო ტახტზეო“) 240$_{17, 18}$; უკეთუ ინებო და მყო ვითარცა მკჳდრი შენი, მომეც ქუეყანა 243$_{14}$; არღარავინ დაშთა საყოფელთა მათთა (ბალვივაშთა) მკჳდრი 326$_{12}$.
1. **მკჳდრობა** („დაბინავება“): შორის რტოთა მისთა მკჳდრობა ყვეს მფრინველთა ცისათა 360$_{9}$.
2. **მკჳდრობა** („მემკვიდრეობა“, „მემკვიდრეობით ფლობა“) 218$_{1}$ შენ., 221$_{18}$. **მკჳდრობით** („სამემკვიდრეოდ“, „სამემკვიდრეო მფლობელობაში“) 242$_{18}$.
მკჳრცხლი, მკჳრცხი („ქვეითა მეომარი“) 172$_{10}$, 236$_{16}$, 238$_{8}$, 238 სქ. 1; მკჳრცხნი და მჴედარნიცა 48$_{7}$; **მკჳრცხლ** („ფეხით“): მ. მოვიდოდა („ფეხით მოდიოდა“) 114$_{16}$.
მლევანება („გულსავსეობა“, „სიამოვნება“) 133$_{10}$.
მლტოლვარე („გაქცეული“, „ლტოლვილი“) 343$_{12}$.
მმართებელი („ჯარის უფროსი“) 337$_{12}$.
მოაქამომდე („აქამდე“, „ამ დრომდე“) 191$_{3}$, 206$_{6}$, 332$_{2}$.
მოაქაჟამადმდე („ამ დრომდე“, „დღემდე“) 295$_{12}$.
მოაქუს: მოგუაქუნდა ხარკი („შემოგვქონდა ხ.“) 181$_{10}$.
მოაჯე („მვედრებელი“) 281$_{18}$.
1. **მოგება** („შეძენა“) 295$_{13}$.
2. **მოგება**: მ. გონებასა, მ. ცნობასა („გონს მოსვლა“): ვითარცა მოეგო თავსა თჳსსა ცნობასა („როდესაც [მირიანი მზის დაბნელების დროს] გონს მოვიდა“) 109$_{16}$; ესე რა მესმა, და მოვეგე თავისა ცნობასა („ეს რომ გავიგონე, გონს მოვედი“) („მოქც. ქ.“: მოვეგე გონებასა) 113$_{12}$. შდრ. ბას. ხარზმ. 151$_{32}$: «ხოლო მო-რა-ეგო გონებასა».
მოგზაური („გზის მკვლევი“, „თანამგზავრი“) 80$_{3}$, 87$_{17}$.
1. **მოგონება**: მოეგონა („მოაგონდა“) 22$_{4}$.
2. **მოგონება** („განაფიქრი“) 355$_{3}$.
მოგუება („ცეცხლთაყვანისმცემლობა“) 88$_{7}$.
მოდღენდელად დღედმდე („დღევანდლამდე“) 122$_{9}$, 124$_{14}$.
მოდგმა: მოსდგმიდეს („აკრავდნენ“) 191$_{4}$.
მოზახება („დიდი ხმით ყვირილი“): მოიზახდა 174$_{15}$.
მოთაული („მეთაური“) 281$_{19}$, 296$_{20}$.

მოთუალვა („ჩაბარება“): ჩუენ თანა მოითუალნეს იგინი („ჩვენს განკარგულებაში [ad nos] გადმოვიდნენ ციხენი“) 332_{1}.

მოთხრობა: მოგითხარ 163_{2}.

მოიხრობა („ისრის სროლა“) 348_{17}, 349_{1}.

მოკაზმა („გადაკეთება“): საყდარი ანისისა მიზგიდად მოეკაზმათ 345_{5}.

1. **მოკიდება** („მეგობრულ ურთიერთობაში ყოფნა“) 62_{21}. (საბა: «მოყუარეთ მობმა»). იხ. ეკიდა.

2. **მოკიდვა** („შეერთება“, „თავისი კიდით რამესთან მიკვრა“): მოჰკიდავს წუერი დასასრულსა ლადოსა 5_{1}. **მოკიდებული:** ოძრჯე მოკიდებული კლდესა ლადოსსა 171_{9}; მოკიდებულად მთასა ლადოსსა 47_{12}.

3. **მოკიდვა:** მოჰკიდა („შემოავლო“) კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა“) 131_{2}.

მოკლე: მოკლეთა დღეთა („მოკლე დროში“) 61_{5}.

მოლა („მაჰმადიანთა მოძღვარი“) 345_{6}.

მომართვა („ვისიმე წინააღმდეგ წამოსვლა“) $23_{8, 18}$; გამოიყვანნა... სპანი ძლიერნი და მომართა ფარსმანს 51_{15}; მომართა გიორგი მეფესა 317_{8}.

მომატყუებელი („შემძენი“, „მომნიჭებელი“, „მომგვრელი“): უკუდავებისა მომატყუებელი („მომნიჭებელი“) 248_{1}.

მომზავებლობა („შესაფერისობა“) 336_{3}. შდრ. მომზავებელი („შესაფერისი“) სერ. ზარზმ. (ქრ. 90), ი́ე და ექვთ. ცხ. (ქრ. 181).

მომოწაფება („დამოძღვრა“, „მოწაფედ გახდა“): მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი 86_{14}.

მომსტვარვა („მოთვალიერება“): მოიმსტვარნის 333_{8}.

მომწყდარი („მომკვდარი“) 123_{19}.

მონადირე: ტბასა მას შინა მონადირეთასა 85_{12}.

მონაწილე ხუედრებული („წილ-ხდომილი“) 38_{20}.

მონახვა („ნახვა“): მოგინახავს („გინახავს“) 67_{16}.

მონება: ჰმონებდეს („ემორჩილებოდნენ“) 206_{7}.

მორთვა („შეერთება“): ჰერეთი და კახეთი მოირთო („შეიერთა“) 365_{12}; მოირთო ძალი („შეიერთა ჯარი“) 33_{18}, 140_{5}, 151_{16}. 358_{19}; მოირთნა სპანი 23_{16}; მოირთნა მესხნი 316_{11}; მოერთნეს ერისთავნი („შეუერთდნენ ერ.“) 23_{19}, 159_{17}; მოერთო 158_{18}; მოერთოს ლეონ ანთიპატისა თანა („შეუერთდეს ლეონ ანთიპატოსს“) 186_{7}. შდრ. გამორთვა, განრთვა, მირთვა.

მორთუმა („მორთმევა“): მოართუნეს კლიტენი (ქალაქისანი) 299_{19}, 313_{1}.

მორიდება („განშორება“, „გაცლა“): მორიდა (მეფემან) 284_{12}; მორიდეს 285_{7}; მოერიდა (გიორგი) 383_{10}.

მორქუა („შემოუთვალა“) 343_{2}.

მოსაგონებელი („წარმოსადგენი“) 332_{15}.

მოსაზღვრე („მეზობელი“) 156_{23}.

მოსაკარგავე („გადასახადის ამკრეფი“) 353_{18}.

მოსაკიდელი (საბა: «ჴელსაზოცი»): მოსაკიდელნი ოქსინონი („ხავერდის ხელსახოცები“) 353_{6}.

მოსდგმიდეს („აკრავდნენ“): ციხენი, რომელნი მოსდგმიდეს პირსა ქართლისასა 19_{4}.

მოსთულება („მოკრეფა“, „მოწყვეტა“): ბაბილოსა მ ო ი ს თ უ ლ ე ბ დ ი ა ნ და ყუავილსა მას ძოგდიან 101_{9}; სულიერი სარგებელი ფრიადი მოისთულეს 303_{17}.

მოსიკუდიდ („სასიკვდილოდ“) 74_{7}, 240_{14}.

მოსმურობა („მთვრალობა“, „ლოთობა“, „ქეიფი“) 358_{14}.

მოსწრაფე („აჩქარებული“, „სწრაფი“, „გულმოდგინე“) 333_{1}, 370_{2}; მოსწრაფე იყო („დიდი სურვილი ჰქონდა“) 116_{19}. **მოსწრაფედ:** 1. („სასწრაფოდ“) $279_{1, 19}$. 2. („გულდაგულ“, „ხალისით“) 278_{16}.

მოსწრაფება („აჩქარება“, „სიჩქარე“) 333_{2}. **მოსწრაფებით** („სწრაფად“, „საჩქაროდ“) 116_{15}.

მოტანა („მოყვანა“) 56_{8}.

მოუგონებელი („წარმოუდგენელი“) 161_{20}, 192_{8}.

მოურავი („მზრუნველი“) 144_{16}, 274_{9}.

მოუწიფებელი ასაკითა („არასრულწლოვანი“) 379_{1}.

მოუწყუედელი („ამოუწყვეტელი“, „რომელიც გადარჩა მოკვლას“) 171_{9}.

მოქალაქე („ქალაქელი“) 356_{2}.

1. **მოქალაქობა** („მოქალაქენი“) 357_{18}.

2. **მოქალაქობა** („მოქალაქედ ყოფნა“, უპირისპირდება „მეფედ ყოფნა“) 363_{9}.

მოქმედნი („მუშები“) 162_{2}.

მოქმნა („ამოშენება“) 282_{18}; მოიქმოდა აგურითა და კირითა 161_{17}; მას გარე მოქმნა ქვითკირითა („ამოაშენა ქვითკირით“) 132_{2}. შდრ. აღმოქმნა.

მოქმნულება, მოქმნულობა („აშენებულობა“): მოქმნულობისა შეუსწორებლობითა („აგების მხრით შეუდარებელი იყო [გელათის ტაძარი]“) 330_{2}; მოქმნულებისა შეუსწორებლობა („შეუდარებლად კარგი მშენებლობა“) 364_{5}.

1. **მოქცევა** („მობრუნება“, „დაბრუნება“): მოქცევასა წელიწდისასა („ერთი წლის შემდეგ“) 291_{14}, 349_{7}; მოექცა სული და სიტყუა („დაუბრუნდა გონება და მეტყველება“) 361_{21}.

2 **მოქცევა** („ახალ სარწმუნოებაზე გადაყვანა“, „გაქრისტიანება“): მოაქცივნა სარკინოზად 229_{15}; მოაქცივნა (მთეულნი) („გააქრისტიანა“) 126_{5}, 229_{7}; მოსაქცევლად („გასაქრისტიანებლად“) 42_{2}.

1. **მოღება** („მოტანა“): მოიღო („მოიტანა“) 105_{1}; მოაღებინა („მოატანინა“) 375_{13}. **მოღებული** („მოტანილი“): ნაძჳსა ლიბანით მ ო ღ ე ბ უ ლ ი ს ა (M: წარმოღებულისა) 101_{1}.

2. **მოღება:** მოუღო („წაართვა“) 44_{15}, 359_{20}.

მოყრა: მ ო ე ყ ა რ ა აფხაზთა მეფე ქალაქსა („შემოვიდა ქალაქში ჯარით“?) და ემტერა კახთა 298_{2}; მ ო ე ყ ა რ ა სამშჳლდესა („შემოვიდა სამშვილდეში ჯარით“?), გარდადგა ჯავახეთს 316_{14}.

მოცალება („მოცლა“) 129_{13}.

მოძიება („მოძებნა“): მოგჳძინა სუემან ბოროტმან 53_{12}.

მოძღუარი („მასწავლებელი“, „მწიგნობარი“) 327_{13} (მოძღუარნი და მეცნიერნი), 331_{1}; მოძღუარი მოძღუართა 357_{15}.

მოწამე („დამადასტურებელი“) 328_{6}.

მოწევნადი („ის, რაც უნდა მოვიდეს“): არამედ მ ო წ ე ვ ნ ა დ ს ა [ჟამსა] ესრეთ მოუვლენია, რამეთუ მოიკლა სპარსთაგან დიდი იგი მეფე სომხითისა 62_{20}.

საფიქრებელია, რომ ცალკე „მოწევნადი“ თავისთავად ნიშნავდა „ავ დროს“, ხოლო შემდეგ გაუგებარი გახდა და დაუმატეს „ჟამი“. A-ში „ჟამი“ არ არის. შდრ. საბა: „ მ ო წ ე ვ ნ ა — ერთი რამ ავი იქნას (ერთი რამ მოიწიოს B)“.

მოწევნული („მოსული“) 374_{2}.

მოწესე („ბერი“) 160_{11}, $163_{16, 18}$, 164_{4}

მოწიფება („სრულწლოვნად გახდომა“): ვიდრე მოიწიფებოდა 178_{10}.

მოწლედ („გულთბილად“) 39_{21}, 101_{10}.

მოწყლვა („დაჭრა“) მოწყლული 190_{4}.

მოწყობა: მოიწყუნეს („იბრძოლეს“) 191_{12}.

1. **მოწყუედა** („ამოწყვეტა“, „ვაჟლეტა“) 14_{1}, $87_{5, 6}$.

2. **მოწყუედა** („მოწყვეტა“, „მოგლეჯა“): მოწყუედდიან ფესუსა სამოსლისა მისისასა (ე. ი. ნინოსას) 126_{15}.

მოხადა („მოიწვია“, „მოიხმო“) 50_{12}, 143_{11}, 182_{2}; თჳთ მ ო ი ხ ა დ ე ს განჩინება რისხვისა („თვითონ დაატეხეს თავისთავს „რისხვა“) 322_{12}.

მოხარკე („ხარკის გადამხდელი“) $12_{6, 22}$, 13_{5}, 16_{20}, 19_{10}, 136_{21}, 181_{12}.

მოხარკული („ხარკის გადამხდელი“) 316_{3}.

მოხილვა („დათვალიერება“) მოიხილა 109_{10}.

მოხმული („წამოღებული“) 330_{7}. იხ. 2. მოხუმა.

1. **მოხუმა** („მოტანა“): მოიხუენით საწერელნი („მოიტანეთ საწერ-კალამი“) 127_{11}.

2. **მოხუმა** („წამოღება“, „წართმევა“): მოიხუნა 78_{10}. **მოხ(უ)მული** („წამოღებული“, „წართმეული“) 330_{7}.

მოხუცებულნი („უხუცესი წევრები“, „სამეფო საბჭოს წევრები“) $184_{5, 11}$; ესრეთ მიბრძანეს მოხუცებულთა ჩემთა 20_{2}.

მოჯელოვნება: მოიჯელოვნა („მოაგვარა“) 333_{12}. **მოჯელოვნებული** („დაოსტატებული“) 339_{13}.

მპყრობელი („ხელში დამჭერი“): ღმერთთა მპყრობელთა ქართლისათა 29_{11}, 31_{12}; ღმერთნი სოფლის მპყრობელნი 106_{15}, 107_{2}.

მრავალჟამეული („დიდი ხნისა“) 209_{9}.

მრავალღონედ („მრავალი სხვადასხვა ხერხით“) 216_{9}.

მრგულივ („ირგვლივ“) 194_{10}.

მრწემი („მორჩილი“, „მცირე“): მრწემად მოიყვანნა მეფენი („დაიმორჩილა მეფენი„) 351_{19}. **უმრწემესი** („უმცროსი“) 67_{2}, 232_{26}, 249_{6}, $265_{1, 2}$, 376_{12}.

მსახრველი („შემლოცველი“, „ჯადოსანი“) 81_{15}.

მსოფლიო („სოფლელი“, „მდაბიო“) 357_{3}; ვერცა მსოფლიო ვინმე და ვერცა მოქალაქე („ვერც სოფლელი და ვერც ქალაქელი“) 356_{2}.

მსტოარი („მეთვალთვალე“) 338_{15}.

მსუმრიად („ნელა-ნელა“, „დინჯად“?): ხოლო ვახტანგ მსუმრიად და ნებასა მიეახლებოდა 175_{11}.

მსხუერპლი („შესაწირავი“) 123_{8}.

მუთაკალი (ვარ.: მუტკალი, მოლაკ[ა]ლი): მიართუეს ძღუენი ათასი მუთაკალი მუშკი 172_{8}. საბა: « მ ო ლ ა ლ ა კ ი მთელი მუშკი გაუკეთებელი“.

მუმლი („კოღო“) 234_{2}.

მუნ („იქ“) 3_{9} და ხშირად. **მუნ ზედა** („იმაზე“) $8_{9, 10}$. **მუნ შინა** („იმაში“) 22_{1}, 131_{15}, 185_{20}, 188_{5}, 189_{7}, 198_{13}, 202_{12}, 235_{9}, 241_{7}, 256_{11}, 263_{18}, $283_{9, 18}$; 312_{10}. **მუნ შიგან** („იმაში“, „წიგნით“) 305_{9}.

მუნა (= მუნ) 144_{21}.

მუნით („იქიდან“) 3_{9}, 162_{4}, 256_{10}, 264_{3}. **მუნით გამო** („იქიდან“, „იმ დროიდან“) 162_{3}.

მუნითგან („იმ დროიდან“) 163_{6}.

მუნქუესვე, მუნთქუესვე („მაშინვე“).

მური (ერთგვარი სურნელოვანი ზეთი) 98_{8}, 176_{6}.

მუქარა („სამაგიერო“): ოვსთა მეფემან სთხოვა მუქარა („სამაგიერო“), მიუგზავნა მოციქული და ითხოვა თავისთავ ბრძოლა („გამოიწვია ორთა ბრძოლაში“) 46_{10}; ითხოვდა მუქარასა 152_{17}.

მუქაფა („საზღაური“, „ზღვევა“): იმუქფა 345_{5}.

მუშაკი („მუშა“, „მშრომელი“) 161_{9}.

მუშკი: 1. (აფრიკული ცხოველი თხის გვარი) 172_{8}; 2. (მამალი მუშკის სათესლე ჯირკვლიდან მიღებული სურნელოვანი სითხე) 162_{14}, 183_{20}, 188_{9}.

მქისე („ტლანქი“ ქსოვილი) 133_{26}.

მღდელი („რელიგიის მსახური“) 74_{14}, $95_{16, 18}$ (და ხშირად); მღდელნი სიცრუვისანი („წარმართთა ქურუმები“) $41_{5, 17}$; მღდელნი კერპთანი 41_{22}.

მღდელთ-მოძღუარი („მღვდელთ-მთავარი“, „ეპისკოპოსი“ და მისთ.) 271_{24}. **მღდელთ-მოძღურობა** („მღდელთ-მოძღვრის თანამდებობა“) 303_{26}.

მღდელობა: მღდელობდა 163_{22}.

მღჳძარება („ფხიზლობა“, „ფხიზლად ყოფნა“): დაკვირვებულ იყვნეს წარმართნი იგი ლოცვასა მისსა და მ ღ ჳ ძ ა რ ე ბ ა ს ა („წარმართნი გაკვირვებული იყვნენ, რომ ნინო ასე ლოცულობდა და არ იძინებდა“) 103_{6}; მღ. უზომო 133_{16}.

მყარი („მაგარი“): ჩაბალახი მყარი („მაგარი მუხარადი“) 89_{10}.

მყის („მაშინვე“) 37_{16}. **უმყის** („ძალიან მალე“) 343_{6} შენ.

მყოვარ-ჟამ („დიდხანს“) 105_{1}, 167_{1}.

მშობელი: მისისავე მ შ ო ბ ლ ი ს ო ბ ი თ გ ა ნ („მისი მშობლის [თამარ მეფის] დროიდან“) 370_{14}.

მცბიერი („ვერაგი“) 310_{7}.

მცველი („მოადგილე“?) 214_{30}. შდრ. ადგილის მცველი.

მცირე: უმცირე („ნაკლები“) 338_{2} (არცა სიმჴნითა უმცირე).

მძევალი 70_{12}, $128_{11, 17}$, $228_{6, 11}$.

მძლავრებით („ძალით“) 33_{3}.

მძლაფრი („ძლიერი“) 156_{2}. **მძლაფრიად** („ძლიერად“) 162_{4}.

მწვალებელი („მართლმადიდებელი სარწმუნოებისაგან გადამდგარი") 2661, 35617, 35712.

მწიგნობარი („წიგნის მცოდნე", „სწავლული") 984, 34420; კეისარმან უბრძანა მწიგნობარსა („მდივანს") 18311.

მწუხარე („ბრმა") 2756.

მწუხრი („საღამო"): მწუხრის ჟამსა („საღამოჟამს") 12328; დილითგან მიმწუხრადმდე („დილიდან საღამომდე") 12319. **მწუხრი** ზ მ ნ ი ს ა რ თ ი („საღამოთი") 2121, 13214, მიმწუხრი („საღამოთი") 33218.

მწჳმელი: სისხლის მწჳმელი ღრუბელი 30915.

მწყურნები (საბა: «წყალმრავალი») 2359.

მჭირხედ („გაჭირებით") 35718.

მხედველი („ვინც ხედავს", „თვალახელილი") 1155.

1. **მხელა** („გამოცხადება"): ვამხილოთ ნანას („გამოვუცხადოთ ნანას") 1094.

2. **მხელა** („გამოცხადება", „ნათელყოფა"): ამხილეს 14210; ამხილებდა სჯულსა ჭეშმარიტსა 10215.

მჴარი (საზომი, ოთხი წყრთა, დაახლ. $1^1/_2$—2 მეტრი) 1802 33916.

მჴედარი („ცხენოსანი"): მჴედარნი და ქუეითნი 284, 5211.

1. **მჴედრობა** („გუნდი"): ზეცისა მჴედრობანი 20914.

2. **მჴედრობა** („სამხედრო საქმე") 3574.

მჴცე („ჭალარა") 28319.

ნ

ნაბერწყალი („ნაპერწკალი") 1078.

ნავარდი („ასპარეზი"?) მაშინ იწყეს რბევად მრგულივ ნავარდსა („მაშინ იწყეს [ვახტანგმა და სინდთა მეფემ] ჭენება ასპარეზის გარშემო" [და ორნივე ერთიმეორეს ლონეს უსინჯავდნენ]) 19410.

ნავი: ალვა ნავი ათი 1889; იაკინთი და ზურმუხტი ნავი ერთი 18810.

ნათესავი („ტომი", „შთამომავლობა") 310, 11 (და ხშირად).

ნათესაობა („შთამომავლობა"): ვაუწყოთ ქალისა მის ნ ა თ ე ს ა ო ბ ა ნებროთიანთა და დიდებულთა არშაკუნიანთა 636 („...რომ ეს ქალი ნებროთიანთა და არშაკუნიანთა შთამომავლობისა არის").

ნათხევარი („რაც ანთხიეს") 32514.

ნამტკნარი: ნამტკნარი სისხლისა („შესქელებული სისხლი").

ნაოცნი („ჩვენება", „სიზმარი") 36214. შდრ. ცხ. თეოდ. «საშინელთა ოცნებათა» („სიზმართა": ქრ. I, 309). შდრ. ქვემოთ „ოცება".

ნახამალი („მესამედი"?) 25117.

ნახხლევი („ვაზის გადანაჭერი ტოტი"; საბა: «რტო მონაკუეთი») 9410, 1028 (ჯუარი იგი ნასხლევისა).

ნაქმარი („ნამოქმედარი", „ჩადენილი რამ") 10114, 1448, 18, 19313, 2349.

ნაცვალი (1. „სამაგიერო"; 2. „შემცვლელი") 1810, 14917.

ნაციხარი („სადაც წინათ ციხე იყო") 2438.

1. **ნაწილი** („წილი", „ხვედრი") 385, 9, 20319, 2429, 10; ყოვლისა განდგომილისა შენისა ესე იყავნ ნაწილი („ასეთი იყოს ხვედრი ყველა იმისა, ვინც შენ გადაგიდგეს") 17518. შდრ. მონაწილე.

2. **ნაწილნი** („წმიდათა ძვლები", „ნეშტი") 26511.

ნაწყუედი („ნარჩენი"): ნაწყუედთა ლაშქართა 2419.

ნებ- („სურვილი"): მინებ („მინდიხარ") 18415; ჰნებვიდა (v. l. ჰნებევდა, ნებავდა) 496, 1097.

ნებიერ, ნებიერად ზ მ ნ ი ს ა რ თ ი („როგორც უნდოდა", „თავის ნებაზე") 2514, 2816, 306, 32913, 38218.

ნებისმყოფელი („სურვილის შემსრულებელი") 1519.

ნელიად („წყნარად", „ნელა") 8813. **ნელიად-ნელიად** 12014.

ნეფხვა („ყინვა", „სუსხი"): ნეფხვანი ზამთრისანი 20921.

1. **ნიში** („სასწაული") 20719.

2. **ნიში** („ნიშანი") 32615 შენ.

1. **ნიჭი** („საბოძვარი", „სიმდიდრე") 7210, 3223.

2. **ნიჭი** („ნიჭი"): ალსართან, რომელსა არა რა ჰქონდეს ნიჭნი მეფობისანი 32615.

ნიჯადი («მეშველი ლაშქარი»: საბა) 15124, 1524, 15714.

ნოველისიმოსი (ბიზანტიელ უფლისწულთა პატივი: nobilissimus, *νωβελίσσιμος*) 3154.

ნუკრისანი („ნუკრიანი"): ნუკრ ირემი 20928.

ო

ოლარი («მღვდლის ყელს-საკიდი»: საბა) 8411.

1. **ორგულება** („ორჭოფობა", „ეჭვი") 1062, 8 (მცირედ ორგულებით—„ერთგვარი დაეჭვებით"); ზ მ ნ ა: ნურარას ორგულობ („ნუ ყოყმანობ") 27326. შდრ. შეორგულდით.

2. **ორგულება** („ღალატი") 35511.

ორგული („მოღალატე") 3596, 23.

ორღანო (სამუსიკო საკრავია, სიმებიანი) 35721.

ოტება: აოტეს („გააქციეს") 37712; იოტნეს ჯიქნი 1571 (და ხშირად). **ოტებული** („განდევნილი", „რომელიც გააქციეს") 444.

ოქრო („ფული") 33111.

ოქრო-ბეჭედი (სიგელი ოქროს ბეჭდით, *τὸ χρυσόβουλλον*) 29413.

ოქსინო („ოქროქსოვილი ხავერდი") 3536.

ოცება: ეოცებოდა („ეჩვენებოდა") 3466. შდრ. ნაოცნი.

ოხა („შუამდგომლობა", „დახმარება"): შეწირე ოხა („იშუამდგომლე") ჩუენთჳს 2378.

ოჴერ-ქმნილი („გაუკაცრიელებული", „მიტოვებული") 34613.

პ

პაექრობა („პაექრობა"; საბა: «ცილება და გამოძიება»): სიტყუათა პ. 35624.

პალან-კურდანი („სატვირთავი"; საბა: «პალანი — აქლემის კურტანი») 2625.

პალატი („სასახლე"): სამეუფო პალატი 13311, 14, 25, 20210, 21510.

პაპა (საბა: «პაპა — მამის მამა»): რომლისა მამის ძმა მოეკლა წანართა და მკვლევლნი მისნი განერინნეს მშჳდობით პ ა პ ა ს ა არჩილისსა, ადარნასე მეფესა» 24617. შდრ. 2424: იყო ესე ვარზმან ნათესავი სპარსთა ერისთავისა ბარდაველისა, რომელი იყო **დედის მამა** ვახტანგ მეფისა. შდრ. საბა: « პ ა პ ა ჲ — დედის მამაჲ».

პარასკევი („პარასკევი") 22813, 2291; დიდი პარასკევი 2292; **პარასკევის** (gen. temporis „პარასკევს"; შდრ. ზამთრის, ზაფხულის, ხვალის) 26418 შენ.

პარკიმანოზი (←*παρακοιμώμενος*, „მესაწოლეთუხუცესი"): გამოგზავნა პარკიმანოზი ლაშქრითა ურიცხჳთა 29114; 2924, 38528, 3865; გაგზავნა პარკიმანოზმან და პროედროსმან 29211; მოუწერა პარკიმანოზს პროედროსსა 2935, 38621.

პასანიკი, პასენაკი, პასანგი (საბა: «პასენაქი — წინაშე მდგომელი [წმ. ნინოს ცხ.]») 999.

პასუხნი („მოლაპარაკების წარმოება მოციქულებთან") 35111.

პატიახში („პიტიახში", „ერთ-ერთი პროვინციის მმართველი"; «მთავარი სოფლისა», ე. ი. „განმგებელი ქვეყნისა"), მოუწოდა მთავართა სოფლებისათა პატიახშთა 606; პატიახშთა ბივრიტიანთა 1616; სომეხთა პატიახშისა 1859, პატიახშსა სომხითისასა 19918; მოავლინნა პატიახშნი და სპასპეტი 2025; ყოველნი მთავარნი და პატიახშნი 2348; ერისთავთა და პატიახშთა 2375; მისცა პატიახშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს 24119; პატ-შნი ვინმე არა შეეშუნეს კლარჯეთს 24411.

პატივი: რათა პ ა ტ ი ვ - ს ც ე მ დ ე ნ („რათა თაყვანს სცემდნენ") 1824.

პატიმარი: პატიმარ ყვნა („დააპატიმრა") 38224

პატიმრობა 38229.

პატიჟი („სასჯელი") 14815, 16, 17, 3717.

პატრიკი (ბერძნული სამოხელეო წოდება და პატივი; საბა: « პ ა ტ რ ი კ ი — ერისთავთ-ერისთავი») 26415 (ადარნასე პატრიკი), 37814 (ანთიპატოს-პატრიკად); დაუტევა მათ ზედა პატრიკად (M: პ ა ტ - რ ი ა ქ ა დ) აზონ 1818, აზონს პატრიკსა (M: პ ა ტ - რ ი ა ქ ს ა) 1821.

1. **პატრონი** („მფლობელი"): ციხისა პატრონი 3009, 11; განძისა პატრონი 3103.

2. **პატრონი** („ბატონი") 3372.

3. **პატრონი** („მეურვე") 3048.

პატრონობა („ბატონობა"): მოეწყინა პატრონობა ლიპარიტისი 30418; იპატრონა („პატრონად გაიხადა", „ბატონად გაიხადა") 25814.

პატრუკი, პატრუქი (საბა: «სანთლისა და ბაზმის ჩლა») 1972.

პატრუცაგი („მეფისაგან მეფესთან მიწერილი წერილი") 15813.

პაშტი („მსახური". იხ. ილ. აბულაძე: თ. ს. უ. შრომები 49, 155) 3017.

პილო („სპილო") 1731.

პინაკი („ჯამი") 33111.

პირად-პირადი („სხვადასხვა", „მრავალნაირი") 12418.

პირველ („წინათ"): პირველ ჴსენებული 828; ამისა პირველ („ამის წინ") 3019; პირველ („ჯერ") იყო კურაპალატი 3154.

პირველი: **პირველისაებრ** („როგორც პირველად"); კუალადცა იწყეს ზავად პ ი რ ვ ე ლ ი ს ა ე ბ რ ვ ე (ACMm: ვითარცა პირველ) 2884—5.

1. **პირი** („შესახედაობა", „პირისახე") 14411; შუენიერება პირისა მისისა 24516.

2. **პირი** („ნაპირი"): ზღჳს პირი 2266; მდინარის პირი 15121, 15311, 1549, 1558; პირი ქართლისა 194.

3. **პირი**: მახჳლისა პირი 2858.

4. **პირი** („დებულება", „საკითხი"): ამათ პირთათჳს („ამათ გამო") გუკითხვიდეს 23220.

5. **პირი** („პირობა", „დაპირება"): განიხარა ზავი და სიყუარული, და უფროს პირი მზახობისა 2702; მიუპყრა ზავის პირი („მისცა პირობა ზავის შეკვრისა", „მორჩილება განუცხადა") 26418; მოუგზავნეს მოციქული და მოუპყრეს პირი ზავისა 27418.

6. **პირი** („დასაწყისი"): ჟამსა ზაფხულის პირისასა 11919 შენ. შდრ. 3391 **პირმარხვა** („მარხვის დასაწყისი").

პირმშო („პირველი შვილი") 18116.

პირობა („გაძღოლა", „წინ გაძღოლა"): შეკრბეს ლაშქარნი ამის სამეფოსანი, ი პ ი რ ნ ე ს („გაიძღოლეს", „წინამძღოლად გაიხადეს") ლიპარიტ და ივანე აბაზას ძე 29621. შდრ. 13515: რომელთა წინა-უპირობდა („რომელთაც წინ უძღოდა") მღდელმოწამე პეტრე ალექსანდრიელი. შდრ. გიორგი ათონელის ცხოვრებაში (ქრესტ. 212): «წარმოვიჩინები და წინა ვპირობ და ვლალადებ განსაცდელისა ამის სიმძიმესა».

პირუტყჳ: «კაცთაგან მიპირუტყუთამდე 23714.

პირშეუქცეველი („რომელიც პირს არ იბრუნებს", „უკან არ დაიხევს", „ზურგს არ უჩვენებს"): სპანი რჩეულნი და მოკაზმულნი, ცხენ-კეთილნი და პირშეუქცეველნი 33714.

პიტიახში იხ. პატიახში.

პროედროსი (*πρόεδρος* „თავმჯდომარე"): პარკიმანოზმან და პროედროსმან 29211; პარკიმანოზს პროედროსსა 2935, 38621.

პური (პურ-მარილის" მნიშვნელობით): პურად უკეთესი ყოველთა კაცთასა 31512.

პურობა („გამასპინძლება", „სმა-ჭამა") 14312.

პყრობა („დაჭერა", „შენახვა") 20610.

ჟ

ჟამეულად („თავის დროზე“) 214$_{1}$. **უჟამოდ** („არა თავის დროზე“) 214$_{1}$.

1. ჟამი („დრო“) 101$_{9}$, 119$_{19}$ და ხშირად; ჟამსამე („ზოგჯერ“) 101$_{7}$.

2. ჟამი („წირვა“): ეპისკოპოსმან შეწირა ჟამი („წირვა დააყენა“, „სწირა“) 127$_{18}$ შდრ. ჟამის წირვა.

რ

რა იხ. რაჲ

რაბატი („ციხე-ქალაქის სამოსახლო ნაწილი“): რაბატსა შინა უჯარმოსასა 201$_{20}$. შდრ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა IV, 278—280.

1. რათა (კ ა ვ შ ი რ ი „რათა“, „რომ“) 129$_{17}$, 167$_{22}$ (უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გჳრგჳნი); რათა მოკლედ ვთქუა („მოკლედ რომ ვთქუა“) 351$_{21}$, და ხშირად.

2. რათა (კ ი თ ხ ვ ი თ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი; რით? როგორ? რანაირად?): არათუმცა ესენი ესრეთ, კუერთხი მეფობისა ესეოდენ დამდაბლებული... რ ა თ ა იპყრა ესრეთ მაღლად, ვითარ ვერვინ სხუამან? („ეს რომ ასე არ ექნა, რ ო გ ო რ უნდა სჭეროდა მეფობის კვერთხი, ესოდენ დაკნინებული, ისე მაღლა როგორც არც ერთ სხვას?“) 35$_{5}$; უკეთუმცა ესოდენ უწყინოთა ლაშქრობითა... არა განეწჳართნეს სპანი თჳსნი.. რ ა თ ა მ ც ა ექმნეს ესეოდენნი ძლევანი, ანუ რ ა თ ა მ ც ა ექმნნეს და აღეხუნეს ესეოდენნი სამეფონი? („ასე რომ არ გაეწვრთნა თავისი ჯარი, რ ო გ ო რ ღ ა მოიპოვებდა ამდენ გამარჯვებას, ან რ ო გ ო რ მოიპოვებდა ამდენ სამეფოს?“) 358$_{12, 13}$.

3. რათა, რათაცა (ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი ს ა გ ა ნ რაჲ, რაჲცა): რათაცა საქმეთა ზედა სახელოვანნი 352$_{2}$.

რათგან (=რაჲთგან, „მას აქეთ რაც“) 41$_{11}$. იხ. რაჲთგან.

1. რაჲ, რა (ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ი): რასათჳს მოვსწყდებით ურთიერთას? 181$_{8}$; რად ვთქუ მე შენთჳს ყუავისა იგავი? 191$_{14}$. იხ. აგრეთვე რათა, რაჲთგან.

2. რაჲ, რა (კ ა ვ შ ი რ ი): იხილა რა მეფემან, დიდითა პატივითა შეიწყნარა 61$_{8}$ და ხშირად.

რაჲთგან, რათგან („იმ დროიდან რაც“, „მას აქეთ რაც“) 41$_{11}$, 150$_{1}$, 163$_{12}$, 227$_{11}$, 245$_{7}$; რაჲთგან დაეწყო მჴედრობად, ვერვის დაედგნეს მისთჳს ბრძოლასა შინა („მას აქეთ რაც ბაყათარს დაუწყია ლაშქრობა, ბრძოლაში ვერავის გაუძლია მისთვის“) 154$_{6}$; მეათე დღე არს, რაჲთგან მოსულ არს („მეათე დღეა, რაც მოვიდა) 182$_{15}$.

რბევა („ჰენება“) 194$_{10}$.

რგება („შეწევნა“, „დახმარება“) 239$_{23, 24}$.

-რე (ნაწილაკი, დართული უფროობითი ხარისხის ან სხვა სიტყვასთან. აღნიშნავს: „მცირედ“, „ოდნავ“): უმცრორე 331$_{17}$; უბოროტესადრე 383$_{27}$.

რეცა („ვითომ“, „თითქოს“) 50$_{13}$, 61$_{6}$, 167$_{4, 16, 17}$, 196$_{12}$.

რიჟუ-რაჟუ („რიჟრაჟი“) 114$_{14}$, 120$_{13}$.

რიტორობა („მჭევრმეტყველება“) 342$_{11, 16}$.

1. რომელი: ა რ ა რ ო მ ე ლ ნ ი („არც ერთი“, nulli): არარომელნი ნათესავნი იქმოდეს მას 171$_{3}$.

2. რომელი („იგი“) 337$_{3}$.

როჭიკი („ულუფა“) 133$_{25}$.

რული: არა ჰრულოდა („არ სთვლემდა“) 339$_{14}$.

რჩ- („დამორჩილება“): ერჩდა 145$_{1, 11}$; ვერჩდე („დავემორჩილო“) 200$_{2}$; ერჩდეს 61$_{6}$, 101$_{4}$.

ს

ს-: ესავ („იმედი გაქვს“) 196$_{13}$.

სააზნაურო: სააზნაურო სოფელი 295$_{15}$.

საამირაო („ამირას კუთვნილი“): საამირაო დარბაზი 299$_{19}$.

საბრი (ბალახია) 175$_{6}$.

საბრძოლელნი („საბრძოლო იარაღები“) 341$_{19}$.

საბურველი („სახურავი“; «ზედ დასაფარებელი»: საბა) 115$_{15}$.

საბჭო („სასამართლო“; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამ. ისტ. II. 2, 475): საბჭოთა სჯანი 351$_{10}$; ვითარცა ღმერთი მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა... და არა სადათ მიდრკებოდა წამი სასწორისა... ს ა ბ ჭ ო თ ა შინა („მეფე [დავით აღმაშენებელი] ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო საქმეების გარჩევის დროს სასწორს არც ერთი მხრისაკენ არ ხრიდაო“) 352$_{8}$.

საგზალი («გზის საზრდო»: საბა) 74$_{1}$, 308$_{19}$.

საგზებელი („ასანთები“, „საკურთხეველი“): აღაშენა ეკლესია ნიქოზისა საგზებელსა თანა ცეცხლისასა („ვახტანგმა ააშენა ნიქოზის ეკლესია იმ ადგილას, სადაც [წინათ] იყო ცეცხლის საკურთხეველი“, ad altaria ignis) 199$_{6}$.

საგიობელი („საგმობელი“) 355$_{8}$.

საგრილი („საჩრდილობელი“) 92$_{13}$.

სადათ („საითგან“) 127$_{1, 2}$; **სადათაც** 15$_{20}$.

სადით („საითგან“) 181$_{1}$.

სადგომი: ს. სამეფო („რეზიდენცია“) 324$_{18}$.

სადგური („სამყოფი ადგილი“, „ბინა“) 166$_{23}$.

სადედო („ქალისა“); სადედოთა შთაცუმითა („ქალის ტანისამოსის ჩაცმით“) 358$_{10}$.

საერო („საჯარო“): სიტყუა საიდუმლო და სიტყუა საერო 171$_{7}$; **საეროდ** („საჯაროდ“) 171$_{13}$

საზეპურო («ზეცის პურის მტე» საბა): ერი საზეპურო („ღვთის მიერ ამორჩეული“) 38$_{3}$.

საზომი („ზომის მქონე“): აღზრდილ არს იგი და ჰასაკსა საზომსა მიწევნულ არს („გაიზარდა და სრული ასაკისა გახდა“) 99$_{1}$.

საზორველი („შესაწირავი“, „მსხვერპლის შეწირვის ადგილი“, „საკურთხეველი“) 212$_{32}$.

საზრახავი („სათქმელი“, „სიტყვები“. შდრ. ზრახვა) 162$_{5}$.

საზრდელი („საზრდო“, „საჭმელი“) 85$_{11}$.

საზრდოდ („აღსაზრდელად“, „გასაზრდელად“) 137$_{10}$, 143$_{13, 15, 17}$.

საზუერელი („ბაჟის ამღები“): აზნაურნი საზუერელნი 267$_{10}$ (შდრ. საბა: « ს ა ზ უ ე რ ე — ზუერის ადგილი», « ზ უ ე რ ი — ხარკი, ბაჟი»).

1. საზღვარი („მიწა-წყალი“, „ტერიტორია“) 23$_{25}$, 38$_{27}$, 44$_{15, 18}$, 45$_{5}$, 49$_{19}$, 50$_{2}$, 62$_{1, 2, 6}$, 65$_{2}$, 128$_{24}$, 136$_{14}$, 137$_{4}$, 138$_{11}$, 140$_{4}$, 141$_{19}$, 146$_{9, 15}$, 160$_{13}$, 162$_{1}$ (საზღვარი ჰაერისა — „სივრცე ჰაერისა“), 162$_{2}$ (საზღვარი ვარსკულავთა — „ვარსკვლავთა არე“), 168$_{18}$, 179$_{3}$, 184$_{6}$, 203$_{20}$, 205$_{15}$, 213$_{26}$, 226$_{4}$, 318$_{15}$.

2. საზღვარი („მიჯნა“, „საზღვარი“) 289$_{5}$; საზღვართა ზედა ქართლისათა და რანისათა 140$_{10}$; კლისურა, რომელი მას ჟამსა იყო საზღვარი საბერძნეთისა და საქართველოსა 235$_{4}$; აღაშენა ციხე საზღვარსა ზედა გურიისა და საბერძნეთისასა 243$_{5}$; საზღვარი სამეფოსა მთა მცირე ლიხთა 324$_{18}$.

3. საზღვარი („საზღაური“) 35$_{5}$. იხ. 2. ზღვარი.

საკარგავი („მოხელეთა სარგო“) 311$_{17}$.

საკლავი („სასიკვდილო“) 119$_{9}$.

საკრებულო („შესაკრები ადგილი“, собор): ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი 352$_{23}$.

საკუთარი („მეფის ამალის წევრი“) 307$_{20}$.

სალმობა („ტკივილი“, „ავადმყოფობა“) 314$_{6}$.

სამალავი („თავშესაფარი“, „ფარული ადგილი დასამალავად“) 163$_{17}$, 343$_{5}$.

სამარტჳლო („მოწამეთა სამარხი“, „აკლდამა“) 282$_{24}$, 296$_{4}$.

სამარხავი („სასაფლაო“) 229$_{8}$, 306$_{2}$.

სამეოტო („გასაქცევი“): სამეოტო გზა 47$_{7}$.

სამეუფო („სამეფო“, „სატახტო“): სამეუფო ქალაქი („სატახტო ქალაქი“) 25$_{17}$, სამეუფო ქალაქი მცხეთა 118$_{3}$, 157$_{20}$, 282$_{17}$, დიდად ქალაქად სამეუფოდ მცხეთად 88$_{4}$, სამეუფო ქალაქი (კოსტანტინეპოლი) 273$_{17}$, 307$_{24}$, 308$_{2, 8}$; ხარკი სამეუფო და საერისთავო 25$_{8}$; სახიდ სამეუფოდ („სასახლეში“) 93$_{6}$.

სამკლველო („მოსაკლავად დანიშნული“): ადგილსა მას კაცის სამკლველოსა და სისხლის დასათხეველსა 73$_{16}$.

სამკჳდრო („საცხოვრებელი“, „ადგილსამყოფელი“) 241$_{9}$.

სამლტოლვარო („გასაქცევი“): ს. გზა 343$_{17}$.

სამსახურებელნი, სამსახურებელი („ჭურჭელი“, утварь) 22$_{2}$, 233$_{1}$, 319$_{7}$ (საჭურჭლენი დიდნი და სამსახურებელნი სამეფოთა ტაბლათანი), 330$_{4}$, 353$_{7}$, 364$_{7}$.

სამსჭუალი („ლურსმანი“) 37$_{2}$.

სამსხემო კედარი („მწირი მხარე“) 362$_{12}$.

სამშჳნველი („სუნთქვა“) 361$_{20}$.

სამწდეო („ღვინის თასი“) 319$_{8}$.

სამწუხროდ („საღამოს“, „საღამოთი“) 309$_{6}$, 353$_{11}$.

სამწყსო („„ფარა“, „ჯოგი“; გადატ. „მრევლი“, „ქვეშევრდომი“): მართლ სჯიდა სამწყსოთა თჳსთა („ასამართლებდა თავის ქვეშევრდომებს“) 352$_{6}$.

სამხრითი („სამხრეთისა“) 130$_{14}$.

სამჴრონი („ეკლესიის შენობის ზედა ნაწილი“) 364$_{4}$.

სანაპირონი („საზღვრები“) 367$_{16}$.

სანახები („მიდამო“): ს. ქალაქისა 121$_{1}$; ს. ქართლისა 87$_{17}$.

სანგორელი („საგორებელი“): ვითარცა ღორი ინწუბა სანგორელსა მწჳრისასა („როგორც ღორი ისე გორავდა მწვირეში“) 325$_{15}$. შდრ. ნგორვა: «ინგორის მარცუალსა მას ზედა» („გორავს“, „იგორებს“) ფიზიოლ. 17.

საპყარი („დაკუტებული“) 209$_{29}$.

სართული („სახურავი“) 115$_{16}$. შდრ. საბურველი.

სარჩელი („საჩივარი“, „ჩივილი“) 67$_{9}$.

სასაწუთო („წუთიერი“) 347$_{9}$.

სასდუნი (საბა: « ს ა ს დ უ ნ ი — მწჳრის გასადინარი ნაკურეტი») 344$_{4}$.

სასეფეო („სამეფო“, „მეფისა“): მიწა და ვენაჴი სასეფეო 295$_{16}$.

სასთუნალი („სასთუმალი“, „თავ-ქვეშ დასადები“ [ფიცარი, ქვა...]): დაიდვა ლოდი სასთუნალ („სასთუმლად“) 86$_{4}$.

სასმური („სასმისი“) 319$_{8}$.

სასუმელი („სასმისი“) 330$_{8}$.

სატლი („მუცლის სენი“): სატლითა სისხლისათა („სისხლზე ყვანა“) 237$_{11, 18}$.

სატლობა (საბა: «ჴშირი მუცლით ყვანა») 376$_{22}$.

სატჳრთავი („ტვირთის მზიდველი საქონელი“) 236$_{15}$.

სატფურება („წლისთავის დღესასწაული“) 25$_{12}$, 129$_{4}$.

საურავი („საზრუნავი“) 31$_{8}$, 298$_{11}$, 300$_{8}$.

საუფლისწულო („მეფის შვილისათვის განკუთვნილი“) 70$_{21}$, 258$_{16}$.

საუფლო („უფლისა“) 94$_{1}$.

საფიცარი: უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისი 11$_{8}$.

1. საქმე („გაკეთება“, „აშენება“): დაუტევნა ხურონი ს ა ქ მ ე დ ეკლესიისა („ეკლესიის ასაშენებლად დასტოვა ოსტატებიო“) 117$_{19}$; საქმედ მოქმედნი („მშენებლობაზე მომუშავენი“) 162$_{2}$; ჯერ იყო შენდა საქმედ („საჭირო იყო გაგეკეთებინა“) 191$_{7}$.

2. საქმე („საქმე“): საქმის მეცნიერი („საქმის მცოდნე“) 259$_{6}$.

სალუაწი („სასმელ-საჭმელი“, „სანოვაგე“) 331$_{8}$.

1. საყდარი („სავარძელი“, θρόνος) 147$_{3, 4}$.

2. საყდარი („სამეფო ტახტი“) 184$_{19}$, 200$_{1}$, 330$_{6}$, 363$_{2}$.

3. საყდარი („კათედრა“ ეპისკოპოსისა, პატრიარქისა და მისთ.) 197$_{22}$, 270$_{6}$, 328$_{1, 3}$.

4. საყდარი („ეკლესია“, „ტაძარი“) 241$_{9}$ (ქუთათისისა), 274$_{4}$, (ხახულისა), 281$_{1}$ (ბედიისა), 303$_{26}$ (ჭყონდიდისა), 304$_{7}$ (რუისისა), 345$_{4,5}$ (ანისისა), 365$_{8}$.

საყოფინი („საკმარისი", „სამყოფი") 331_{11}.
საწერელნი („საწერ-კალამი") $127_{11,14}$.
საწნეხელნი: საწნეხელთა ვენაჴისათა 82_{10}, 84_{2}.
საწუთო („საწუთრო") 193_{12}.
საწჳმარი (საბა: «ს ა წ ჳ მ ა რ ი — ... სამოსელი წჳმის ჟამისათჳს»): საწჳმარსა ქუეშე სტეოდსა 61_{16}.
საწყინოდ („ძნელად"): გზანი საწყინოდ სავალნი 353_{22}.
საჴურისი: საჴურისი ვინმე მეფისა (იოანე) 134_{10}; ვინმე საჴურისი აფხაზი (ევფრატა) 215_{14}.
საჴურჭლე („სახელმწიფო ხაზინა") 342_{19}, 353_{14}.
სახარება 95_{6}, 142_{9}, 163_{5}.
სახელდებით („დასახელებით") 157_{6}. **სახელისდებით** („სახელად") 215_{11}.
სახელ-მოდგამი („სახელის მონაცვალე", „ვინც იმის სახელს ატარებს") 324_{1}.
სახლეულნი („ოჯახის წევრები") 80_{19}; ვითარცა სახლეული თჳსი 351_{18}; ყოვლით სახლეულით თჳსით 408_{8}; ყოვლითა სახლეულითა მისითა 61_{10}.

1. სახლი („სახლი") 150_{12}; სახლი სალოცავი 15_{4}; სახლი ღ̃ისა სახლი უფლისა („ტაძარი") 327_{6}; სახლი („ეკლესია") 327_{1}. შდრ. საბა: «ტ ა ძ ა რ ი — სახლი საუფლო». **სახიდ:** შეიწყნარა სახიდ თჳსად („მიიღო თავის სახლში") 80_{15}; წარვიდა სახიდ თჳსად 112_{10}; წარგზავნნეს სახიდ თჳსად 328_{6}; სახიდ სამეუფოდ („მეფის სასახლეში") 93_{6}.
2. სახლი („ქალაქი"): (ტფილისი) შექმნა სახლად სამეუფოდ („სატახტო ქალაქად") 205_{7}; გულისტანი სახლი თავადი შარვანისა („მთავარი ქალაქი შარვანისა") 344_{8}.
3. სახლი („რეზიდენცია") 250_{17}, 290_{7}, 304_{13}, 342_{19}, 376_{7}.
4. სახლი („სამფლობელო") 13_{15}.
5. სახლი („მოდგმა", „გვარი"): დასრულდა სახლი ბალვივაშთა, სახლი განმამწარებელთა 326_{10}; შარვანის სახლი 367_{26}.
6. სახლი („კომლი"): ხაზარნი სახლი სამასი 256_{20}; ოვსნი... სახლი ასი 257_{1}.
საჴედარი („საჯდომი ცხენი") $158_{8,9}$, 164_{5}, 196_{20}.
საჭელი („სახელო", «მკლავის სამოსი» საბა) 158_{1}.
საჭელო („ხელისუფალი"): საჭელოთა სჯანი („ხელისუფალთა არჩევა და დანიშვნა") 351_{10}.
საჭმარი („საჭირო ნივთი და საგანი") 170_{16}, 198_{4}.
საჭმილი, საჭუმილი („ცეცხლი") 107_{8}, 122_{17}.
საჭუმილავი („სადარაჯო") 85_{12}.
საჯდომი („სამეფო ტახტი") 365_{5}.
სევასტოსი (σεβαστός, უმაღლესი საპატიო წოდება ბიზანტიაში) 313_{9}; ბაგრატ პირველ იყო კურაპალატი, და შემდგომად ნოველისიმოსი, და მერმე იქმნა სევასტოს 315_{4}.
სელი („სავარძელი") 147_{4}.
სერობა („პურის ჭამა") 164_{7}, 348_{6}; ისერის 132_{16}.
სერტყიანი (საბა: «ს ე რ ტ ყ ი — ნერგნი კერპთანი საზორავნი»): მთა ულალი და სერტყიანი („ძნელად სავალი და ტყიანი (?) მთა") 213_{24}.

სეფე-წული („მეფის გვარისა", „დიდგვარიანი") 115_{5}, 133_{8}, 156_{10}.
სთუელი („რთველი", „შემოდგომა"): ჟამსა სთულისასა („შემოდგომაზე") 321_{21}; სთუელთა („შემოდგომაზე") 332_{2}, 344_{10}.
სივლტოლა („გაქცევა") 285_{6}.
სიკეთე („სივაჟკაცე", ἀρετή, доблесть) $21_{2,5}$.
სიკისკასე („მოქნილობა"; საბა: «კ ი ს კ ა ს ი — სწრაფად მქცევი») 155_{5}, 194_{13}.
სილალე („თავისუფალი ქცევა", „თავხედობა") $138_{10,14}$, 166_{12}, $173_{10,18}$, 182_{16}, 196_{22} (სილალე ესე ამპარტავნებისა).
სიმამრი („ცოლის მამა") 137_{8}, 203_{1}, 223_{4}, $273_{18,19}$, $336_{8,20}$.
სიმარჯუე („მოხერხებულობა", „ხერხი", „ხრიკი") 53_{8}; სიმარჯჳთ („მოხერხებით") 45_{12}, 112_{8}, 155_{7}, 189_{6}, 331_{19}, 332_{18}; ყოვლითავე სიმარჯჳთა („ყოველი ხერხით") 61_{9}; სიმარჯჳთ და განკრძალულად („მოხერხებით და დაფარულად") 341_{15}.
სიმტკიცე (საბა: «მტკიცეობის ქონება»; გარანტია) 268_{21} (ითხოვა სიმტკიცე ცოცხლებით გაგზავნისა — „ითხოვა გარანტია იმისა, რომ მას ცოცხალს გაუშვებდა"), 271_{15} (აღილე ჩემგან სიმტკიცე და შუამდგომელნი), 271_{20}, 294_{12}.
სიმცრო („პატარაობა"): სიმცროსავე შინა („პატარაობისას", „ახალგაზრდობაშივე") 370_{10}.
სიმძიმე („მძიმე მდგომარეობა") 203_{2}.
სიმძლავრე („სიმძაფრე", „სიძლიერე") 107_{11}.
სირცხჳლეული („შერცხვენილი") 357_{16}.
სისრა („გატყორცნა", „სროლა") 81_{18}.
სისუბუქე („სიმკვირცხლე", проворность) 336_{1}.
1. სიტყუა: 1) („სიტყვა", „მეტყველება") 246_{2}; სიტყუა საიდუმლო და ს. საერო 171_{7}; მოექცა სული და სიტყუა („დაუბრუნდა გონება და მეტყველება") 361_{21}; 2) („ლაპარაკი") იწყო სიტყუად 127_{7}.
2. სიტყუა („ლოგოსი", „ძე ღვთისა"): ყოვლად სახიერი ს ი ტ ყ უ ა ღმრთისა („ძე ღვთისა") 381_{7}.
სიტყჳს-გება („კამათი", „დისკუსია") $356_{15,22}$.
სიფიცხე, სიფიცხლე („გაუტეხელობა", „სიმედგრე") 47_{15}, 52_{16}.
სიფრთხილე („სიფხიზლე"): სიფრთხილე და სიმახჳლე გონებისა 133_{24}.
სიჭუელე („მოწყალეობა", „სიკეთე") 26_{6}.
სილოდა („სიმთვრალეში სიმღერა-ცეკვა") 338_{9}.
სილამე („სიბნელე") 317_{13}.
სიყმილი („შიმშილი") 134_{32}.
სიცბილი („ვერაგობა", „ცთუნება") 134_{19}, 246_{1}.
სიცივე: სიცივისა და სიცხისა (gen. temporis, „სიცივეში და სიცხეში") 210_{26}.
სიძვა („გარყვნილობა"); ისიძვა 164_{22}.
სიძე (საბა: «ქალის ქმარი») 265_{4}. შდრ. დისიძე („დის ქმარი").
სკარამანგი („ძვირფასი ნაქსოვი"): სტავრა სკარამანგი 182_{8}.

სკორე („განავალი", „ნეხვი") 154_{1}, კოსტანტინე სკორის მოსახელე (*Κ. Κοπρώνυμος*) 249, სქ. 1.
სმენა („სმენა", „დაჯერება"; უკავშირდება ნათ. ბრუნვას): თუმცა სიტყუათა შენთა ვისმინე („მე თუ შენ სიტყვებს მოვისმენ", ე. ი. დავუჯერებ, ავყვები) 246_{8}; ისმინეთ ჴმისა ჩემისა 147_{17}; ასმიოდა („სმენოდა") 95_{2}, 102_{19}, 303_{15}; გუასმიეს („გვსმენია") 191_{6}; ასმინის („გააგებინებს ხოლმე") 190_{6}; ასმიეს 163_{13}; გასმიანა? 160_{18}.
1. სოფელი („სოფელი", საპირისპიროა „ქალაქი") $41_{28,35}$ (ქალაქთა და სოფელთა), 42_{21}, 177_{20}, 290_{16-21}.
2. სოფელი („ქვეყანა") 39_{2}, 90_{16} (ყოველი სოფელი — „მთელი ქვეყანა").
1. სპარსი („სპარსული"): აღივსო ქალაქი ს პ ა რ ს ი თ ა ლაშქრითა 113_{6}.
2. სპარსი („მუსულმანი", „მაჰმადიანი") 251_{2}: აიღო მეფემან ქალაქი ტფილისი... ოთხას წელ ქონებული ს პ ა რ ს თ ა (დავით აღმაშენებელმა „აიღო [1122 წელს] ტფილისი, რომელიც ოთხასი წლის განმავლობაში ეპყრათ მ უ ს უ ლ მ ა ნ ე ბ ს") 342_{19}; ქვეი შავშეთისა... ჟამთა ს პ ა რ ს თ ა (ე. ი. არაბთა) უფლებისასა აოჴრდა 376_{20}.
სპასალარი („სარდალი") 196_{10}.
სპასპეტი („ერისთავთა და სპასალართა უფროსი"; ფარნავაზის დროს იგი იყო მეფის შემდეგ პირველი კაცი) 24_{25}, 202_{5}; განაგებდის ყოველთა ერისთავთა ზედა 25_{1}; მფლობელი ყოველთა ერისთავთა 185_{12}; ბიზანტიის სპასპეტი ქსიფია 285_{17}; სპასპეტი საურმაგი $143_{13,15}$, 145_{8}; სპ. ჯუანშერი 145_{9}, 148_{11}, 149_{17}.
სპეტაკი („თეთრი") 167_{7}.
სრა-ფარდაგები: აღივსო... კარვებითა, სრა-ფარდაგებითა 341_{18}.
სრბა („სირბილი", „ცხოვრების გზა"): სრბა მეფობრივი 365_{2}.
სრულიად: სრულიად მესხნი („ყველა მესხი") 418_{4}.

სრულობით: ს. მეფობა („განუსაზღვრელი მეფობა") 265_{6}.
სტავრა („ოქრომკედით ნაქსოვი ქსოვილი") 182_{8}, 186_{6} (სტავრები), 273_{31}.
სტეოდი („სტევიანი", „სტევით ნაქსოვი"; «ს ტ ე ვ ი — აქლემის მატყლი» საბა) 61_{16}.
სტოა („შენობის გვერდებზე სვეტებიანი კამარა", στοά) $282_{12,18}$ (გარეშემოთა სტოითა მოქმნითა).
სტრატიოტი (στρατιώτης, „ჯარისკაცი") 77_{18}.
სულ-ამო („სურნელოვანი") 98_{8}.
სულგრძელად („მოთმინით", „აუჩქარებლად") 157_{17}.
1. სული („სული", „გონება") 164_{22}, 361_{21} (მოექცა სული და სიტყუა — „დაუბრუნდა გონება და მეტყველება"), 304_{28} (სულთა ზედა მქმობელნი), 305_{2}.
2. სული („სუნი") 91_{8}.
სუმა („ყოლა"): ესუა (ჰყავდა) 140_{22}, 141_{10}, 376_{12}.
სურვიელი („მსურველი") $116_{6,17}$.
სუფევა („მეფობა") 363_{9}; სუფევასა შინა გუარამისსა („გვარამის მეფობაში") 378_{27}.
სქემა (σχῆμα, „მონაზონთა სამოსელი") 303_{19}, 366_{10}.
სწავება: ისწავა $133_{21,28}$ (დაისწავლა 132_{26}); ასწავებდა 145_{17}.
სწავლულება („მეცნიერება") $133_{21,28}$, 357_{4}.
სწორი („თანაბარი") 327_{8}.
სწრაფით („სასწრაფოდ") 167_{5}, 169_{10}, 179_{12}.
სხდომა: სხენან („სხედან") 184_{19}.
სხმა („ყრა"): ისხმიდეს („იყრიდნენ") ნაცარსა თავითა ზედა მათთა 204_{8}.
სხუა („მეორე") 331_{1}; **სხჳთ-კერძო** („მეორე მხრით") 343_{11}.
სხუაებრ („სხვანაირად", „სხვა გზით") 335_{20}.
სხრტე („ღობე") 343_{11}.
სჯა: საჭელოთა სჯანი („ხელისუფალთა არჩევა და დანიშვნა") 351_{11}.
სჯულიერი („კანონიერი"): სჯ. მეუღლე 336_{6}.

ტ

ტაბლა („მაგიდა", „სუფრა") 319_{7}.
ტაიჭი („დაკოდილი ცხენი") 153_{6}, 154_{18}, 155_{6}.
ტალმა („რაზმი") 384_{22}.
ტაძარი (საბა: «სახლი საუფლო») 161_{19}, 330_{9}.
ტაძრეულნი („მეფის სასახლის მსახურნი". ივ. ჯავახიშვილი, სამ. ისტ. II, 1, 35) 237_{4}, 243_{16}, 332_{18}.
1. ტახტი („სარეცელი") 314_{6}.
2. ტახტი („სამეფო ტახტი") 330_{8}, 365_{4}.

ტილისმი (საბა. «ტ ი ლ ი ს მ ა — ჭახრაკებით მორთული ფარულად რამ მოძრაობდეს») 233_{5}.
ტრაპეზი („სუფრა"): უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა (გელათს) („უზრუნველ ყო ნივთიერად") 330_{18}.
ტრფიელი („შეყვარებული") 141_{12}.
ტყება („ცემა", „გოდება") 53_{6}; იტყებდეს („თავში იცემდნენ", „გლოვობდნენ") 53_{9}, 204_{7}.
ტყჳვი („ტყვია"): გუჯარნი ტყჳვისანი 236_{17}.

უ

უაღრესი („უფრო მეტი, ვიდრე [სხვისა]") 331_{2}, 359_{3}.
უაღრესობა („უპირატესობა") 207_{12}.
უბრალო („უდანაშაულო") 101_{15}, 378_{28}.
უგრძნეულად, უგრძნაულად („მოულოდნელად") 45_{18}, 270_{22}, 277_{18}, 301_{19}, 306_{9}, 308_{24}, 319_{8}, 332_{17}, $333_{9,16}$.

უგზაური („უგზო" [ადგილი]) 212_{16}.
უგიობელი („უძაგებელი", „არა ბოროტად სახსენებელი") 358_{1}.
უგულისხმო („შეუსმენელი", „უგუნური") 193_{10}.
უდებება („ზარმაცობა") 329_{17}.
უდები („ზარმაცი", „დაუდევარი"): დაწერეთ გლახაკი და უდები („უღირსი"?) ცხოვრება ჩემი 127_{12}.

უეჭუელი („არა საეჭვო“, „რომელიც ეჭვს ვერ აიღებს“) 33313.

უკანამავალნი („არიერგარდი“) 28414, 2851, 38312. შდრ. წინამავალნი.

უკანას, უკანის („შემდეგში“) 1934, 3674.

უკეთური („ცუდი“, „ბოროტი“): ივლიანე უკეთური 1652.

უკუდგომა („გადადგომა“): ოდეს ორბელნი უკუ-ადგეს გიორგი მეფესა („როდესაც ორბელნი გადაუდგნენ...“) 3672.

უკუმოზღუევა: უკუმოიზღუნა („უკან მიიღო“, „აინაზღაურა“) 34612.

უკუმოხუმა („უკან მიღება“, „დაბრუნება“ ბევრისა) 502.

უკუნისამდე: მიუკუნისამდე 1913, 24010.

უკმომდინარე („უკან მომდინარე“) 3297.

უკმოჴსნა („უკან დაბრუნება“, „გამოხსნა“): ტყუენი... ყოველნი უკმოიჴსნნა თჳთო თჳთოსათჳს („ტყვეები გ ა ც ვ ა ლ ა თითოში თითო) 1579, 10; უკმოჴსნისათჳს ტყუეთასა 15613.

1. **უმეცარი** („ვინც არ სცნობს“, непризнающий) 19310.

2. **უმეცარი** („უცოდინარი“) 868.

უმთავრესი („მთავართა-მთავარი“) 3366.

1. **უმკჳდრო** („უდაბური“, „გაუკაცრიელებული“) 18718, 2448, 2455.

2. **უმკჳდრო** („უმემკვიდრეო“) 27514, 33016.

უმრწემესი („უმცროსი“) 672, 23226, 2496, 2651, 2.

უმყის: უმყის სიტყჳსა („სიტყვის უმალვე“, „მაშინვე როგორც კი ითქვა“) 3436 შენ.

უმცროორე („უფრო ცოტა“) 33117

უნაცვალო („რომელსაც სხვა ვერ შესცვლის“): კაცი სრული და უნაცვალო სახითა, სიბრძნითა, სიუხჳთა... 3048.

უნდა („უნდოდა“) 3215, 1714, 31121

უნებელი: უ. შენი („რაც შენ არ გნებავს“) 18218.

უნებლიეთ („უნებურად“, „სურვილის წინაალმდეგ“) 38117.

უპოვარება („სიღარიბე“) 3364.

უჟამოდ („არა თავის დროზე“) 9810, 2141.

ურვა („ზრუნვა“, „გარჯა“, „წუხილი“): იურვა 2215; უურვა 30519 (ივანეს უურვა თავის მამამან ბაგრატს თანა — „ივანეს უ შ უ ა მ დ გ ო მ ლ ა მისმა მამამ ბაგრატთან“); იურვოდა 14620; ეურვებოდა 13337.

ურვილი: მირდატ იყო კაცი უ რ ვ ი ლ ი („ვერაგი“, „მზაკვარი“?) და მოსისხლე 512

ურწყული („უწყლო“) 2094.

ურჯულება („ურჯულოება“?) 31012. შდრ. საბა: «უ რ ჯ უ კ ი უშჯულოსავით»; შდრ. ბასილი ეზოსმოძღ. 18: «მსგავსად ჩუეულობისა ურჯუკობისა».

უსარჩლელი („სარჩელისაგან თავისუფალი“) 33017. შდრ. მიუხუეჭელი.

უსაჭურველო („უიარაღო“) 3627.

უსიტყუელი („უპასუხო“) 35710.

უსრული: უ. ასაკითა („არასრულწლოვანი“) 3784. შდრ. სრულ-ასაკ („სრულწლოვანი“) 3785.

უსწორო („უბადლო“).

უტევანი (მანძილის საზომია, უდრის სტადიონს, 125 ნაბიჯს) 1553.

უტკივნელი: ვითარცა უტკივნელი („ვითომც ავად არ ყოფილიყოს“) 11513.

უტყუება („მუნჯობა“) 20910.

უტყუველი („უტყუარი“) 21311.

1. **უფალი**: 1) („პატრონი“, „მბრძანებელი“) 16511, 14, 37724. 2) („მქონებელი“): უფალი მძიმისა სენისა 10311.

2. **უფალი** („ღმერთი“) 14618.

უფლება, უფლობა („ბატონობა“, „მართვა“) 1015, 2223; ჟამთა სპარსთა უფლებისასა („სპარსთა ბატონობის დროს“) 37620.

1. **უფროსი** („უფრო დიდი“).

2. **უფროსი** („მთავარი“): უფროსი ბრძოლა („მთავარი ბრძოლა“) 482; უფროსი ლაშქრობა 6614, 3462; უფროსნი საეპისკოპოსონი 3272.

უფროს ზ მ ნ ი ს ა რ თ ი („უფრო“) 3272.

ულალი („უწყლო“, „მშრალი“: ჯავახიშვილი, მატ. კულტ. 237) 23134.

ულელი („სიმძიმე“; „მოვალეობა“, „ნაკისრი ვალდებულება“): უ. სწავლისა 957. შდრ. საბა: «უ ღ ე - ლ ი . . . ანუ ქრისტეს სათნოებისა აღება».

ულმრთო („ვისაც ღმერთი არა სწამს“) 1249.

უშფოთველი: უშფოთველად მეფობდა 1324, 13716.

უცალო („მოუცლელი“) 1413, 155, 258.

უცები („უმეცარი“) 8914; დედანი და ყრმანი უცებნი („გონებით მოუმწიფებელი ბავშვები“) 1817.

უცნაური („შეუცნობელი“, „დაფარული“) 3572. უცნაურად („მოულოდნელად“, „ფარულად“) 27620, 33819, 37712.

უცხოთესლი („სხვა ტომისა“, „უცხოელი“) 28410.

უძებნელი („არა შურის-საძიებელი“) 463.

უძილი („ფხიზელი“) 3289.

უძლები („ფეხმძიმე“) 3217. ვ ა ხ უ შ ტ ი: «უძლები მიდგომილი»); ს ა ბ ა: «დაგაუძლება — უძლებად შეგქმნა.

უძრავი: უ. გულითა („უშიში“) 3413.

უძლები („გაუმაძღარი“) 433, 17616.

უწინარესობა („უპირატესობა“, „უპირატესი უფლებები“): ქართლი და აღმოსავლეთი და ჩრდილო მაგის [ანტიოქიის] წმიდისა საყდრისანი არიან, ვითარცა განაწესეს მოციქულთა სახარებასა შინა, რომელ არს უწინარესობა („... როგორც მოციქულებმა განსაზღვრეს უპირატესი უფლებები [თითოეული პატრიარქისა]“) 19723.

უხუებით („უხვად“) 3326.

უხჳ („უხვი“, „მრავლის მომცემი“): უხჳ და მბოძებელი („უხვად მომცემი“) 36511, 36713; უხუად მომნიჭებელი 513, **უუხუესი** 31512.

უჴმ არს („შეუფერებელია“; v. l. უჴმარ არს) 1711.

უჴმარი („უსარგებლო“) 18422, 3581, 3601.

უჯერო („შეუფერებელი“) 397.

ფ

ფალანგი (საბა: «ნაბდის სახლი») 3322.

ფანდაკი („ქოშების მაღალი ქუსლი“) 19621.

ფერად-ფერადი („ნაირნაირი“) 3307.

ფიალა („თასი“) 3308.

ფილაკავანი („სასროლი იარაღი ზღუდეების დასანგრევად“) 28(7, 3001, 34119.

ფილოსოფოსი 1477. **ფილოსოფოსობა** 13340.

ფირტჳ („ფილტვი“) 20217.

ფიჩოსანი („ფიჩვით მოსილი“, „ბერი“) 2742.

ფიჩჳ („მოსასხამი“, „ბერის სამოსელი“) 38117

ფიცხელი („მკაცრი“, „სასტიკი“): ფიცხელთა საურავთა („სალალატო საზრუნავთა“). შდრ. გ უ ე რ დ - ქ ც ე უ ლ ი . — ფლასი ფიცხელი („ ტ ლ ა ნ ქ ი “) და მქისე 13325.

ფლასი („ძაძა“) 13325; ფლ. თხის ბალნისა 13338.

ფოლოცი („ქუჩა“) 8814.

ფურცელი („ფოთოლი“) 1198.

ფურცლიანობა („ფოთოლთა ქონა“): მწუანისფერობასა მას და ფურცლიანობასა 11919.

ფრჴივ („ფეხით“) 2395.

ფხურა: თმათა ფხურა („გლეჯა“) 36924.

ქ

ქადაგი („მაუწყებელი“, „მაცნე“) 14013, 16316, 1742, 17, 20013.

1. **ქადება** („მუქარა“): სიკუდილისა ქადებითა 3023.

2. **ქადება** („დაპირება“): უქადა შეელად სარკინოზთა ზედა („დაპირდა, რომ დაეხმარებოდა სარკინოზთა წინააღმდეგ“) 2498; უქადეს ქალაქი (ტფილისი) („შეჰპირდნენ ქალაქის გადაცემას“) 2998.

1. **ქათამი** („მამალი“) 1135.

2. **ქათამი** („ქათამი“) 3151, 3694.

ქანქარი (ფულის ერთგვარი თანხა) 35919, 20.

ქარაფი („კლდე“) 1561, 5; ქარაფნი კლდისანი 15121, 22.

ქარტა („ქაღალდი“) 18316, 34121

ქენებით („მუდარით“, „ხვეწნით“) 29810.

ქვა-ფენილი („ქვით დაფენილი [გზა]“) 35322.

ქვით-ხურო („გალატოზი“) 11710.

ქმნა („აშენება“, „გაკეთება“): მარჯუენით იქმნ და მარცხენით აღუევნ 1656.

1. **ქორეპისკოპოსი** („კახეთის მმართველი“; საბა: «მონაცვალე მეფისა») 27821 (და ბევრგან).

2. **ქორეპისკოპოსი** („უსამწყსო ეპისკოპოსი“) 3273.

ქოსი (ერთგვარი საჭურველი; საბა: «ქართულად სპილენძ-ჭური ჰქჳან») 34119.

ქოჩი („ბუჩქი“; საბა: «შებარდული ხე»): ქოჩი მაყულისა 948, 10, 10413.

ქსენონი („სავადმყოფო“, „დავრდომილთა თავშესაფარი“): ქსენონი ააშენეს პეტრე ქართველმა და იოანე ლაზმა 13424, 32; ქსენონი ააშენა (გელათში] დავით აღმაშენებელმა 3315.

ქუაბი: („გამოქვაბული“, „მღვიმე“) 16319, 1785; ქუაბ ავაზაკთა 3271.

ქუდი (карниз?): ქუდნი კართა და სარკმელთანი 16118.

ქუეგამხედვარი („ავი გულის მქონე“) 2983. იხ. საბა: «ქ უ ე გ ა ნ ხ ე დ ვ ა — ავის გულის დადგმა».

ქუე-მდაბლად („ქვევით“) 2115.

ქუენა (საპირისპირო: ზენა): განცვალა ქუენა მოქალაქობა ზენად სუფევად („გაცვალა ამქვეყნიური ცხოვრება იმქვეყნიურ მეფობაში“) 3639.

ქუესკნელი („ქვევით მდებარე“): უ ქ უ ე ს კ ნ ე - ლ ე ს ყოველთა უფსკრულთა 742.

1. **ქუეყანა** („მიწა“) 4015, 4119, 4615, 23013, 28713, 38419; დავარდა ქუეყანასა ზედა 1532, 15515. (შდრ. 15319: დავარდა მიწასა ზედა); ქუეყანად დადრეკილი („მიწამდე დაზნექილი“) 3619, მოიდრიკე თავი ქუეყანად 11410; ძრვა ქუეყანისა („მიწისძვრა“) 32312.

2. **ქუეყანა** („მხარე“, „მიწა-წყალი“) 29211, 2951, 3028, 16.

ქურციკი („გარეული თხა“, „ჯეირანი“) 16114.

1. **ქცევა** („ტრიალი“): ცეცხლისა ეთერისა მის, რომელი ეგზების მძლაფრიად სამყაროსა ქცევისაგან („რომელიც ძლიერად გიზგიზებს ხოლმე დედამიწის ტრიალისაგან“) 1624.

2 **ქცევა** („მიმოსვლა“) 1802 („ხიდზე ჯარის მიმოსვლა“).

3. **ქცევა** („საქციელი“) 1710

4. **ქცევა** ზ მ ნ ა („დაბრუნება“): აქციე („დააბრუნე“) 28916. იხ. შექცევა.

ღ

ღადარი („დაუნდობელი“) 19313.

ღადრობა („დაუნდობლობა“) 17117, 2846, 3835.

ღირღალი („ნაპრალი“) 713, 2113. იხ. საბა: «ღელეღულე ადგილი».

ღონისძიება („რეპრესიები“) 2469

ღუარი: ღუარი სეტყუათა 73.

ყ

ყენება, დაყენება („გაჩერება", „დაკავება", „ხელის შეშლა"); ნუ აყენებთ 145_{1}, აყენებდა 171_{5}, აყენებდეს 152_{22}.

ყვ-: ეყვის („ენათესავება"); ეყვოდა („ენათესავებოდა") 151_{7}. შდრ. მეყვისი.

ყიდვა: ასყიდიეს („აყიდვინეს") 297_{12}.

ყივილი (ქორისა) 190_{6}.

1. **ყმა** („ყმა"): აზნაურის ყმანი 369_{7}.

2. **ყმა:** დარბაზის ყმანი („დარბაზის წევრები") 299_{14}.

ყმაწურილი (უპირისპირდება: „გმირი", „გოლიათი") 153_{18}, 154_{11}.

ყმობა („სამსახური") 305_{18}.

1. **ყოველი** („ყველა") 176_{10}.

2. **ყოველი** („მთელი"): ყოველი პალატი („მთელი სასახლე") 133_{14}; ღამე ყოველ („მთელი ღამე") 332_{19}; ყოველი სამოქალაქო 367_{25}.

ყრმა („ბავშვი", „ჭაბუკი") $115_{5, 10, 12}$, 133_{14}.

ყრმა-წული („ვაჟიშვილი") 103_{11}, 123_{1}.

ყრუობითგან („მურვან ყრუს დროიდან") 377_{8}. შდრ. მშობლისობითგან 370_{14}, ალექსანდრობითგან 177_{13}.

ყუდება („შეჩერება"): აყუდა შეგრძნება მისი („შეაჩერა მისი გრძნეულება", „ძალა დაუკარგა") 303_{21}.

შ

შავი („სამღლოვიარო სამოსელი") 337_{4}.

შეაფარილა („ფარილი წაუსვა", „შემურა"; საბა: « ფ ა რ ი ლ ი — ბაზმის მური») 213_{8}.

შებლარდნილი („გახეეული") 114_{6}.

შეგინებული („ბილწი") 372_{6}.

შეგრძნება („გრძნეულება", „ჯადოქრობა") 303_{21}.

შედგმა: შესდგმიდა („მოსდგამდა"): ქართამ, რომელსა შესდგმიდა („მოსდგამდა") ფარნავაზიანობა (ესე იგი: „მოდგმით ანუ შთამომავლობით იყო ფარნავაზიანი") $32_{10, 15}$. შდრ. ახალი ქართული „მოდგმა" და ძველი ქართული „მოდგამი").

შედეგი („მომდევნო", „უმცროსი") 376_{12}, 377_{30}.

შევრდომა: 1) ([„ფეხებში ჩავარდნა" ⟶] „ხვეწნა", „მუდარა") 108_{14}, 144_{7}. **შევრდომით** („ხვეწნით", „მუდარით") 136_{18}; 2) ზ მ ნ ა („[ფეხებში] ჩავარდნა"): შეუვრდი 167_{9}; შევარდა („ჩავარდა") ჴელთა ვახტანგისთა 195_{7}.

შეზრახება: შეიზრახნეს („მოილაპარაკეს") 77_{18}.

შეთუღილობა („შეთვლა", „შემონათვალი") 181_{7}, 200_{7}, 343_{15}.

შეკაზმული („განმზადებული") 74_{10}.

შეკდიმებული („შერცხვენილი") 360_{22}

შეკნინებული („დასუსტებული") 191_{7}.

შეკრება: ნასრას შეუკრბეს („შეერთდნენ ნასრას წინააღმდეგ") 260_{21}.

შეკრვა: ჴელმწიფება შეკრვისა და განჴსნისა („დასჯისა და განთავისუფლების ძალაუფლება") 232_{11}.

შელტოლვილი: შელტოლვილ იყვნეს სიმაგრეთა კავკასისათა („გაქცეულიყვნენ და თავი შეეფარებინათ კავკასიის სიმაგრეებში") 157_{8}.

შემართვა („გაბედვა") 272_{2}.

შემაშთობელი („დამხრჩობი", „შემხუთავი", „ძალის დამტანებელი") 360_{20}.

შემბმელი („მებრძოლი") 343_{8}.

1. **შემდგომი** („მეორე") 25_{1}.

2. **შემდგომი** („გვიანი") 338_{1}.

შემეოტება: შეიმეოტნეს („გაიქცნენ") 234_{4}.

შემთხუევა („შეხვედრა", „მიღება") 351_{11}, 354_{18}; შემთხუევათა შინა („შეხვედრის დროს") 360_{14}.

შემმართებელი („გულადი მებრძოლი") 21_{1}, 45_{4} 51_{4}, 137_{21}, 138_{8}, 189_{1}, 224_{10}.

შემოდგომა („მიყოლა"): აღუთქუა შემოდგომა მისდა („შეპირდა, რომ მას გაჰყვებოდა", „მას მიემხრობოდა") 70_{10}.

შემოკლებით (იმავე მნიშვნელობით) 208_{12}.

შემოლტოლვილი („გამოქცეული") 231_{2}.

შემომკრდება („გულში ჩაკვრა"): შემოიემკრდა 100_{8}.

შემომრგლობა: შემოუმრგლო („გარშემო შემოურბინა") 194_{14}.

შემოქცევა („დაბრუნება"): უკეთუ არღარა შემოვიქცე ცოცხალი („თუ ცოცხალი აღარ დავბრუნდე...") 151_{6}.

შემპოვნე („მთხოვნელი", заискивающий): შემპოვნედ და მოაჯედ 281_{18}. შდრ. ი"ე და ეფთ. ცხ.: «შეპოვნებანი და ლიქნანი» (ქრ. 186_{28}); საბა: « შ ე პ ო ე ბ ა — რიდის ქონება». ვეფხ. 630 «მემუდარა, შემეპოვა», 1490 «მუდარით და შეპოვნებით»; შდრ. ახალი ქართული გამოთქმა: „არ ეპუება" (ე. ი. „არ ერიდება"), „არ შეეპუა".

შემსგავსებული („შესაფერი") $331_{4, 5}$.

შემტერება: შეიმტერნეს ურთიერთას („ერთმანეთს გადაემტერნენ") 379_{25}.

შემშლელი წესთა („ერეტიკოსი") 142_{17}; შემშლელნი წესისანი 159_{15}.

შეორგულება („დაეჭვება"): შევორგულდით („დავეჭვდით") 113_{12}.

შერთვა: შეირთოს (ცოლად) $151_{7, 9}$.

შერისხვა: შერისხნა („გაუჯავრდა") მას 166_{13}.

შესავალნი, **შესავალი** („გადასახადი") $295_{14, 18, 21, 22}$, 296_{14}, 331_{7}.

შესაკრებელი („შესართავი", „ორი მდინარის შეერთების ადგილი") 5_{10}, 9_{13}.

შესლბეს იხ. შესულება.

შესმენა: შეისმეს („შესმენილ იქმნენ", „შეისმინეს") 132_{18}.

შესუარული („გასვრილი"): შ. ცრემლითა („ცრემლ-მორეული") 99_{15}.

შესულება: შესლბეს (⟵ შესულბეს ⟵ შესულბეს) („შეშფოთდნენ", „აირივ-დაირივნენ") 162_{5}.

შესწორება: შეესწორებოდა („შეედრებოდა", „მისი სწორი იყო") 349_{8}.

შესჭირდა („გაუჭირდათ") 181_{1}, 481_{3}.

შეტყობა: შეიტყო („წინასწარ იგრძნო") 203_{8}.

შეუბნება: შეეუბნეს („შეუთანხმდნენ", „მოელაპარაკნენ") 274_{18}.

1. **შეუვალი** („მიუვალი", неприступный): (კლარჯეთი) შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა 48_{6}; ბორცუსა შეუვალსა 119_{6}; მთათა მათ კაც-შეუვალთა 31_{1}; კაცთ შეუვალი (მთა) 13_{2}.

2. **შეუვალი** („შესავალისაგან [ე. ი. გადასახადისაგან] განთავისუფლებული") 295_{21}, 296_{15}.

შეუვალობა: სიმტკიცე შეუვალობისა 295_{22}, 296_{16}. იხ. 2. შეუვალი, სიმტკიცე.

შეურაცხება („არად ჩაგდება") 175_{2}.

შეურაცხი („არად ჩასაგდები") 166_{11}, 175_{5}; შეურ. ადგილი („უბრალო ადგილი") 128_{5}; შ. ერი („ერი დაწუნებული") 105_{19}, 162_{18}. შეურაცხ ყო 134_{8}.

შეუსწორებელი („უბადლო", „ბადალი [სწორი] რომ არა ჰყავს") 321_{18}.

შეუსწორებლობა („შეუდარებლობა"): მოქმნულობისა შე[...]ორებლობითა („შეუდარებლად კარგი შენებულობით") 330_{2}; მოქმნულებისა შეუსწორებლობისა 364_{6}.

შეუცოდებელობა („რომ აღარ უღალატებს", „რომ აღარ გადაუდგება") 305_{15}, 370_{20}.

შეფარილება იხ. შეაფარილა.

შექცევა („დაბრუნება") 290_{2}; შეაქციეთ („დააბრუნეთ") 289_{10}; რათამცა შეაქცია გარე („რომ უკან დაებრუნებინა") 289_{11}; აქციე („დააბრუნე") 289_{16}; შეიქცა („გაბრუნდა", „დაბრუნდა") 68_{18}, $289_{5, 12, 15}$, 292_{5}, 317_{4}. **შექცეული** („გაბრუნებული") 310_{22}, 370_{28}.

შელმართ: უკმო შელმართ („უკან იხმო") 293_{5}.

შეყენება: შეიყენნეს საპყრობილესა („ციხეში ჩაყარეს") 134_{14}.

შეყოლა: შეჰყვეს 194_{11}.

შეშის-მხახური („ქრისტიანი") 234_{17}.

შეჩენა („შემჩნევა"): სიმრავლისაგან არა შეჩენილ იყო დაკლება („სიმრავლის გამო ვერ შეამჩნიეს ხალხის დაკლება") 238_{16}.

შეცვა: შეიცვნა თავნი მთათანი („დაიკავა მთის თხემები") 124_{4}; შეიცვეს („დაიკავეს", „დაიპყრეს") ტყე და ველნი 234_{20}.

შეცვალება: შეიცვალნეს („გარდაიცვალნენ") 161_{5}.

შეძინება („შემატება") 322_{7}, 337_{11}.

შეწამება („გამჟღავნება"): ნუ შემიწამებ (C: ნუ გამამჟღავნებ) 311_{17}.

შეწევა („შეღწევა"): რამეთუ შ ე წ ე უ ლ იყო ისარი ფირტუად (ე. ი. „ისარს ფილტვამდე შეუღწევია") 202_{17}.

შეწევნა: შეეწია („დაეხმარა") 9_{8}.

შეწვა („დაწვა"): მეხის-ტეხითა შეიწუა („მეხისაგან დაიწვა") 209_{27}.

შეწირვა: ძღუნის შეწირვად („ძღვნის მისართმევად") 351_{5}; შეწირეს ძღუენი 36_{5}.

შეწუხნა: („შეწუხდა") 118_{8}.

შეწყენა: შეეწყინა („მობეზრდა") 357_{1}.

შეწყნარება („მიღება") 23_{14}, 39_{19}, $64_{10, 15}$; შეეწყნარე ფარსმან ქუელსა („მიღებულ იქმენ", ე. ი. მოახერხე და მოიპოვე ფარსმანის ნდობაო) 53_{4}.

შეჭირვება: შეაჭირვეს („შეაწუხეს") 297_{12}; შესჭირვებოდა („გაჭირებოდა", „გაუჭირდა") 142_{3}.

შეხედვება („შეხედულება"): შეხედვებითა ღმრთისათა („ღმრთის მითითებით") 128_{4}, 204_{6}.

შეჴდა („შეყრა"): რათამცა შეჰჴადა მჴედართა მათ („რათა ცხენოსნებს შეყაროს [ან შეახვედროს] ის") 189_{10}.

შეჰავდა („გაბოროტდა") 296_{26}.

შვილებული („ნაშვილევი", „შვილად აყვანილი") 27_{22}, 321_{6}.

შვილიერება („შვილიანობა", „შვილოსნობა") 124_{4}.

შვილისშვილნი („შთამომავალნი") 4_{1}, 373_{13}.

შთაბრიალება: შთაბრიალდა ვითარცა არწივი 350_{11}. შდრ. საბა: « ბ რ ი ა ლ ე ბ ა — ჰაერში ფრინველის ბრუნვა».

შთაჴდა („ჩაყრა", „ჩაგდება"): შთაჴადენ („ჩაყარე") ადგილთა ძნელთა 90_{17}.

შიგან („-ში"); ციხესა შიგან (ციხეშიგან) 316_{12}. შდრ. ვეფხ. 951 რაშიგან.

შიდა („შინაგანი", „შინაური"): შ. ლაშქარი 301_{5}, შიდათ ლაშქრითა 301_{4}; შიდითა სპითა 333_{15}.

შინა-განცემა („ღალატი") 319_{5}.

შინაური: შექმნა იგი მეგობრად თჳსად შინაურად 105_{4}.

შინაშე („შინ", „ხელზე", „სახელდახელოდ") 332_{20}.

შლილობა („არეულობა"): ჟამთა შლ. 248_{11}, 282_{12}.

შუამდგომელი („შუამავალი") 70_{18}, 271_{16}.

შუა-სამხრისა („შუადღეზე") 109_{11}.

შუელა („დახმარება"): უშუელდა 265_{4}; უშუელდეს 259_{2}; უშუელეს 261_{12}.

შური („ძლიერი წადილი", рвение): შურმან საღმრთომან 163_{8}.

შურის-გება („შურისძიება"): შურ იგო 173_{11}; შური იგოს $144_{3, 4}$, 148_{3}. **შური ვიძიოთ** 146_{14}, 148_{7} 149_{14}.

შურობა: ნუ შურობ (ნუ გენანება") $221_{6, 28}$.

შჳდეული („კვირა", неделя) 151_{4}. 339_{1}.

ჩ

ჩაბალახი („მუზარადი") 89_{10}, 152_{8}, 175_{16}, 180_{8}. **ჩაბალახოსანნი** 155_{20}.

ჩალმართ („დალმართ") 179_{21}, 326_{4}.

ჩაჯჳ („პარკი") 210_{5}.

ჩენა („გამოჩენა", „ჩვენება") 21_{4}.

ჩინება: იჩინეს მეფე („გაიჩინეს მეფე", „მოიწვიეს მეფე") 111_{9}. **ჩინებული** („რომელიც გაიჩინეს", მოწვეული") 112_{0}.

ჩოჯა, ჩოჯანი („ბერის სამოსელი“): შეიმოსა ჩოჯა („აღიკვეცა ბერად“) 366_{9}, ჩაიცუნა ჩოჯანი („აღიკვეცა ბერად“) 305_{14}.

ჩუგლუგი („მცირე წერაქვი“) 212_{5}, 34_{9}.

ჩუკენი („გულდედალი“, „ჯაბანი“) 136_{8}. შდრ. მაჩუკნებელი.

ც

ციდამტკავლურად („მაიმუნივით“) 359_{12}.

ცილობა („დავა“): აცილობს („ედავება“, „ეწინააღმდეგება“) 201_{14}.

ცისკარი: ცისკარი რა აღუღებოდა („რომ გათენდა“) 114_{4}, 202_{10}.

ციხეთა უფალი („ვისაც საკუთარი ციხე ჰქონდა“. იხ. ივ. ჯავახიშვილი, სამ. ისტ. II, 1, 33) 298_{16}, 307_{16}.

ცნობა: იცნა („აღიარა“) 142_{11}.

ცოლება („ცოლობა“) 216_{7}.

ცონა („ზარმაცობა“): არა სცონოდა („არ ზარმაცობდა“, не зевал) 339_{14}.

ცოტა („პატარა“): დიდთა და ცოტათაგან 367_{13}.

ცოცხლებით („ცოცხლად“) 7_{9}, 49_{7}, 90_{6}, 269_{1}.

ცრემლოვანი („აცრემლებული“) 111_{5}.

ცრუობა („მოტყუება“) 286_{3}.

ცუნდრუკი („ცილის დამწამებელი“, „ბოროტის მზრახველი“) 326_{16}.

ცხებულიანი („ცხებული“, „მირონცხებული“) 366_{9}.

ცხედარი („საწოლი“) $104_{18, 19}$, 115_{6}.

ცხენ-კეთილი („ვისაც კარგი ჯიშის ცხენი ჰყავს“) 325_{1}, 337_{18}.

ცხენ-კეთილობა 151_{1}. იხ. ცხენ-კეთილი.

ცხენ-თორნოსანი („ცხენ-ჯავშნიანი“) 155_{19}, 156_{4}.

ცხოვნება („ცხოვრება“): ცხოვნდებოდა („ცხოვრობდა“) 226_{3}; ცხოვნდებოდეს („ცხოვრობდნენ“) 71_{2}, 159_{11}; ცხოვნდა („იცხოვრა“) 4_{2}.

ცხოვრება: **1.** („ცხოვრება“): ორთავე ცხოვრებათა შინა (ე. ი. „სააქაო და საიქიო ცხოვრება“) 363_{23}, 364_{13}; **2.** („სიცოცხლე“, „გადარჩენა“) 109_{15}; **3.** (საპირისპირო: „წარწყმედა“): ესე ნიშანი მ.თისა (ე. ი. სპარსთა) წარწყმედისა არს და ქართლისა ცხოვრებისა 113_{17}.

ცხური („ქიმი“): ცხ. კლდისა 92_{11}; ცხ. ძრმაზისა 131_{3}, 19_{5}.

ძ

1. **ძალი** („ძალა“, „ჯარი“): მოირთო ძალი („შეიერთა ჯარი“) 33_{18}, 140_{5}, 151_{16}.

2. **ძალი** („საკრავის სიმი“) 357_{21}.

ძებნა სისხლისა, ძიება სისხლისა („შურის ძიება“, „სისხლის შურის ძიება“) 10_{10}, 47_{18}; ძებნად სისხლსა მამის მამისა მისისასა 16_{6}; ძებნად სისხლსა სიმამრისა და ცოლის ძმათა მისთასა 223_{4}; ძიებად სისხლისა ფარნაჯომისა 30_{12}; ძიება სისხლისა და ზღვარისა (იხ. 2. ზღვარი) 48_{14}; ეძიებდა სისხლსა მამისა მათისასა 15_{6}; არა იძიების სისხლი სჯულისა დატევებისათჳს მოკლულთა 31_{9}. — **მეძიებელი სისხლისა** 271_{18}; **სისხლი უძებნელი** („არა შურის-საძიებელი“) 46_{8}

ძეგლი („აღწერილი განწესება“, მოთავსებული სვეტზე): ძეგლი შუენიერი ჭეშმარიტისა სარწმუნოებისა აღწერს (იგულისხმება ძეგლისწერა რუის-ურბნისის კრებისა) 328_{4}.

ძელი („ხე“): ამართეს ძელი და გასუეს კჳრიკე სამ დღე 307_{10}; გასუეს ძელსა (ფადლონი) 312_{9}; აღმართნეს ძელნი და გაასხნეს მას ზედა ლიპარიტ და ივანე, და განწირნეს სიკუდილად 305_{10}; ძელზე გასუმა 302_{1}.

ძე-წული („ვაჟიშვილი“) 240_{17}.

ძიება („ძებნა“): იძინა და კეთილად გამოიძინა 330_{14}.

ძიება სისხლისა იხ. ძებნა სისხლისა.

ძის ცოლი („რძალი“) 251_{7}.

ძისწული („შვილისშვილი ვაჟი“) 3_{7}, 32_{10}, 54_{12}, $135_{21, 22}$, 137_{9}. ძისწულის შვილი 100_{10}, ძისწულის წული 137_{19}.

ძმაცუა („ვერაგობა“, „ეშმაკობა“): იძმაცუა („ივერაგა“) 278_{9}, 382_{12}.

ძნიად („ძნელად“, „იშვიათად“) 330_{5}.

ძრვა ქუეყანისა („მიწისძვრა“) 323_{12}.

ძუძუსმტე („ძუძუს მოზიარე“, „ვინმესთან ერთად ერთი ძუძუთი გაზრდილი“) 51_{11}, 156_{10}, 177_{20}.

ძჳნება: ეძჳნებოდა („აბრაზებდა“) 349_{16}.

ძჳრის-მოქმედი („ბოროტმოქმედი“) 15_{21}, 176_{15}

ძჳრ-უჴსენებელი („არაგულღრძო“) 274_{2}, 316_{4}.

წ

წადიერი: ზავად წადიერი („ზავის მსურველი“) 384_{9}.

წამება („დაჯერება“, „რწმენა“, „დათანხმება“): ეწამნეს („დაეთანხმნენ“, „დაუჯერეს“) 61_{2}, 63_{14} შენ.

წამისყოფა („თვალით ნიშნება“) 40_{10}, 91_{5}.

წანალები („წალებული“) 367_{17}.

წარგება („დახარჯვა“): წარაგის („დახარჯავდა ხოლმე“, „გასცემდა“) 353_{12}; წარეგნეს („თავი წააგეს“, „დაიღუპნენ“) სტეფანოზ და მსახურნი მისნი 226_{1}. იხ. წარსაგებელი.

წარგუალეთ („წადით“) 113_{22}.

წარდგინება: წარიდგინეს („მიიმხრეს“) 286_{1}.

წარდგომა: წარუდგა უკან („უკან დაედევნა“) 287_{7}. შდრ. **წარმოუდგა** უკანა 288_{4}.

წარიტანე („წაიღე“) 53_{5}. იხ. წარტანება.

წარკიდება („თავს დატყდომა“) 148_{8}.

წარკრება: წარკრბეს („გაიქცნენ“?) 126_{4}.

წარმართობა („კერპთმსახურება“) 126_{6}.

წარმოზღუდვა („ზღუდის შემოვლება“) 131_{3}.

წარმოიცა იხ. წარმოცემა.

წარმოყოლება: წარმოაყოლნა („თან გამოატანა“) სპანი დიდნი 321_{20}.

წარმოცალიერება („ამოწურვა“, „დაცლა“, исчерпать) 104_{8}.

წარმოცემა („გამოგზავნა“): მოკუდა მიჭრ და წარმოსცეს მცხეთას 241_{11}.

2. **წარმოცემა**: წარმოიცა („გამოირკვა“) 78_{9}.

წარმოძრვა („დაძვრა“) 384_{28}

წარსაგებელი („დასახარჯავი“, „ხარჯი“) 346_{9}, 353_{8}. იხ. წარგება.

წარსწუთების (←— წარწუთომა || წარწუდომა) „აღწევს“ 51_{4}.

წარტანება: თანა წარატანა („თან გაატანა“) 125_{15}; წარიტანე თანა („თან წაიღე“) 53_{5}; წარიტანეს თანა („თან წაიყვანეს“) 298_{22}

წარტყუენა („დატყვევება“, „მოოხრება“; გადატ. „გატაცება“): შეექცა კითხვასა და ესოდენ წარიტყუენა („ისე გაიტაცა კითხვამ“) 350_{6}. **წარტყუენული** („დატყვევებული“) 139_{12}.

წარუვალი („სამუდამო“): წ. დიდება 199_{12}, 203_{12}.

წარქცევა („წინ გაგდება“): წარგჳქციენ წინა („წინ გაგვიგდე“) 314_{13}. შდრ. რაჟდენის მარტვ.: «წარიქციეს წინაჲ და მიჰგუარეს იგი მეფესა მას» (ქრ. 245).

წარჩინებული („დიდგვარიანი“) $136_{6, 8}$, $143_{11, 15}$, 147_{16}, 149_{18}, 150_{8}; წარჩინებულნი ქართლისანი 137_{8}, $145_{11, 19}$, 147_{1}.

წარცემა („გაგზავნა“): წარსცა $158_{7, 8}$, 176_{10}, $186_{5, 7}$; წარსცეს 176_{7}.

წარწირვა („სასოს წარკვეთა“, „უიმედოდ დარჩენა“) 371_{11}.

წარწყმედა („დაღუპვა“) 154_{21}.

1. **წარჴდომა** („წასვლა“, „გასვლა“, „დაღუპვა“): წარჴდეს ჟამნი („დრო გავიდა“) 199_{19}; სულნი წარჴდეს მას („სული ამოხდა“).

2. **წარჴდომა**: წარჴდა („წააწყდა“) დამალულთა მათ მჴედართა 189_{13}.

წარჭქონდა („მიჭქონდა“): მტკუარმან გარდამოხეთქა და წარჭქონდა ქალაქი 112_{15}; განძთა მათთჳს, რომელნი თანა ვერ წარჭქონდეს („თან ვერ მიჭქონდათ“) 233_{4}.

წალმართ (საბა: «წ ა ლ მ ა რ თ ი უკულმართის წინააღმდეგი»): პირველითგან მოაქამომდე და წალმართ მიუკუნისამდე („დასაბამიდან დღემდე და ამიერიდან უკუნისამდე“) 191_{3}.

წახმული („წაღებული“, „წართმეული“, ბევრი) 67_{10}, 317_{15}.

წერილი („წიგნები“) 132_{26}, 142_{21} (მობიდანის წიგნები), 337_{19}.

წვალება („განხეთქილება“, „ერესი“) 2 6.

წიაღ („გაღმა“) 101_{5}, 156_{24}.

წიგნი („წერილი“) 124_{15}, 158_{13}, 176_{11}, 344_{21}.

წილ („მაგიერ“) 261_{3} და ხშირად.

წილი („ხვედრი“, „ნაწილი“): წილად ხუედრებული 38_{10}, 95_{18}. შდრ. 38_{5} ნაწილი ხუედრებული.

წილ-ხდომილი („რაც წილად შეხვდა“) 38_{12}.

წინაგანსაკრძალებელად („წინასწარ დასაფარავად“) 351_{1}.

წინაგანწყობა („წინააღმდეგობა“, „წინააღმდეგ ბრძოლა“) 342_{14}; წინაგანეწყო დარიოსს („ბრძოლა გაუმართა“) 358_{19}; მჴედრობისა და წყობათა წინაგანწყობისა („ბრძოლათა წარმოება და მეთაურობა“) 149_{10} (უნდა იყოს არა «წინაგანწყობისა», არამედ «წინამძღუარობისა». შდრ. 149_{6}: მჴედრობა და წყობათა წინამძღურობა»).

წინადადება: იგავთა და სახეთა წინადაუდებდა („მოუყვანდა“, „წარუდგენდა“) 357_{8}

წინადაცუეთა: დაიცჳთა წინა 309_{2}.

წინავიდოდა: წინაუვიდოდა („[დავით აღმ.] წინ მიუძღოდა ჯარს“) 329_{3}.

წინამავალნი („ავანგარდი“) 284_{15}, 383_{12}. შდრ. უკანამავალნი.

წინამძღუარი („სარდალი“, dux): და ძე მისი ლეონ უჩინა წინამძღურად 269_{17}.

წინამძღურობა („სარდლობა“, „სარდლად დაყენება“) 149_{6}; იწინამძღურეს ქავთარ ტბელი 276_{7}.

წინა-პირობა („წინ გაძღოლა“): წინა-უპირობდა) 135_{15}. იხ. პირობა.

წინასწარმეტყუელება; წინასწარმეტყუელა 307_{25}; წინასწარმეტყუელე 308_{5}.

წინდობა: (ვახტანგმა და კეისარმა) განაგეს საქმე წინდობისა („მძევლების გაცვლა-გამოცვლისა“?) 177_{8}.

წრფელი: წრფ. გზა („სწორი გზა“) 322_{10}.

წუერი ჰოროლისა $194_{11, 12}$.

წული („ვაჟიშვილი“) 164_{20}.

წურილი ერი („მდაბიო ხალხი“, „გლეხობა“) $145_{11, 13, 19}$, 292_{14}.

წყინება („უსიამოვნება“) 208_{17}.

წყლვა: წყლეს („დაჭრეს“) 379_{29}.

წყობა: 1) („ბრძოლა“) 32_{16}, 66_{13}, $68_{6, 18}$, 70_{7}, $149_{6, 10}$, $158_{3, 6}$, 160_{14}, $170_{8, 9}$, $171_{5, 14}$, $180_{12, 17}$, 199_{8}, 201_{17}, 224_{11}, 297_{7}, 298_{6}, 328_{12}, 336_{1}, 337_{7}, 346_{16}, 358_{10}; წყობისა უმეცარნი („ბრძოლის საქმის არმცოდნენი“) 358_{6}. 2) ზ მ ნ ა: ეწყჳს მათ („შეებრძოლებოდა ხოლმე მათ“) $66_{11, 12}$; ეწყო 59_{15}, 220_{4}, 230_{2}; ვეწყუნეთ 236_{21}; ეწყუენით 237_{12}; ეწყუნეს („შეებრძოლნენ“) 49_{2}, 57_{19}, 173_{2}, 217_{16}: ეწყვნიან 141_{9}, 180_{6}; ეწყოს 174_{16}.

წყობილობა: ვერ-წყობილობასა შინა 316_{13}.

წყურიელი („მოწყურებული“) 360_{13}.

ჭ

ჭალაკი („ჭალა“, „ტყე“): ჭალაკნი და ველოვანნი 151_{21}; და ეწყვნეს იგინი ზღჳს კიდესა მას, რომელ არს ჭალაკი, რიყე ხერთვისისა 173_{2}; ჭალაკი მწყურნები („წყალმრავალი ჭალა“) 235_{9}; ჭალაკთა ეგრისათა 235_{18}. **უჭალაკე** („უაღრესად ტყიანი ადგილი): ბანაკი იყო უჭალაკე 238_{9}.

ჭდე („საფეხური“, „ხარისხი“?) 166_{20}.

ჭირვება („შევიწროება“): აჭირვებდის („ავიწროვებდა“, „ტანჯავდა“) 133_{29}; აჭირვა („შეავიწროვა“, „შეაწუხა“) 309_{20}.

ჭირვეული („გაჭირებული“) 58_{6}, 166_{22}, 175_{5}, 343_{16}. **ჭირვეულად** („გაჭირებით“, „ძლივს“) 312_{10}.

ჭრტინვა (საბა: «უვგვანი ხახილი») 354_{11}.

ჭუა („ჭივჭავი“, ფრინვ.) 311_{6}.

ჭურვილი („შეიარაღებული“) 71_{8}, $159_{4, 5}$, 185_{2}; გჳრგჳნითა ოქროსათა ჭურვილი („მოკაზმული“) 168_{17}.

ჭური: ჭური რისხჳსა 81_{14}.

ხ

1. **ხადა**, **ხადილი** („დარქმევა [სახელისა]“): არცა ხადოდეს უფლად 10_{14}; თავსა თჳსსა ხადის ძედ ღმრთისად („თავის თავს ღვთის ძეს უწოდებსო“) 99_{1}; მამად და უფლად გხადო შენ 181_{16}; ერისთავთა-მთავრად ხადოდეს 222_{18}.

2. **ხადა** („მოხმობა“, „დაძახება“): ხადოდეს ღმერთთა მათთა არმაზს და ზადენს 85_{18}; ვხადე („მოვუხმე“) 109_{17}; შენ გხადი შემწედ ჩემდა 175_{7}; რაჟამს ხადოდიან („როდესაც მოუხმობდნენ ხოლმე“) წმიდასა ჯუარსა 124_{9}.

ხაზდი (საბა: ხ ა ზ ი დ ი — „სიასამური», ციბიაბ) 183_{21}.

ხალენი („მატყლის ქსოვილი“) 107_{21}.

ხანდაკი („თხრილი“, χάνδαξ) 343_{11}.

ხარაჯა („ხარკი“) $309_{2, 22}$, $314_{2, 3}$, 321_{18}, 326_{2}, 343_{4}; მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰქჳან ხარაჯა 250_{18}. იხ. აგრეთვე ხარკი.

ხარგა („კარავი“, „ნაბდის კარავი“) 314_{17}, 332_{7}, 333_{11}.

1. **ხარისხი** („საფეხური“, „საფუძველი“, „დასაყრდენი“) 114_{18}, $161_{17, 22}$.

2. **ხარისხი** („ღირსება“, „თახამდებობა“) 232_{16}.

ხარკი 126_{4}, 136_{20}. იხ. აგრეთვე ხარაჯა.

ხატთა-ბრძოლა („ხატისმებრძოლეობა“) 227_{6}.

ხაჭო: ხაჭოსა ჭამდიან 209_{24}.

ხედვა („შეხედულება“, „თეორია“) 357_{2}.

ხერთვისი („ნახევარკუნძული“, „კუნძული“) 173_{2}, 202_{21}.

ხვალისა („მეორე დღეს“) 333_{5}, 353_{18}; **ხვალისა დღე** („მეორე დღეს“) 111_{5}, $121_{6, 21}$, 170_{5}, 183_{22}, 280_{8}.

ხორშაკი („ძლიერ დამწველი სიცხე მზისა“) 237_{11}.

ხუასრო (სპარსულად «ხოსროჲ» ნიშნავს „ძლიერ მეფეს“. ამ მნიშვნელობით არის ნახმარი ჯუანშერთან: «მოკუდა ხ უ ა ს რ ო, მეფე სპარსთა, და დაჯდა მის წილ ძე მისი ხ უ ა ს რ ო» [199_{19-20}]. პირველ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს ვალარში, მეორეში — კოვად I. იხ. ჯავახიშვილი, ქ. ერ. ისტ. 1, 289-290).

ხუასტაგი („საქონელი“, „ქონება“) $22_{11, 12, 13, 16, 23}$, 45_{16}, 143_{9}, 151_{5}, 232_{24}, 305_{14}.

ხუდომა: ხუდა („შეხვდა“) წილად 38_{2}; ხუდების 149_{19}.

ხუედრებული: წილით ხუედრებული 95_{18}.

ჴ

ჴამს („უნდა“, „საჭიროა“) 148_{9}; გიჴმდეს („დაგჭირდეს“) 180_{19}; გჳჴმს 147_{14}.

ჴდალი: ჴდ. ცხენი („დედალი ცხენი“) $158_{8, 9}$, 182_{4}.

ჴდომა („თავდასხმა“, „ბრძოლა“) 10_{18}.

1. **ჴევი** („მხარე“, „კუთხე“, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული) 25_{22}, 65_{10}, $177_{9, 22}$, $200_{16, 17}$, 281_{3}, 377_{12}, 378_{8}; ჴ. არტანისა 379_{28}, ჴ. კახეთისა 136_{8}, 138_{16}, 139_{9}, 233_{1}; ჴ. კლარჯეთისა 131_{14}; ჴ. ოძრახისა 39_{24}; ჴ. სამცხისა 379_{13}; ჴევთა ტაოსთა 283_{17}; უჯარმოს ჴევი 200_{18}; ჴევნი ქართლისანი 146_{1}, 205_{5}; ჴ. შავშეთისა $376_{18, 19}$.

2. **ჴევი** („ხევი“) 210_{25}.

ჴელადი („ხელქვეითი“) 13_{4}.

ჴელდასხმული: მღდელად ჴელდასხმულ იქმნა („მღვდლად აკურთხეს“) 134_{29}.

1. **ჴელი** („ხელი“): ჴელად („თავისი ხელით“) შეიპყრა 68_{14}; ჴელის აპყრობა („დახმარება“, „დაცვა“) 290_{8}.

2. **ჴელი** („ხელობა“): ღადრობა არა ჴელ არს კაცთა პატიოსანთა 171_{17}.

ჴელით-წერილი („ხელწერილი“) 131_{4}.

ჴელმწიფება („ბატონობა“) 162_{8}.

ჴელოვანი („ოსტატი“) 126_{19}, 194_{22}.

1. **ჴელოვნება** („ხელოვნება“): ჴ. რიტორობისა 342_{10}.

2. **ჴელოვნება** („მოხერხება“, „ხრიკები“) 301_{2}.

ჴელოსანი („ხელოსანი“) 353_{14}.

ჴელსაქმარი („ხელით სამუშაო“, „ხელსაქმე“) 82_{11}.

ჴელ-შეუვალი („უდავო“, „ხელშეუხებელი“) 296_{9}.

ჴმელი („ხმელეთი“) 273_{2}.

ჴორციელებრი („ხორციელი“) 203_{16}.

ჴორც-შეკუეთილი („ხორც-დაფლეთილი“?) 214_{2}.

ჴუვილი („თავთავი“) 361_{8}.

ჴუმილვა („დარაჯობა“) 85_{12}.

ჴურელი („ხვრელი“, „გამოქვაბული“): კლდეთა, ქუაბთა და ჴურელთა ქუეყანისათა 320_{2}. შდრ. ჴუაჴურელნი.

ჯ

ჯაბანი („მხდალი“, „ლაჩარი“) $358_{10, 12}$, 359_{24}.

ჯაჭჳ („რკინის პერანგი“) 155_{20}.

ჯერკუალი („უწმინდურება“?) 91_{8}.

ჯმნა: იჯმნა მათგან („წავიდა მათგან“) 75_{8}, 76_{7}; უჯმნა 80_{5}.

ჯუარნი: გამოაჩინნა ჯუარნი და შეკაზმნა ეკლესიანი 137_{14}, 140_{8}; განამრავლნა ჯუარნი და განაახლნა ეკლესიანი ყოველსა ქართლსა შინა 138_{2}; დამალეს ჯუარები ქართველთა 139_{7}.

ჯუმლი („ჯამი“) 282_{28}.

ჯურღმული („წყლიანი ორმო“) 96_{18}.

ჰ

ჰავი იხ. შეჰავდა.

ჰახაკი იხ. ასაკი.

ჰოროლი, **ოროლი** („ერთგვარი შუბი“) $46_{12, 14}$.

ჰრომაელებრ („რომაულად“) 86_{10}.

ჰრული იხ. რული.

ჰუნე („ცხენი“) 320_{12}.

ADDENDA ET CORRIGENDA

გვ.	სტრიქონი ზემოდან	სტრიქონი ქვემოდან	ა რ ი ს	უ ნ დ ა ი ყ ო ს
4	5-6		ზღუა ორეთისა	მთა ორეთისი
6	1		კავკასის	კავკასს
8	4		ჩუენთამდე,	ჩუენთამდე.
8	5-6		მისთა. და მისცა	მისთა, და მისცა
16	26		BPbd	BEPbd
16	27		PRbd	EPRbd
16	28		PR	EPR
19	25		———	6 დასავლით მცხეთ[ის]ა ჯ ა ვ ა ხ. I, 453.
29	6		დ	და
44	17		ითარგამნების	ითარგმანების
55		3	BEPRTbdm	BEPRTbcdm
59	9		არდაბირობით	არდაშირობით
60	6		პიტიახშთა	პატიახშთა
124	24		მილიიან	მიილიან
167	4		ქალისა	ქალაქისა
167	27		ქალაქისა ACMm.	ქალაქისა ACMm. ქალისა cet.
177	3		მწროუხარე	მწუხარე
237	3ε		ვითარცა	ვითარსა
253		6	მაწყეველნი	მაწუეველნი
259	24		ძმისა	ძისა
287	32		დაუწერნეს	დაეწერნეს
290		1	Bp	Bbp
296	15		კჳრიკე კახთა მეფესა	(გადამწერთა შეცდომაა, უნდა იყოს გაგიკ კახთ მეფესა, შდრ. 297, 9-10)
301	29		ლიხი AMm,	ლიხი AMm, შდრ. ქვემოთ 339, 15 შენ. «ლიხნი».
306	14		გადგრომილ	დადგრომილ
317	6		გუარისათა M	ეუარისათა M
341	21		გლეხთა	გლეხთა,
358	10		მჴნეთა,	მჴნეთა
447	12		მუნა... 144_{21}	(დაემატოს) შდრ. პეტრიწი II, 108, 23.
447	16		მუნქუესვე...	მუნქუესვე... 115_{6}.

შინაარსი

წინასიტყვაობა . . . . 05 — 06

შესავალი: ქართლის ცხოვრების მოცულობა და შედგენილობა . . . . . . 07 — 052

თავი პირველი: „ქართლის ცხოვრების“ კრებულის მოცულობა და მისი შედგენილობის თანდათანი ზრდა: § 1. „ქართლის ცხოვრების“ კრებული (07). — § 2. „ქართლის ცხოვრების“ შედგენილობა (08). — § 3. ახალი შედგენილობის ძეგლები (09). — § 4. „ქართლის ცხოვრება“ და „მსოფლიო ისტორია“ (010).

თავი მეორე: „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მოპოვების ისტორია: § 5. „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები (014). — § 6. ნუსხების მოპოვების ისტორია (014). — § 7. ანასეული ნუსხა (015). — § 8. ქალაშვილისეული ნუსხა (015). — § 9. ახალი ციკლის „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები (016). — § 10. ჯანაშვილისეული ნუსხა (018). — § 11. ქალაშვილისეული ნუსხა (019). — § 12. მაჩაბლისეული ნუსხა (020).

თავი მესამე: „ქართლის ცხოვრების“ შესწავლის ისტორია: § 13. ძველი საუკუნეების რედაქტორთა შენიშვნები (021). — § 14. ვახტანგის „მეცნიერ კაცთა“ მუშაობა (023). — § 15. ჩანართები (030).

თავი მეოთხე: „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა წყაროებისათვის: § 16. „მატიანე ქართლისა“ და სუმბატის „ქრონიკა“ (034). — § 17. „მატიანე ქართლისა“ და კედრენეს „ისტორია“ (037).

თავი მეხუთე: „ქართლის ცხოვრების“ ტექსტის კონიექტურები: § 18. ახალ გამოცემაში შესწორებული ადგილები (040).

თავი მეექვსე: „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა: § 19. „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენის ზოგადი დახასიათება (046). — § 20. ლექსიკა (047).

თავი მეშვიდე: „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერები: § 21. „ქართლის ცხოვრების ხელნაწერთა შესწავლა (050). — § 22. დამატებითი ცნობები ზოგიერთ ხელნაწერთა შესახებ (051). — § 23. მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხები (053).

ქართლის ცხოვრება: ტექსტი . . . . 1 — 386

1. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა . . . . 1 — 71
2. ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა . . . . 72 — 138

3. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა . . . . 139 — 244
4. ლეონტი მროველი, მეფე ქართლისა არჩილი . . . . 245 — 248
5. მატიანე ქართლისა . . . . 249 — 317
6. ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი . . . . 318 — 364
7. ლაშა გიორგის-დროინდელი მატიანე (ცხოვრება დემეტრე მეფისა, ცხოვრება გიორგი მეფისა, ცხოვრება დიდისა მეფეთ-მეფისა თამარისი, ცხოვრება გიორგი მეფისა, თამარის ძისა) . . . . 365 — 371
7. სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა 372 — 386

საკუთარ სახელთა საძიებელი . . . . 389 — 431

ლექსიკონი . . . . 432 — 461

Addenda et corrigenda 461

რედაქტორი პროფ. ს. ყაუხჩიშვილი
მხატვარი გ. ნადირაძე
მხატვრული რედაქტორი გ. გორდელაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18/XI 1955 წ. უე 08579.
ანაწყობის ზომა 8×12. ქაღალდის ზომა $84 \times 108^{1}/_{16}$.
ნაბეჭდი თაბახების რაოდენობა 53,3. სააღრ.-საგამომც.
თაბახების რაოდენობა 50,82. ტირაჟი 10.000.
შეკვ. № 458. ფასი 33 მ. 50 კ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერ-
სიტეტის გამომცემლობის სტამბა-ლითოგრაფია,
უნივერსიტეტის ქ. № 1.

*

Типо-литография издательства Тбилисского госу-
дарственного университета имени Сталина,
Университетская, 1.